

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება

რომან ლოლუა

კავკასიის ალბანური ენის სტრუქტურის საკითხები

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი ცირა ბარამიძე



თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

2010

შესავალი

კავკასიის ალბანური წარმოდგენს რამდენიმე ხელნაწერისა (ორი პალიმფსესტი – *N/Sin 13* და *N/Sin 55*) და ეპიგრაფიკული ძეგლის ენის პირობით სახელწოდებას. ეს ენა გავრცელებული იყო ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში, ძირითადად, თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. კავკასიის ალბანეთი და ალბანელები ანტიკურ წყაროებში ქრისტეს შობამდე II საუკუნიდან იხსენიებიან (ბერძნული *Αλβανος*, სომხური *Աղուն-ք* იმავე ფუძისაგან უნდა მომდინარეობდეს). ქართულ წყაროებში ამ ქვეყანას *რანი* და, შესაძლოა, *პერეთი* ეწოდება. არაბულსა და სხვა აღმოსავლურ ენებში ასევე *ارل* (ალ-რან) > *ارل* (არ-რან) სახელწოდება დამკვიდრდა.

ცნობები ალბანური დამწერლობის არსებობის შესახებ სომხურმა წყაროებმა შემოგვინახა. ამ ცნობების საფუძველზე, XIX ს. დასაწყისიდან დაიწყო დაკარგული ალბანური დამწერლობის ნიმუშთა ძიება. მრავალჯერ აღინიშნა ხელნაწერი ტექსტებისა თუ ეპიგრაფიკულ ძეგლთა აღმოჩენის შესახებ, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში ეს ცნობები არ დადასტურდა.

ნამდვილი ალბანური ანბანის აღმოჩენა თარიღდება 1937 წლის 28 სექტემბრით. ამ დღეს იღ. აბულაძემ ეჩმიაძინის ხელნაწერებს შორის მიაკვლია სომხური ენის გრამატიკის სახელმძღვანელოს (ამჟამად ეს ხელნაწერი დაცულია ერევანში, მატენადარანის ბიბლიოთეკაში), რომელშიც ძირითად ნაწილთან ერთად წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ალფაბეტები და მათ შორის ალბანური ანბანიც. ეს დღე კავკასიოლოგიის ერთ-ერთი სპეციფიკური ქვედარგის, – ალბანოლოგიის, დაბადების თარიღად უნდა მივიჩნიოთ. სწორედ ამ დღიდან იწყება კავკასიის ალბანური დამწერლობისა და ენის მეცნიერული შესწავლა.

მოგვიანებით, 1956 წელს, ასევე სომხურ ხელნაწერში აღმოჩნდა კავკასიის ალბანური ანბანის მეორე ნუსხა (მოიძია ა. ქურდიანმა აშშ-ში).

ალბანოლოგიის განვითარებას ახალი იმპულსი მიეცა 1948-1952 წლებში აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ქ. მინგეჩაურთან რამდენიმე ლაპიდარული წარწე-

რისა და გრაფიტის აღმოჩენის შედეგად, რომელთა ერთობლიობასაც დღეს კავკასიის ალბანურ წარწერათა კორპუსს უწოდებენ. ვინაიდან უკვე აღმოჩენილი იყო კავკასიის ალბანური ანბანი და აგრეთვე ცნობილი იყო სავარაუდო ენა, რომლის საფუძველზეც უნდა წარმართულიყო ძიება (უდიური), შეიქმნა ილუზია, რომ მინგეჩაურის წარწერები ადვილად გაიშიფრებოდა, მაგრამ მათი ამოკითხვის ცდები არსებითად ჩიხში მოექცა. ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობდა მასალის სიმცირეში (კავკასიის ალბანური ეპიგრაფიკა შეიცავს მხოლოდ 7 წარწერას, შეიძლება დეფექტურია, სიტყვაფორმათა რაოდენობა დაახლოებით 50-ს უდრის, გრაფემათა საერთო რაოდენობა კი – 200-ს აღწევს). სხვა მიზეზთა შესახებ კი გზადაგზა გვექნება საუბარი.

ამ ჩიხიდან გამოსვლის პერსპექტივა გამოჩნდა XX საუკუნის ბოლოს, როდესაც ზ. ალექსიძემ ეგვიპტეში, სინას ნახევარკუნძულზე მდებარე წმ. ეკატერინეს მონასტერში პირველი ალბანური გაბმული ტექსტი აღმოაჩინა (წინასწარი დათვლით, დაახლოებით 10 000 სიტყვის მოცულობისაა). ხელნაწერი შემოგვრჩა პალიმფსესტის სახით (ალბანურ-ქართული) და მხოლოდ სპეციალური ტექნოლოგიების გამოყენებით გახდა შესაძლებელი მისი ქვედა ფენის, ანუ ალბანური ტექსტის იდენტიფიკაცია და ამოწერა. სამწუხაროდ, ამ მასალის უდიდესი ნაწილი დღემდე გამოუქვეყნებელია (გამოქვეყნებულია 7 საკითხავი, რომელიც დაახლოებით 500 სიტყვას მოიცავს – ალექსიძე 2003, 132-150).

კავკასიის ალბანური დამწერლობისა და ენის პრობლემატიკა სხვადასხვა პერიოდში მრავალი მეცნიერის შესწავლის საგანი გამხდარა. პირველი გამოკვლევა ალბანურის შესახებ ეკუთვნის აკ. შანიძეს (Шанидзе А. Г., Новоткрытый алфавит кавказских албанцев и его значение для науки, 1938.). ამის შემდეგ კავკასიის ალბანურს იკვლევდნენ ილ. აბულაძე, ჰრ. აჭარიანი, ლ. მელიქსეთ-ბეგი, ჟ. დიუმეზილი, ჰ. ბეილი, ე. მინზი, რ. ჰიუსენი, რ. ვაიდოვი, ა. ქურდიანი, რ. ევსენი, ა. აბრამიანი, გ. კლიმოვი, გ. გუკასიანი, ს. მურავიოვი, მ. ქურდიანი, ვ. შულცე, ზ. ალექსიძე, ე.-პ. მაე, ი. გიპერტი... მიუხედავად ამისა, მრავალი საკითხი ჯერ კიდევ საკვლევი რჩება.

თავი I

უძველესი ცნობები კავკასიის ალბანური დამწერლობის შესახებ.

ცნობები კავკასიის ალბანური დამწერლობის შესახებ დაცულია სომხურ საისტორიო მწერლობაში. უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ შემდეგი წყაროები:

კორიუნის “მაშტოცის ცხოვრება” (V ს. ავტორი, ჩვენამდე მოღწეული რედაქციები, როგორც ჩანს, მნიშვნელოვნად არის სახეცვლილი):

“შემდეგ იგი [მაშტოცი] გამოეთხოვა მათ [ქართველებს] ალუანქში წასასვლელად. წავიდა, გადავიდა მათ ქვეყანაში, მიაღწია სამეფო ადგილას და ნახა ალუანელთა წმინდა ეპისკოპოსი სახელად ერემია და მათი მეფე, რომელსაც სახელად არსვალი [//არსვალი] ერქვა”...“მათ, ორივემ ერთად, ეპისკოპოსმა და მეფემ, იზრუნეს მწიგნობრობის მიღებაზე”...“ამის შემდეგ ნეტარმა ერემია ეპისკოპოსმა იწყო სასწრაფოდ საღმრთო წიგნების თარგმნა, რის გამოც ალუანქის თვალხმული, ველური, ზარმაცი და ნადირი ხალხი წინასწარმეტყველთა, სამოციქულოს და სახარების მცოდნე გახდა და არ დარჩა რაიმე საღმრთო გარდამოცემის გარეშე” (კორიუნი 1962, 115-116).

მოვსეს ხორენაცის “სომხეთის ისტორია” (V-IX სს. ავტორია. სომხურ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული შეხედულების მიხედვით თხზულება V ს.-ში დაიწერა, თუმცა, ჩვენი აზრით, VII ს.-ში უნდა იყოს შესრულებული):

“მას შემდეგ, რაც მესროპმა შექმნა სომხური და ქართული დამწერლობები”...“გადავიდა ალუანქში მათ მეფე არსვალენთან და იერემია არქიეპისკოპოსთან, რომლებმაც ნებით იტვირთეს მისი მოძღვრება, მისცეს რჩეული ბავშვები, დაუძახეს ვინმე ბენიამინს, უნარიან მთარგმნელს, რომელიც დაუყოვნებლივ აახლა მათ ჭაბუკმა ვასაკმა, სივნიეთის უფალმა, თავისი ეპისკოპოსის ანანიას ხელქვეით. მათთან ერთად შექმნა [მესროპმა] ასოები გარგართა ხორხისმიერი, არაკეთილხმოვანი, ბარბაროსული და უხეში ენისათვის. მან [მესროპმა] ზედამხედველად [ალუანელებს] დაუტოვა თავისი მოწაფე იონატანი,

იმავე დროს დაუყენა მღვდლები სამეფო კარზე და თვითონ დაბრუნდა სომხეთში” (მოვსეს ხორენაცი 1913, 329).

თითქმის ზუსტად იმეორებს მოვსეს ხორენაციის ცნობებს **მოვსეს კალანკატუაცი** თავის თხზულებაში “**ალუანთა ქვეყნის ისტორია**” (ან **მოვსეს დასხურანცი**; ამ ნაშრომის ავტორის ან ავტორთა ვინაობის საკითხი არ არის გარკვეული. სპეციალურ ლიტერატურაში გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრება თხზულების შედგენის დროისა და მისი ავტორის შესახებ. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, თხზულების ავტორი VII ს.-ში მცოვრები მწერალი იყო [ე. ბორე; კ. შაჰნაზარიანი...], სხვა თვალსაზრისის მიხედვით მოვსეს კალანკატუაცი (ან მოვსეს დასხურანცი) X ს.-ში ცხოვრობდა [ქ. პატკანიანი; ნ. აკინიანი; მ. აბელიანი; ჩ. დოვსეტი...], ხოლო ზოგიერთი მკვლევარი ორი ავტორის შესახებ მოსაზრებას ემხრობა [ტ. ტერ-გრიგორიანი; ლ. მელიქსეთ-ბეგი; კ. ტრევერი; მ. არტამონოვი; ზ. ბუნიათოვი; კ. ალიევი; ვ. არაქელიანი; ფ. მამედოვა...]. ჩვენც ამ უკანასკნელ მოსაზრებას ვანიჭებთ უპირატესობას. “ალუანთა ქვეყნის ისტორია”, სავარაუდოდ, VII-X სს. კომპილაციური ნაშრომია):

“იმ დროს, როდესაც ბერძენთა კეისარი იყო თეოდოსი მცირე, სომხეთის მეფე ვრამშაპუხი, სპარსეთის მეფე იაზკერტი და ალუანქის მეფე არსვალენი, მოვიდა ალუანქში ნეტარი მესროპი”... (მოვსეს კალანკატუაცი 1983, 117-118).

ამ წყაროში გვხვდება სხვა ცნობებიც ალბანური დამწერლობის შესახებ: “მათგან, ვინც მწიგნობრობა იცის, [არიან]: ებრაელები, ლათინები, რომელსაც რომაელები იყენებენ, ესპანელები, ბერძნები, მიდიელები, სომხები, ალბანელები”... (მოვსეს კალანკატუაცი 1983, 6).

“[ალუანქის კათალიკოსი ვირო] ... განსაკუთრებით გაიწვრთნა სპარსული ენიდან თარგმნაში იმ ოცდახუთი წლის განმავლობაში, როდესაც ხოსროს კარზე იმყოფებოდა”... (მოვსეს კალანკატუაცი 1983, 150).

“ამის შემდეგ ალუანთა ქვეყანა ხაზარებმა დაიპყრეს და ცეცხლს მისცეს ეკლესიები და აღთქმათა წიგნები”... (მოვსეს კალანკატუაცი 1983, 118-119).

“ეს რომ მოხდა [დიოფიზიტი კათალიკოსი ნერსე გარდაიცვალა] იმავე კრებაზე აირჩიეს სიმეონი, კაცი მშვიდი და წმინდა, ხელი დაასხეს ალუანქის

პატრიარქად, რომელმაც აღმოფხვრა ქვეყნიდან ნერსეს შფოთი, მისცა შემცდარ ეკლესიას ბევრი სწორი წესი და ბილწი ნერსეს მწვალებლობით საგსე ნაწერები ჩააღაგა ზანდუკში და მისცა მდინარე ტრტუს”... (მოვსეს კალანკატუაცი 1983, 297).

ცნობა კავკასიის ალბანურ ენაზე საღვთო წერილის არსებობის შესახებ აქვს VIII ს.-ის სომეხ ისტორიკოსს – **ღევონდ//ღევონდს (ՂԷՆՈՂ)**. მასთან ჩამოთვლილია ის ენები, რომელზედაც ითარგმნა წმინდა წერილი და მათ შორის, მეთორმეტე ადგილას დასახელებულია ალბანური (ღევონდი 1887, 62-63).

ილ. აბულაძის არქივში (№374) გვხვდება მატენადარანის №1973 ხელნაწერის (1342 წ.) აღწერა. ამ ხელნაწერში სათაურის ქვეშ “რომელ ხალხს აქვს წიგნი” (202v) ნათქვამია შემდეგი: “ალბანელებს არა ჰქონდათ შექმნილი ანბანი, არამედ გადაეღოთ სომხებისაგან, ისევე როგორც ასურელებს და ისმაილიტელებს ებრაელთაგან”. მსგავსი შინაარსის ცნობები გვხვდება სხვა სომხურ ხელნაწერებშიც (მამედოვი 1974, 102).

დოკუმენტური ცნობა ალბანური დამწერლობის არსებობის შესახებ მოიპოვება დვინის 506 წლის საერთო ამიერკავკასიური საეკლესიო კრების მასალებში, კერძოდ, სომხეთის კათალიკოსის ბაბგენის მიერ სპარსეთში მცხოვრები ქრისტიანებისადმი მიწერილ მეორე ეპისტოლეში (დათარიღებულია დაახლ. 510 წლით) ნათქვამია, რომ წერილი შედგენილია “ქართველებისა და ალბანელების თანხმობით, თითოეული ქვეყნის წიგნით (resp. დამწერლობით)” (დვინის კრება 1901, 51; ამ საკითხის შესახებ იხ. აგრეთვე: მნაცაკანიანი 1960, მისივე 1962 და ალექსიძე 1973).

ერევნის “მატენადარანისა” და ანკვირიის “კარმირ-ვანქის” ხუთ ხელნაწერში შემონახულია სომხური ტექსტი, რომელიც შემდეგნაირადაა დასათაურებული: “წმინდა და ღვთაებრივი მირონის შესახებ, რომელიც იპოვეს წმინდა მამებმა აღმოსავლეთში ალბანურ ენაზე და თარგმნეს სომხურად”. მართალია, ხელნაწერი გვიანდელია (XVII-XVIII სს.), მაგრამ მისი ძველი წარმომავლობა უეჭველია (აბულაძე 1940, 317-320).

ქართულ წყაროებშიც გვხვდება მინიშნება ალბანური დამწერლობის არსებობის შესახებ: ქართულმა და სომხურმა ხელნაწერებმა შემოინახეს ალბანური კალენდრის თვეთა სახელწოდებანი. ქართული ხელნაწერის მიხედვით, ესენია: *ნავასარტუნ, ტულენ, ნამუც, ცილე, ბაკაიონ, მარე, ავჭუკინე, ნაკულიონ, ბუნტოკე, ვორსილინ, იეხან, ხებნა* (შანიძე 1960, 175-188). კავკასიის ალბანური დამწერლობის არარსებობის შემთხვევაში საეჭვოა, ალბანური ხალხური კალენდარი გვიან შუასაუკუნეებამდე შემოენახა ქართულ და სომხურ წერილობით ტრადიციას. კავკასიის ალბანური კალენდარი ერთ-ერთი საყრდენია ალბანური ენის უდიურთან დასაკავშირებლად (ამ საკითხის შესახებ იხ. აგრეთვე: გიპერტი 1988).

ზემოჩამოთვლილ წყაროთა ნაწილში (კორიუნის “მაშტოცის ცხოვრება”, მოვსეს ხორენაცის “სომხეთის ისტორია”, მოვსეს კალანკატუაცის “ალუანთა ქვეყნის ისტორია” და ა.შ.) აღწერილია კავკასიის ალბანური ანბანის შექმნა-გამოგონება და მის ავტორად დასახელებულია მაშტოცი (იგივე მესროპი). ამ ცნობებს თუ დავეყრდნობით, ალბანური ანბანი, სომხურ და ქართულ დამწერლობებთან ერთად, შექმნილია V ს. I მეოთხედში.

ზოგიერთი წყარო (მატენადარანის №1973 ხელნაწერი და სხვა) გვაწვდის ცნობას იმის შესახებ, რომ ალბანელებს თავისი ანბანი გადაუღიათ სომხებისაგან, მაგრამ არ არის დაკონკრეტებული კავკასიის ალბანური დამწერლობის შემქმნელის ვინაობა.

სხვა წყაროებში (დევონდი, დვინის 506 წლის კრების მასალები და სხვა) მოიპოვება მხოლოდ ალბანური ანბანის არსებობის დამადასტურებელი ცნობები.

მოკლედ უნდა შევეხოთ ე.წ. ფსევდო-კორიუნის საკითხს, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში პოლემიკის საგანი გახდა.

1854 წელს ვენეციაში მხითარიათა მიერ გამოქვეყნდა კორიუნის აქამდე უცნობი რედაქცია (კრ. “*Մոսխրք պայկականք*”, XI ტ.), რომელიც 1869 წ. ფრანგულ ენაზე თარგმნა და გამოსცა ვ. ლანგლუამ. ამ რედაქციის თანახმად, მაშტოცმა კი არ შექმნა კავკასიის ალბანური ანბანი, არამედ განაახლა იგი:

“შემდეგ იგი [მაშტოცი] გადავიდა ალუანქში, განაახლა მათი ანბანი, ააღორძინა სწავლის ტრადიციები” (კორიუნი 1854, 10).

სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოიშვა განსხვავებული მოსაზრებები იმის შესახებ, თუ რომელი რედაქცია წარმოადგენს კორიუნის დედანს:

კ. ტრევერის აზრით, დედანი უნდა იყოს 1854 წლის ვენეციური ტექსტი, ხოლო ის რედაქცია, რომელიც არმენოლოგიაში ტრადიციულად მიიჩნეოდა დედნად, მკვლევრის მოსაზრებით, გვიანდელ კომპილაციას წარმოადგენს (ტრევერი 1959, 307) კ. ტრევერის თვალსაზრისი ორიენტირად იქცა აზერბაიჯანელი ალბანოლოგებისათვის. ფ. მამედოვა სწორედ ამ ვარაუდს ეყრდნობა, როდესაც აყალიბებს თავის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მაშტოცის მოღვაწეობამდე (V ს. I მეოთხედი) უკვე არსებობდა რაღაც ძველი კავკასიის ალბანური ანბანი (მამედოვა 1986).

ამ თვალსაზრისს არ დაეთანხმნენ სომეხი მეცნიერები.

ა. აკოფიანი სხვაგვარად ხსნის ფსევდო-კორიუნის ცნობას. მისი აზრით: – “როგორც ჩანს, ვენიამინის მიერ ალბანური ანბანის გავრცელებამ ვერ გამოიღო სასურველი შედეგი (პერველი ცდა ალბანური ანბანის გავრცელებისა, ავტორის მოსაზრებით) და მესროპ მაშტოცი იძულებული გახდა გამეზავრებულიყო ალბანეთში, რათა სული შთაებერა მის მიერ შექმნილი დამწერლობისათვის” (აკოფიანი 1987, 35).

განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა ა. მუშელიანმა. ის სხვაგვარ ინტერპრეტაციას უკეთებს “ვენეციური” რედაქციის ნაწყვეტს, სადაც საუბარია ალბანური დამწერლობის განახლებაზე, კერძოდ: სომხური ზმნა *სորიღერ* “განახლება” “აღდგენა” მნიშვნელობის გარდა, ხელახლა რაიმეს დაწყებას, წინა მოქმედების გაგრძელებასაც ნიშნავს. ფსევდო-კორიუნი იუწყება, რომ ალბანეთში ჩასვლამდე მაშტოცმა შექმნა ქართული ანბანი და, შესაბამისად, ა. მუშელიანი კომპილატორის ცნობას იგებს შემდეგნაირად – მესროპმა ალბანეთში განაახლა ის მოქმედება, რაც იქამდე გაუკეთებია იბერიაში (მუშელიანი 1989, 30).

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ კ. ტრევერის მოსაზრების არგუმენტაცია გაუგებრად გვეჩვენება: კორიუნის “ტრადიციუ ლი” რედაქციის ტექსტის ენა მეტი არქაულობით გამოირჩევა, ხოლო “ვენეციური” რედაქციის ტექსტში უხვად გვხვდება შედარებით გვიანდელი თხზულების – მოსე ხორენელის “სომხეთის

ისტორიის” ფრაგმენტების ჩანართები, თუმცა, ჩვენი აზრით, ამ საკითხის მნიშვნელობა კავკასიის ალბანური ანბანის კვლევისათვის ნაკლებადაა აქტუალური: ჩვენ მიგვაჩნია, რომ კორიუნის თხზულების თავდაპირველ რედაქციაში მაშტოცის მიერ ქართულ და ალბანურ აღფაბეტთა შექმნა-გამოგონების შესახებ ცნობა არ ყოფილა და იგი გვიანდელ ინტერპოლაციას წარმოადგენს.

სომხურ საისტორიო მწერლობაში დაცული ცნობებიდან გამომდინარე, ალბანური ანბანის გენეზისის საკითხი უნდა მიეხას სომხურ და ქართულ დამწერლობათა წარმოშობის საკითხს. როგორც ზემოთ აღინიშნა, სომხური წყაროების ნაწილი სომხურისა და კავკასიის ალბანური აღფაბეტების გარდა, მაშტოცს მიაწერს ქართული დამწერლობის შექმნასაც. ბევრმა ქართველმა და არაქართველმა მეცნიერმა ეჭვქვეშ დააყენა ამ ცნობების ჭეშმარიტება. უნდა მოვიყვანოთ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ის ძირითადი არგუმენტები, რომლებიც უარყოფს სომხურ ისტორიულ წყაროებში მაშტოცის მიერ ქართულ და ალბანურ აღფაბეტთა შექმნის შესახებ მოყვანილ ცნობებს:

ივ. ჯავახიშვილმა წარმოგვიდგინა სომხური საისტორიო წყაროების ტექსტოლოგიური კრიტიკა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მაშტოცის მიერ ქართულ და ალბანურ დამწერლობათა შექმნა-გამოგონების შესახებ ცნობა კორიუნის “მაშტოცის ცხოვრების” თავდაპირველ რედაქციაში არ ყოფილა და იგი გვიანდელ ინტერპოლაციას წარმოადგენს, კერძოდ, ივ. ჯავახიშვილმა შეამჩნია, რომ V ს. სომეხი ავტორი ლაზარ [//ლაზარ] ფარპეცი მაშტოცის მოღვაწეობის აღწერისას უხვად სარგებლობს კორიუნის ცნობებით, მაგრამ არ იცნობს მაშტოცის მიერ ქართული და ალბანური აღფაბეტების შექმნის ფაქტს (ჯავახიშვილი 1935, 181; ლაზარ ფარპეცი 1904).

VII ს. ავტორი დავით გრამატიკოსი, რომელიც აგრეთვე ვრცლად აღწერს სომხური ანბანის შექმნა-გამოგონებას, საერთოდ არ ახსენებს მაშტოცის ღვაწლს ქართულ და კავკასიის ალბანურ დამწერლობათა შედგენის საქმეში (ადონცი 1915).

ელიშე, სიბეოსი, ანანია შირაკაცი და სხვა V-VII სს. სომეხი ისტორიკოსები მაშტოცის მოღვაწეობის აღწერისას ასევე არ გვაწვდიან ცნობებს მის

მიერ ქართულ და ალბანურ ალფაბეტთა შექმნის შესახებ (ვიმოწმებთ ვ. გუკასიანის მიხედვით – გუკასიანი 1968, 393).

მოგსეს ხორენაცი (სომხურ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული შეხედულების მიხედვით – V ს.-ის ავტორია) თავის თხზულებაში იყენებს მაშტოცის სახელის მეორე ფორმას – მესროპს, რაც მხოლოდ შედარებით გვიანდელი სომხური წყაროებისათვისაა დამახასიათებელი (VII ს.-დან).

“ალვანთა ქვეყნის ისტორიის” ავტორის საკითხი არ არის გარკვეული. მიუხედავად ამისა, უეჭველია, რომ თხზულების ავტორი ან VII ს.-მდე მომხდარი მოვლენების აღმწერი თანაავტორი, ალბანელია, უტის გავარის სოფ. კალანკატუიკიდან არის წარმოშობით (როგორც თავად ავტორი მოგვახსენებს) და მეტიც, იგი თავისი ქვეყნის პატრიოტია, რის შესახებაც მრავალი სანაქებო ეპიტეტი მეტყველებს, რომლითაც იგი უხვად ამკობს თავის ქვეყანას, ხალხს, მეფეებსა თუ გამოჩენილ მოღვაწეებს, მაგ.: “ამ არანის [ალბანელთა მითიური წინაპარია, კაკასოსის შვილი] სახელოვან და მამაც შთამომავლებიდან ... წარმოიშვნენ უტიელთა, გარდმანელთა, წავდეელთა და გარგართა სამთავროს ხალხები” (მოგსეს კალანკატუაცი 1985, 26). ამ ფონზე გაუგებრად გვეჩვენება ავტორის მიერ მშობლიური ენის დახასიათება, სადაც მესროპის მიერ გარგართათვის დამწერლობის “შექმნის” შესახებ არის საუბარი (გარგარული – ალბანური ენის ერთ-ერთი დიალექტია): – “ყელში მოუბარი, ხშული, მკაცრი და უხეში” (მოგსეს კალანკატუაცი 1985, 118).

“ეპისტოლეთა წიგნში” გვხვდება ფრაზა, რომელიც სომხურ და ქართულ დამწერლობათა თითქოს და საერთო წარმოშობაზე მიგვითითებს. ზ. ალექსიძემ შეამჩნია, რომ ამ წინადადების: – “საერთო ღვთისმსახურება დაგვიწესეს ჯერ ნეტარმა გრიგოლმა და შემდეგ მაშტოცმა და წიგნის ცოდნა სარწმუნოების გასამტკიცებლად” (ეპისტოლე **Ծ**, 041-046; ხაზგასმა ჩვენი), უკანასკნელი მონაკვეთი მექანიკურად ჩართულია ამ ფრაზაში და იგი ვერ ამყარებს სინტაქსურ კავშირს წინადადების პირველ ნაწილთან. ამ ეპისტოლეს საპასუხო წერილში არაფერია ნათქვამი მწიგნობრობაზე. ამასთანავე აღნიშნული ეპისტოლე მოყვანილი აქვს უხტანესს (X ს.-ის ავტორია) თავის თხზულებაში “ისტორია განყო-

ფისა ქართველთა სომეხთაგან”, მაგრამ ეს გაუმართავი წინადადება მასთან არ გვხვდება და, შესაბამისად, უნდა დავასკვნათ, რომ “ეპისტოლეთა წიგნის” ძველ რედაქციებში (X ს.-მდე) მაშტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნა-გამოგონების შესახებ მინიშნება არ ყოფილა და იგი გვიანდელ ინტერპოლაციას წარმოადგენს (ეპისტოლეთა წიგნი 1968; უხტანესი 1975).

ნიშანდობლივია, რომ XIII ს.-ის სომეხი ავტორი მხითარ აირივანეცი თავის თხზულებაში “ქრონოგრაფიული ისტორია” მეფე ფარნავაზს ქართული დამწერლობის შემომღებად მიიჩნევს. ბუნებრივია, მხითარ აირივანეცი იცნობს “სომხურ” ვერსიას ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ, მაგრამ, ამის მიუხედავად, უპირატესობას ქართული ისტორიოგრაფიის ტრადიციულ ცნობას ანიჭებს (მხითარ აირივანეცი 1990).

უნდა აღინიშნოს, რომ არაერთი ცნობილი სომეხი არმენოლოგი უარყოფდა იმას, რომ მაშტოცი გახლდათ ამიერკავკასიის დამწერლობათა შემქმნელი და მას მხოლოდ ძველი სომხური (დანიელის) ანბანის რეფორმატორად მიიჩნევდნენ (მაგ. იხ.: მელიქსეთ-ბეგი 1957, 49-56; აღონცი 1915, 642-643; აკინიანი 1949, 318 ...).

ჩვენ მხარს ვუჭერთ აღნიშნულ მოსაზრებას. ერკათაგირის გრაფიკული საფუძვლების კვლევამ გვიჩვენა, რომ სომხური ანბანი ორი დიამეტრულად განსხვავებული ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი – ე.წ. ნალისებური გრაფემები, ჩვენი აზრით, ერკათაგირში ზუსტად “დანიელის” ანბანის ნაშთს წარმოადგენენ. ამ გრაფემათა საერთო რაოდენობა 22-ს შეადგენს (მათ შორის გრაფიკული მონახაზის მიხედვით აღდგენილი 3 გრაფემა – პატარიძე 1980, 539; შდრ. ვარდან არაველცის [ვარდან დიდი] ცნობას დანიელის 22-ნიშნიანი ანბანის შესახებ; ვარდან დიდი 1861). საფიქრებელია, რომ დანიელის ანბანი კლასიკურ სემურ პარადიგმატიკას ემყარებოდა. ამის შესახებ, გარდა ნიშანთა საერთო რაოდენობისა, მეტყველებს სომხური ანბანის პარადიგმატიკის ჩვენებაც – 22 “ნალისებური” გრაფემიდან, 18-ის ფონემური მნიშვნელობაც და ადგილიც ანბანში შესაბამისი “სემური” ნიშნებისას ემთხვევა. სარწმუნოა რ. პატარიძის მოსაზრება ერკათაგირის მეორე გრაფიკული ჯგუფის – “რკალისებური გრაფე-

მების” ქართული ანბანის გავლენით შექმნის შესახებ [ქართ. **ტ** > სომხ. **Ժ** > **Ղ** > **Ձ** > **Ճ** > **Մ** > **Ը** > **Թ** > **Վ**] (პატარიძე 1980, 543–544); [ქართ. **ა** > სომხ. **Ա** > **Զ**: დამატებულია ჩვენ მიერ]. ერკათაგირის მესამე გრაფიკული ჯგუფი – “კუთხოვანი გრაფემები” ხელოვნური ხასითისაა [ნ > Լ > Ի > Ի > Խ]. ჩვენი აზრით, მხოლოდ ეს ორი უკანასკნელი გრაფიკული ჯგუფი შეიქმნა მაშტოცის მიერ (ლოლუა 2008, 233-239; იხ. აგრეთვე: პატარიძე 1980).

გარკვეული გრაფიკული პარალელები “დანიელის” რეკონსტრუირებულ ანბანსა და ალბანურს შორის გვაფიქრებინებს კავკასიის ალბანური ანბანის არაერთჯერად შედგენის პროცესს (ლოლუა 2008), თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი საჭიროებს შემდგომ კვლევა-ძიებას.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ ძველი ქართული დამწერლობა, სომხურისაგან განსხვავებით, სხვა სტრუქტურულ პრინციპებს ემყარება. ასომთავრულის პარადიგმატიკა ერკათაგირთან შეპირისპირებით პროტოტიპული ბერძნული სისტემისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით, დიამეტრულად განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს. ქართული ანბანის გრაფიკა კი დიდ მსგავსებას ავლენს ჩრდილო-სემურ ანბანურ სამყაროს გრაფიკასთან (ჯავახიშვილი 1926) რაც სრულიად გამორიცხულია სომხური ანბანის შეთხვევაში. ეს თავისთავად შეუძლებელს ხდის სომხური დამწერლობის შემქმნელის მონაწილეობას ქართული ანბანის შედგენაში, თუნდაც ინსტრუქტორის (კეკელიძე 1929) ან კონსულტანტის (ფერიხანიანი 1966) როლში. თუ სომხური და ქართული დამწერლობები ერთსა და იმავე დროს და ერთისა და იმავე პირის მიერაა შედგენილი, ბუნებრივია, მათ გრაფემებს შორის მსგავსებაც დიდი უნდა ყოფილიყო და ასო-ბგერებიც ერთსა და იმავე რიგზე დალაგებული.

ქართულისა და სომხურის ასო-ნიშნების შედარებისას, თუ რამდენიმე გამონაკლისს არ ჩავთვლით, დიდი სიახლოვე არ შეინიშნება (სომხ. **Կ** – ქართ. **კ**; სომხ. **Յ** – ქართ. **ჟ**; სომხ. **Ի** – ქართ. **ჩ**; სომხ. **Լ** – ქართ. **ლ**; სომხ. **Զ** – ქართ. **ვ**; სომხ. **Դ** – ქართ. **გ**; სომხ. **Ը** – ქართ. **ძ**;

თუმცა ორი უკანასკნელი ასო-ბგერა ორივე ანბანში უეჭველად ნასესხებია ბერძნულისაგან, შდრ. ბერძ. Φ და X).

ვერ დავეთანხმებით ს. მურავიოვის გრაფიკული ანალიზის მეთოდს, რომელიც მას გამოყენებული აქვს ამიერკავკასიის დამწერლობათა გენეზისის კვლევისას (იხ. ბიბლიოგრაფია, მურავიოვი 1982). მისი აზრით, ასომთავრულის ხმოვნების აღმნიშვნელი გრაფემები მიღებულია შესაბამისი სომხური ნიშნებისაგან “გრაფიკული დერივაციის” გზით; საბოლოოდ კი ს. მურავიოვი მიდის იმ აზრამდე, რომ ქართული დამწერლობა წარმოიქმნა სომხური ანბანისაგან.

ს. მურავიოვის მიერ გამოყენებული მეთოდის ნათლად გვიჩვენებს, თუ რამდენად არადამაჯერებელია ამა თუ იმ დამწერლობათა წარმოშობის შესახებ თეორიები, რომელიც ეყარება მხოლოდ რამდენიმე ასო-ნიშნის გრაფიკულ მსგავსებასა და უსისტემო ანალიზს. თითქმის შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რა გრაფიკული ასოციაციებით ხელმძღვანელობდა ანბანის შემქმნელი ამა თუ იმ კონკრეტული სიმბოლოს შემუშავებისას. როგორც წესი, ასეთი სახის დასკვნები მკვლევრის სუბიექტურ ნააზრევს წარმოადგენს და ჰიპოთეზის ფარგლებს ვერ სცდება.

ქართულ და სომხურ ალფაბეტთა ასო-ნიშნების სახელდებაც არსებითად განსხვავებულია, თუ რამდენიმე მსგავსს არ ჩავთვლით: სომხ. ბენ – ქართ. ბან; სომხ. კენ – ქართ. კან; სომხ. ინ//ინა – ქართ. ინ. ა. ფერიხანიანის აზრით, ქართული ინ სომხურისაგან ნასესხები უნდა იყოს ანდა მისი გავლენითაა მიღებული (ფერიხანიანი 1966, 132). თუკი ამ შემთხვევაში მაინცდამაინც ვილაპარაკებთ “სესხებაზე” ან “გავლენაზე”, გავლენა უფრო მოსალოდნელია ქართულიდან სომხურისაკენ წარმართულიყო. ქართულ ანბანში სახელი ინ ხმოვანთა სახელწოდებების მწეობრი სისტემის ნაწილია (ხმოვანი + ნ: ან; ენ; ინ; ონ), მაშინ, როდესაც სომხურ ანბანში ინ ამ სტრუქტურის ერთადერთი სახელია ხმოვნებს შორის, შდრ.: აბ; გო; ენ; ო; ზ (გამყრელიძე 1991).

არსებითად განსხვავდება ასომთავრულისა და ერკათაგირის პარადიგმატიკა. ქართული ანბანის რიგი №1-დან №24 გრაფემამდე ინარჩუნებს ბერძნულისათვის დამახასიათებელ წყობას და რიცხვით მნიშვნელობებს. ბერძნულისაგან

არ განსხვავდება ასევე ქართული ანბანის ამ ნაწილის ასო-ბგერათა ფონემური მნიშვნელობებიც, თუ არ ჩავთვლით ერთ გამონაკლისს: ბერძნული ანბანის №16 Ξ “სიგმა”-ს ფონეტიკური მნიშვნელობით ქს ქართულში შეესატყვისება ა “ჟე”. უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნული ანბანთრიგი დაცულია ეპისემონების №6 “დიგამა”-სა და №18 “კოფა”-ს შემთხვევაშიც. მათი ადგილები ქართულში უკავიათ უ “ვინ”-ს და ყ “ჟან”-ს შესაბამისად (ივ. ჯავახიშვილის აზრით, №6 “ვინ” ასობგერა ქართული ანბანის სიბველის ერთ-ერთი დამადასტურებელია. შესაბამისი ბერძნული ნიშანი (“დიგამა”) ასევე გამოითქმოდა, მაგრამ ჯერ კიდევ VII-VI სს. ჩვ. წ.-მდე დაკარგა თავისი ბგერითი მნიშვნელობა). “ბერძნული” ნაწილის შემდგომ (№25–36) თავმოყრილია ქართული სპეციფიკური თანხმოვნებისათვის შექმნილი გრაფემები.

ბერძნული ანბანის პარადიგმატიკას ემყარება ასევე სომხური ანბანიც. ის იყენებს 21 “ბერძნულ” ასო-ნიშანს და სომხური სპეციფიკური ბგერებისათვის შექმნილ 15 გრაფემას. პრინციპული განსხვავება სომხურსა და ქართულ ალფაბეტებს შორის მდგომარეობს იმაში, რომ სომხური თავის სპეციფიკურ ასობგერებს განათავსებს არა “ბერძნული” ნაწილის შემდგომ (როგორც ეს არის ქართულში), არამედ განაბნევს მათ საკუთრივ “ბერძნული” ნაწილის ნიშნებს შორის რაიმე ლოგიკური კანონზომიერების გარეშე. შესაბამისად, “ბერძნული” ასო-ნიშნების პოზიციაც და რიცხვითი მნიშვნელობებიც იცვლება. ეს, ჩვენი აზრით, უკვე, თავისთავად შეუძლებელს ხდის სომხური ალფაბეტის შემქმნელის მონაწილეობას ქართული დამწერლობის შექმნა-გამოგონებაში.

ამ არგუმენტების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სომხური წყაროების ცნობები მაშტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის შესახებ, რბილად რომ ვთქვათ, არასწორია. შესაბამისად, ასევე კრიტიკულად უნდა მივუდგეთ იმავე წყაროების ცნობებს, სადაც საუბარია კავკასიის ალბანური ანბანის შექმნა-გამოგონების შესახებ.

ცხადია, კავკასიის ალბანურ ანბანზე მსჯელობა, მისი შედარება სხვა დამწერლობებთან და ამ საკითხზე საბოლოო დასკვნების გაკეთების საშუალებ

ბა მოგვეცემა მაშინ, როდესაც მოხერხდება არსებული ალბანური ტექსტების ამოკითხვა და ალფაბეტის ნიშნების ზუსტი ფონემური ღირებულების დადგენა. მიუხედავად ამისა, ალბანოლოგიაში დაგროვილი მასალა დღესაც გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს.

ნათლად ჩანს, რომ კავკასიის ალბანური იყენებს ასოთა დალაგების იმ პრინციპებს, რომელიც გამოყენებულია სომხურ ანბანში, ანუ ალბანური, სომხურის მსგავსად, თავის სპეციფიკურ ასო-ბგერებს განაბნევს “ბერძნული” ნაწილის ნიშანთა შორის. მიუხედავად ამისა ალბანურის დამოკიდებულება სომხურთან ჯერ კიდევ საკვლევეა და, ჩვენი აზრით, *a priori* არ უნდა გაკეთდეს დასკვნები ამ საკითხის შესახებ. ვფიქრობთ, ფაქტობრივი მასალა დღეს ამის საშუალებას არ გვაძლევს (ამის შესახებ იხ. წინამდებარე ნაშრომის IV თავი).

ჯერ კიდევ აკ. შანიძემ შეამჩნია, რომ ალბანური ანბანთრიგი უფრო უახლოვდება სომხურს, ვიდრე ქართულს (შანიძე 1957, 41-42). ა. აბრამიანი და ს. მურავიოვი კავკასიის ალბანურს სომხური ანბანისაგან მიმდინარედ მიიჩნევენ.

მიუხედავად იმისა, რომ ალბანური ანბანის გრაფიკათა თითქმის ნახევრის ფონემური ღირებულება დღესაც დაუზუსტებელია, მაინც ჩანს ზოგიერთი ალბანური და “სპეციფიკური” სომხური ასო-ნიშნის თანხვედრა, განსაკუთრებით ანბანის საწყის და ბოლო ნაწილში (იხ. ტაბულა №2; IV თავი).

ალბანური და სომხური პარადიგმატიკის შედარებისას ასევე თვალსაჩინოა განსხვავებაც: ალბანური **Თ Ი** “**ჟუდ**” იმყოფება 11-ე პოზიციაზე, მაშინ როდესაც სომხურ **յ** -ს უჭირავს 21-ე ადგილი; ასევე ნათელია, რომ სომხური **ճ, ր, զ** ასო-ბგერების ალბანური კორელატები იმყოფებიან სხვა პოზიციებზე; საყურადღებოა, რომ ალბანური №42 **ჟ** “**კატ**” (თუ მცდარ სახელწოდებას შევასწორებთ – “**რატ**”) დგას სომხური “კომტი” **ռ**-ს ადგილზე (ამის შესახებ იხ. წინამდებარე ნაშრომის IV თავი). სომხური **ը**-ს შესატყვისი ასო-ბგერა, ალბანურს, როგორც ჩანს, არ ჰქონდა. გაკვირვებას იწვევს №18 **ხ** “**დან**”-ის პოზიცია. უნდა

ვივარაუდოთ, რომ ალბანურს ორი ბგერა ჰქონდა, რომელიც სომხურში **ჟ** ასო-ბგერით გადმოიცემოდა (№4 და №18).

ასო-ბგერათა მოხაზულობის მხრივ შესამჩნევია ზოგიერთი ალბანური გრაფემის მსგავსება სომხურ ან ქართულ ასო-ნიშნებთან. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულსა და ალბანურს შორის მეტი გრაფიკული პარალელის პოვნა შეიძლება (აქ არ მოგვყავს ფონეტიკურად სრულიად განსხვავებულ ასო-ნიშანთა გრაფიკული თანხვედრა): სომხ. **Է** – ალბ. №7 **Է** ე; სომხ. **Ի** – ალბ. №50 **Ի** ზ; სომხ. **Ե** – ალბ. №5 **Ե** ე (ანტიფორმა); სომხ. **Բ** – ალბ. №2 **Բ** ბ (ინვერსია):

მეორეს მხრივ, შდრ: ქართ. **გ** – ალბ. №11 **გ** ე; ქართ. **ს** – ალბ. №14 **ს** *შ (ვარსკვლავით [*] გრაფემის სავარაუდო ფონემურ მნიშვნელობას აღვნიშნავთ); ქართ. **ყ** – ალბ. №30 **ყ** ე; ქართ. **რ** – ალბ. №50 **რ** ზ; ქართ. **ო** – ალბ. №35 **ო** ო; ქართ. **ოჲ** – ალბ. **ო-რ** უ; ქართ. **ჩ** – ალბ. №52 **ჩ** ე; ქართ. **ც** – ალბ. №1 **ც** ა (ინვერსიული ფორმა);

ალბანური ანბანის ნიშანთა სახელდება ორიგინალური ჩანს. მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში გვაქვს მსგავსება ქართულთან ან სომხურთან, რაც შემთხვევითი უნდა იყოს: სომხ. **ჩაჲ/ჩა** – ალბ. **ჩაჲ**; სომხ. **ცოჲ** – ალბ. **ცოჲ**; სომხ. **გიმ** – ალბ. **ზიმ** (თუ მცდარ ფონემურ მნიშვნელობას შევასწორებთ – **გიმ**)... ქართ. **ენ** – ალბ. **ენ**; ქართ. **ინ** – ალბ. **ინა**; ქართ. **ჰაე** – ალბ. **ჰაჲ**...

ალბანური ანბანის შინაგანი ფორმის (პარადიგმატიკის) მოკლე მიმოხილვა დამატებით საბაბს გვაძლევს ეჭვი შევიტანოთ სომხურ წყაროთა ცნობების ავთენტურობაში, სადაც საუბარია მაშტოცის მიერ ქართულ და ალბანურ დამწერლობათა შექმნის შესახებ. თუ დავუშვებთ, რომ მაშტოცმა სომხური ანბანის შექმნის შემდეგ მიაგნო ასო-ნიშანთა დალაგების სხვა უფრო მოხერხებულ პრინციპს, რომელიც “გამოიყენა” ქართული ანბანის “შექმნის” დროს. მაშინ გაუგებარია, თუ რატომ უბრუნდება ის ალბანური ანბანის “შექმნისას” ძველ

(ვგულისხმობთ სპეციფიკური ასო-ბგერების ჩართვას “ბერძნული” ნაწილის გრაფემებს შორის), უარყოფილ სისტემას?

დასკვნები

ამრიგად, ერთადერთი ფასეული, რაც სომხური წყაროების ცნობებიდან ირკვევა, არის ის, რომ კავკასიის ალბანური დამწერლობა ნამდვილად არსებობდა (ამან უადრესად პოზიტიური როლი ითამაშა დაკარგული ალბანური დამწერლობის ნიმუშთა ძიებისას), ხოლო ცნობა მაშტოცის მიერ ალბანური ანბანის შექმნის შესახებ ნაყალბევაა. ამ ლეგენდის გაჩენის დროისა და გარემოებების დადგენა წინამდებარე ნაშრომის ამოცანებს სცილდება.

გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ ალბანური ანბანის ჩამოყალიბებისა და ჩამონაკვთის გრძელვადიანი პროცესი, რომელიც, საფიქრებელია, რომ სომხური ანბანის საბოლოო შედგენის შემდეგ დასრულდა. ამით აიხსნება ის თვალში საცემი მსგავსება სომხურსა და ალბანურს შორის, განსაკუთრებით პარადიგმატიკის შედარებისას.

გრაფიკული თვალსაზრისით კი, პირიქით, ალბანურს მეტი სიახლოვე აქვს ქართულთან (ალბანური ანბანის გენეზისის შესახებ საუბარი IV თავში გვექნება).

თავი II

კავკასიის ალბანური ხელნაწერებსა და ეპიგრაფიკულ ძეგლებში.

1. კავკასიის ალბანური ანბანი სომხურ ხელნაწერებში


XIX საუკუნის დასაწყისიდან მიმდინარეობდა დაკარგული ალბანური დამწერლობის ნიმუშების ძიება. მრავალჯერ გავრცელდა ცნობა ალბანური ხელნაწერი ტექსტებისა თუ ეპიგრაფიკული ძეგლების აღმოჩენის შესახებ, თუმცა ყველა შემთხვევაში ეს ინფორმაცია არ დადასტურდა. ე.წ. ალბანური ტექსტები სინამდვილეში შესრულებული იყო სომხური ან ბერძნული დამწერლობის მაშინ უცნობი გრაფიკული სახეობებით, ანდა წარმოადგენდა ამა თუ იმ სომხურ კრიპტოგრამას. აღსანიშნავია, რომ სომხური კრიპტოგრამით შესრულებულ ხელნაწერებზე რამდენიმე შემთხვევაში გვხვდება მინაწერი, რომ ეს არის ალბანური ანბანი, ანდა წარმოადგენს კავკასიის ალბანურ ენაზე შესრულებულ ტექსტს.

ასეთ დოკუმენტთა რიგში, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ენშიაძინის №2013 და №3124 ხელნაწერები, სადაც მოცემულია “ფსევდოალბანური” ანბანი, რომელიც, როგორც გაირკვა, სომხურ კრიპტოგრამას წარმოადგენს (შანიძე 1938, 46-52). სომხურ კრიპტოგრამით შესრულებული ერთი ასეთი ხელნაწერი ხელთ ჰქონია მ. ბროსეს, რომელიც წერდა: “ეს გახლავთ სომხური ასოების მეტნაკლებად ზუსტი იმიტაცია” (ბროსე 1844; ვიმოწმებთ ა. შანიძის მიხედვით; შანიძე 1938, 46).


“ნამდვილი” ალბანური ანბანის აღმოჩენა თარიღდება 1937 წლის 28 სექტემბრით. იმ დღეს ილ. აბულაძემ ენშიაძინის ხელნაწერებს შორის (დღეს ეს ხელნაწერი დაცულია ერევანში, მატენადარანის ბიბლიოთეკაში) აღმოაჩინა სომხური ენის გრამატიკის სახელმძღვანელო (მატენადარანის №7117 ხელნაწერი),

სადაც, სხვასთან ერთად, წარმოდგენილი იყო რამდენიმე ალფაბეტი (ბერძნული, ლათინური, ქართული, სირიული, კობტური და არაბული). მათ რიცხვში იყო ალბანური ანბანიც (აბულაძე 1938, 69-71).

მატენადარანის ხელნაწერში წარმოდგენილი ალბანური ანბანი



142r



142v

№7117-ის დედანი ჩამოტანილია სომხეთში, მეწოფის მონასტერში ყირიმიდან (თეოდოსიიდან) ვინმე განდევნილი ბერის კირაკოსის მიერ. მონასტრის წინამძღვარს თომა მეწოფელს მისთვის რედაქცია გაუკეთებია და გადაუცია გადასაწერად თავისი მოწაფისათვის, თომა არჭეშელისათვის (შანიძე 1938, 13).

გადაწერილი ხელნაწერი არ არის დათარიღებული, მაგრამ თომა მეწოფელის მონასტრის წინამძღვრობის წლები კარგად არის ცნობილი, ამიტომ, უეჭველია, რომ ხელნაწერი გადაწერილია 1411-1446 წლებში (შანიძე 1938, 13-14).

ხელნაწერი პირობითად შეგვიძლია დავყოთ სამ ნაწილად: პირველი და ყველაზე დიდი სომხურ გრამატიკას წარმოადგენს; მეორეში (გვ. 141-142) მოცემულია ზემოთ დასახელებული ალფაბეტები და ინდური ციფრები (ხელნაწერის მიხედვით “ინდური ასოები”); მესამეში (გვ. 143-145) წარმოდგენილია ლოცვები “მამაო ჩვენო”, “წმინდაო ღმერთო...” და “დიდება...; აწ და მარადის...” სხვადასხვა

ენებზე (ბერძნულ, სირიულ, ქართულ, სპარსულ, არაბულ და მიდიურ ენებზე... სამწუხაროდ, ალბანურ ენაზე არ არის).

კაკკასიის ალბანური ანბანის აღმოჩენით გამოწვეული ეფექტი ძალზე დიდი იყო. პრ. აჭარიანი წერდა: “დაუფიქვარი დიდებისა და პატივის ღირსი გახდა ახალგაზრდა ქართველი მეცნიერი აბულაძე..., რომელმაც ეჩმიაძინის ხელნაწერებს შორის ალბანური ანბანი აღმოაჩინა” (აჭარიანი 1941, 3).

მაშინვე გამოჩნდნენ მეცნიერები, რომლებმაც ეჭვი შეიტანეს ილ. აბულაძის მიერ აღმოჩენილი ანბანის ავთენტურობაში, მაგ., ლ. მელიქსეთ-ბეგს ბოლომდე არ სჯეროდა, რომ ანბანი ნამდვილია. მას შეუძლებლად მიაჩნდა მაშინდელი აზროვნებისათვის 52 გრაფემიანი ანბანის შექმნა (მელიქსეთ-ბეგი 1942; მისივე 1957). პრ. აჭარიანმა მათი ეჭვები შეაღარა “ხანგრძლივად სიბნელეში მყოფი ადამიანის უეცრად სინათლეზე გამოსვლას” (აჭარიანი 1941, 3-4).

ილ. აბულაძეს ახლად აღმოჩენილი ხელნაწერი თვითონ არ გამოუკვლევია. მან მხოლოდ მისი აღმოჩენის შესახებ გამოაქვეყნა ცნობა (აბულაძე 1938, 69-71) და შესასწავლად თავის მასწავლებელს აკ. შანიძეს გადასცა (შანიძე 1938, 1-68).

აკ. შანიძემ გამოიკვლია მატენადარანის №7117 ხელნაწერში “ანბანური” ნაწილი და ნათლად გვიჩვენა, რომ წყაროში მოცემული ყველა ანბანი ნამდვილია, წარმოდგენილია ძველი ფორმით (არაუგვიანეს XI ს.-სა) და ამის საფუძველზე დაასკვნა, რომ იქ მოცემული ალბანური ანბანიც ავთენტური უნდა ყოფილიყო (შანიძე 1938, 14-27). ალბანური ანბანის კრიტიკულად განხილვის შემდეგ, აკ. შანიძე ასკვნის, რომ ანბანი ნამდვილად ალბანურია, ძირითადად სწორი უნდა იყოს და მასში მოცემულ ბგერათსისტემას უდიური ენის ფონოლოგიური სისტემა უნდა შეესაბამებოდეს (შანიძე 1938, 27-40). უნდა აღინიშნოს, რომ მთელმა შემდგომმა კვლევა-ძიებამ აკ. შანიძის დებულებები ვერ შეარყია. ასევე, აღსანიშნავია, რომ მკვლევრის მიერ გაკეთებული რამდენიმე ასო-ბგერის ფონემური ღირებულებების შესწორება არსებითად სწორია.

აკ. შანიძემ წინდახედულობა გამოიჩინა იმის დადგენაში, თუ სად უნდა ეწარმოებინათ დაკარგული ალბანური დამწერლობის ნიმუშთა ძიება. იგი წერდა: “იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სპეციალური ძიებისა და არქეოლოგიური გათხრე-

ბის საშუალებით აზერბაიჯანში (უპირველეს ყოვლისა ბარდავის მიმდგომ კუთხეებში) აღმოჩნდება წარწერების სახით ალბანური ტექსტები, რომელთა წასაკითხავად გასაღები ნაპოვნია. ამის გარდა არ არის გამორიცხული ისიც, რომ ოდესმე, სადმე, რომელსამე ბიბლიოთეკაში პალიმფსესტებს შორის აღმოჩნდეს ხელნაწერთა ფრაგმენტები ალბანურ ენაზე” (შანიძე 1938, 65).

როგორც შემდგომმა მოვლენებმა გვიჩვენა, აკ. შანიძის ორივე ვარაუდი გამართლდა.

კავკასიის ალბანური ანბანის მეორე ნუსხა წარმოდგენილია 1956 წ. არმენოლოგ ა. ქურდიანის მიერ აშშ-ში აღმოჩენილ XVI ს.-ის (დაახლ. 1580 წ.) სომხურ ხელნაწერში, რომელიც, სავარაუდოდ, ეჩმიაძინის №7117 ხელნაწერის ასლია (ქურდიანი 1953, 80-83). ეს ხელნაწერი, მატენადარანის ხელნაწერთან შედარებით, გარკვეულ განსხვავებებს იძლევა, როგორც გრაფიკათა მოხაზულობის თვალსაზრისით, ისე მათ სახელდებაშიც (№11 “**ჟუდ**”-ის ნაცვლად გვაქვს “**მუდ**”, №33 “**შაქ**”-ის მაგივრად “**ჩაქ**”; №39 “**ჩაჟ**”-ის ნაცვლად “**ჟაჟ**”: სამივე შემთხვევაში მატენადარანის ხელნაწერის ჩვენება სწორია).

ეს ხელნაწერი გამოკვლეული აქვს აკ. შანიძესაც, რომელმაც, აგრეთვე არ შეიტანა ეჭვი მის ავთენტურობაში. ამასთან ერთად აკ. შანიძე განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამს ამ ხელნაწერის წარმომავლობის შესახებ. მისი აზრით, ამ ხელნაწერის შემდგენი იგივე დედნით (სავარაუდოდ, X საუკუნის) სარგებლობდა, ოღონდ მატენადარანის ხელნაწერისგან დამოუკიდებლად (შანიძე 1959, 201-206).

ჩვენი აზრით, ა. ქურდიანის მიერ მიკვლეულ ხელნაწერში მოცემული ალბანური ანბანის დედანი მატენადარანის №7117 ხელნაწერის ანბანი უნდა იყოს. ამას გვაფიქრებინებს ორივე ხელნაწერში იდენტური შეცდომების არსებობა, მაგ., №2 **ნ (ბ)** გრაფემას ორივეგან “**ოდეთ**” ეწოდება; №3 **წ (გ)** – “**ზიმ**”; №5 **ქ ე** – “**ჭვ**”... არ გვაქვს არც ერთი შემთხვევა იმისა, რომ მატენადარანის ხელნაწერში დაფიქსირებული მცდარი სახელწოდება “ქურდიანის” ხელნაწერში სწორი ფორმით მოცემული იყოს. ამასვე ადასტურებს ამ წყაროებში წარმოდგენილი


ალბანური ასო-ნიშნების მოხაზულობის მსგავსება. თუ გვაქვს განსხვავება, მაშინ “ქურდიანის” ხელნაწერის ნიშნები უფრო დამახინჯებული სახით გვხვდება.

2. კავკასიის ალბანურ წარწერათა კორპუსი

1948–1952 წლებში აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, მინგეჩაურთან, გათხრების შედეგად რამდენიმე ლაპიდარული წარწერისა და გრაფიტის აღმოჩენამ ახალი იმპულსი მისცა ალბანოლოგიის განვითარებას. მათ ერთობლიობას დღეს ალბანურ წარწერათა კორპუსს უწოდებენ და მასში შედის: 1. ჯვრის პოსტამენტის წარწერა – 70 გრაფემა; 2. გრაფიტი თიხის შანდალზე №1 – 50 გრაფემა; 3. გრაფიტი თიხის შანდალზე №2 – 16-17 გრაფემა; 4. გრაფიტი თიხის შანდალზე №3 – 8 გრაფემა; 5. გრაფიტი თიხის შანდალზე №4 – 24 გრაფემა, 6. გრაფიტი კრამიტის ნატეხზე №1 – 21 გრაფემა; 7. გრაფიტი კრამიტის ნატეხზე №2 – 5-6 გრაფემა. მთლიანად კორპუსი შედგება 194-196 გრაფემისგან და მასში ალბანური ანბანის 52 გრაფემიდან დადასტურებულია 34 გრაფემა.

კავკასიის ალბანურ წარწერათა კორპუსში ზოგიერთ მეცნიერს შეჰქონდა ე.წ. დერბენტის წარწერა (ხ. მურავიოვი) და ზემო ლაბკოს (ზემო ლაბკომახის) ქვის ფილა (ვ. გუკასიანი, გ. კლიმოვი), რასაც შეუძლებელია დავეთანხმოთ.

დერბენტის წარწერა.



დერბენტის წარწერა მ. ბარხუდარიანცის მიხედვით.

დერბენტის წარწერა აღმოჩენილია მ. ბარხუდარიანცის მიერ, რომელმაც გადმოხატა იგი (ბარხუდარიანცი 1893). მის გარდა ეს წარწერა არავის უნახავს, თუ არ ჩავთვლით მ. სმბათიანს, რომელიც, შესაძლოა, იცნობდა ამ წარწერას, თუმცა ამაში ეჭვი გვეპარება, ვინაიდან მ. სმბათიანის ცნობა და წარწერის ნახატი ზუსტად იმეორებს მ. ბარხუდარიანცის ცნობას წარწერის აღმოჩენის შესახებ და მის ნახატს (სმბათიანი 1896).

გ. კლიმოვი არ გამორიცხავდა იმის შესაძლებლობას, რომ დერბენტის წარწერა ალბანურია (კლიმოვი 1972, 53).

დერბენტში ყოფნისას ს. მურავიოვმა ვერ დაადასტურა აღნიშნული წარწერის არსებობის ფაქტი, მაგრამ ამის მიუხედავად, იგი მაინც შეეცადა მისი წაკითხვას. აღნიშნული წარწერის ალბანურად წაკითხვა შეუძლებელი იყო იმ მდგომარეობაში, რა სახითაც იგი წარმოგვიდგინეს მ. ბარხუდარიანცმა და მ. სმბათიანმა. ამიტომ ს. მურავიოვმა 180°-ით შეაბრუნა წარწერა (გაუგებარია, თუ როგორ შეეძლო მ. ბარხუდარიანცს ასეთი შეცდომა დაეშვა და წარწერა გადაბრუნებული სახით გადმოეხატა. ასევე დაუჯერებელია, ეს წარწერა გადმობრუნებული სახით გამოსახული ყოფილიყო ქ. დერბენტის გალავანზე), ამასთან ერთად შეასწორა თითქმის ყველა ასო-ნიშანი, რის შედეგადაც წარწერის ტექსტი ამოიკითხა, როგორც: **გოზ ჭუღუმო[ჲ] – თარგმანია: ჭიშკრის ზღუდე/ჭიშკართა ზღუდე** (ქ. დერბენტის ალბანური სახელწოდება, მკვლევრის აზრით; მურავიოვი 1981; 281-282).

ჟიქაიშუნი


დერბენტის წარწერა ს. მურავიოვის მიხედვით.

დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ წარწერის პირველი გრაფემა არ წარმოადგენს **გ** ასო-ბგერას (მიუხედავად იმისა, რომ ეს გრაფემა პალიმფსესტში არ არის დადასტურებული). ამასთან ერთად, ეჭვს იწვევს წარწერის თითქმის ყველა გრაფემის იდენტიფიკაცია (თუნდაც ინვერსიის დაშვების შემთხვევაშიც); წარწერის №3 გრაფემა (მურავიოვის აზრით, **ა ხ**) უფრო ჰგავს ალბანური ანბანის №23 **ჰ** (**ჰ**); წარწერის № 6 (**ღ ლ**) – ანბანის №34 **წ** (***ჯ**) გრაფემას; წარწერის №8 (**ღ მ**) - ანბანის № 9 **ნ** (**თ**) ასო-ბგერას. წარწერის ზოგიერთი ნიშნის იდენტიფიკაცია კი (წარწერის №2, №4, №5, №6 და №10 ნიშნები) ინვერსიული

სახითაც ალბანური ანბანის რომელიმე გრაფემასთან შეუძლებელია.

უნდა ითქვას, რომ საერთოდ საეჭვოა დერბენტის წარწერის არსებობის ფაქტი და თუ მაინც დაგუშვებთ მის არსებობას, ძნელი წარმოსადგენია, იგი კავკასიის ალბანური დამწერლობის ნიმუში იყოს.

ზემო ლაბკოს ქვის ფილა.



უეჭველად კავკასიის ალბანური ეპიგრაფიკის ნიმუშად არ უნდა მივიჩნიოთ სოფ. ზემო ლაბკოს (ზემო ლაბკომახის) მახლობლად 1970 წელს აღმოჩენილი ქვის ფილა მასზე ამოკაწრული “კავკასიის ალბანური ანბანით”. ეს ქვის ფილა, მისი “აღმომჩენის”, იქაური სკოლის ისტორიის მასწავლებლის ხ. არსლანბეკოვის მიერ წამოყენებული ვერსიის თანახმად, აღმოჩენილია იქაური სკოლის მოსწავლეების მიერ, რომელთაც კლასობანას სათამაშოდ ქვა გააპყეს ორ ნაწილად. იმის შემდეგ, რაც ბავშვებმა ქვაზე შენიშნეს უცნობი წარწერები, მათ მიიტანეს იგი თავის ისტორიის მასწავლებლთან, ანუ ხ. არსლანბეკოვთან, რომელსაც არ გასჭირვებია იმის დადგენა, რომ საქმე ჰქონდა ალბანურ წარწერასთან (ხაზგასმა ჩვენია; არსლანბეკოვი 1970; მისივე 1971).

ვ. გუკასიანის აღწერით, რომელმაც შეისწავლა ეს “ეპიგრაფიკის ძეგლი”, იგი შედგება ორი ნაწილისაგან (თითოეულის ზომებია - 10X6 სმ.). ქვის პირველ ნატეხზე ამოკაწრულია 25 გრაფემა, ხოლო მეორეზე – 19. ვ. გუკასიანის დაკვირვებით, მატენადარანის ხელნაწერის ნუსხასთან შედარებით, ამ “ანბანს” აკლია 10 გრაფემა, ხოლო 3 გრაფემა არის ზედმეტი (გუკასიანი 1971, 130). ვ. გუკასიანი ქვის ფილას ათარიღებს III-VII სს. (იმ პერიოდში, არქეოლოგების აზრით, იმ ადგილებში არსებობდა ნასახლარი).

გ. კლიმოვს ქვის ფილაზე გამოსახული ანბანის ავთენტურობაში ეჭვი არ ეპარება (კლიმოვი 1984, 14-15; კლიმოვი 1990, 497).

ხ. არსლანბეკოვის აზრით, ქვის ფილაზე ამოკაწრულ ანბანს სასწავლო დანიშნულება ჰქონდა (არსლანბეკოვი 1970; მისივე 1971).

ვ. გუკასიანს ასეთ შემთხვევაში გაუგებრად მიაჩნდა 10 გრაფემის ნაკლულობა, თუმცა მკვლევრის ვარაუდით, წარწერის ავტორმა შეამჩნია შეცდომა და გადააგდო ქვა, როგორც სასწავლო მიზნისათვის გამოუსადეგარი (გუკასიანი 1971, 130).

ჩვენი აზრით, ყოველგვარი მსჯელობა ამ ანბანის დანიშნულებისა და სხვა ამდაგვარი საკითხების შესახებ ზედმეტია, გამომდინარე იქიდან, რომ ქვის ფილაზე გამოსახული ალბანური ანბანი უეჭველად ნაყალბეგია და ეს მოსაზრება გამოითქვა კიდევ სამეცნიერო ლიტერატურაში (მურავიოვი 1986; ალექსიძე 2003; 52-54).

უნდა აღინიშნოს, რომ წარწერის გრაფემათა უმრავლესობა ან იმეორებს მატენადარანის ხელნაწერის ნუსხაში წარმოდგენილ ასო-ნიშანთა მოხაზულობას, ანდა უფრო დამახინჯებული სახით გვხვდება. ქვის ფილის პირველი ნატეხი (პირობითად ა მხარე) გამოსახავს ალბანური ანბანის №20-45 ასო-ბგერებს ანბანთრიგის მიხედვით (ა 1-25), №25 გრაფემის გამოტოვებით. ქვის ფილის მეორე ნატეხის წარწერა (ბ მხარე), პირველის გაგრძელებას წარმოადგენს. ის იწყება №46 გრაფემიდან და მიყვება ანბანთრიგს №52 ასო-ბგერამდე (ბ 1-7). შემდეგ გამოსახულია ალბანური ანბანის №1-4 გრაფემები (ბ 8-11). შემდეგი ნიშანი (ბ 12) წაკითხვას არ ექვემდებარება (სავარაუდოდ, ანბანის №5 ასო-ბგერა). მას მოჰყვება სამი გრაფემა (ბ 13-15), რომელთაც, ვ. გუკასიანის აზრით, არ მოეძებნებოთ ანალოგები მატენადარანის ხელნაწერის ნუსხაში (ს. მურავიოვი ბ 13-ს შეცდომით აიგივებდა ალბანური ანბანის №6 ა **“ზარღ”**–თან; მურავიოვი 1981, 287). ქვის ფილის გრაფიტის მეორე ნაწილი სრულდება ალბანური ანბანის №7-9 ასო-ნიშნებით (ბ 16-18).

გაუგებარია, თუ საიდან იწყება და სად მთავრდება ანბანი. ქვის ფილის ა

ნატეხის პირველი ასო-ბგერაა №20 **ლ** “ლოს”, ხოლო **ბ** ნატეხისა – №44 **ზ** “სოჲ”.

ბუნებრივია, ამ ასო-ნიშნებით შეუძლებელია იწყებოდეს ალბანური ანბანი (საინტერესოა, რომ მატენადარანის ხელნაწერის 142v, სადაც მოცემულია კავკასიის ალბანური ანბანის მეორე ნაწილი [გაგრძელება], იწყება ზუსტად №20 ასო-ბგერიდან. ჩვენი აზრით, სწორედ ამით აიხსნება ქვის ფილაზე ამოკაწრული “ანბანის” ამ ასო-ბგერიდან დაწყების მიზეზი).

გარდა სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებისა, რომ ფალსიფიკატორმა გაყალბებისთვის გამოიყენა მატენადარანის ხელნაწერის სურათები (მურავიოვი 1986, 255-256; ალექსიძე 2003, 52-54), ის მეტ-ნაკლებად ალბანურ ეპიგრაფიკასაც იცნობდა. ამის შესახებ მეტყველებს ნიშანი **ბ** 14, რომელიც თავისი მოხაზულობით ჯვარს წააგავს (**⚡**). ეჩმიაძინის ხელნაწერში ეს გრაფემა ძალზე დამახინჯებული სახით გვხვდება და ბერძნული **Φ** –ს მსგავსი მოხაზულობა აქვს, შდრ. **⚡**. საინტერესოა, რომ ორივე გრაფემა გამოსახულია ქვის ფილაზე, ესენია: **ბ** 14 და **ბ** 7 შესაბამისად.

უეჭველია, რომ ალბანური ეპიგრაფიკიდან აღებულია **ა** 11 (ალბანური ანბანის №31 **⚡** ასო-ბგერა), **ა** 23 **⚡** (№43), **ბ** 9 **⚡** (№2) და **ბ** 10 **⚡** (№3). უნდა აღინიშნოს, რომ ეპიგრაფიკის ნიშნები გამოყენებულია იქ, სადაც გრაფიკული კავშირი ალბანურ წარწერათა და მატენადარანის ხელნაწერის ასო-ბგერებს შორის ნათელია. უმეტეს შემთხვევაში, ფალსიფიკატორი ვერ ამჩნევს ასეთ კავშირს (მაგ., **ა** 25 = №45 “ტიერ”-ის შემთხვევაში; ალბანური ანბანის გრაფიკული სტრუქტურის ანალიზი და სინური პალიმფსესტის ნიშნების მკაცრი მონუმენტური სტილი გვიჩვენებს, რომ ალბანურს შეუძლებელია ჰქონოდა ასეთი მოხაზულობის გრაფემა შდრ. პალიმფსესტის **⚡**).

კავკასიის ალბანური ანბანის შესახებ ელემენტარული ცოდნის უქონლობამ, ყალბისმქნელი მიიყვანა ისეთ ლაფსუსებამდე, როგორიცაა: **ა** 15 = №35-ს თავზე ლათინური T ასოს მსგავსი ნიშნის გამოსახვა. ეს ნიშანი სინამდვილეში

მელნის ლაქას წარმოადგენს და იგი ნათლად ჩანს მატენადარანის ნუსხის ზოგიერთ ფოტოსურათზე – მურავიოვი 1986, შდრ., პალიმფსესტის **⓪**, ანდა სომხური ასო-ბგერის თავზე დასმული მახვილის ნიშნის გადატანა ალბანური გრაფემის მოხაზულობაში (ა 10 = №30; შდრ., **⓫**; ალექსიძე 2003, 53).

გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ქვის ფილაზე ორჯერ არის გამოსახული ერთი და იგივე გრაფემა – ა 14 და ბ 13 = №34 (**⓫**). როგორც ჩანს, ამ კაზუსის აღმოჩენის შემდეგ, ფალსიფიკატორი ბ 13-ს უმატებს ზედა დამატებით ხაზს.

ფსევდოალბანური წარწერები ნაპოვნი იყო საქართველოს ტერიტორიაზეც, ესენია: წარწერა მაცხოვრის ხატზე მღვიმის მონასტრიდან (ჭიათურის რ-ნი. შანიძე 1938; ყაუხჩიშვილი 1951) და გრაფიტი ნინოწმინდის ტაძრის კედელზე (საგარეჯოს რ-ნი. ინგოროყვა 1927; შანიძე 1938; ყაუხჩიშვილი 1951). ორივე შემთხვევაში წარწერები შესრულებული იყო ბერძნულის იქამდე უცნობი გრაფიკული სახეობებით.

უნდა ვახსენოთ აგრეთვე ორი ქართული წარწერა ჩრდილო-კავკასიაში, რომლებიც ზოგიერთი მკვლევრის მიერ ალბანურად მიიჩნეოდა (მარი 1947), ესენია: ტყობა-ერდის წარწერა ქვის ფილაზე (ინგუშეთი) და ოროდას წარწერა (დაღესტანი). ს. მურავიოვი უშვებდა იმის შესაძლებლობას, რომ ტყობა-ერდის წარწერა ალბანური იყო (მურავიოვი 1981, 292-293).

მინგეჩაურის გათხრებამდე, ანუ ალბანური ეპიგრაფიკული ძეგლების აღმოჩენამდე უკვე მოძიებული იყო კავკასიის ალბანური ანბანი და აგრეთვე ცნობილი იყო სავარაუდო ენა, რომლის საფუძველზეც უნდა წარმართულიყო ძიება (უდიური). ეს ქმნიდა ილუზიას, რომ მინგეჩაურის წარწერები ადვილად გაიმიფრებოდა, მაგრამ მათი ამოკითხვის ცდები არსებითად ჩიხში მოექცა.

ამის საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიყვანოთ მკვლევართა მიერ 1948 წელს ქ. სუდაგილანში (აზერბაიჯანი, მტკვრის მარცხენა სანაპირო, ქ. მინგეჩაურის მახლობლად) აღმოჩენილი ჯვრის პოსტამენტის ლაპიდარული წარწერის ამოკითხვის ცდები:

ა. აბრამიანმა ეს წარწერა შემდეგნაირად ამოიკითხა: “ჰერაკლეს [მეფობის] ოცდამეათე [წელს] აღმართა ტაძარი წმინდა ელიშეს (ან გისის ელიშეს) [სახელზე] ... ეპისკოპოს ობელის მოსახსენებლად” (აბრამიანი 1964, 45).

ბ. კლიმოვის თარგმანია: “... ოცდამესამე წელს ხოსროსი ...” (კლიმოვი 1967, 78).

ს. მურავიოვის თარგმანია: “ეს? ტახტი? // სამსხვერპლო? (ზედმიწ. სისხლიანი? ფილა?) აღმართა? იაკობ მღვდელმა, ტომით უდიმ, ძელისათვის (ე. ი. ჯვარისათვის)” (მურავიოვი 1981, 268).

გ. შულცეს თარგმანია: “კეისარ პიპეს (ფილიპეს) ... ოცდამეშვიდე წელს პოსტამენტი ... გააკეთა ... იოანე ეპისკოპოს გაუკეთა ...” (შულცე 1982, 291).

სპეციალისტებმა, დანარჩენი წარწერების შემთხვევაშიც, ერთმანეთისაგან განსხვავებული შედეგები მიიღეს (მინგეჩაურის წარწერების განხილვისათვის იხ. წინამდებარე ნაშრომის VI. 1.).

პირველი, ვინც ალბანურ წარწერათა კორპუსის აღმოჩენის შემდეგ დააფიქსირა, რომ მატენადარანის ხელნაწერში შემონახული ანბანი ვერ ასრულებდა გასაღების როლს, ხოლო წარწერათა კორპუსი დამოუკიდებლად საკმარისი არ იყო მათ გასაშიფრად, იყო კვლავ აკ. შანიძე. მას თვითონ წარწერათა გაშიფვრა აღარც უცდია, რადგან, ამ ვითარებაში ასეთი მცდელობები უკვე უნაყოფოდ მიაჩნდა. მისი ძალიან ზუსტი შეფასებით, ეს იგივე იქნებოდა, რომ ამავე ხელნაწერში მოცემული ქართული ანბანით გვეცადა ბოლნისის სიონის წარწერის წაკითხვა, სხვა ცოდნა ქართული ენისა და დამწერლობის შესახებ რომ არ გვექონოდა (შანიძე 1957, 33-44).

3. სინური ალბანურ-ქართული პალიმფსესტი

კავკასიის ალბანურ ენაზე შესრულებული პირველი გაბმული ტექსტი მოძიებულ იქნა სინას ნახევარკუნძულზე (ეგვიპტე), წმ. ეკატერინეს მონასტერში. 1975 წ. იქ დაახლოებით 1100 ხელნაწერი აღმოაჩინეს. ახალ კოლექციაში 141 ქართული ხელნაწერი გამოვლინდა (ფურცელთა საერთო რაოდენობა 4000-ზე

მეტია). მათ შესასწავლად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტმა, ზ. ალექსიძის ხელმძღვანელობით, სინას მთაზე განახორციელა რამდენიმე ექსპედიცია.

მეორე ექსპედიციის დროს, 1994 წლის ნოემბერ-დეკემბერში, ზ. ალექსიძემ მიაქცია ყურადღება ორ ხელნაწერს – N/Sin 13 და N/Sin 55-ს მათი ქვედა ტექსტის გამო, რომელიც ერთდროულად ჰგავდა ქართულსაც და სომხურსაც, მაგრამ არ იყო არც ერთი. საქართველოში დაბრუნებისთანავე, მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზე გააკეთებულ ანგარიშში, ზ. ალექსიძემ განაცხადა, რომ მის მიერ აღმოჩენილი უცნობი დამწერლობით შესრულებული ხელნაწერი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ კავკასიის ალბანური (ალექსიძე 2003, 24).

1996 და 2000 წლებში სინას ნახევარკუნძულზე კიდევ ორი სამეცნიერო ექსპედიცია მოეწყო, რომლის დროსაც სპეციალური ტექნიკური საშუალებების გამოყენებით გადაიწერა ტექსტი, აგრეთვე გადაღებულ იქნა ალბანურ ხელნაწერის ფოტოსურათები (ულტრაიისფერი განათების ქვეშ). სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მასალის უდიდესი ნაწილი დღემდე გამოუქვეყნებელია.

ალბანურ-ქართული პალიმფსესტების ფურცელთა საერთო რაოდენობა 170-ს აღწევს. მათგან, ქვედა ტექსტი დაახლოებით 100 ფურცელზე ექვემდებარება წაკითხვას (ალექსიძე 2003, 59).

ფურცელთა ზომებია – 29,5 x 22,5 სმ.. თითოეულ ფურცელზე ტექსტი შესრულებულია ორ სვეტად. როგორც წესი, სვეტში 22 სტრიქონია (ზოგჯერ 24). სვეტებს შორის და არშიებზე საკმაოდ დიდი მანძილია დატოვებული, თავისუფალი ადგილები კი ტექსტთან დაკავშირებული მინაწერების გასაკეთებლადაა გამოყენებული.

ხელნაწერი შესრულებულია საკმაოდ ღამაზი ასომთავრულით. საზედაო ასოები გამოყენებულია მუსხლების გამოსაყოფად. ტექსტი თითქმის უწყვეტია, იშვიათად მოკლე მონაკვეთები ერთმანეთისგან გამიჯნულია ორი, თითქმის წერტილის ფორმის მქონე მოკლე პარალელური ხაზებით. ხშირად გამოყენებულია ქარაგმის ნიშანი.

ხელნაწერი შეიცავს ე.წ. ლექციონარს (ალექსიძე 2003, 114) და იოანეს სა-

ხარებას (შულცე 2005). იდენტიფიცირებული საკითხაგების მიხედვით ალბანური ლექციონარი ყველაზე დიდ სიახლოვეს ქართულ ხანმეტ ლექციონართან ავლენს (ალექსიძე 2003, 120).

კავკასიის ალბანური ლექციონარის საკითხავთა სათაურები შესრულებულია ბევრად მცირე ზომის გრაფემებით (რაც ალბანურ ლექციონარს აახლოვებს უძველეს ქართულ და სომხურ ლექციონარებს). სათაურის დასაწყისი და შემდეგ თითქმის ყველა სიტყვა დაწერილია საზედაო ასოებით (ეს სომხური ლექციონარებისათვის დამახასიათებელია). სათაურშივე, ხშირ შემთხვევაში, მოცემულია მოკლე მითითება ტექსტის წაკითხვის შემდეგ ალილუიას, ზოგჯერ კი, ფსალმუნის შესრულების აუცილებლობაზე.

ალბანურ ლექციონარში გამოსარჩევია ორი ან სამი გადამწერის ხელი (ალექსიძე 2003, 65), რაც ასეთი დიდი მოცულობის ტექსტისათვის გასაკვირი არ არის.

ზ. ალექსიძის აზრით, ალბანური ტექსტი უნდა დათარიღდეს IV–V სს. მიჯნით (რასაც ძნელია დავეთანხმოთ) და იგი უნდა მიეკუთვნებოდეს იერუსალიმის ლექციონართა ადრეულ ტიპს (ალექსიძე 2003, 120).

ალბანური ლექციონარის კოდოლოგიურ-ტექსტოლოგიური და პოლიგრაფიული დონე საკმაოდ მაღალია, რაც კავკასიის ალბანეთის (ალუანქის) განვითარების კარგ მაჩვენებლებზე მიგვითითებს.

როგორც ჩანს, X ს.-ში ალბანური ტექსტი გადაირეცხა (წყაროთა ცნობების მიხედვით, იმ პერიოდში სინას მთაზე იგრძნობოდა პერგამენტის ნაკლებობა: ვიმოწმებთ ზ. ალექსიძის მიხედვით – ალექსიძე 2003, 58) და შემდგომ ზემოდან შესრულდა ქართული ტექსტი (ნუსხა-ხუცურით).

ალბანური ტექსტი შესაძლოა, შესრულებულიყო კავკასიის ალბანეთში, მათი ეკლესიის მონოფიზიტურ მრწამზე გადასვლის შემდეგ კი (VIII ს.-ის დასაწყისი) მოხვედრილიყო საქართველოში და აქედან სინას მონასტერში, ანდა, გადაწერილიყო პალესტინის ერთ-ერთ ალბანურ მონასტერში (მოვსეს კალანკატუაცი პალესტინაში ასზე მეტ ალბანურ და სომხურ (resp. მონოფიზიტურ) მონასტერს ითვლის (!) და ასახელებს ათზე მეტ მონასტერს, რომელიც, მისი თქმით,

ალბანელთა მიერაა დაარსებული; მოგსეს კალანკატუაცი 1985, 132-134) და იქიდან მოხვედრილიყო პალესტინის ქართულ წრეში და შემდეგ სინას მთაზე. ჩვენ მეორე ვარაუდი უფრო მართებულად მიგვაჩნია.

ზ. ალექსიძის მიერ მეტ-ნაკლები სისრულით ამოკითხული იქნა ალბანური ლექციონარის 40-მდე საკითხავის სათაური და იდენტიფიცირებულ იქნა 14 საკითხავი. თითოეული იდენტიფიცირებული საკითხავიდან ზუსტად დადგინდა მხოლოდ რამდენიმე მუხლის შესატყვისი საღვთო წერილის ანოლოგიურ ტექსტთან (ალექსიძე 2003, 126).

ზ. ალექსიძის აზრით, პალიმფსესტის გრაფემათა საერთო რაოდენობა შეადგენს 50-56-ს (ალექსიძე 2003, 62). შემდგომ იმავე ნაშრომში ზ. ალექსიძე ამცირებს გრაფემათა რიცხვის ცდომილების დიაპაზონს 54-56-მდე (ალექსიძე 2003, 85; იქვე, 151). მათგან, მკვლევრის აზრით, შესაძლებელია 42 გრაფემის იდენტიფიკაცია მატენადარანის №7117 ხელნაწერის გრაფემებთან (ალექსიძე 2003, 85). როგორც ზ. ალექსიძის მიაჩნია, 35 გრაფემის ფონეტიკური მნიშვნელობა გარკვეულია (ალექსიძე 2003, 151), ხოლო მატენადარანის ხელნაწერის გრაფემათა სახელწოდებათაგან 9 შესწორებას საჭიროებს, ესენია: “ოდეთ” > “ბეთ”, “ზიმ” > “გიმ”, “გატ” > “ღატ”, “ხამ” > “ღამ”, “კარ” > “ყარ”, “ჯად” > “ჭად”, “უნ” > “ონ”, “კატ” > “რატ” და “ჯად” > “ჭად” (ალექსიძე 2003, 84-85).

უნდა აღინიშნოს, რომ პალიმფსესტის ამოკითხვა დღესაც გრძელდება. ზ. ალექსიძესთან ერთად ამ საკითხზე მუშაობენ ვ. შულცე, ი. გიპერტი (ორივე გერმანია) და ე.-პ. მაე (საფრანგეთი).

სინური პალიმფსესტის ასო-ნიშნები სიახლოვეს ავლენენ “მინგეჩაურის” წარწერათა გრაფემებთან. მათი განსხვავება, იმ ბუნებრივ სხვაობას არ სცილდება, რომელიც უნდა იყოს ლამაზად შესრულებულ ხელნაწერსა და გრაფიტის გრაფემებს შორის.

თავის მხრივ შეინიშნება საკმაო სხვაობა ენშიაძინის №7117 ხელნაწერსა და სინური პალიმფსესტის ნიშნებს შორის. ეს აიხსნება იმით, რომ მატენადარანის ხელნაწერი გადაწერილი უნდა იყოს სულ მცირე ორჯერ სომეხ გადაწერათა მიერ, რომლებიც, ბუნებრივია, არ იცნობდნენ კავკასიის ალბანურ დამწერ-

ლობას. ამან გამოიწვია ასო-ბგერათა უმეტესობის დამახინჯება ან მათი “სომ-ხური” სტილიზაცია.

დასკვნები

ამრიგად, არ არსებობს არანაირი საფუძველი, რომ ეჭვი შევიტანოთ მატენადარანის №7117 და ა. ქურდიანის ხელნაწერებში წარმოდგენილი კავკასიის ალბანური ანბანის ავთენტურობაში. ორივე ალბანური ანბანის ნუსხა ნამდვილია და ძირითადად სწორი უნდა იყოს, რაც დადასტურდა კიდევ მინგეჩაურის წარწერებისა და ალბანურ-ქართული პალიმფსესტის აღმოჩენის შემდეგ. ა. ქურდიანის კავკასიის ალბანური ანბანის ნუსხა, მატენადარანის №7117 ხელნაწერში წარმოდგენილი ანბანისაგან უნდა იყოს გადაწერილი, ხოლო ამ ნუსხათა დედანი, სავარაუდოდ, IX-X სს. შესრულდა.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ალბანური წარწერათა კორპუსი ამჟამად 7 ერთეულისგან შედგება, ესენია: 1. ჯვრის პოსტამენტის წარწერა; 2. გრაფიტი თიხის შანდალზე №1; 3. გრაფიტი თიხის შანდალზე №2; 4. გრაფიტი თიხის შანდალზე №3; 5. გრაფიტი თიხის შანდალზე №4; 6. გრაფიტი კრამიტის ნატეხზე №1; 7. გრაფიტი კრამიტის ნატეხზე №2.

საეჭვოა, როგორც დერბენტის წარწერის არსებობის ფაქტი, ისე მისი ალბანური წარმომავლობა.

ს. ზემო ლაბკოსთან აღმოჩენილი ქვის ფილა უეჭველად ნაყალბევია.

ასევე არ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ ალბანურ-ქართული პალიმფსესტის ავთენტურობაში. იგი შეიცავს კავკასიის ალბანურ ენაზე შესრულებულ “ლექციონარს” და აგრეთვე იოანეს სახარებას.

თავი III

კავკასიის ალბანური ანბანის ფონეტიკურ მნიშვნელობათა სისტემა

განვიხილოთ ალბანური ანბანის ასო-ნიშნები ანბანთრიგის მიხედვით:

№1 **ღ** “აღთ”. ამ გრაფემის ფონემური ღირებულება, როგორც “მარტივი” ა ბგერისა, სპეციალისტთა შორის სადავო არ არის. მხოლოდ ვ. გუკასიანის აზრით, აქ უნდა გვექონდეს ფარინგალიზებული **ჟ** (გუკასიანი 1969, 67).

მოხაზულობით, ა. აბრამიანმა ეს გრაფემა (ეპიგრაფიკაში და პალიმფსესტში დადასტურებულია შემდეგი ფორმით: **ჟ**) გადაბრუნებულ ასომთავრულის **ჯ**-ს მიამსგავსა (აბრამიანი 1964, 27-28).

ს. მურავიოვის აზრით კი, მისი გრაფიკული პროტოტიპია ერკათავირის **ჟ**. უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიის ალბანური ანბანის გრაფიკული სტრუქტურა ს. მურავიოვს “სისტემურად” აქვს წარმოდგენილი: ყველა “არასპეციფიკური” (ე.ი. სომხურშიც წარმოდგენილი) ალბანური ხმოვნები – **ა** (ა), **ი** (ე), **ი** (ი), **ო** (ო), **ე** (ე), “არასპეციფიკური” მჟღერი და აბრუპტივი ხშულები – **ბ** (ბ), **ღ** (ღ), **გ** (გ), **ჟ** (ჟ), **ზ** (ტ), **ჯ** (კ), და გრაფემები **ჟ** (ჟ), **ჩ** (ხ), **ც** (ც), ს. მურავიოვის აზრით, წარმოიქმნა შესაბამისი ქლერადობის სომხური ასო-ნიშნებისაგან; ყველა “არასპეციფიკური” ფშვინვიერი ხშულები – **ფ** (ფ), **ქ** (თ), **ყ** (ქ), სონორები – **მ** (მ), **ნ** (ნ), **რ** (ღ), **ლ** (რ), **ვ** (ღ) და გრაფემა **ჟ** (ვ) შეიქმნა შესაბამისი ქლერადობის ქართული ნიშნების საფუძველზე; სისინა და შიშინა სპირანტები კი, ს. მურავიოვის აზრით, ასე წარმოიქმნა: მჟღერები – ქართული ასომთავრულის **ჟ**-საგან; ყრუ სიბილანტები კი, **ჟ**-საგან. კავკასიის ალბანური ანბანის დანარჩენი ნიშნები კი (“სპეციფიკური” ასო-ბგერები) შეიქმნა ქართული და სომხური ასო-ბგერებისაგან უკვე

მიღებული ალბანური გრაფემების საფუძველზე (მურავიოვი 1981, 294-320).

სინურ პალიმფსესტში №1 **ჯ** გრაფემა უეჭველად **ა** ბგერას აღნიშნავს (ალექსიძე 2003, 86).

№2 **ტ** “ოდეთ”. ამ გრაფემის **ო** ბგერად მიჩნევა პირველად ეჭვის ქვეშ აკად. აკ. შანიძემ დააყენა. მისთვის გაუგებარი იყო, რომ თანხმონებით მდიდარ ალბანურ ანბანში არ იყო დადასტურებული მუდერი **ბ**, მით უფრო, რომ ეს ბგერა ალფაბეტის ორი გრაფემის სახელწოდებაში გვხვდება: – “**ტბ**” და “**ირბ**”.

აკ. შანიძის ვარაუდით, №2 გრაფემის სახელწოდება უნდა ყოფილიყო “**ბალთ**”. ამ მოსაზრებას მკვლევარი ასაბუთებდა ქართული გამოთქმით “**ერთი ალთას და მეორე ბალთას**”, რომელიც მას ალბანურიდან ნასესხებად მიაჩნდა (ზედმიწ. ერთი **ა**-ს და მეორე **ბ**-ს – შანიძე 1938, 30-32).

ქ. დუმეზილი და ჰრ. აჭარიანი დარწმუნებულები იყვნენ, რომ კავკასიის ალბანურ ანბანში **ბ** ბგერის აღმნიშვნელი ნიშანი არსებობდა, თუმცა, მათი აზრით, ეს გრაფემა ალფაბეტში წარმოდგენილი **ფ** ბგერით აღნიშნული ორი ნიშნისაგან (№41 **წ** ან №51 **ყ**) ერთ-ერთი უნდა ყოფილიყო (დუმეზილი 1940-1941, 128; აჭარიანი 1984, 683-684).

ა. აბრამიანმა ეპიგრაფიკის **ნ** გრაფემა სრულიად უყოყმანოდ გააიგივა ანბანის №2 ასო-ნიშანთან და **ბ** ბგერასთან. მისი აზრით, ამ ნიშნის გრაფიკული პროტოტიპია სომხური **Բ** გადაბრუნებულ მდგომარეობაში, ხოლო მისი სახელწოდება უნდა იყოს “**ბეთ**” (აბრამიანი 1964, 28).

ეს მოსაზრება გაიზიარეს გ. კლიმოვმა (კლიმოვი 1967, 77; კლიმოვი 1984, 13; კლიმოვი 1990, 496), ვ. გუკასიანმა (გუკასიანი 1969, 64), ვ. შულცემ (შულცე 1982, 288) და ი. გიპერტმა (ი. გიპერტის ნაშრომი “Alphabet as preserved in Armenian Tradition” – გამოქვეყნებულია ინტერნეტში. შემდეგში ამ ნაშრომზე მითითება გაკეთდება მხოლოდ ავტორის დასახელებით).

ო > **ბ** შესწორებას არ დაეთანხმა მხოლოდ ს. მურავიოვი. მისი აზრით, **ნ**

გრაფემა აღნიშნავს ფარინგალიზებულ ო-ს, მაგრამ იგი იმდენად ღიაა, რომ ა ბგერას უახლოვდება (გაუგებარია, თუ რომელ ფონემას გულისხმობს აქ მკვლევარი; მურავიოვი 1981, 243).

აღბანური პალიმფსესტის მასალით დადასტურდა, რომ №2 ასო-ნიშანი ბ ბგერას აღნიშნავს (ალექსიძე 2003, 88).

№3 **ღ** “ზიმ”. ა. აბრამიანის ვარაუდით, გადამწერებს ერთმანეთში აერიათ **ღ** და **ქ**. შესაბამისად, ამ ასო-ბგერის სახელწოდება უნდა იყოს “გიმ”, ხოლო მოხაზულობით, ეს გრაფემა (ეპიგრაფიკაში – **ღ**) ა. აბრამიანმა მიამსგავსა მარცხნივ მოტრიალებულ ასომთავრულის **ღ**-ს (აბრამიანი 1964, 28).

ა. აბრამიანის მოსაზრებას დაეთანხმნენ გ. კლიმოვი (კლიმოვი 1984, 13; კლიმოვი 1990, 496), ვ. გუკასიანი (გუკასიანი 1969, 64), ვ. შულცე (შულცე 1982, 288) და ი. გიპერტი.

ზ > **გ** შესწორება არ გაიზიარა ს. მურავიოვმა. მისი აზრით, ანბანის №3 გრაფემა აღნიშნავს ბ ბგერას, ოღონდ მას სომხური **բ**-საგან განსხვავებული უღერადობა აქვს (მკვლევარი არ აზუსტებს როგორი; მურავიოვი 1981, 257).

ხ. ალექსიძეს მოჰყავს უტყუარი მაგალითები სინური პალიმფსესტიდან იმის საილუსტრაციოდ, რომ **ხ** ასო-ნიშანი **გ** ბგერას აღნიშნავს. მისი ვარაუდით, გადამწერებმა მიამსგავსეს ეს გრაფემა №20 **ღ** “ზოხ”-ს და, შესაბამისად, მცდარი სახელწოდებაც მისცეს (ალექსიძე 2003, 89).

№4 **ღ** “გატ”. ა. აბრამიანის აზრით, ამ გრაფემის შემთხვევაშიც გადამწერებს აერიათ სომხური **ღ** და **ქ** ასო-ბგერები, ანუ №4 გრაფემის ფონემური მნიშვნელობა უნდა იყოს **ღ**. მოხაზულობის მიხედვით, იგი ამ ასო-ნიშანს გადაბრუნებულ ქართულ **ღ**-ს ამსგავსებს (აბრამიანი 1964, 28).

ეს მოსაზრება გაიზიარეს გ. კლიმოვმა (კლიმოვი 1984, 13; კლიმოვი 1990, 496-497) და ი. გიპერტმა.

ს. მურავიოვის აზრით, ეს გრაფემა სომხური **ჟ**-საგან განსხვავებული ქდერადობის მქონე **გ** ბგერას წარმოადგენს (მკვლევარი არ აზუსტებს ამ ბგერის ზუსტ ფონემურ ღირებულებას; მურავიოვი 1981, 257).

ვ. გუკასიანის აზრით, აქ უნდა გვქონდეს **ღ** ფონემა (გუკასიანი 1969, 65).

ზ. ალექსიძე ვერ ადასტურებს ამ გრაფემის ანალოგს პალიმფსესტის ტექსტში. მისი აზრით, ეს ასო-ნიშანი ან შემთხვევითაა ქართული ანბანიდან მატენადარანის ნუსხაში მოხვედრილი, ანდა ჩნდება ალბანურში მოგვიანებით, რეფორმის შედეგად (ალექსიძე 2003, 90). ქვემოთ, იმავე ნაშრომში, №18 გრაფემის კომენტარისას, ზ. ალექსიძე გამოთქვამს ვარაუდს, რომ №18 ასო-ბგერა თავიდანვე უნდა ყოფილიყო ანბანში მეოთხე ადგილზე (ალექსიძე 2003, 94).

უნდა აღინიშნოს, რომ №4 გრაფემა მინგეჩაურის წარწერებშიც არ გვხვდება, თუ არ ჩავთვლით დერბენტის წარწერასა და ზემო ლაბკოს ქვის ფილას, რაც აძლიერებს ეჭვს მათ ავთენტურობასთან დაკავშირებით. საფიქრებელია, რომ №4 ანბანში შემთხვევით არ მოხვდა. ამ მოსაზრებას გრაფიტი შანდალზე №2 ადასტურებს. იქ გამოსახულია კავკასიის ალბანური ანბანის №1-10 მონაკვეთი, სადაც №3-სა და №5-ს შორის გვაქვს წაშლილი გრაფემა, ანუ ამ შემთხვევაში გადამწერთა მიერ №4 ასო-ბგერის მექანიკურ ჩამატებასთან არ გვაქვს საქმე.

ძნელია დავეთანხმოთ ზ. ალექსიძის სხვა ვარაუდებსაც ამ გრაფემის შესახებ: იქიდან გამომდინარე, რომ ალბანური ალფაბეტი მკაცრად იცავს ბერძნულ ანბანთრიგს (იხ. წინამდებარე ნაშრომის IV თავი) უნდა ვივარაუდოთ, რომ ალბანურს თავიდანვე უნდა ჰქონოდა ანბანში **ღ** ბგერის აღმნიშვნელი ასო-ნიშანი მეოთხე ადგილზე. ასევე ვერ გავიზიარებთ იმას, რომ №18 გრაფემის ფონემური ღირებულება დადგენილია და იგი **ღ** ბგერას წარმოადგენს (ამის შესახებ იხ. №18 გრაფემის კომენტარი).

ჩვენი ვარაუდით, პალიმფსესტში №4 ასო-ბგერა უნდა იყოს, მაგრამ, როგორც ჩანს, გრაფიკულად იგი მნიშვნელოვნად განსხვავდება მატენადარანის ხელნაწერის ანალოგიური ნიშნისაგან (შესაძლებელია, №4 გრაფემის ანალოგი პალიმფსესტში იყოს **ჟ** ნიშანი). ჩვენი აზრით, ეს ასო-ნიშანი **ღ**-ს ან მსგავსი

ულერადობის ბგერას უნდა გადმოსცემდეს (ამ გრაფემის შესაძლო ფონემური ღირებულების შესახებ იხ. წინამდებარე ნაშრომის V. 3).

№5 **ღ** “**ფზ**”. ანბანთრიგიდან გამომდინარე ა. აბრამიანი მიიჩნევს, რომ ამ გრაფემის (**ღ**) სახელწოდება უნდა იყოს “**ეზ**” და არა “**ფზ**” (აბრამიანი 1964, 28).

ა. აბრამიანის მოსაზრებას იზიარებს ვ. გუკასიანი (გუკასიანი 1969, 67).

გ. კლიმოვი (კლიმოვი 1984, 13; კლიმოვი 1990, 497) და ი. გიპერტი მიიჩნევენ, რომ **ღ** ასო-ნიშანი **ე** ბგერას აღნიშნავდა, მაგრამ მის სიგრძე-სიმოკლეს ხაზს არ უსვამდნენ.

ს. მურავიოვი ამ გრაფემას შემდეგი ტრანსკრიპციით აღნიშნავს: **ე/ე**, ე.ი., უპირატესობას ანიჭებს პირველ ვარიანტს (“მარტივი” **ე**), მაგრამ შესაძლებლად მიიჩნევს, რომ ამ ასო-ნიშნით ფარინგალიზებული **ე** ბგერა გადმოიცემოდა (მურავიოვი 1981, 257).

ზ. ალექსიძე სინური პალიმფსესტის მასალით ადასტურებს ა. აბრამიანის მოსაზრებას (ალექსიძე 2003, 90).

№6 **ჟ** “**ზარღ**”. ამ გრაფემის ფონემურ შეფასებას, როგორც **ზ** ბგერისა, მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა არ გამოუწვევია.

ეს ასო-ნიშანი (**ჟ**) ა. აბრამიანმა გადაბრუნებულ ქართულ **ზ**-ს მიამსგავსა (აბრამიანი 1964, 28).

ამ გრაფემის ფონემური ღირებულების (**ზ**) საილუსტრაციოდ ზ. ალექსიძეს მოჰყავს შემდეგი მაგალითები სინური პალიმფსესტიდან: **აო-ჟ** (ზუ) “**მე**” და **ჟნჟაჟჟ** (აბაზაკ) “**ავაზაკი**” (ალექსიძე 2003, 90-91).

ჩვენ ვიზიარებთ მკვლევართა მოსაზრებას, მაგრამ გარკვეულ ეჭვს იწვევს ამ გრაფემის სახელწოდება. ჩვენი ვარაუდით, “**კოშტი**” **ღ**, რომელიც ფიგურირებს ამ გრაფემის სახელწოდებაში (ასეთ ბგერას, როგორც ჩანს, ალბანური ენის ფონოლოგიური სისტემა არ იცნობდა) ასრულებს ერთგვარი დიაკრიტიული ნიშნის ფუნქციას. სომეხი გადამწერები მას, სავარაუდოდ, იყენებდნენ ბგერის მეტი

ინტენსივობის თუ სიმკვეთრის საჩვენებლად შესაბამის სომხურ ბგერასთან შედარებით. ამას თვალნათლივ დავინახავთ №21 **ჯ** და №30 **ჯ** გრაფემების მაგალითზე: №21-ს სახელწოდებაა მატენადარანის ხელნაწერში **Կար “კარ”**, ხოლო №30-ს – **Կար “კარ”**, ანუ ამ ორი გრაფემის სახელწოდება ერთმანეთისაგან მხოლოდ **რ/რ** მონაცვლეობით განსხვავდება. დღეს, უეჭველია, რომ **ჯ** კ ბგერას წარმოადგენს, ხოლო **ჯ**, რომლის სახელწოდებაში გამოყენებულია **ռ (რ), ყ** ფონემას (იხ. №21-ს და №30-ს კომენტარები).

ამის საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ №6 ასო-ბგერა **ზ**-ს აღნიშნავს (**ზ** დიაკრიტიკულ ნიშანს პირობითად ვიყენებთ. ქართულენოვან სპეციალურ ლიტერატურაში უდიურის შესახებ ეს ნიშანი გამოიყენება ფარინგალიზებული (= ველარიზებული, ხორხისმიერი) ხმოვნებისა და ე.წ. ინტენსიურ (= გემინირებული, მაგარი, მყოვარი) თანხმოვანთა აღსანიშნავად – ჯეირანიშვილი 1971 ..., ფანჩვიძე 1974 ... და სხვა; ხმოვანთა და სიბილანტთა მეორე რიგის ზუსტი ფონემური კვალიფიკაცია წარმოდგენილია წინამდებარე ნაშრომის V. 2§ და 3§). ასეთ შემთხვევაში, უნდა დაუშვათ, რომ უცხო ენათა **ზ** ბგერას ალბანურში **ზ** შეესატყვისებოდა.

საყურადღებოა, რომ სომხურში ბერძნული **λ** და **ρ** ასო-ნიშნების ადგილზე იმყოფება არა ანალოგიური ქლერადობის ბგერები, რომელიც ჰქონდა სომხურს (**ლ** და **რ**), არამედ **ղ** და **ნ**. პირველ შემთხვევაში ეს ადვილი ასახსნელია (უცხო ენათა **ღ** ბგერას სომხურში რეგულარულად **ղ** შეესატყვისება), ხოლო მეორე მაგალითი ამით ვერ აიხსნება.

მიუხედავად გამოთქმული ეჭვისა, მაინც მივიჩნევთ, რომ “კომტი” **რ** ბგერის არსებობა ამ გრაფემის სახელწოდებაში გადამწერთა მიერ დაშვებული შეცდომით (ამ ასო-ბგერის სახელწოდების დამახინჯებით) უნდა აიხსნას და, შესაბამისად, უპირატესობას მკვლევართა მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ვანიჭებთ: საფიქრებელია, რომ ამ გრაფემით “მარტივი” **ზ** ბგერა აღინიშნებოდა.

№7 **ენ**. ა. აბრამიანის აზრით, ეს გრაფემა (**ლ**) სომხური **ლ**-ს ბადალ ასო-ბგერას წარმოადგენდა (აბრამიანი 1964, 28-29).

გ. კლიმოვს მიაჩნდა, რომ ეს ასო-ნიშანი აღნიშნავდა არა გრძელ **ე**-ს, რომელსაც არ იცნობს უდიური ენის ფონოლოგიური სისტემა, არამედ ფარინგალიზებულ **ე**-ს (კლიმოვი 1984, 13; კლიმოვი 1990, 497).

გ. კლიმოვის მოსაზრებას იზიარებს ვ. გუკასიანი (გუკასიანი 1969, 67).

ს. მურავიოვი ამ გრაფემას შემდეგი ტრანსკრიპციით აღნიშნავს: **ე/ე**, ანუ ამ გრაფემას ან ფარინგალიზებულ **ე** ბგერად მიიჩნევს (სავარაუდოდ), ანდა “მარტივ” **ე**-დ (მურავიოვი 1981, 257).

ზ. ალექსიძეს **ლ** ასო-ნიშანი გრძელი **ე** ხმოვნის აღმნიშვნელი ჰგონია და ამის საილუსტაციოდ მოჰყავს ერთადერთი მაგალითი: **ჲო-ჩ-ჩლ** (მუსეს) “მოსე”. მისი აზრით, ეს გრაფემა უნდა გამოიყენებოდეს ნასესხებ სიტყვებში (ალექსიძე 2003, 91).

უნდა აღვნიშნოთ, რომ ალბანურ პალიმფსესტში **ლ** ხშირად ძირეულ ლექსიკაშიც გვხვდება. ჩვენ ნაწილობრივ ვიზიარებთ გ. კლიმოვის მოსაზრებას: ვფიქრობთ, რომ ეს ასო-ნიშანი მართლაც ხშირად “ფარინგალიზებულ” **ე**-ს აღნიშნავდა (ამ რიგის ზუსტი კვალიფიკაციისათვის იხ. წინამდებარე ნაშრომის V. 2.), მაგრამ, ამასთან ერთად, ის, უეჭველად, **ე** დიფთონგის აღმნიშვნელიც იყო, როგორც **ჲ** (**ჩ**) ასო-ბგერა ქართულში.

ჩვენი აზრით, **ლ** გრაფემა ნათესაობითი ბრუნვის ერთ-ერთ ფორმანტს (-**ე**) გადმოსცემს. სინურ პალიმფსესტში დავადასტურეთ კუთვნილებითი ნაცვალსახელის “თავისი”-ს აღმნიშვნელი სამი ფორმა: **ჲაჲ** (იჩაე), **ჲაჲ** (იჩი) და **ჲა** (იჩე). საფიქრებელია, რომ არქაული ფორმა **იჩ-აე** უნდა იყოს (შდრ. უდიური **იჩ** “თვითონ”; -**აე** — ნათ. ბრუნვის ერთ-ერთი ძირითადი ფორმანტია). დანარჩენი

ორი ფორმა რეგრესული ასიმილაციის შედეგად უნდა იყოს მიღებული (ღ-ს გაგლეწით): იჩაღ > იჩეღ (ნაწილობრივი ასიმილაცია) > იჩი (სრული ასიმილაცია).

№7 გრაფემა ასევე ნამყო სრულის (პერფექტი) ერთ-ერთ ფორმანტს (-ეფ) გადმოსცემს, მაგ., **ქქყყჯჯან** (თ[ა]ფაღ-ეფ) “მისცა”; **ო-ჩ-ღ-ღ-ქ** (უკაპ-ეფ) “თქვა”, შდრ., უდიური ენის პლუკვამპერფექტის მაწარმოებელს: -ეფ=ღ.

საფიქრებელია, რომ ამით აიხსნება №7 გრაფემის ხშირი გამოყენება აუსლავურ სინურ პალიმფსესტში.

ამ გრაფემის ფონემურ მნიშვნელობას ადასტურებს დაწერილობის პარალელური ფორმებიც, მაგ.: ღმერთის აღმნიშვნელი დაქარაგმებული ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი. აქ სამი გრაფიკული ვარიანტი გვაქვს, მაგრამ, ჩვენი აზრით, სამივე სრულიად იდენტური უღერადობის სიტყვას გადმოსცემს: **ენ**

(ბ[იხაჯუღ]ე); **ენ-ი** (ბ[იხაჯუღ]ეფ) და **ენ** (ბ[იხაჯუღ]ეფ). ბოლო ორი მაგალითიდან, პირველში დიფთონგი ეფ გადმოცემულია გრაფემათა კომბინაციით (№5 და №11), მეორეში კი მას აღნიშნავს №7 გრაფემა.

ქართულ ტექსტებშიც იგივე მოვლენა შეინიშნება: დიფთონგი ეფ, რომელიც **ი** გრაფემით აღინიშნებოდა, ხშირად გადმოიცემოდა ორი ასო-ბგერით: **იხ** (ჯავახიშვილი 1926, 198).

უნდა აღინიშნოს, რომ ზ. ალექსიძის მიერ წარმოდგენილი მაგალითის წაკითხვა მართებულად მიგვაჩნია შემდეგი ფორმით: **მუსეფს**.

№8 **ჩ** “ქიღ”. ა. აბრამიანს ამ ასო-ბგერის (**ჩ**) გრაფიკულ პროტოტიპად სომხური **ქ** მიაჩნდა (? – რ. ლ.). შესაბამისად, ის, მისი აზრით, **გ** ბგერას აღნიშნავდა (აბრამიანი 1964, 29).

გ. კლიმოვი იზიარებს ა. აბრამიანის მოსაზრებას (კლიმოვი 1984, 13; კლიმოვი 1990, 497).

ს. მურავიოვის აზრით, ეს გრაფემა ინტენსიურ **ჟ**-ს გადმოსცემს (მურავი-

ოვი 1981, 257).

გ. გუკასიანი კი პირიქით თვლიდა, რომ ამ გრაფემით “მარტივი” **ქ** ბგერა აღინიშნებოდა (გუკასიანი 1969, 67).

ზ. ალექსიძისათვის ამ ასო-ბგერის ფონემური მნიშვნელობა უცნობია (ალექსიძე 2003, 91), თუმცა, იმავე ნაშრომში, დადგენილი ფონემების ჩამოთვლისას, იგი იზიარებს ანბანის სახელწოდებას (**ჟ**), მაგრამ ამის დასადასტურებლად არც ერთი მაგალითი არ მოჰყავს (ალექსიძე 2003, 151).

ჩვენი აზრითაც, აქ **ქ** ბგერა უნდა გვექონდეს. პალიმფსესტში ეს გრაფემა გვხვდება (**ქ**) და უეჭველად თანხმოვანს წარმოადგენს.

№9 **ჟ** “თას”. ამ გრაფემის ფონემური ღირებულება (**თ**) სპეციალისტთა შორის სადავო არ არის. ამაში ეჭვი შეაქვს მხოლოდ ი. გიპერტს.

ა. აბრამიანის აზრით, №9 ასო-ნიშანი (**ჟ**) ჰგავს გადაბრუნებულ ქართულ **ტ**-ს (? – რ. ლ.; აბრამიანი 1964, 29).

სინური პალიმფსესტის მასალა ანბანში მოცემულ ფონემურ მნიშვნელობას უეჭველად ადასტურებს (ალექსიძე 2003, 92).

№10 **ლ** “ჭა”. ა. აბრამიანისა (აბრამიანი 1964, 29) და გ. კლიმოვის (კლიმოვი 1984, 13; კლიმოვი 1990, 497) აზრით, ამ გრაფემის ფონემური მნიშვნელობა უნდა განისაზღვროს როგორც **ქ** ბგერა.

ს. მურავიოვი (მურავიოვი 1981, 257) და ი. გიპერტი ვარაუდობენ, რომ აქ გვაქვს ინტენსიური **ჭ**.

გ. გუკასიანის აზრით კი, ეს არის “მარტივი” **ჭ** ბგერა (გუკასიანი 1969, 67).

ზ. ალექსიძე სინურ პალიმფსესტში ამ გრაფემას ვერ ადასტურებს (ალექსიძე 2003, 92).

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ასო-ბგერა გვხვდება ეპიგრაფიკაში (წარწერა №2 შანდალზე და წარწერა №3 შანდალზე) და იგი სინურ პალიმფსესტშიც დავით მოწმეთ (**ლ**).

მატენადარანის ნუსხაში ჰ ასო-ბგერით აღმნიშნული სამი გრაფემა გვაქვს (№10, №19 და №27), რაც კავკასიის ალბანური ენის კონსონანტთა რიგების სისტემურობას არღვევს. ჩვენი ვარაუდით, №10 გრაფემა (ლ) ჰ-ს აღნიშნავს, მ (№27) – ჰ-ს, ხოლო №19 ზ უნდა შესწორდეს: იგი, ჩვენი აზრით, ან წ-ს აღნიშნავდა, ანდა წ ბგერას (იხ. №19 გრაფემის კომენტარი).

№11 **7** “ჟუდ”. ა. აბრამიანის აზრით, ამ გრაფემის მოხაზულობა (ლ) ზუსტი შესატყვისია ასომთავრულის Ⴇ ასო-ბგერის და, შესაბამისად, მისი ფონემური მნიშვნელობა უნდა იყოს ი. ამის მიუხედავად, ა. აბრამიანი ანბანში მოცემულ სახელწოდებას არ ცვლის (ძნელი ასახსნელია რატომ. ალბათ, მკვლევარს მიაჩნია, რომ ი და ჟ ერთი კვალიფიკაციის ბგერებია; – აბრამიანი 1964, 29).

ს. მურავიოვი მას შემდეგი ტრანსკრიფციით აღნიშნავს: ჟ/ჟ (მურავიოვი 1981, 257).

დანარჩენი სპეციალისტები იზიარებენ ანბანში მოცემულ ფონემურ მნიშვნელობას და ზ. ალექსიძე ამას უეჭველად ასაბუთებს (ალექსიძე 2003, 92).

№12 **T** “ჟა”. ა. აბრამიანის აზრით, სომეხ გადამწერებს აერიათ j და ძ. შესაბამისად, ამ გრაფემის სახელწოდება უნდა იყოს “ჯა” და ის ი ბგერის ფონეტიკური ვარიანტს წარმოადგენს (აბრამიანი 1964, 29).

ს. მურავიოვი არ ცვლის ანბანის სახელწოდებას (მურავიოვი 1981, 257).

ვ. გუკასიანის აზრით, აქ უნდა გვექონდეს ინტენსიური ჟ ბგერა (გუკასიანი 1969, 67).

გ. კლიმოვისთვის (კლიმოვი 1984, 13; კლიმოვი 1990, 497), ზ. ალექსიძისა (ალექსიძე 2003, 92-93) და ი. გიპერტისათვის ამ ასო-ნიშნის ფონემური მნიშვნელობა უცნობია.

პალიმფსესტის ტექსტში გვხვდება ამ გრაფემის ანალოგი – T (ალექსიძე 2003, 106) და ის, ჩვენი აზრით, ჟ ფონემას აღნიშნავს.

№13 **ყ** “ირბ”. ანბანში მოცემული ამ გრაფემის ფონემური მნიშვნელობა (ი) მკვლევართა შორის სადავო არ არის.

ა. აბრამიანი ამ ასო-ბგერასაც №11 გრაფემის ფონეტიკურ სახესხვაობად თვლის და მარცხნივ გადაბრუნებულ სომხურ **ქ**-ს ამსგავსებს (აბრამიანი 1964, 29).

პალიმფსესტის მასალით ხერხდება **ყ** გრაფემის ფონემური მნიშვნელობის დადგენა, ის უეჭველად **ი** ბგერას წარმოადგენს (ალექსიძე 2003, 93).

№14 **ბ** “შა”. ა. აბრამიანის აზრით, ამ შემთხვევაშიც გადამწერებს აერიათ ერთმანეთში 2 და 1. გრაფიკულად ამ ასო-ბგერას მკვლევარი ქართულ **ხ**-ს ამსგავსებს ზედა კაუჭის გარეშე და მისი სახელწოდება, როგორც ა. აბრამიანს მიაჩნია, არის “ლა” (აბრამიანი 1964, 29-30).

გ. კლიმოვისთვის უცნობია №14 ასო-ნიშნის ფონემური მნიშვნელობა და, ამასთანავე, გაუგებარია ამ ნიშნის გრაფიკული ფორმაც (კლიმოვი 1984, 13; კლიმოვი 1990, 497).

ვ. გუკასიანის აზრით, აქ გვაქვს **შ** ბგერა (გუკასიანი 1969, 67).

ს. მურავიოვის (მურავიოვი 1981, 257) და ი. გიპერტის ვარაუდით, ეს გრაფემა ინტენსიურ **შ**-ს აღნიშნავდა.

ზ. ალექსიძე კი, პირიქით, დარწმუნებულია, რომ აქ “მარტივი” **შ** ბგერა გვაქვს. ამის საილუსტრაციოდ წარმოდგენილია ორი მაგალითი სინური პალიმფსესტიდან: **ჟჟს** (ხაშ) “ნათელი” (შდრ. უდიური ხაშ “მთვარე”) და **ნკსყ** (ბეში) “ჩვენი” (შდრ. უდიური ბეში “id” – ალექსიძე 2003, 93). ერთი მაგალითიც მოცემულია 82-ე გვერდზე: **სო-ჟ** (შუ) “ღამე” (ალექსიძე 2003, 82).

ქვემოთ, №33 გრაფემის კომენტარში, რომელიც ზ. ალექსიძეს მიერ №14 ასო-ბგერის ფონეტიკურ სახესხვაობად მიიჩნევა (**შ**), მისი ფონემური ღირებულების დასამტკიცებლად მოყვანილია შემდეგი მაგალითები: **ჟჟჟ** (ხაშშ) “ნა-

თელი”; **ნკპუ** (ბეშტი) “ჩენი” და **პო-ჩ** (შუ) “ღამე” (აღექსიძე 2003, 99).

წარმოდგენილი მაგალითები მხოლოდ **სჷ** მონაცვლეობით განსხვავდებიან და, ამასთან ერთად, ერთნაირი ლექსიკური მნიშვნელობა აქვთ, რაც გაკვირვებას იწვევს. ზ. აღექსიძეს არ უცდია ამ ვითარებისათვის ნათელი მოეფინა. კონტექსტის გარეშე კი შეუძლებელია შემოწმდეს თითოეული ამ მაგალითებიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსაზულობით ეს გრაფემები ძლიერ განსხვავდება ერთმანეთისაგან და ძნელი წარმოსადგენია, ისინი ერთი ასო-ბგერის გრაფიკული ვარიანტები ყოფილიყვნენ. ტიპოლოგიურად, ალბანურთან ყველაზე ახლოს მდგომ ქართულსა და სომხურ ალფაბეტებში, როგორც წესი, თითოეული ასო-ბგერა ერთ კონკრეტულ ფონემას აღნიშნავს. შესაბამისად, ალბანურში **შ** ბგერის გადმოსაცემად ორი გრაფემის არსებობა ძნელი დასაშვებია.

ასევე ნაკლებად სავარაუდოა, რომ კავკასიის ალბანურს არ ჰქონდა ჩამოყალიბებული ლიტერატურული ნორმები და ისეთ ტექსტში, როგორიცაა საღვთო წერილი, მოხვედრილიყო დიალექტიზმები ან სხვა არანორმირებული ლექსიკა. ცნობილია, რომ ალბანურ ენაზე ითარგმნა მდიდარი საეკლესიო და საერო ლიტერატურა (მოვსეს კალანკატუაციის ცნობით ალბანეთის კათალიკოსი ვირო “განსაკუთრებით გაიწვრთნა სპარსული ენიდან თარგმნაში” – მოვსეს კალანკატუაცი 1983, 150: კორიუნის ცნობით კი, “ერემია ეპისკოპოსმა იწყო სასწრაფოდ საღმრთო წიგნების თარგმნა, რის გამოც ალუანქის ... ხალხი წინასწარმეტყველთა, სამოციქულოს და სახარების მცოდნენი გახდნენ და არ დარჩნენ რაიმე საღმრთო გარდამოცემის გარეშე” – კორიუნი 1962, 115-116).

ჩვენი აზრით, **ს შ**-ს აღნიშნავს, ხოლო **ჷ** გრაფემის ფონემური მნიშვნელობა უნდა იყოს **შ**. ამ მოსაზრებას ადასტურებს სინური პალიმფსესტის (N/Sin 13) 76r-77v ფურცელზე წარმოდგენილი ტექსტი, რომელიც ზ. აღექსიძის მიერ იდენტიფიცირებულია როგორც კორინთელთა 11, 23-27 (აღექსიძე 2003, 82). 25-ე მუხლში, სადაც პავლე მოციქული ამბობს “ღამე და დღე უფსკრულთა შინა დაგვაგ” ალბანურში გვაქვს: **სჷო-ჩჷო-ჩ** (ღი უნ შუ) “დღე და ღამე”, შდრ.

უდიური დი “დღე”; შუ “ღამე”.

ამ სიტყვაში ევბ. ჯეირანიშვილი ამოცმებს “ინტენსიურ” შ-ს: შუ “ღამე”. ამ ბგერის (შ) დისტინქციური ფუნქციის დასამტკიცებლად მკვლევარს მოჰყავს მინიმალური წყვილი: შუ “ღამე” – შუ “ვინ” (ჯეირანიშვილი 1971, 14).

შესაძლებელია, ამაში მდგომარეობდეს ზ. ალექსიძის მიერ მოყვანილი შუ//შუ მაგალითის მოჩვენებითი სინონიმის მიზეზი. შუ (შ) ასო-ბგერით გადმოცემული) კითხვით ნაცვალსახელს “ვინ”-ს უნდა აღნიშნავდეს.

ჩვენი აზრით, ამუამად კორელაცია ინტენსივობის მიხედვით უდიურს არ ახასიათებს და, შესაბამისად, ზემოჩამოთვლილი სიტყვები ომონიმებს წარმოადგენენ. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ კორელაცია ინტენსივობის მიხედვით, როგორც ჩანს, არ იყო დამახასიათებელი კავკასიის ალბანურისათვისაც, ხოლო სიბილანტთა აღნიშვნა ორ-ორი გრაფემით სხვა მიზეზებით იყო განპირობებული (ამის შესახებ საუბარი V თავში გვექნება).

ეჭვს აღძრავს ის, რომ №14 გრაფემა ლეზგიური ენებისათვის არადამახასიათებელ (როგორც სინქრონულ, ისე, საფიქრებელია, დიაქრონიულ დონეზეც) ხშირად ქმნის თანხმოვანთა კომპლექსებს სიტყვის აბსოლუტურ ანლაუტში, მაგ.: **ქსჯნჯყ** (კ[შ?]აბან) “უდაბნო” (ამოკითხულია ზ. ალექსიძის მიერ; ალექსიძე 2003, 154), შდრ. უდიური: ყავან/ყაბან “მინდორი”, “ღია სივრცე” [უდაბნოს გაგებითაც იხმარება]; **ნსკჯ** (ბ[შ?]ედ) “მზე”, შდრ. უდ.: ბედ “id”; **ჟსჯ** (პ[შ?]ა) “ორი”, შდრ. უდ.: პა “id”. ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ უდიურ ენაში ამდაგვარი კომპლექსები არ დასტურდება. კავკასიის ალბანურის თანხმოვნისა (შ?) და “მარტივი” ხმოვნის ნაცვლად უდიურში ოდენ “ფარინგალიზებული” ხმოვანი გვაქვს. ამ სიტყვებში ვერ აღვადგენთ სიბილანტს ასევე მონათესავე ენათა ჩვენების საფუძველზე. მეორეს მხრივ, ამ გრაფემას ვერანაირად ვერ მივიჩნებთ ხმოვნად. როგორც ჩანს, ამ ასო-ბგერას კავკასიის ალბანურში ორგვარი დანიშნულება ჰქონდა: გარკვეულ შემთხვევაში, ის მეორე რიგის სიბილანტს (შ) აღ-

ნიშნავდა, ხოლო გარკვეულ პოზიციაში (თანხმონის შემდეგ და ა ან ე ხმოვნის წინ) მხოლოდ ფარინგალიზაციაზე მიგვითითებდა.

№15 **ღ** “ღან”. ყველა სპეციალისტისათვის ეს არის **ღ** ფონემა.

ეს გრაფემა, ა. აბრამიანის აზრით, წარმოადგენს წინა (№14) ასო-ბგერის ფონეტიკურ ვარიანტს (აბრამიანი 1964, 30).

სინური პალიმფსესტის მასალა უეჭველად ადასტურებს ამ გრაფემის (**ღ**) ფონემურ მნიშვნელობას ანბანში წარმოდგენილი სახელწოდების მიხედვით (ალექსიძე 2003, 93).

№16 **ქ** “ინა”. ა. აბრამიანი მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაშიც სახელწოდებაში აღრეულია **ქ** და **ქა**. ეს ასო-ბგერა, მისი აზრით, ასომთავრულის **ქ**-ს ინვერსიას წარმოადგენს და, შესაბამისად, **ხ** ბგერას აღნიშნავს (აბრამიანი 1964, 30).

გ. კლიმოვისათვის მისი ფონემური მნიშვნელობა უცნობია; მისთვის ასევე არადამაჯერებელია მატენადარანის ხელნაწერში წარმოდგენილი ამ ასო-ბგერის გრაფიკული ფორმაც (კლიმოვი 1984, 13; კლიმოვი 1990, 497).

ი. გიპერტი მას მიიჩნევს **ი** ბგერის მსგავს სპეციფიკურ ალბანურ ფონემად.

ს. მურავიოვისათვის ეს არის ან ფარინგალიზებული **ი** ბგერა (სავაურადლოდ), ანდა ე.წ. ირაციონალური **ი** (მურავიოვი 1981, 258).

ვ. გუკასიანი კი დარწმუნებულია, რომ აქ გვაქვს ფარინგალიზებული **ი** ბგერა (გუკასიანი 1969, 67).

ზ. ალექსიძე №16 გრაფემის კომენტარისას აღნიშნავს, რომ სინურ პალიმფსესტში ეს გრაფემა არ დასტურდება (ალექსიძე 2003, 94), თუმცა მატენადარანის ხელნაწერისა და პალიმფსესტის გრაფემათა შედარებით ტაბულაში მოჰყავს მსგავსი მოხაზულობის ასო-ნიშანი: **ⱱ** (ალექსიძე 2003, 107).

მიუხედავად თვალსაჩინო მსგავსებისა, საეჭვოა ამ ნიშნის იდენტიფიკაცია ანბანის №16 გრაფემასთან. ეს გრაფემა, როგორც წესი, თანხმონებისათვის დამახასიათებელ ინტერვოკალურ პოზიციაში გვხვდება, მაგ., **ⱱ-ⱱⱱ** პო(?)ე “ხო-

ლო” (?) და, ჩვენი აზრით, ანბანის №24 უნდა იყოს.

№17 **ღ** “**ხმე**” ამ გრაფემის ფონეტიკურ შეფასებას, ანბანში მოცემული სახელწოდების მიხედვით (**ხ**), მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა არ გამოუწვევია.

ზ. ალექსიძე ერთადერთია, ვინც უცვლის მას ფონემურ მნიშვნელობას. მისი აზრით, ეს გრაფემა ფარინგალურ **ჭ** ბგერას აღნიშნავს. ამის საილუსტრაციოდ ზ. ალექსიძეს მოჰყავს შემდეგი მაგალითები: **ჩიბ** (ვიბ) “სამი”, **ჩიბე**

ლო-ჩე (ვიბარუნ) “მესამე” და **ჩიბ** (ვიპ) “ნათელი”, შდრ. უკანასკნელი მა-

გალითის ტრანსკრიფციას №14 გრაფემის კომენტარისას: **ხაშ** – ალექსიძე 2003, 93; და №33 გრაფემის კომენტარში: **ხაშ** (ალექსიძე 2003, 99). ზ. ალექსიძეს იმავე ნაშრომში ამ სიტყვის მეოთხე ტრანსკრიფციაც მოჰყავს: **ხაშ** (ალექსიძე 2003, 154). ასევე, ორგვარად მოცემულია ამ სიტყვის ალბანური დაწერილობა – **ჩიბ**

[გვ. 93, 94, 154] და **ჩიპ** [გვ. 99]. შემდგომ, დადგენილ ფონემათა ჩამოთვლისას,

ზ. ალექსიძე ამ ბგერას შემდეგი ტრანსკრიპციით აღნიშნავს – **ხ**, ანუ, უნდა დავასკვნათ, რომ მას **ხ** ბგერის რომელიმე ფონეტიკურ ვარიანტად მიიჩნევს და არა **ჭ** ფონემად (ალექსიძე 2003, 154). შესაბამისად, ამ ასო-ნიშნის ტრანსკრიფცია ნაშრომში სამ ვარიანტად გვხვდება: **ხ**, **ხ** და **ჭ**. აქ, უნდა აღინიშნოს, რომ №32 და №33 ასო-ბგერების ტრანსკრიფცია ასევე სამ ვარიანტადაა მოცემული: **ჭ**, **ჭ**, **ჯ**; **შ**, **შ**, **შ**. ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ ზ. ალექსიძის მონოგრაფიაში იშვიათი გამონაკლისების გარდა, არ არის წარმოდგენილი ალბანური “სპეციფიკური” ბგერების ზუსტი ფონემური კვალიფიკაცია.

ზ. ალექსიძის მიერ მოყვანილი მაგალითები არადამაჯერებელია. თუ ზემოთ წარმოდგენილ სიტყვებს უდიური ენის ანალოგიურ ლექსემებს შევუდარებთ, დავინახავთ, რომ უდიურში ყველგან **ჭ** ბგერის ნაცვლად გვაქვს უვულარული **ხ**: **ხიბ** “სამი”, **ხიბუნ/ხიბუმჯი** “მესამე”, **ხაშ** “მთვარე”. ზ. ალექსიძეს არ უცდია იმის ახსნა, თუ რა მიზეზით ცვლის ამ მაგალითებში **ხ** ფონემას ფარინ-

გალური 3 ბგერით.

ზ. ალექსიძის აზრით, პალიმფსესტში გვხვდება გრაფემა 1, რომელსაც არა აქვს ანალოგი მატენადარანის ნუსხაში და ის ხ ბგერას გადმოსცემს (ალექსიძე 2003, 151).

უნდა აღინიშნოს, რომ ამ გრაფემის ფორმა თითქმის არაფრით განსხვავდება ანბანის №17 ასო-ბგერის მოხაზულობისაგან (1). საფიქრებელია, რომ ეს ნიშნები ერთი ასო-ბგერის გრაფიკულ ვარიანტებს წარმოადგენდნენ.

ორივე ეს ვარიანტი უგულარულ ხ ბგერას აღნიშნავს. ამის შესახებ მეტყველებს მათი პარალელური ხმარება, როგორც მრავლობითი რიცხვის (-უხ), მიცემითი ბრუნვისა (-ახ) და აბლატივის (-ოხო[ც]) ფორმანტებში, ისე ზოგიერთი ლექსემის ფუძეში, მაგ: 10-12457-44-7 (ჭუახუნენ) “სარწმუნოებამ” (ხ გად-

მოცემულია №17 1 ასო-ბგერით: ებრ. 11, 17; N/Sin 13 5r)// 157-210-14

(ჭუახუნ) “სარწმუნო” (ხ გადმოცემულია მისი გრაფიკული ვარიანტით – 1 გრაფემით: ებრ. 3, 1; N/Sin 13 23r). მათ შორის ერთადერთი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ პირველ ფორმას მარცხენა ელემენტი შეკრული აქვს, ხოლო მეორეს – გახსნილი. საფიქრებელია, რომ პირველი გრაფიკული ფორმა (1) შედარებით ადრინდელი უნდა იყოს, შდრ. ასომთავრულის თითქმის იგივე მოხაზულობის მქონე გრაფემა – 4, რომელსაც ძველ ძეგლებში მარცხენა ელემენტი შეკრული ჰქონდა. საფიქრებელია, რომ ასეთივე პროცესი (თავშეკრულ გრაფემათა გახსნის) კავკასიის ალბანურშიც განვითარდა. ჩვენი აზრით, №17-ს შემთხვევაში ალბანური ლექციონარი გარდამავალ ეტაპს ასახავს; ამ გრაფემის ახალი ფორმა (1) უკვე გაჩნდა, მაგრამ ძველიც (1) ჯერ კიდევ გამოიყენება.

№18 1 “დან”. ა. აბრამიანის აზრით, ამ გრაფემის (1) პროტოტიპია №17 1 და, შესაბამისად, ის ხ ბგერის ფონეტიკურ სახესხვაობას წარმოადგენს. ა. აბრა-

მიანი ვარაუდობს, რომ გადამწერებს ამ შემთხვევაშიც აერიათ ე და ჯ და №18-ს სახელწოდება უნდა იყოს ჯღას “ხღან” (გაუგებარია, თუ რის საფუძველზე აღადგენს მკვლევარი ღ ბგერას ამ გრაფემის სახელწოდებაში; აბრამიანი 1984, 13).

გ. კლიმოვისათვის ამ ნიშნის ფონემური ღირებულება უცნობია (კლიმოვი 1984, 13; კლიმოვი 1990, 497).

ვ. გუკასიანი (გუკასიანი 1969, 67) და ს. მურავიოვი (მურავიოვი 1981, 258) არ ცვლიან ანბანში წარმოდგენილ სახელწოდებას. მათთვის ხ გრაფემა ღ ბგერას წარმოადგენს.

ი. გიპერტი მას ანბანის №4 გრაფემის ფონეტიკურ ვარიანტად განიხილავს.

ზ. ალექსიძე იზიარებს ვ. გუკასიანისა და ს. მურავიოვის მოსაზრებას. მასაც მიაჩნია, რომ №18 გრაფემა ღ ბგერას აღნიშნავს. ამის საილუსტრაციოდ ზ. ალექსიძეს ორი მაგალითი მოჰყავს: **ქღო-ღ** (ჰეროდ) – “ჰეროდე” (ბიბლიური საკუთარი სახელი) და **ხღო-ღ-ღ** (*ღიპუნ) “ეპისტოლე”. (ალექსიძე 2003, 94).

იქვე ზ. ალექსიძე გამოთქვამს ვარაუდს, რომ თავდაპირველად ეს გრაფემა ანბანში მეოთხე ადგილზე უნდა ყოფილიყო (ამის შესახებ იხ. №4 გრაფემის კომენტარი).

უნდა აღინიშნოს, რომ ზ. ალექსიძის მიერ მოყვანილი მაგალითებიდან პალიმფსესტის ტექსტში ვერ დაგვიმწმეთ პირველი მაგალითი, მეორე კი (ღიპუნ) ავტორის რეკონსტრუქციას წარმოადგენს და ამ სიტყვას უდიურში და თვისტომ ენებში შესატყვისი არა აქვს.

აქედან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ ამ ეტაპზე ამ ასო-ნიშნის ფონემური მნიშვნელობა დადგენილად ვერ ჩაითვლება (ამ გრაფემის შესაძლო ფონემური ღირებულების შესახებ იხ. წინამდებარე ნაშრომის V. 3).

№19 **ღ** “ჯად”. ა. აბრამიანის აზრით, გადამწერებს ამ გრაფემის (**ღ**) სახელწოდებაში ბ და ღ აერიათ და, შესაბამისად, ეს ასო-ნიშანი **წ** ბგერას უნდა აღნიშნავდეს (აბრამიანი 1981, 30).

ეს შეხედულება გაიზიარეს ს. მურავიოვმა (მურავიოვი 1981, 258) და გ. კლიმოვმა (კლიმოვი 1990, 497).

ამას არ ეთანხმება ვ. გუკასიანი. მისთვის ეს ასო-ბგერა შიშინა დენტოლა-ბიალიზებულ პრერუპტივს (**ჩ^o**) წარმოადგენს (გუკასიანი 1969, 67).

ზ. ალექსიძისათვის ამ გრაფემის ფონემური მნიშვნელობა უცნობია, თუმცა, მკვლევრის აზრით, ეს ასო-ბგერა მეტი ინტენსივობით უნდა ხასიათდებოდეს, რადგან მის სახელწოდებაში სომხური **ძ** ფიგურირებს (ალექსიძე 2003, 95).

ჩვენი აზრით, რომელიმე **ჭ**-ს აღმნიშვნელი გრაფემის **წ** ასო-ბგერად შესწორება აუცილებელია. მატენადარანის ხელნაწერის ანბანში, სამი **ჭ** ბგერის აღმნიშვნელი გრაფემა გვაქვს (**ღ, ზ, ჟ**), რაც კავკასიის ალბანურის სიბილანტთა რიგის სისტემურობას არღვევს და, პირიქით, ანბანში მხოლოდ ერთი **წ**-ს აღმნიშვნელი გრაფემა გვხვდება (ჩვენი აზრით, “მეორე რიგის” გრაფიკული კორელატები არა მხოლოდ შიშინა აფრიკატებს და სისინა და შიშინა სპირანტებს უნდა ჰქონოდა, არამედ სისინა აფრიკატებსაც; ამის შესახებ იხ. წინამდებარე ნაშრომის V. 3). ასეთი შესწორება (**ჭ > წ**), ჩვენი აზრითაც, **ზ** გრაფემის შემთხვევაში უნდა გაკეთდეს და ამის შესახებ მეტყველებს ზოგიერთი სავარაუდოდ ამოკითხული ფორმა, მაგ., **ზყ**(წი) “სახელი”, შდრ. უდ. წი “id”.

№20 **ღ** “ზოზ”. ა. აბრამიანი მიიჩნევს, რომ აქაც აღრეულია **ბ** და **გ**. მისი აზრით, ეს გრაფემა წინა (**წ**) ასო-ბგერის ფონეტიკურ ვარიანტს წარმოადგენს (აბრამიანი 1964, 30).

გ. კლიმოვისა (კლიმოვი 1984, 13; კლიმოვი 1990, 497) და ზ. ალექსიძისთვის (ალექსიძე 2003, 95) მისი ფონემური მნიშვნელობა უცნობია.

ვ. გუკასიანისა (გუკასიანი 1969, 67) და ს. მურავიოვის (მურავიოვი 1981, 258) აზრით კი, ეს გრაფემა ინტენსიურ **ზ**-ს აღნიშნავს.

საფიქრებელია, აქ გეჰონდეს **ზ** ბგერის “ფარინგალიზებული” ვარიანტი, მაგრამ შესაძლებლად მიგვაჩნია ისიც (თუმცა ეს ნაკლებად სავარაუდოა), რომ ამ ასო-ბგერით “მარტივი” **ზ** აღინიშნებოდეს (იხ. №6 გრაფემის კომენტარი).

№21 ლ “კარ”. სპეციალისტთა შორის ამ გრაფემის (ლ) ფონემური მნიშვნელობა სადაო არ არის.

გ. კლიმოვი ამას ეჭვქვეშ აყენებს თავის ერთ-ერთ ნაშრომში ალბანურის შესახებ (კლიმოვი 1984, 13), თუმცა მოგვიანებით, უკვე სრულიად იზიარებს დანარჩენ მკვლევართა მოსაზრებას (კლიმოვი 1990, 497).

განსხვავებული მოსაზრება ვ. გუკასიანმა გამოთქვა. მისი აზრით, ეს გრაფემა უკანაენისმიერთა რიგის პრერუპტივს (ქ) აღნიშნავს (გუკასიანი 1969, 67).

ზ. ალექსიძე სინური პალიმფსესტის მასალით ადასტურებს ლ გრაფემის ფონემურ ღირებულებას. ეს კ ბგერაა (ალექსიძე 2003, 95-96).

№22 მ “ლიტ”. ა. აბრამიანის აზრით, ამჯერადაც ჯ და L გრაფემათა აღრევასთან გვაქვს საქმე და, შესაბამისად, ამ გრაფემის სახელწოდებაა “ჰიტ” (აბრამიანი 1964, 31).

ს. მურავიოვი (მურავიოვი 1981, 258) და ი. გიპერტი ვარაუდობდნენ, რომ აქ გვაქვს სპეციფიკური (ლატერალური) ალბანური ფონემა.

ვ. გუკასიანის აზრით კი, აქ პალატალიზებული ლ ბგერა უნდა გვქონდეს (გუკასიანი 1969, 67).

გ. კლიმოვისთვის მისი მნიშვნელობა უცნობია (კლიმოვი 1984, 13, კლიმოვი 1990, 497).

სინურ პალიმფსესტში ეს გრაფემა დადასტურებული არ არის (ალექსიძე 2003, 96).

ჩვენ ვიზიარებთ ს. მურავიოვისა და ი. გიპერტის მოსაზრებას. საფიქრებელია, რომ ეს გრაფემა ერთ-ერთ ლატერალურ თანხმოვანს აღნიშნავდა (სავარაუდოდ ლ'-ს). ამჟამად ლეზგიურ ენებში (თუ არ ჩავთვლით არჩიბულს, რომელმაც ლატერალური ან შეინარჩუნა ხუნძურის გავლენით, ანდა ისეცხა ხუნძურისაგან) ლატერალური ლ დაფიქსირებულია მხოლოდ ხინალუღურ ენაში (დემერიევი 1959, 13; თუმცა, ზოგიერთი სპეციალისტისათვის ეს საკამათოა – თალიბოვი 1980), მაგრამ საერთოლეზგიურში ლატერალური უნდა არსებულიყო

(გიგინეიშვილი 1977; თალიბოვი 1980).

№23. **2** “ჰმტ”. მკვლევართა შორის ამ ასო-ბგერის (**1**) ფონეტიკურ შეფასებაში ანბანის მიხედვით არავის ეპარება ეჭვი გარდა გ. კლიმოვისა (კლიმოვი 1984, 13). მოგვიანებით ის იზიარებს დანარჩენ მკვლევართა მოსაზრებას ამ გრაფემის შესახებ (კლიმოვი 1990, 497).

განსხვავებული მოსაზრება ვ. გუკასიანმა გამოთქვა. მისი აზრით, აქ არა ლარინგალური **ჰ** ბგერა, არამედ ფარინგალური **ჰ** ბგერა უნდა გვექონდეს (გუკასიანი 1969, 67).

ა. აბრამიანს რატომღაც ამ ასო-ბგერის სახელწოდებად აღნიშნული აქვს არა Ⴢუთ “ჰმტ”, არამედ Ⴢჰუთ “ჰიტ” (აბრამიანი 1964, 31).

სინური პალიმფსესტის მასალით უეჭველად დადასტურდა **1** გრაფემის ფონემური ღირებულება. აქ გვაქვს **ჰ** ბგერა (ალექსიძე 2003, 96).

უნდა აღინიშნოს, რომ პალიმფსესტის **ჰ** ბგერის აღმნიშვნელი გრაფემა (**1**) საგრძნობლად განსხვავდება მატენადარანის ხელნაწერის ანბანის №23 **2** გრაფემისაგან, თუმცა, მიუხედავად ამისა, ჩვენ მხარს ვუჭერთ ამ იდენტიფიკაციას, გამომდინარე იქიდან, რომ სხვა ანალოგი ამ გრაფემისათვის მატენადარანის ნუსხაში არ გვაქვს.

№24 **4** “ჰაჲ”. ა. აბრამიანის ვარაუდით, გადამწერთა მიერ ამჯერადაც დაშვებულია შეცდომა, აღრეულია ერთმანეთში **h** და **ღ** და ამ გრაფემის სახელწოდება უნდა იყოს “**ღაჲ**” (აბრამიანი 1964, 31).

ს. მურავიოვისა (მურავიოვი 1981, 258) და ი. გიპერტის აზრით, ეს ასო-ბგერა წინა გრაფემის (**ჰ**) ფონეტიკურ ვარიანტს წარმოადგენს.

ვ. გუკასიანი მიიჩნევს, რომ აქ უნდა იყოს ლარინგალური **ჰ** ბგერა (გუკასიანი 1969, 67).

გ. კლიმოვისთვის ამ გრაფემის ფონემური მნიშვნელობა უცნობია (კლიმოვი 1984, 13; კლიმოვი 1990, 497).

ზ. ალექსიძე ვერ პოულობს ამ გრაფემის ანალოგს ლექციონარის ტექსტში

(ალექსიძე 2003, 96-97).

ეჭვს იწვევს ამ ასო-ბგერის მოხაზულობა მატენადარანის ხელნაწერში. პალიმფსესტში გვხვდება გრაფემა **ⴗ**, რომელიც შეჭველად **ⴑ** ბგერას აღნიშნავს და ანბანის №52 **ⴑ** ასო-ბგერასთან უნდა იყოს იდენტიფიცირებული (იხ. №52 გრაფემის კომენტარი). ძნელი წარმოსადგენია ალბანურში “ჯვრის” ერთ-ერთი ფორმის (crux immissa) მქონე ორი გრაფემა მოგვეპოვებოდეს. ჩვენი ვარაუდით, №24 ასო-ბგერა პალიმფსესტის **ⴗ** ნიშანთან უნდა იყოს იდენტიფიცირებული (იხ. №16 გრაფემის კომენტარი). საფიქრებელია, რომ სომეხმა გადამწერებმა დაამახინჯეს იგი, ანუ გააგრძელეს ამ გრაფემის ვერტიკალური ხაზი, რაც უჩვეულო არ უნდა იყოს.

ამ გრაფემის ფონემური მნიშვნელობის განსაზღვრა ძნელია. გამომდინარე იქიდან, რომ ეს გრაფემა ხშირად გვხვდება სიტყვის აბსოლუტურ დასაწყისში და მორფემათა გასაყარზე, მიგვაჩნია, რომ აქ **ⴑ** ბგერა უნდა გვექონდეს, რომელიც უდიურის გარდა, ყველა დანარჩენ ლეზგიურ ენაში დასტურდება.

№25 **ⴑ** “არ”. ა. აბრამიანი ამ ასო-ბგერას შემდეგი ტრანსკრიპციით აღნიშნავს **Ა** (მაშასადამე, უნდა ვივარაუდოთ, რომ მას უმლაუტირებულ **Ა** ხმოვნად მიიჩნევს; აბრამიანი 1964, 31).

გ. გუკასიანის აზრით, აქ უნდა გვექონდეს “მარტივი” **Ა** ბგერა (გუკასიანი 1969, 67).

ს. მურავიოვი კი თვლის, რომ ეს გრაფემა ფარინგალიზებულ **Ა** ბგერას წარმოადგენს (მურავიოვი 1981, 258).

გ. კლიმოვი, თავის უკანასკნელ ნაშრომში ალბანურის შესახებ, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეს ასო-ნიშანი **ⴑ** ბგერას აღნიშნავს (კლიმოვი 1990, 497).

ზ. ალექსიძეს მოჰყავს ამ გრაფემის გამოყენების მაგალითები ორ ბიბლიურ საკუთარ სახელში: **ⴗⴑⴑⴑ** (აბრამ) “აბრაამ” და **ⴗⴑⴑ** (ისაიკ) “ისააკ”. მისი აზრით, №25 გრძელ **Ა**-ს აღნიშნავს, “რომელიც შესაძლოა ახლოს იყოს “ჰა”-სთან” (ძნელი სათქმელია, რომელ ბგერას გულისხმობს აქ მკვლევარი; ალექსიძე

2003, 97).

ჩვენ ლექციონარის ტექსტში ეს სახელები შემდეგი ფორმით დავადასტურეთ: **ახსი** (აბრაჰამ) და **ყი** (ისაკ) (ებრაელთა 11, 17-19; N/Sin 13 5r-2v). ამ მაგალითებში ყველა ა ბგერა გადმოცემულია №1 **ა** გრაფემით. აქედან გამომდინარე, ძნელია დავეთანხმოთ ზ. ალექსიდის მოსაზრებას. ჩვენი ვარაუდით, №25 ასო-ნიშანი **ა**-ს უნდა აღნიშნავდეს.

ასევე ვერ დავეთანხმებით ზ. ალექსიდის მიერ შემოთავაზებულ **ა** ასო-ბგერის გრაფიკულ იდენტიფიკაციას მატენადარანის ხელნაწერის №25-თან. ეს გრაფემა უნდა იყოს №47 (იხ. №47 გრაფემის კომენტარი).

№26 **ა** “**ა**”. ამ გრაფემის (**ა**) სახელწოდებას მატენადარანის ხელნაწერის ანბანის ნუსხაში სპეციალისტები სხვადასხვაგვარად კითხულობდნენ:

ა. შანიძემ ამოიკითხა როგორც “**ა**” (შანიძე 1938, 38).

ბ. აბრამიანი სწორად მიიჩნევდა მის შემდეგნაირად წაკითხვას: “**ა**”. მისი აზრით, ამ ასო-ბგერის ფონეტიკური მნიშვნელობაა **ა**, რომელიც უღერადობით **ა** ბგერის მსგავსია (გაუგებარია, თუ რომელ ფონემას გულისხმობს აქ მკვლევარი; აბრამიანი 1964, 31).

გ. მურავიოვმა ამოიკითხა “**ა**” და, შესაბამისად, ამ გრაფემას ან ინტენსიურ **ა**-დ (სავარაუდოდ), ანდა **ა** ბგერად მიიჩნევს (მურავიოვი 1981, 258).

დ. გუკასიანი იზიარებს აკ. შანიძის მიერ შემოთავაზებული სახელწოდების წაკითხვის მართებულობას და თვლის, რომ ეს გრაფემა “**ა**” **ა** ბგერას უნდა აღნიშნავდეს (გუკასიანი 1969, 67).

ე. გიპერტიც ვარაუდობს, რომ აქ **ა** ბგერა გვაქვს.

ვ. კლიმოვისთვის ამ ასო-ნიშნის ფონემური მნიშვნელობა უცნობია (კლიმოვი 1984, 13; კლიმოვი 1990, 497).

ზ. ალექსიძე მართებულად აკ. შანიძეს წაკითხვას მიიჩნევს, თუმცა ამ გრაფემის ფონემური ღირებულება მისთვის უცნობია (ალექსიძე 2003, 97).

ჩვენც მხარს ვუჭერთ აკ. შანიძის ვარიანტს (იგი ა. ქურდიანის ხელნაწერშიც წარმოდგენილია ამდაგვარი ფორმით) და ჩვენი აზრით, ეს ასო-ბგერა ც-ს აღნიშნავს.

№27 **მ** “ჭი”. ყველა მკვლევართათვის მისაღებია სომხურ ხელნაწერთა ანბანის ჩვენება (ჭ).

განსხვავებული მოსაზრება მხოლოდ ვ. გუკასიანს გააჩნია. მისი ვარაუდით აქ უნდა გვქონდეს დენტოლაბიაზეებული აბრუპტივი ჭ° (გუკასიანი 1969, 67).

ზ. ალექსიძეს იმის საილუსტრაციოდ, რომ **ჟ** გრაფემა ჭ ბგერას აღნიშნავს, მოჰყავს ერთადერთი მაგალითი პალიმფსესტიდან: **ჟ-ყ-ო-ჩ-ო-ტ** ჭი-ნუსოც “ნათესავთაგან” (ალექსიძე 2003, 97).

ჩვენ ჯერჯერობით მხოლოდ ვარაუდად მივიჩნევთ სპეციალისტთა შეხედულებას. ამ ეტაპზე ამ გრაფემის ფონემური ღირებულება დადგენილად ვერ ჩაითვლება.

ზ. ალექსიძის მიერ მოყვანილი მაგალითის შესახებ უნდა ითქვას, რომ უდიურში ეს სიტყვა არ არის დამოწმებული. ეს ლექსემა მონათესავე ენებშიც ვერ დავადასტურეთ.

№28 **წ** “ჩაჲ”. ა. აბრამიანს მიაჩნდა, რომ ეს გრაფემა სომხური ე-ს ბადალ ფონემას აღნიშნავს (თუმცა მკვლევარი არ აზუსტებს, ამ ალბანურ გრაფემას რომელი პერიოდის სომხური ბგერის უღერადობა აქვს. ადრინდელი გრაბარის ლ ბგერისა, თუ გვიანდელი გრაბარისა და აშხარაბარის ლ ბგერის; აბრამიანი. 1964, 31).

ვ. გუკასიანი იზიარებს ანბანში წარმოდგენილ სახელწოდებას. ის მიიჩნევს, რომ აქ “მარტივი” ჩ ბგერა უნდა გვქონდეს (გუკასიანი 1969, 67).

ს. მურავიოვის აზრით კი, ეს ასო-ნიშანი ინტენსიურ ჩ ბგერას აღნიშნავს (მურავიოვი 1981, 258).

გ. კლიმოვისთვის ამ ასო-ბგერის ფონემური მნიშვნელობა უცნობია (კლიმოვი 1984, 13; კლიმოვი 1990, 497).

ზ. ალექსიძე №28 გრაფემის კომენტარში აღნიშნავს, რომ ეს ასო-ბგერა სინური პალიმფსესტში დადასტურებული არ არის (ალექსიძე 2003, 97-98).

ჩვენი აზრით, ეს ასო-ბგერა **ჩ**-ს უნდა აღნიშნავდეს.

№29 **ღ** “**მაკ**”. ყველა მკვლევარი მიიჩნევს, რომ სომხურ ხელნაწერთა ანბანში ამ გრაფემის (**ღ**) ფონეტიკური მნიშვნელობა გადმოცემულია სწორად.

სინური პალიმფსესტიდან მოყვანილი მაგალითებით ზ. ალექსიძე ადასტურებს, რომ ეს არის **მ** ფონემა (ალექსიძე 2003, 98).

№30 **რ** “**კარ**”. ა. აბრამიანის აზრით, სომხური ანბანთრიგის მიხედვით, ამ ადგილას უნდა იყოს **ღ** ბგერა, ანუ გადამწერებს ამჯერადაც აერიათ **կ** და **ქ** (აბრამიანი 1964, 31-32).

ს. მურავიოვი მიიჩნევს, რომ აქ ლაბიალიზებული **კ** უნდა იყოს (სავარაუდოდ), ანდა **ყ** (მურავიოვი 1981, 31).

გ. კლიმოვისთვის ამ გრაფემის ფონემური მნიშვნელობა უცნობია (კლიმოვი 1984, 13; კლიმოვი 1990, 497).

აკ. შანიძემ პირველმა განსაზღვრა ამ ასო-ბგერის სავარაუდო ფონემური მნიშვნელობა, როგორც **ყ** (შანიძე 1938, 33). ამ მოსაზრებას ვ. გუკასიანიც დაეთანხმა (გუკასიანი 1969, 63).

ზ. ალექსიძის აზრითაც, ეს ასო-ნიშანი (**ღ**) ფარინგალურ **ყ**-ს აღნიშნავს და ამის საილუსტრაციოდ მას მოჰყავს ერთი მაგალითი **ნო-ჩ-ღ-ხო-ჩ-ყ** (ბუყე-სუნ) “ყვარება” (ალექსიძე 2003, 98).

ეჭვი გვეპარება, “ყვარების” აღმნიშვნელი ზმნის მასდარი ასეთი სახის ყოფილიყო. “ყვარება” ზმნის აღმნიშვნელი ფორმები პალიმფსესტში იწარმოება მეშველი ზმნის დახმარებით: უსრული ასპექტისა – ბუყანა (სურვილი, -ან დერი-ვაციული სუფიქსია, წარმოშობით ნათესაობითის ან აბსოლუტივის ფორმანტია; შდრ. უდიური ბუყ-სუნ “ყვარება”) + მეშველი ზმნა “ყოფნა”; სრული ასპექტისა – ბუყანა + “კეთება”, მაგ.: **ნო-ჩ-ღ-ყ-ღ-ნ-ღ** (ბუყანა-ბა) “უყვარს” (ბა “ყოფნა”-პრ.);

ბო.ჩ.ჯ.ყ.ჯ.ნ.ყ.ჩ.ჩ.ჯ (ბუყანა-ბიძეს-ა) “შეყვარებას” (ბიძეს-ა “კეთება”-მასდ. I-მიც.); **ბო.ჩ.ჯ.ყ.ჯ.ნ.ყ.ჩ.ჯ** (ბუყანა-ბიძაჲ) “შეყვარდა” (ბიძაჲ “კეთება”-პერფ.); **ბო.ჩ.ჯ.ყ.ჯ.ნ.ყ.ჩ.ჯ** (ბუყანა-ბიძან) “შეყვარე” (ბიძან “კეთება”-ბრძ.).

ვფიქრობთ, რომ ალბანურ ლექციონარზე დაყრდნობით, ამ გრაფემის ფონემური მნიშვნელობა (ყ) დადგენილად უნდა ჩაითვალოს.

№31 **ყ** “ნუც”. ანბანში მოცემული სახელწოდება მისაღებია ყველა სპეციალისტისათვის. ა. აბრამიანი ამ ასო-ბგერის (ყ) გრაფიკულ პროტოტიპად სომხურ ს-ს მიიჩნევს (აბრამიანი 1964, 32).

ზ. ალექსიძე სინური პალიმფსესტიდან მოყვანილი მასალით ამტკიცებს, რომ ეს გრაფემა ნ ბგერას აღნიშნავდა (ალექსიძე 2003, 98-99).

№32 **ქ** “ჯაჲ”. ა. აბრამიანი შემდეგ სამ გრაფემას (№32-34) შ ბგერის ფონეტიკურ ვარიანტებად განიხილავს (აბრამიანი 1964, 32).

ს. მურავიოვის აზრით, №32 და №34 ასო-ნიშნები ჯ-ს აღნიშნავს, თუმცა არ იცის, თუ რომელი მათგანია ინტენსიური ბგერა (მურავიოვი 1981, 258).

ვ. გუკასიანი კი დარწმუნებულია, რომ აქ “მარტივი” ჯ ბგერა გვაქვს (გუკასიანი 1969, 67).

გ. კლიმოვისა (კლიმოვი 1984, 13; კლიმოვი 1990, 497) და ი. გიპერტისათვის ამ ასო-ნიშნის ფონემური მნიშვნელობა უცნობია.

ზ. ალექსიძის აზრით კი, ამ გრაფემით ჭ ბგერა გადმოიცემოდა. ამის დასამტკიცებლად მას მოჰყავს ერთადერთი მაგალითი – **ბო.ჩ.ყო.ჩ.ქ** (მუჭურ) “სუფთა”, “წმინდა”; შდრ. უდიური მუჭურ “ნათელი”, “სუფთა”, “მოწმენდილი” [ცაზე ითქმის]. ამასთან ერთად, მკვლევარი არ აზუსტებს თუ რომელი გრაფემა (№27 ან №32) უდრიდა უღერადლობით ქართულ და სომხურ ჭ ბგერას (ალექსიძე 2003, 99).

ქვემოთ, იმავე ნაშრომში მკვლევარი განსაზვრავს ამ გრაფემის ფონემურ

მნიშვნელობას, როგორც ჯ ბგერას (ალექსიძე 2003, 151). ამის შემდეგ, **ჟ** გრაფემას სხვა ტრანსკრიფციით წარმოგვიდგენს – მუჭურ (ჭ; უნდა ვივარაუდოთ, რომ მას ჭ ბგერის რომელიმე ფონეტიკურ ვარიანტად მიიჩნევენ; ალექსიძე 2003, 155).

ჩვენი აზრით, ზ. ალექსიძის მიერ პალიმფსესტის **ჟ** გრაფემისა და მატენდარანის ხელნაწერის №32 ასო-ბგერის იდენტიფიკაცია ერთმანეთთან (ალექსიძე 2003, 108) არამართებულია. გრაფემა, რომელიც ანბანის №32-ს ანალოგი უნდა იყოს, სავარაუდოდ, დადასტურებულია ეპიგრაფიკაში, კერძოდ, წარწერაში №2 კრამიტის ნატეხზე. ზ. ალექსიძის მიერ მოყვანილი გრაფემა კი, ჩვენი აზრით, უნდა იყოს ანბანის №48 **ლ**. აქედან გამომდინარე, ამ გრაფემის (№32) ფონემური მნიშვნელობა დადგენილად ვერ ჩაითვლება. ზ. ალექსიძის მიერ მოყვანილი მაგალითის ამოკითხვა არადამაჯერებელია. ჩვენი აზრით, ამ სიტყვაში სისინა აბრუპტიული აფრიკატი უნდა გვქონდეს, რის შესახებაც თვისტომი ენების (მათ შორის – უდიურის) ჩვენება მეტყველებს, შდრ., კავკასიის ალბ. *მუწურ “წმინდა” და ს.-დად. *ბა-წა-ად (გიგინეიშვილი 1977, 107); უდ. აწარ (< *მაწარ); აღ. მარ-ტა-ეჯ; თაბ. მარ-ტა-ი, მარ-ძ-ი; დარგ. უმუ-ზ-ი; ლაკ. მარ-ტა-სა; ხუნდ. ბა-წა-ად-აბ; ანდ. ბერ-წა-ომ; ახვ. მა-წა-დაბე; ბავგ. ბა-წ-არ-აბ; ტინდ. ბა-ტა-ად-აბ, ბეუ. და^ნ-ტ-ომო “სუფთა”, “წმინდა”, შდრ. აგრეთვე საკ. დიდ. ბო-ტტ-წი “გაწმენდილი” და უდ. მაწი “თეთრი”... ეს ადასტურებს **ჟ** გრაფემის იდენტიფიკაციას მატენდარანის ნუსხის №48 “წაჯ” ასო-ბგერასთან.

ჩვენი ვარაუდით, №32 და №34 ასო-ნიშნები ჯ და ჯა ბგერებს აღნიშნავდნენ, თუმცა ეს გრაფემები არ შეგვხვედრია ისეთ სიტყვაში, რომ შესაძლებელი ყოფილიყო თითოეული მათგანის ზუსტი ფონემური მნიშვნელობის დადგენა.

№33 **წ** “მაქ”. ამ გრაფემის (**წ**) ფონეტიკური მნიშვნელობა (**წ**) მკვლევართა შორის სადავო არ არის. მხოლოდ ზ. ალექსიძე და ვ. გუკასიანი მიიჩნევენ მას **წ** ბგერის განსხვავებული უღერადობის მქონე ვარიანტად: **წ** (ალექსიძე

2003, 99) და შ (გუკასიანი 1969, 67; ამ ასო-ბგერის შესახებ იხ. №14 გრაფემის კომენტარი).

№34 **ღ** “ჯაღნ”. ვ. გუკასიანი აქ დენტოლაბიალიზებულ ჯ^o ბგერას აღადგენს (გუკასიანი 1969, 67).

გ. კლიმოვისა (კლიმოვი 1984, 13; კლიმოვი 1990, 497) და ი. გიპერტისათვის ამ გრაფემის მნიშვნელობა უცნობია (ა. აბრამიანისა და ს. მურავიოვის მოსაზრებათა შესახებ იხ. №32 გრაფემის კომენტარი).

ზ. ალექსიძე ამ ასო-ბგერის კომენტარში აღნიშნავს, რომ ის არ გვხვდება ალბანური ლექციონარის ტექსტში (ალექსიძე 2003, 99-100), თუმცა მატენადარანის ხელნაწერისა და პალიმფსესტის გრაფემათა შედარებით ტაბულაში მოჰყავს მსგავსი მოხაზულობის ნიშანი ალბანური ლექციონარიდან: **ღ** (ალექსიძე 2003, 108).

ჩვენი აზრით, ამ ასო-ნიშნის იდენტიფიკაცია ანბანის №34 გრაფემასთან შესაძლებელია, თუმცა, ის აგრეთვე შეიძლება ანბანის №4 ასო-ბგერა იყოს (№34 გრაფემის ფონემური მნიშვნელობის შესახებ იხ. №32 გრაფემის კომენტარი).

№35 **ო** “უნ”. ამ გრაფემის (**ო-**) უ ბგერის აღმნიშვნელ დიაკრიტიკაში (**ო-ი**) გამოყენების გამო, ყველა სპეციალისტისათვის ცხადია, რომ ანბანში გვაქვს შეცდომა და ეს **ო** ასო-ბგერა უნდა იყოს.

ეს შეცდომა პირველმა აკ. შანიძემ შეამჩნია და აღნიშნა: “Трудно судить, почему буква О названа ОI” (შანიძე 1938, 16).

სინური პალიმფსესტის აღმოჩენის შემდეგ ყოველივე ეს საბოლოოდ დადასტურდა (ალექსიძე 2003, 100).

№36 **ჳ** “ტაჳ”. ამ და მომდევნო სამ გრაფემასაც (№36-39) ა. აბრამიანი ჩ ბგერის ფონეტიკურ ვარიანტებად განიხილავს. მისი აზრით, გადამწერს უცნაურად მოეჩვენა, რომ ერთმანეთის გვერდით ჩამოწერილი იყო ოთხი “ჩ” და ისინი შეასწორა ისე, როგორც შემოგვინახა მატენადარანის ხელნაწერმა (sic!; აბრამიანი 1964, 32).

ვ. გუკასიანის აზრით, აქ **თ** უნდა გვქონდეს (გუკასიანი 1969, 67).

გ. კლიმოვისთვის ამ გრაფემის ფონემური მნიშვნელობა უცნობია (კლიმოვი 1984, 13; კლიმოვი 1990, 497).

ს. მურავიოვისა (მურავიოვი 1981, 258) და ი. გიპერტის აზრით, ეს ასონიშანი **ტ** ფონემის ვარიანტი უნდა იყოს.

ზ. ალექსიძე №36 გრაფემის კომენტარისას აღნიშნავს, რომ სინურ პალიმფსესტში ამ ნიშანთან მიახლოებული ასო-ბგერაც არ გვხვდება (ალექსიძე 2003, 100), თუმცა შემდგომ მოჰყავს ასო-ნიშანი **ლ** (ალექსიძე 2003, 109), რომლის იდენტიფიკაცია ანბანის №36 გრაფემასთან, ჩვენი აზრით, შესაძლებელია (ამ გრაფემის სავარაუდო ფონემური მნიშვნელობის შესახებ იხ. წინამდებარე ნაშრომის V. 3.).

№37 **ქ** “**ხამ**”. ა. აბრამიანი ამ გრაფემას გადაბრუნებულ სომხურ ჯ-ს ამსგავსებს და, შესაბამისად, მას **ჩ** ფონემად თვლის (აბრამიანი 1964, 32).

თავის ბოლო ნაშრომში ალბანურის შესახებ ეს შეხედულება გ. კლიმოვმა გაიზიარა (კლიმოვი 1990, 497).

ვ. გუკასიანის აზრით კი, აქ ფარინგალური **ჭ** ბგერა უნდა გვქონდეს (გუკასიანი 1969, 67).

ს. მურავიოვის აზრით, ეს გრაფემა ან ინტენსიურ **ხ**-ს, ანდა **ღ** ბგერას აღნიშნავს (მურავიოვი 1981, 258).

ზ. ალექსიძე, ჩვენი აზრით, უმართებულოდ აიგივებს სომხურ ხელნაწერთა ანბანის №37-ს პალიმფსესტის **ღ** ბგერის აღმნიშვნელ **წ** გრაფემასთან (ალექსიძე 2003, 100-101).

ალბანური ლექციონარის ტექსტში გვხვდება სხვა გრაფემა – **ქ** (ალექსიძე 2003, 109), რომელიც თითქმის იდენტურია ანბანის №37 ნიშანთან, ხოლო ზ. ალექსიძის მიერ მოყვანილი გრაფემა **წ** უნდა იდენტიფიცირებულ იქნას მატენადარანის ნუსხის №41 ასო-ბგერასთან.

ჩვენი აზრით, №37 გრაფემა ჯ ბგერას უნდა აღნიშნავდეს.

№38 ზ “ძაღ”. ვ. გუკასიანისთვის (გუკასიანი 1969, 67) და ს. მურავიოვისთვის (მურავიოვი 1981, 259) მისაღებია მატენადარანის ნუსხაში წარმოდგენილი სახელწოდება.

გ. კლიმოვისა (კლიმოვი 1984, 13; კლიმოვი 1990, 497) და ი. გიპერტისათვის ამ ასო-ნიშნის ფონემური მნიშვნელობა უცნობია.

ზ. ალექსიძე ამ ასო-ბგერის კომენტარში აცხადებს, რომ ის არ გვხვდება ალბანური ლექციონარის ტექსტში (ალექსიძე 2003, 101), თუმცა მატენადარანის ხელნაწერისა და პალიმფსესტის გრაფემათა შედარებით ტაბულაში მოყვანილია გრაფემა ლ (ალექსიძე 2003, 108), რომლის იდენტიფიკაცია ანბანის №38 ასო-ბგერასთან, ჩვენი აზრით, შესაძლებელია.

ჩვენი ვარაუდით, ეს გრაფემა ძ//ძს აღნიშნავდა. სინურ პალიმფსესტში ჩვენ დავადასტურეთ სიტყვა ლაღო ძე-მ-ო “ქვა”-O-GEN (2 კორინთელთა 11, 25; N/Sin 13 76r-77v) – შდრ. უდიური ჟე//ჟე “ქვა” (ევგ. ჯეირანიშვილის მიხედვით ჟე; იხ. №14 გრაფემის კომენტარი). ამ სიტყვის ისტორია ასე წარმოგვიდგება: ძე > ჯე (სისინა ბგერის გადასვლა შიშინაში) > ჟე (დეზაფრიკატიზაცია). ვფიქრობთ, ლ გრაფემა ფარინგალიზებულ ალოფონსაც აღნიშნავს, რასაც ადასტურებს უდიური ფორმა ჟე.

ძ ბგერა უდიურის მსგავსად, დეზაფრიკატიზაციას, როგორც ჩანს, კავკასიის ალბანურშიც განიცდის. ამჟამად უდიურში ძ აფრიკატი დაფიქსირებულია მხოლოდ ნასესხებ სიტყვებში (ევგ. ჯეირანიშვილი ამ ფონემას სულ ოთხ სიტყვაში აფიქსირებს: ძაბრი “ძაბრი”, ხაძალ “ფოთოლი”. მანძილ “მანძილი” და ღანძილ “ღანძილი”. ოთხივე მაგალითში მას ფაკულტატურად ზ სპირანტი ენაცვლება – ჯეირანიშვილი 1971, 13).

№39 ზ “ჩაღ”. ს. მურავიოვი იზიარებს ანბანში წარმოდგენილ ამ გრაფემის სახელწოდებას (მურავიოვი 1981, 259).

ი. გიპერტს ამაში გარკვეულწილად ეჭვი ეპარება.

ვ. გუკასიანის აზრით კი, აქ **ჩ** უნდა გვექონდეს (გუკასიანი 1969, 67).

გ. კლიმოვისთვის ამ ასო-ნიშნის ფონემური მნიშვნელობა უცნობია (კლიმოვი 1984, 13; კლიმოვი 1990, 497).

ზ. ალექსიძე ასაბუთებს, რომ ამ გრაფემით (**ჲ**) **ჩ** ფონემა აღინიშნებოდა (ალექსიძე 2003, 101).

№40. **ჲ** “პენ”. ამ გრაფემის (**ჩ**) ფონემურ მნიშვნელობას (პ) მკვლევართაგან ეჭვქვეშ არაფერია აყენებს, და ამასვე უეჭველად ადასტურებს სინური პალიმოფსესტის მასალა (ალექსიძე 2003, 101-102). მხოლოდ ვ. გუკასიანი მიიჩნევს, რომ აქ პრერუპტივი **ფ** უნდა გვექონდოდა (გუკასიანი 1969, 67).

№41 **ჲ** “ფეს”. ა. აბრამიანი გამომდინარე სომხურის ანბანთრიგიდან ვარაუდობს, რომ ეს გრაფემა (**ჲ**) **ჟ**-ს უნდა აღნიშნავდეს. მისი გრაფიკული პროტოტიპი კი, როგორც მკვლევარს მიაჩნია, უნდა იყოს სომხური **ღ** ინვერსიულ მდგომარეობაში (აბრამიანი 1964, 32-33).

ამ მოსაზრებას ვ. კლიმოვიც იზიარებს (კლიმოვი 1990, 497).

ვ. გუკასიანის აზრით, აქ ბავისმიერთა რიგის აბრუპტივი (**ჰ**) უნდა გვექონოდა (გუკასიანი 1969, 67).

ს. მურავიოვი ნაწილობრივ ეთანხმება ამ მოსაზრებას. მისი ვარაუდით, ეს გრაფემა ინტენსიურ **ჰ**-ს აღნიშნავს (მურავიოვი 1981, 259).

ზ. ალექსიძის აზრით, ეს გრაფემა პალიმოფსესტში არ გვხვდება (ალექსიძე 2003, 102; ამ ასო-ბგერის შესახებ იხ. №37 გრაფემის კომენტარი).

№42 **ღ** “კატ”. ა. აბრამიანის აზრით, ეს გრაფემა (**ღ**) სომხური **ღ**-ს ბადალ ბგერას აღნიშნავს (აბრამიანი 1964, 33).

ვ. კლიმოვისა (კლიმოვი 1984, 13; მისივე 1990, 497) და ი. გიპერტის აზრით კი აქ გვაქვს სომხური **ღ**-ს (**ღ**) და არა **ღ**-ს (**ღ**) იდენტური ქდერადობის ბგერა.

არ ცვლის ანბანში წარმოდგენილ სახელწოდებას ვ. გუკასიანი. მისთვის

ეს გრაფემა უკანაენისმიერთა რიგის აბრუპტივია: კ (გუკასიანი 1969, 67).

ს. მურავიოვი მიიხნევს, რომ ეს გრაფემა ლაბიალიზებულ ყო-ს (სავარაუდოდ) ან კო-ს აღნიშნავს (მურავიოვი 1981, 259).

ზ. ალექსიძე იზიარებს გ. კლიმოვისა და ი. გიპერტის მოსაზრებას. მას სინური პალიმფსესტიდან მოჰყავს მაგალითები, რომლებიც ამტკიცებს, რომ აქ საქმე ნამდვილად რ ფონემასთან გვაქვს (ალექსიძე 2003, 102).

№43 ლ “სტკ”. ყველა სპეციალისტმა გაიზიარა ანბანში მოცემული მნიშვნელობა (ს), რასაც ნაწილობრივ ვ. გუკასიანი არ დაეთანხმა. მისი აზრით, აქ ინტენსიური ს უნდა გვექნოდნა (გუკასიანი 1969, 67).

ამ გრაფემის (ჰ) ფონემური მნიშვნელობა როგორც ს ბგერა დადასტურდა ალბანური ლექციონარის მასალით (ალექსიძე 2003, 102-103).

№44 ლ “ვზ”. ა. აბრამიანი ამ გრაფემის (ჰ) ფონემურ მნიშვნელობას წარმოგვიდგენს როგორც ჟ ბგერას (აბრამიანი 1964, 33).

თავის უკანასკნელ ნაშრომში ალბანურის შესახებ ეს მოსაზრება გ. კლიმოვმაც გაიზიარა (კლიმოვი 1990, 497).

ვ. გუკასიანი (გუკასიანი 1969, 67), ს. მურავიოვი (მურავიოვი 1981, 256) და ი. გიპერტი ეთანხმებიან ანბანში მოცემულ ფონემურ მნიშვნელობას (ვ), რასაც ზ. ალექსიძე სინური პალიმფსესტიდან მოყვანილი მაგალითებით ადასტურებს (ალექსიძე 2003, 103).

№45 ლ “ტივრ”. გ. კლიმოვის გარდა, რომელიც ეჭვქვეშ აყენებდა ამ გრაფემის ფონემურ ღირებულებას (კლიმოვი 1984, 14), ყველა დანარჩენი სპეციალისტისათვის ეს არის ტ ბგერა. თავის გვინდელ ნაშრომში ალბანურის შესახებ ეს მოსაზრება გ. კლიმოვმაც გაიზიარა (კლიმოვი 1990, 497).

უნდა აღინიშნოს, რომ მატენადარანის ხელნაწერში №45 ასო-ბგერას ძალზე დამახინჯებული ფორმა აქვს, მაგრამ, მასთან შესაძლებელია პალიმფსესტის ერთ-ერთი გრაფემის (ჰ) დაკავშირება და ის უეჭველად ტ ფონემას აღ-

ნიშნავს (ალექსიძე 2003, 103).

№46 **8** “სოფ”. ა. აბრამიანის აზრით, ეს გრაფემა წინა ასო-ბგერის (ტ) ფონეტიკურ ვარიანტს წარმოადგენს (აბრამიანი 1964, 33).

ვ. გუკასიანის ვარაუდით, აქ “მარტივი” ს ბგერა უნდა გვექონდეს (გუკასიანი 1969, 67).

ს. მურავიოვი კი პირიქით მიიჩნევს, რომ აქ ინტენსიური ს ბგერა გვაქვს (მურავიოვი 1981, 259).

გ. კლიმოვისა (კლიმოვი 1984, 13; მისივე 1990, 497) და ზ. ალექსიძესათვის (ალექსიძე 2003, 103-104) ამ ასო-ნიშნის ფონემური მნიშვნელობა უცნობია.

ჩვენი აზრით, **ჭ** გრაფემა, სიბილანტთა მეორე რიგს უნდა მივაკუთვნოთ.

№ 47 **ს** “იონ”. ა. აბრამიანის აზრით, ეს გრაფემა რ ბგერას აღნიშნავს, როგორც სომხური რ (აბრამიანი 1964, 33).

ამ მოსაზრებას ვ. გუკასიანიც დაეთანხმა (გუკასიანი 1969, 67).

ს. მურავიოვის აზრით, აქ ან ე.წ. ირაციონალური გ უნდა გვექონოდა, ანდა ფარინგალიზებული ი (მურავიოვი 1981, 259).

გ. კლიმოვს მიაჩნია, რომ ეს გრაფემა ფარინგალიზებულ ი ბგერას აღნიშნავს (კლიმოვი 1984, 13; კლიმოვი 1990, 497).

ზ. ალექსიძე ვერ პოულობს №47-ს შესატყვის გრაფემას პალიმფსესტში (ალექსიძე 2003, 104).

ჩვენ ამ შემთხვევაში ვიზიარებთ გ. კლიმოვის მოსაზრებას. ამის შესახებ მეტყველებს ის, რომ მატენადარანის ხელნაწერის ანბანში №25 **ს** და №48 **ს** გრაფემების მოსაზრება თითქმის იდენტურია. ასეთივე მსგავსება, ჩვენი ვარაუდით, პალიმფსესტის შესაბამის გრაფემებსაც უნდა ახასიათებდეს. საფიქრებელია, რომ ამ გრაფემას **ს** (№47) ზ. ალექსიძე შეცდომით აიგივებს №25-თან (მით უფრო, რომ №25 ასო-ბგერის ფონემური კვალიფიკაცია საეჭვოდ მოჩანს – იხ. №25 გრაფემის კომენტარი). ნიშანი, რომელიც ზ. ალექსიძეს №25 **ს** ჰგონია,

Ⓐ (ჟ) დიაკრიტიკასთან თავისი ხშირი გამოყენების გამო, პარალელიზმს ავლენს ო ბგერის აღმნიშვნელ **Ⓐ** გრაფემასთან (**Ⓐ** დიგრამას, რომელიც ალბანურ ხელნაწერ და ეპიგრაფიკულ მასალაში ძალზე გავრცელებულია და ზოგიერთ “მარტივ” ხმოვანს აღემატება თავისი გამოყენებით, ზ. ალექსიძე, ჩვენი აზრით, შეცდომით **Ⓐ** დიფთონგად მიიჩნევს; ალექსიძე 2003, 151).

ჩვენი აზრით, **Ⓐ** გრაფემა ო ბგერას აღნიშნავს, ხოლო დიგრამა **Ⓐ** – “ფარინგალიზებულ” უ-ს, მაგ., **Ⓐ** (უხ) “ექესი”; შდრ. უდიური **Ⓐ** “ექესი”.

№48 **Ⓐ** “წავ”. ამ და მომდევნო გრაფემას (№48-49) ა. აბრამიანი **Ⓐ** ფონემის ვარიანტებად მიიჩნევს (აბრამიანი 1964, 33).

გ. გუკასიანი იზიარებს ანბანში წარმოდგენილ სახელწოდებას. მისთვის ეს სისინა აფრიკატთა რიგის აბრუპტივია: **Ⓐ** (გუკასიანი 1969, 67).

ეს აზრი ი. გიპერტმა გაიზიარა.

ს. მურავიოვი აქ აღადგენს **Ⓐ** ფონემას (მურავიოვი 1981, 259).

გ. კლიმოვისთვის ამ გრაფემის ფონემური მნიშვნელობა უცნობია (კლიმოვი 1984, 13; კლიმოვი 1990, 497).

ზ. ალექსიძის აზრით, სინურ პალიმფსესტში ანბანის №48-ს ანალოგი არ გვხვდება (ალექსიძე 2003, 104).

ჩვენ აზრით, ალბანური ლექციონარში ეს ასო-ნიშანი გვხვდება – **Ⓐ** და მისი ფონემური მნიშვნელობა უნდა იყოს **Ⓐ** (იხ. №32 გრაფემის კომენტარი).

№49 **Ⓐ** “ცაჲნ”. ი. გიპერტის გარდა, რომელიც ეჭვქვეშ აყენებდა ამ გრაფემის ფონემურ ღირებულებას, ყველა დანარჩენი სპეციალისტისათვის ეს არის **Ⓐ** ბგერა.

გ. გუკასიანი აზუსტებს, რომ აქ სისინა აფრიკატთა რიგის პრერუპტივი **Ⓐ** უნდა გვქონდეს (გუკასიანი 1969, 67).

ზ. ალექსიძეც ამ გრაფემას (**Ⓐ**) **Ⓐ** ბგერის აღმნიშვნელად მიიჩნევს და ამის

საილუსტრაციოდ მოჰყავს მაგალითები: **ჩყჩყო-ჩყო-ტ** (დიპნუხოც) ”ეპის-ტოლეთაგან”, **ჯნანქო-ჩანქო-ტ** (აბაზაკულოხოც) “ავაზაკთაგან” (ალექსიძე 2003, 104).

უნდა აღინიშნოს, რომ ორივე მაგალითში **ც** ბგერა აბლატივის ფორმანტში გვხვდება: **-ო(ც)//-ოხო(ც)**. უდიურის იმავე აფიქსში ეს ბგერა არ დასტურდება; შდრ. უდიურის აბლატივის მაწარმოებელი: **-ახ-ო// -ოხ-ო**.

ტ გრაფემის ფონემური მნიშვნელობის დადგენა შეუძლებელია ლეზგიური და სხვა მონათესავე ენების მონაცემთა გამოყენებითაც. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ამ გრაფემის ფონემური მნიშვნელობის დადგენა სხვა სახის, უტყუარ მაგალითებზე უნდა იყოს დაფუძნებული.

№50 **ჩ** “**ჯაჯღ**”. ამ გრაფემის (**ჩ**) უ და **ჭ** ბგერების აღმნიშვნელ დიგრამებში (**ო-ჩ**; **სჩ**) გამოყენების გამო, ყველა მკვლევრისათვის აშკარაა, რომ ანბანში გვაქვს შეცდომა და ეს ნიშანი **ჭ**-ს უნდა გადმოსცემდეს.

ამ აზრს, მხოლოდ ი. გიპერტი არ იზიარებს და ტოვებს ანბანში წარმოდგენილ სახელწოდებას (**ღ**).

სინურ პალიმფსესტში ეს გრაფემა გვხვდება ცალკეც და **ო- (ო)//ს (ო)** ასო-ბგერებთან კომბინაციაშიც. იმ შემთხვევებში, როცა ეს ნიშანი ცალკეა გამოყენებული, მისი ფონემური მნიშვნელობა უნდა განისაზღვროს როგორც **ჭ** ბგერა, რის შესახებაც პალიმფსესტის მასალა მეტყველებს (ალექსიძე 2003, 105).

№51 **ყ** “**ფიჯრ**”. ა. აბრამიანი (აბრამიანი 1964), ვ. გუკასიანი (გუკასიანი 1969, 67) და ს. მურავიოვი (მურავიოვი 1981, 259) იზიარებენ ანბანში მოცემულ სახელწოდებას.

ი. გიპერტს ამაში ეჭვი ეპარება.

გ. კლიმოვის აზრით, ეს გრაფემა **ჭ** ბგერას აღნიშნავს (კლიმოვი 1984,13; კლიმოვი 1990, 497).

ზ. ალექსიძე, სინური პალიმფსესტიდან მოყვანილი მაგალითებით ამტკიცებს, რომ ამ ნიშნით (**ჟ**) ფშვინვიერი **ფ** გადმოიცემა (ალექსიძე 2003, 105).

№52 **ქ** “ქივ”. ანბანში წარმოდგენილ ფონემურ მნიშვნელობას (**ქ**) იზიარებს ყველა მკვლევარი. სინური პალიმფსესტის მასალა ამას უეჭველად ადასტურებს (ალექსიძე 2003, 105).

გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ყველა სპეციალისტი ყოველგვარი ეჭვის გარეშე აიგივებდა ჯვრის ფორმის (*crux immissa*) მინგეჩაურის წარწერათა და პალიმფსესტის **ქ** გრაფემას მატენადარანის ხელნაწერის ანბანის №52 **ქ** გრაფემასთან. უეჭველია, რომ პალიმფსესტის **ქ** ასო-ბგერა **ქ** ფონემას აღნიშნავს, მაგრამ შესაძლებელია კი მისი იდენტიფიკაცია ანბანის №52-თან?

ამის ასახსნელად რამდენიმე ვარაუდის შემოთავაზება შეგვიძლია:

1. გადამწერებს აერიათ ალბანური ანბანის №51 და №52 გრაფემები ისე, რომ მათი სახელწოდებები იმავე ადგილას დარჩა (№51 **ყ** მოხაზულობით სომხურ **ჟ**-ს წააგავს. საფიქრებელია, რომ მანამდე გადამწერებმა მცდარად გადმოსახეს მისი ფორმა, ანუ დასახელებულ სომხურ ასო-ნიშანს მიაბსგავსეს, რისი მაგალითებიც მატენადარანის ხელნაწერის ალბანურ ანბანში მრავლადაა).

2. ალბანურ ანბანს **ქ** ბგერის აღმნიშვნელი გრაფემა ჰქონდა, რომელსაც შეცდომით **ქ** გრაფემის სახელწოდება მიეწერა უკანასკნელი გრაფემის (**ქ**) ანბანის ნუსხიდან ამოვარდნის შემდგომ.

3. ეს ასო-ბგერა იდენტიფიცირებულ უნდა იქნას ანბანის №24 გრაფემასთან (როგორც ამას ს. მურავიოვი აკეთებს, თუმცა მკვლევარი №24-ს ფონემურ მნიშვნელობას არ უცვლის. მისთვის ის **ჟ** ფონემას წარმოადგენს. №52 კი, მისი აზრით, მინგეჩაურის წარწერებში არ გვხვდება, თუ არ ჩავთვლით ერთ შემთხვევას, სადაც მკვლევარი მცდარად აღადგენს მას; მურავიოვი 1981, 288-290).

ჩვენ პირველი ვარაუდი უფრო მართებულია მიგვაჩნია.

დასკვნები

დადგენილად შეგვიძლია ჩავთვალოთ ალბანური ანბანის 26 გრაფემის ფონემური მნიშვნელობა, ესენია: №1 **ა** (ა); №2 **ბ** (ბ); №3 **გ** (გ); №5 **დ** (დ); №6 **ე** (ე); №9 **ვ** (ვ); №11 **ზ** (ზ); №13 **თ** (თ); №15 **ი** (ი); №17 **კ** (კ); №19 **ლ** (ლ); №21 **მ** (მ); №23 **ნ** (ნ); №25 **ო** (ო); №27 **პ** (პ); №29 **ჟ** (ჟ); №31 **რ** (რ); №33 **ს** (ს); №35 **ტ** (ტ); №37 **ც** (ც); №39 **ძ** (ძ); №41 **წ** (წ); №43 **ჭ** (ჭ); №45 **ხ** (ხ); №47 **ყ** (ყ); №49 **შ** (შ); №51 **ჩ** (ჩ); №53 **ცხ** (ცხ).

ამ ჩამონათვალს უნდა დაემატოთ: №7 **ღ** (ეს გრაფემა **ღ** დიფთონგს გადმოსცემს, და, ჩვენი აზრით, იგი ასევე **ფ**-ს უნდა გადმოსცემდეს).

დამაჯერებელია, რომ №47 **ს** **ო** ბგერას აღნიშნავს, №14 **ს** **შ**-ს, ხოლო №33 **ა** – **შ**-ს.

უ ბგერა და მისი ფარინგალიზებული ვარიანტი (**უ**) დიგრამებით გადმოიცემოდა **ო-უ** (№35+№50); **სუ** (№47+№50).

ალბანური ტექსტობრივი მასალის ამოკითხვის დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე უეჭველია, რომ მატენადარანის ხელნაწერში მოცემული ალბანური ანბანის ასო-ბგერათა ფონემური მნიშვნელობები უნდა შესწორდეს რვა შემთხვევაში (სომხური გრაფიკის შესაძლებლობათა გათვალისწინებით): №2 **ნ** (ო > ბ); №3 **ვ** (ზ > გ); №5 **დ** (ფ > ე); №7 **ღ** (ე > ზ); №35 **ო** (ო > უ); №41 **წ** (ფ > ღ); №42 **ა** (კ > რ); №50 **უ** (დ > ჯ). სავარაუდოდ, კიდევ სამ შემთხვევაში, უნდა გაკეთდეს შესწორება: №4 “გან” (გ > *დ), №19 **ჟ** (ჭ > *წ) და №47 **ს** (ი > *ო).

დამატებით არგუმენტაციას მოითხოვს და ამ ეტაპზე დადგენილად ვერ ჩაითვლება **ზ**. ალექსიძის მიერ შემოთავაზებული შემდეგ ასო-ნიშანთა ფონემური კვალიფიკაცია: №8 **ჟ**, №14 **ს**, №17 **ჟ**, №18 **ხ**, №25 **წ**, №27 **ჟ**, №32 **ა**, №33

ა, №49 **რ** (ზ. ალექსიძის მიხედვით **ჟ**, **შ**, **ჭ/ხ**, **ღ**, **წ**, **ჭ**, **ჭ/ჯ**, **შ**, **ც** ბგერები შე-
საბამისად).

ამ ეტაპზე ხერხდება პალიმფსესტის 46 გრაფემის იდენტიფიკაცია მატენა-
დარანის ხელნაწერის ანბანის ნიშნებთან. ამ ხელნაწერის ექვსი გრაფემა არ
არის დადასტურებული პალიმფსესტში, ესენია: №4 (ან №34), №16, №22, №25,
№28, №32. აქედან ერთი ნიშანი (№32) დადასტურებულია კავკასიის ალბანურ ეპი-
გრაფიკაში.

ზ. ალექსიძის მიერ გაკეთებული მატენადარანის ნუსხისა და სინური პა-
ლიმფსესტის ნიშნების იდენტიფიკაციებიდან ვერ გავიზიარებთ ხუთს, ესენია: **ა**
(ზ. ალექსიძის აზრით ანბანის №16; ჩვენი აზრით კი №24); **ბ** (№25; ჩვენი აზრით
№47); **გ** (№32; ჩვენი აზრით №48); **დ** (№37; ჩვენი აზრით №41); **ე** (№41; ჩვენი
აზრით №37). ასევე, ჩვენი აზრით, არ არის გასაზიარებელი ზ. ალექსიძის მოსა-
ზრება **ვ** გრაფემის შესახებ. ეს ასო-ნიშანი №17 (**ა**) ასო-ბგერის გრაფიკული
ვარიანტი უნდა იყოს და არა დამოუკიდებელი გრაფემა.

ტაბულა №1

კაგაკასიის ალბანური ანბანის ფონემურ მნიშვნელობათა სისტემა

ემიოდიონის №7117 ხელნა- წერი	სახელწოდება	პლიფესესტი	ფონემური მნიშვნელობა	ა. აბრამიანი	ბ. კლიმოვი	ს. მურავიოვი	მ. გუგასიანი	ზ. ალექსიძე
ღ	აღო	ღ	ა	ა	ა	ა	ა	ა
ნ	ოდო	ნ	ბ	ბ	ბ	ო	ბ	ბ
რ	ზიმ	რ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ
დ	გატ	ფ?	*დ	დ	დ	ბ	დ	?
ქ	ფბ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ/ქ	ქ	ქ
შ	ზარღ	ა	ზ	ზ	ზ	ზ	ზ	ზ
ღ	ენ	ღ	ეღ [*ე]	ე	ე	ე/ე	ე	ე
ჩ	უიღ	ჩ	*ე	ღ	ღ	ე	ე	ე
ე	თას	ე	თ	თ	თ	თ	თ	თ
ს	ჭა	ს	*ჭ	ე	ე	ჭ	ჭ	?
ვ	დუღ	ვ	დ	ო	დ	დ/დ	დ	დ
ტ	ქა	ტ	*ე	ო	?	ე	ე	ე?
ყ	ირბ	ყ	ო	ო	ო	ო	ო	ო
ხ	შა	ხ	*შ	ღ	?	შ	შ	შ
ღ	ღან	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ღ
ქ	ინა	?	*ო	ხ	?	ო/ღ	ო	?
ღ	ხენ	ღ	ხ	ხ	ხ	ხ	ხ	ჟ/ხ ¹
ჩ	ღან	ჩ	*ღ	ხ	?	ღ	ღ	ღ
შ	ჭარ	შ	*ღ	ღ	ღ	ღ	ჩ ⁰	ჭ?
ღ	ზოხ	ღ	*ზ	ღ	?	ზ	ზ	ზ?
ღ	კარ	ღ	კ	კ	კ	კ	ქ	კ
რ	ღიღ	?	*ღ	ჟ	?	ღ	ღ	?
ღ	ჟღ	ღ	ჟ	ჟ	ჟ	ჟ	ჟ	ჟ
ქ	ჟად	ქ	*ღ	ძ	?	ჟ	ჟ	?
ზ	არ	?	*ა	ძ	ძ	ა	ა	ა
ღ	ცოღ	ღ	*ც	ძ	?	ღ/ღ	ც	ც?

ქმიობის №7117 ხელნა- წერი	სახელწოდება	პლიფსესტი	ფონემური მნიშვნელობა	ა. აბრამიანი	ბ. კლიოვი	ს. მურავიოვი	მ. გუგასიაძე	ზ. ალექსიძე
მ	ჭი	ჭ	*ჭ	ჭ	ჭ	ჭ	ჭ°	ჭ
ნ	ჩად	?	*ჩა	ღ	?	ჩა	ჩ	?
ჟ	მაკ	ჟ	მ	მ	მ	მ	მ	მ
რ	კარ	რ	ყ	ღ	?	კ°/ყ°	ყ	ყ
ლ	ნუც	ლ	ნ	ნ	ნ	ნ	ნ	ნ
ს	ჯად	* ჟ	ჯ?	შ	?	ჯ/ჯა	ჯ	ჩ¹/ჯ
ზ	შაქ	შ	*შ	შ	შ	შ	შა	შ
ყ	ჯადნ	ყ?	ჯ?	შ	?	ჯა/ჯ	ჯ°	?
ო	უნ	ო	ო	ო	ო	ო	ო	ო
პ	ტად	პ	*ტ	ჩ	?	ტ	ო	?
ჟ	ხამ	ჟ	*ჯ	ჩ	ჩ	ხა/ღ	ჯ	ღ
ზ	ძად	ძ	*ძ	ჩ	?	ძ	ძ	ძ?
ს	ჩატ	ს	ჩ	ჩ	?	ჩ	ჩა	ჩ
რ	პენ	რ	პ	პ	პ	პ	რა	პ
ლ	ფეს	ლ	ფ	ჯ	ჯ	ა	პ	ფ?
ბ	კატ	ბ	რ	რ	რ	ყ°/კ°	კ	რ
ვ	სტკ	ვ	ს	ს	ს	ს	სა	ს
გ	ვზ	გ	ვ	ჟ	ჟ	ვ	ვ	ვ
დ	ტივრ	დ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ	ტ
ე	სოღ	ე	*სა	ტ	?	სა	ს	ს?
ვ	იონ	ვ	*ოა	რ	ოა	ია/ღ	რ	?
ჟ	წავ	ჟ	*წა	ც	?	რ	წ	?
რ	ცადნ	რ	*ც	ც	ც	ც	ც	ც
ლ	დადღ	ლ	ჟ	ჟ	ჟ	ჟ	ჟ	ჟ
ყ	ფივრ	ყ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ	ფ
ფ	ქივ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ	ქ

ტაბულა №1 -ის კომენტარი

შენიშვნები: ა. აბრამიანის მოსაზრებები მოგვეყავს მისი ნაშრომის მიხედვით – Абрамян А. Г., Дешифровка надписей кавказских агван, Ереван, 1964;

გ. გუკასიანისა – Гукасян В. Л., Опыт дешифровки албанских надписей Азербайджана, Известия Академии наук Азербайджанской ССР, № 2, Баку, 1969;

გ. კლიმოვისა – Климов Г. А., О составе агванского (кавказско-албанского) алфавита, Известия АН СССР. Серия литературы и языка, т. 49, № 6, 1990;

ს. მურავიოვისა – Муравьев С. Н., Три этюда по кавказско-албанской письменности, იკე-ს წელიწადი, № 8, 1981;

ზ. ალექსიძის მოსაზრებები და პალიმფსესტის გრაფემათა მოხაზულობა – ზ. ალექსიძე, კავკასიის ალბანეთის დამწერლობა, ენა და მწერლობა, თბილისი, 2003.

მატენადარანის №7117 ხელნაწერის ნუსხის გრაფემათა მოხაზულობა – Шанидзе А. Г., Новооткрытый алфавит кавказских албанцев и его значение для науки, Известия Института языка, истории и материальной культуры им. Акад. Н. Я. Марра, № 4, р. 1. Тбилиси, 1938.

კითხვის ნიშნით (?) – აღვნიშნავთ დაუდგენელ, სავარაუდო ფონემური მნიშვნელობას აღვნიშნავთ.

ვარსკვლავით (*) პალიმფსესტის ასო-ბგერათა გრაფაში – მხოლოდ ეპიგრაფიკულ ძეგლებში დადასტურებულ გრაფემას აღვნიშნავთ;

ვარსკვლავით (*) ფონემურ მნიშვნელობათა გრაფაში – ჩვენს მიერ წარმოდგენილ ვარაუდს აღვნიშნავთ;

⦿ დიაკრიტიკულ ნიშანს ფარინგალიზებული ალოფონების აღმნიშვნელი გრაფემებისათვის ვიყენებთ.

თავი IV

კავკასიის ალბანური ანბანის წარმოშობის საკითხი

ამრიგად, ალბანური ანბანის ასო-ბგერათა დიდი ნაწილის (სულ მცირე – 22 გრაფემის) ფონემური ღირებულება დღესაც დაუდგენელია. მათი უღერადობის განსაზღვრისათვის უნდა მივმართოთ ალბანური ანბანის შინაგანი ფორმის, ე.ი. ფონემურ მნიშვნელობათა სისტემისა და ასო-ბგერათა განლაგების ანალიზს. უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს, თუ რომელი დამწერლობა დაედო საფუძვლად ალბანურს და ამის გათვალისწინებით, შეძლებისდაგვარად დადგინდეს თითოეული გრაფემის ფონემური მნიშვნელობა (პროტოტიპი ანბანის პარადიგმატიკის საფუძველზე). ამის დასადგენად საჭიროა შემოწმდეს, თუ რამდენად სანდოა სომხურ ხელნაწერებში წარმოდგნილი კავკასიის ალბანური ანბანის შინაგანი ფორმა (აქ გრაფემათა რაოდენობასა და მათ რიგს ვგულისხმობთ. ფონემურ მნიშვნელობათა საკითხი შეძლებისდაგვარად წინა [III] თავში გავარკვიეთ).

კავკასიის ალბანური ანბანის პარადიგმატიკის კვლევისას ამოსავალია ილ. აბულაძის მიერ 1937 წ. აღმოჩენილი ეჩმიაძინის №7117 ხელნაწერი (დღეს ეს ხელნაწერი დაცულია ერევანში, მატენადარანის ბიბლიოთეკაში). ეს ჯერჯერობით, შეიძლება ითქვას, ერთადერთი წყაროა, რომელშიც მოცემულია ალბანური ანბანის გრაფემათა რაოდენობა და მათი რიგი. არსებობს აგრეთვე არმენოლოგ ა. ქურდიანის მიერ 1956 წ. აშშ-ში აღმოჩენილი XVI ს. სომხური ხელნაწერი, რომელიც, სავარაუდოდ, ეჩმიაძინის №7117 ხელნაწერის ასლია (ქურდიანი 1953, 80-83). ეს ხელნაწერი მატენადარანის ხელნაწერთან შედარებით გარკვეულ განსხვავებებს იძლევა, როგორც გრაფემათა მოხაზულობის თვალსაზრისით, ისე მათ სახელდებაში (№11 ႁ “აუდ”-ის ნაცვლად გვაქვს “მუდ”, №33 ႃ “შაქ”-ის მაგივრად “ჩაქ”, ხოლო №39 ႄ “ჩაჲ”-ის ნაცვლად “ააჲ”), თუმცა გრაფემათა რაოდენობა და ანბანთრიგი ზუსტად ემთხვევა მატენადარანის ხელნაწერში მოცემულს (იხ. II. 1).

იმის დასადგენად, თუ რამდენად სანდოა დასახელებულ წყაროებში წარმოდგენილი ალბანური ანბანის შინაგანი ფორმა, ვიხელმძღვანელებთ აკად. ა. შანიძის მიერ შემოთავაზებული მეთოდით, რომელიც მას გამოყენებული აქვს ილ. აბულაძის მიერ აღმოჩენილი ხელნაწერის კვლევისას (შანიძე 1938), სახელდობრ, შევამოწმებთ, თუ რამდენად სწორადაა გადმოცემული ამ ხელნაწერში სხვა (ბერძნული, სირიული, ქართული, კოპტური და არაბული) ალფაბეტების გრაფიკათა რაოდენობა და ანბანთრიგი. ბერძნულისა და კოპტურის ასო-ბგერათა რაოდენობა და მათი რიგი ზუსტია; სირიულ (ასურულ) ანბანში №21-22 ასო-ნიშნები მოქცეულია №16-18, ხოლო №17 – №18-19 გრაფემებს შორის; ლათინურს მოკლებული აქვს №5 (E) და №22 (W), ხოლო ქართულს №3 უ, “გან”. არაბული ერთადერთი ანბანია, სადაც მნიშვნელოვნად დარღვეულია რიგი. შეცდომების არსებობა არაბულ და სირიულ ალფაბეტებში უნდა აიხსნას იმით, რომ გადამწერებმა დააღაგეს ასო-ბგერები მარცხნიდან მარჯვნივ, ანუ ტრადიციული სემური წერის მიმართულების საწინააღმდეგოდ.

უნდა დავასკვნათ, რომ გარკვეული შეცდომები გვაქვს, მაგრამ მათი რიცხვი გაცილებით ნაკლებია გრაფიკულ და გრაფიკათა სახელწოდებებში ფონეტიკურ შეცდომებთან შედარებით. მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის ალბანური ზემოჩამოთვლილ ანბანთა შორის ყველაზე ვრცელია (52 გრაფემა) და XV ს.-მდე (მატენადარანის ხელნაწერის გადაწერის თარიღი) უკვე დიდი ხნით ადრე დაკარგული იყო ალბანური დამწერლობის ტრადიცია, მაინც უნდა მივიჩნიოთ, რომ სომხურ ხელნაწერებში მოცემული ალბანური ანბანის გრაფიკათა რაოდენობა და ანბანთრიგი მთლიანობაში ზუსტი უნდა იყოს. ამის შესახებ მეტყველებს მატენადარანის ხელნაწერში წარმოდგენილი სხვა ალფაბეტების იგივე მონაცემთა გადმოცემის მეტ-ნაკლები სიზუსტე და ალბანური ანბანის ორივე ნუსხის შედარება-შეპირესპირება.

ამასვე ნაწილობრივ ადასტურებს ალბანური ეპიგრაფიკული ძეგლები, კერძოდ: **წარწერა №2 შანდალზე**, სადაც მოცემულია ალბანური ანბანის მონაკვეთი №1-10 და **წარწერა №2 კრამიტის ნატეხზე** (№ 29-32). უნდა აღინიშნოს, რომ ამ მონაკვეთთა ასო-ნიშნების თანმიმდევრობა ზუსტად იმეორებს სომხურ ნუს-

ხათა ანბანთრიგს (იხ. წინამდებარე ნაშრომის VI. 1).

სომხურ ხელნაწერებში წარმოდგენილი ალბანური ანბანთრიგის მეტ-ნაკლები სიზუსტის საილუსტრაციოდ უნდა მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი სინური პალიმფსესტიდან. ერთერთ ფურცელზე (**Sin 13 4r-3v**) სათაურის ქვეშ შეგვიძლია ამოვიკითხოთ წინადადება:

Օ.ԴԿԻՕ.ԴԿ ԴԿ.Ն.ԼՕ.ԿԿ ԵՏՕ.Դ

უფესუნ პეტროსი ԶლოԶ

տქმა–მასდ. პეტრე–ნათ. օրո–մր.–ნათ.

ეს წინადადება უნდა წავიკითხოთ შემდეგნაირად: “შესრულება (resp. “տქმა”) პეტრეს მეორედან [ეპისტოლედან]”. აქ **Ն** (ალბანური ანბანის №2 **ბ** ასობგერა) აღნიშნავს რიცხვს **ორი**. მართლაც, მინაწერი შესრულებულია პეტრეს მეორე ეპისტოლეს სათაურის ქვეშ.

ფურცელზე **Sin 13 27v-28r** გვხვდება მინაწერი არშიაზე, რომელიც იკითხება ასე: **(Ը)Ե (ԻԿ)**. ზემოდანაც და ქვემოდანაც ეს ასო-ნიშნები შეერთებულია ქარაგმით. ტექსტში, როგორც ჩანს, საუბარია მსხვერპლის შეწირვაზე; კერძოდ, ნახმარია სიტყვა **ՋՕ.ԼԵԶ** (კორბა), რომელიც ალბანურში მსხვერპლის აღმნიშვნელი იყო (ალექსიძე 2003, 130). საფიქრებელია, რომ ამ ასობგერებით გადმოცემულია ფსალმუნის ნომერი – **95**; №18 **Ի** “**დან**” = 90 + №5 **Կ** “**ებ**” = 5. მართლაც, 95-ე ფსალმუნში მსხვერპლის შეწირვის შესახებ არის საუბარი.

სომხური საისტორიო წყაროების ნაყალბევი ცნობებიდან გამომდინარე (ამის შესახებ იხ. წინამდებარე ნაშრომის I თავი), ზოგიერთი მკვლევარი ზედმეტად მიიჩნევდა ალბანურის პროტოტიპი ანბანის დადგენის აუცილებლობას და მას *a priori* სომხურისაგან მიმდინარედ მიიჩნევდნენ (აქ აღსანიშნავია გ. კლიმოვის სიფრთხილე, რომელმაც ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით, საჭიროდ ჩათვალა შეემოწმებინა ალბანური ანბანის წერის მიმართულებაც, იხ.: კლიმოვი

1967, 74; კლიმოვი 1970, 409-410).

დღეს უდავოა, რომ ალბანური (ამიერკავკასიის დანარჩენ დამწერლობებთან ერთად) ბევრი მახასიათებლის გამო, უნდა მივაკუთვნოთ ე.წ. ბერძნულ ანბანთა ტიპს. ეს მახასიათებლებია: ბერძნულ ანბანთრიგზე დამყარებული ასო-ბგერათა წყობა, წერის მიმართულება მარცხნიდან მარჯვნივ, ხმოვნის აღმნიშვნელი ასო-ნიშნების არსებობა, უ ბგერის გადმოცემა დიგრაფით (o + u პრინციპით), რიცხვით მნიშვნელობათა გამოხატვა გრაფიკათა საშუალებით და სხვა (ეს მაინც ვერ აბათილებს ქართული ანბანის წარმოშობის “სემურ” თეორიას. ასევე, ჩვენი აზრით, შესაძლებელია ალბანური ანბანის “სემური” წარმომავლობის შესახებაც ვიმსჯელოთ. ეს საკითხი საკვლევეია).

ამასთან ერთად აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კავკასიის ალბანურს ყველაზე თვალსაჩინო მსგავსება სომხურთან (პარადიგმატიკის მხრივ) და ქართულთან (გრაფიკის მხრივ) აქვს. მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, ალბანოლოგიამ ვერ გადაწყვიტა შემდეგი საკითხი: კავკასიის ალბანური ანბანი შეიქმნა უშუალოდ ბერძნულის საფუძველზე თუ სომხურის ან ქართულის შუამავლობით. ამ პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია ალბანური ანბანის შინაგანი სტრუქტურისა და გრაფიკული სისტემის არქტიპების გამოვლენით. გრაფიკული ანალიზი არ უნდა ემყარებოდეს მხოლოდ გარეგნულ, ხშირად მოჩვენებით, ცალკეულ ნიშანთა მსგავსებას სხვა დამწერლობათა ამა თუ იმ სიმბოლოებთან (როგორც იკვლევდა კავკასიის ალბანური ანბანის გენეზისს ა. აბრამიანი; იხ. აბრამიანი 1964) და არც ისეთ საეჭვო ხერხებს, რომელსაც ს. მურავიოვი მიმართავდა (იხ. ს. მურავიოვი 1981).

აკ. შანიძემ შენიშნა, რომ კავკასიის ალბანური ანბანი ბერძნულ ანბანთრიგს ემყარება და ამასთან მკვლევარმა ხაზი გაუსვა სომხურ და ალბანურ ალფაბეტთა პარადიგმატიკის სიახლოვეს (შანიძე 1957, 41-12).

ა. აბრამიანს კი მიაჩნდა, რომ ალბანური ანბანის მიერ ბერძნული ანბანთრიგის დაცვა გამოწვეულია სომხური ანბანთრიგის დაცვით (გამომდინარე იქიდან, რომ თვით სომხური ბერძნულ ასო-ბგერათა თანმიმდევრობას იცავს; აბრამიანი 1964).

მართლაც, ალბანური ანბანი სომხურის მსგავსად, თავის სპეციფიკურ ასო-ბგერებს “ბერძნული” ნაწილის ნიშნებს შორის განაბნევს, თუმცა შესაძლებელია ისიც, რომ ალბანურში ასო-ბგერათა დალაგების ეს პრინციპი, სომხურისაგან დამოუკიდებლად წარმოიქმნა. ამის დასადგენად საჭიროა შემოწმდეს, თუ რამდენად ემთხვევა სომხური ანბანის სპეციფიკური “არაბერძნული” ბგერების ადგილი ანბანში მათ ალბანურ ფონეტიკურ ეკვივალენტებს.

როგორც ზემოთ აღინიშნა (იხ. III თავი, №6 გრაფემის კომენტარი), ბერძნული ანბანის λ და ρ გრაფემების ადგილას, სომხურში გვაქვს η და π . საყურადღებოა, რომ ალბანური ანბანის “მარტივი” ρ (№42 **ⲣ**; მისი ფონემური ღირებულება უეჭველია) დგას სომხურის კოშტი ρ -ს (η), ანუ ბერძნული ρ -ს (ρ) ადგილას. ეს ფაქტი ალბანურის უშუალოდ ბერძნულის საფუძველზე შექმნას გვიჩვენებს, თუმცა ამ პრინციპიდან გამომდინარე ალბანურის “მარტივი” ρ (№15 **ⲣ**) უნდა იყოს სომხური η -ს (resp. ბერძნული λ -ს) ადგილას, მაგრამ აქ საპირისპირო ვითარება გვაქვს და **ⲣ** სომხურის “არაბერძნული” ρ -ს პოზიციური კორელატია. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ბერძნული λ ალბანურში პოზიციური შესატყვისის გარეშე რჩება. მის ადგილას ალბანური ანბანის №22 “ლიტ” დგას, თანაც სომხური η -საგან დამოუკიდებლად. თუ ამ ბგერის ფონემური ღირებულება (**ⲣ**) საბოლოოდ დადგინდა, მაშინ ეს კავკასიის ალბანური ანბანის უშუალოდ ბერძნული ალფაბეტის პარადიგმატიკის საფუძველზე შედგენის კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტი იქნება.

განვიხილოთ საკითხი სომხური სპეციფიკური ბგერების ალბანურ შესატყვისთა შესახებ: სომხური ι , κ , h , ζ და ψ ასო-ბგერების ადგილი ანბანში, ალბანური ფონეტიკური კორელატების (**Ⲏ**, **ⲏ**, **Ⲑ**, **ⲑ**, **Ⲓ**) ადგილს ემთხვევა; უეჭველად არ ემთხვევა ალბანურის **ⲓ**, **Ⲕ** ბგერის აღმნიშვნელი ორივე გრაფემის (№32 და №34) და **ⲓ**-ს ადგილები სომხურის δ , ν , ζ , π ასო-ბგერებს; ალბანურ ანბანს,

როგორც ჩანს, სომხური **ღ**-ს შესატყვისი გრაფემა არ ჰქონდა; ხუთ შემთხვევაში კი (**ძ, ბ, დ, ჯ** და **გ**), შესაბამისი ალბანური ასო-ბგერების ჟღერადობის დაუდგენლობის გამო, ეს საკითხი გადასაწყვეტია. ნათქვამს თუ შევაჯამებთ, ხუთ შემთხვევაში ჩვენ სომხურისა და ალბანურის ასო-ბგერების ადგილის თანხედრა გვაქვს, ოთხ შემთხვევაში არ გვაქვს, ხუთი გრაფემის საკითხი კი გარკვევას მოითხოვს. მაშასადამე, უნდა დავასკვნათ, რომ ალბანური ზედმიწევნით იცავს ბერძნულ ანბანთრიგს, ხოლო სომხურს მკაცრად არ იცავს (თუ იცავს საერთოდ).

საყურადღებოა, რომ მატენადარანის ნუსხაში ფონემურ მნიშვნელობათა რვა განხორციელებული შესწორებიდან, გამოსაყოფია ხუთი, რომლის შედეგად ალბანური ანბანთრიგი მიუახლოვდა სომხურს (**№2 ნ ო > ბ; №3 წ ხ > გ; №5 ჯ ე > ე; №35 ო უ > ო; №50 ჯ ე > უ**). ყველა ჩამოთვლილ და კიდევ ერთ შემთხვევაში (**№42 ჯ კ > რ**), ალბანური მიუახლოვდა ბერძნულსაც, ანუ კავკასიის ალბანურში შესწორებები მოხდა მხოლოდ “ბერძნულ” და “არასომხურ” სპეციფიკურ ასო-ბგერათა შემთხვევაში.

ცალკე გამოსაყოფია ალბანური ანბანის **№7 ლ** გრაფემის ჩვენება. მისი ერთ-ერთი (თუ არა ერთადერთი) ფუნქცია, **ქ** დიფთონგის გადმოცემაში მდგომარეობს, რაც ალბანურს ამ შემთხვევაში, ქართულთან აახლოვებს.

გრაფიკული თვალსაზრისით კი კავკასიის ალბანური უეჭველად ორიგინალური ანბანია, თუმცა მოხაზულობის მხრივ შესამჩნევია ზოგიერთი ალბანური გრაფემის მსგავსება სომხურ ან ქართულ ასო-ნიშნებთან. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულსა და ალბანურს შორის მეტი გრაფიკული პარალელის პოვნაა შესაძლებელი, შდრ.:

სომხური	კავკასიის ალბანური
Է (ე)	Լ (ქ)
Ի (ი)	Դ (უ)
Ե (ე)	Զ (ე) – ანტიფორმა
Բ (ბ)	Ն (ბ) – ინვერსიული ფორმა

მეორეს მხრივ, შდრ:

ქართული	კავკასიის ალბანური
ⴁ (ი)	ⴁ (ი)
ⴂ (ხ)	ⴂ (*შ)
ⴃ (გ)	ⴃ (ჟ)
ⴄ (ო); ⴄჲ (უ)	ⴄ (ო); ⴄ-ⴃ (უ)
ⴅ (ქ)	ⴅ (ქ)
ⴆ (ა)	ⴆ (ა) – ინვერსიული ფორმა

ზოგიერთი ასო-ნიშნების მსგავსების გარდა, ალბანურ და ქართულ დამწერლობათა გრაფიკული სტრუქტურა ერთი და იმავე რელევანტური ნიშნებით უპირისპირდება ერთმანეთს. პირველი ნიშანი არის ასო-ბგერათა ზედა და ქვედა ჰორიზონტალური ხაზების არსებობა, რომლის მეშვეობითაც ხდება ასო-ნიშნების “ქვეცნობიერი” გასწორება წერისას, ანუ დამწერლობის მონუმენტურობის უზრუნველყოფა. ქართული ანბანის 37 ასო-ნიშნიდან ასეთია 19 (ე. ი. ნახევარზე მეტი), 16-ს ჰქონდა ზედა ჰორიზონტალური ხაზი, 4-ს კი ქვედა, მათ შორის, ერთს – **ⴆ**-ს ორივე ჰორიზონტალური ხაზი გააჩნდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამი მათგანი ხმოვანია (**ⴄ**, **ⴅ** და **ⴆ**), ანუ მათ გამოყენების მაღალი სიხშირე აქვთ. სომხურის 36 გრაფემიდან კი ასეთია მხოლოდ 9 (2-ს ზედა ხაზი აქვთ, 7-ს კი ქვედა; 7 მათგანი თანხმოვანია, ხოლო **ⴄ** და **ⴄ** ხმოვნებია, მაგრამ **ⴄ** ასო-ბგერა არ გამოირჩევა ხშირი გამოყენებით). ალბანური ანბანის 52 გრაფემიდან ზედა და ქვედა ჰორიზონტალური ხაზები (ხუთი გრაფემის მოხაზულობა ჰიპოთეტურადაა აღდგენილი) 30 ასო-ნიშანს ჰქონდა (18-ს ზედა, 7-ს ქვედა, ხოლო 5-ს ორივე დამატებითი ხაზი ჰქონდა; 7 მათგანი ხმოვანია [უ ბგერის აღმნიშვნელი ორივე დიგრამის ჩათვლით], 4-ს ზედა ხაზი აქვს, 2-ს კი ქვედა, ხოლო **ⴄ** გრაფემას – ორივე). ეს ამტკიცებს იმას, რომ ალბანური ანბანის გრაფიკული სტრუქტურა ტიპოლოგიურად და გენეტიურად ქართულ მრგლოვანს უკავშირდება (ქურდიანი 1993, 25-26).

მეორე რელევანტური ნიშანი, რომლის საშუალებით ქართული და ალბანური ალფაბეტები უპირისპირდება ერთმანეთს, არის ის, რომ ქართულის მსგავსად (რ. პატარიძე, ვ. ბოედერი, ე. მაჭავარიანი, თ. ჩხენკელი, თ. გამყრელიძე და სხვა) კავკასიის ალბანური ასომთავრულის გრაფემათა მოზრდილი ნაწილი ვერტიკალური ხაზის და წრეხაზის (რგოლის) კომბინაციას წარმოადგენს. ქართულ ასომთავრულში “ხაზოვან-რგოლურ” გრაფემათა რაოდენობა 21 შედგენს (პატარიძე 1980, 153) და, მათ შორის, 14-ს დახურული, შეკრული წრე აქვს. ალბანურ ასომთავრულში ასეთი გრაფემების რაოდენობა 28-ს შეადგენს და 12 მათგანს შეკრული რგოლი აქვს. საყურადღებოა, რომ სომხურ ანბანში მხოლოდ ერთი “ხაზოვან-რგოლური” გრაფემა გვხვდება – Φ და ისიც უეჭველად გადმოღებულია ბერძნული ანბანიდან (სომხურს მოეპოვება გრაფემათა ერთი ჯგუფი, რომელიც თითქოს და აღნიშნულ ტიპს მიეკუთვნება, ესენია: $\Sigma, \Xi, \Upsilon, \Gamma, \Delta, \Theta, \Lambda, \Psi, \Phi, \Theta$. სომხური ანბანის გრაფიკული სტრუქტურიდან გამომდინარე, ეს გრაფემები სულ სხვა ე.წ. ნაღისებურ ან თაღოვან ტიპს უნდა მივაკუთვნოთ. ეს გრაფემები წარმოიშვნენ სრული ნაღის ერთ-ერთი ვერტიკალის შემოკლების შედეგად: $\Sigma > \Sigma > \Xi > \Upsilon$; $\Theta < \Sigma$; $\Lambda > \Gamma > \Delta > \Delta$; $\Theta < \Theta < \Lambda < \Theta < \Lambda$).

ამის საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ გრაფიკული ხერხი, რომლის მეშვეობითაც შექმნილია ქართული და ალბანური ასომთავრულის ასო-ბგერათა ნახევარზე მეტი, სომხურში საერთოდ არ არის რეალიზებული.

კავკასიის ალბანური “ასომთავრული” და სომხური ერთმანეთის პირობითობის პრინციპზე აგებული სისტემებია (რაც მათ ხელოვნურ ხასიათზე მიგვითითებს), მაგრამ ისინი სხვადასხვა პირობითი ნიშნებით სარგებლობენ: ალბანურ ასომთავრულში გრაფიკის ძირითად ფორმებად წრე (//ნახევარწრე) და სწორი ხაზია აღებული (ქართული ასომთავრულის მსგავსად), სომხურ ანბანში კი ცალკეული ჯგუფების შესაქმნელად გამოყენებულია გარკვეული მზა მოხაზულობის მქონე ფორმები (სევაკი 1962).

დასკვნები

კაკეასიის ალბანური ანბანის პარადიგმატიკის კვლევამ გვიჩვენა, რომ მაშტოცის (იგივე მესროპის) მონაწილეობა ალბანური ანბანის შექმნაში სრულიად გამორიცხებულია. თუ ალბანური მართლაც მაშტოცის მიერაა შექმნილი, ბუნებრივია, ის ისევე დაეფუძნებოდა სომხური ანბანის პარადიგმატიკას, როგორც ეს უკანასკნელი ბერძნულს, შდრ., სომხური ანბანი 21 ბერძნულ ასო-ბგერას იყენებს, ანუ კლასიკური ბერძნულის №1-24 ნაწილს, “ეპისემონთა” გამოკლებით. სომხურში ზუსტად დაცულია ამ ბერძნულ ასო-ბგერათა თანმიმდევრობა და ფონემური მნიშვნელობები, თუ არ ჩავთვლით λ/η და ρ/π , მაგრამ აქაც მსგავსი უღერადობის ფონემები გვაქვს.

ალბანურისა და სომხურის შედარებისას კი ირკვევა, რომ სულ მცირე, ოთხი სომხური ბგერის ფონეტიკურ შესატყვისებს ალბანურ ანბანში სხვა ადგილი უჭირავთ. მიუხედავად იმისა, რომ ანალოგიური უღერადობის ბგერები ალბანურს ჰქონდა, მაგ.: სომხურ χ -ს (**ღ**) შეესატყვისება ალბანური **ჭ** (**ყ**), სომხურ ψ -ს (**ჯ**) – ალბანური **წ** (**ღ**)...

საჭიროდ მიგვაჩნია, კვლავ მივუბრუნდეთ საკითხს სომხურ ხელნაწერებში (მატენადარანის №7117 ხელნაწერი და ა. ქურდიანის ხელნაწერი) მოცემული ანბანთრიგის შესახებ. შესაძლებელია გამოითქვას ვარაუდი, რომ ამ ხელნაწერთა გადამწერებმა ალბანური ანბანის ნიშნები სომხურ ანბანთრიგზე დააღაგეს და შედეგად, ჩვენ ალბანურს დამახინჯებული სახით ვიცნობთ.

ეს ვარაუდი არ მიგვაჩნია მართებულად. ალბანური ანბანთრიგი ნაწილობრივ დადასტურებულია ორი არასრული ეპიგრაფიკული ნუსხით (გრაფიტი №2 შანდალზე და გრაფიტი №2 კრამიტის ნატეხზე; იხ. წინამდებარე ნაშრომის VI. 1.) და ალბანური ლექციონარის მასალით.

ყურადღებას გავამახვილებთ ზოგიერთი გრაფემის პოზიციაზე.

1. ალბანური ანბანის №8 **ჩ** “ეილ“-ს გამოსახავს გრაფიტი №2 შანდალზე

№7 **კ** და №9 **კ**-ს ნიშნებს შორის. ეს ასო-ბგერები ბერძნულ η და θ -ს შეესაბამება და ცნობილია, რომ ბერძნულში ამ გრაფემებს შორის არავითარი ნიშანი არ გვხვდება.

2. №30 **ჯ** “*ყარ”-ს გამოსახავს გრაფიტი №2 კრამიტის ნატეხზე **ჟ** (მ) და **ყ** (ბ) ნიშნებს შორის. ბერძნულში კი μ და ν -ს შორის გრაფემა არ გვაქვს.

3. პალიმფსესტის მასალით დამტკიცდა, რომ **ხ** “დან”-ის რიცხვითი მნიშვნელობა არის 90, მაშასადამე იგი ალბანური ანბანის №18 გრაფემაა. ბერძნულში კი მის ადგილას “ეპისემონი” ϵ “კობა” გვხვდება.

წარმოდგენილი მაგალითებით მტკიცდება, რომ ალბანური მართლაც განაბნევს თავის სპეციფიკურ ასო-ბგერებს “ბერძნული” ნაწილის ნიშნებს შორის. მაშასადამე, ალბანურისა და სომხური ანბანის პარადიგმატიკის სიახლოვე უფრო ამ უკანასკნელის გავლენით უნდა აიხსნას, ვიდრე გადამწერთა მიერ ჩადენილი ფალსიფიკაციითა თუ გაუფრთხილებელი ქმედებით.

ალბანური ხელნაწერი და ეპიგრაფიკული მასალის გაშიფვრის დღევანდელი დონე არ გვაძლევს საშუალებას, კავკასიის ალბანური ანბანის გენეზისის საკითხი ბოლომდე გამოვარკვიოთ. ამა თუ იმ დამწერლობათა წარმოშობასთან დაკავშირებულ საკითხთა კომპლექსური კვლევა, ბუნებრივია, დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენთვის მიუღებელია თვალსაზრისი, რომელიც ალბანურს *a priori* სომხურისაგან მიმდინარედ მიიჩნევს (მაგ.: აბრამიანი 1964; მურავიოვი 1982 ...). ეს დებულება არც კავკასიის ალბანური ანბანის პარადიგმატიკისა და არც გრაფიკის ანალიზით არ მტკიცდება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ სრულიად გამოვრიცხავთ სომხური ანბანის რაიმე გავლენას კავკასიის ალბანურზე. საფიქრებელია, რომ კავკასიის ალბანური ანბანი ქართული და სომხური ალფაბეტების შემდეგაა შექმნილი და მის შემდგენელს გათვალისწინებული აქვს როგორც ქართული, ასევე სომხური ანბანის თავისებურებები. სავარაუდოდ, ამით უნდა აიხსნას პარადიგმატიკის ტიპოლოგიური მსგავსება და გარკვეული გრაფიკული პარალელები სომხურსა და კავკასიის ალბანურ ალფაბეტებს შორის.

ტაბულა №2

კავკასიის ალბანურის, ბერძნულისა და სომხურის შედარებითი პარადიგმატიკა

№	ალბანური	ფონემური მნიშვნელობა	№	სომხური	ფონემური მნიშვნელობა	№	ბერძნული	* ფონემური მნიშვნელობა
1	ა	ა	1	Ա ա	ა	1	Α α	ა
2	ბ	ბ	2	Բ բ	ბ	2	Β β	ბ
3	გ	გ	3	Գ գ	გ	3	Γ γ	გ
4	* დ	*დ	4	Դ դ	დ	4	Δ δ	დ
5	ე	ე	5	Ե ե	ე	5	Ε ε	ე
6	ზ	ზ	6	Զ զ	ზ	7	Ζ ζ	ზ
7	ღ	ეღ [*ჟ]	7	Ը է	ე	8	Η η	ე
8	ქ	*ქ	8	Թ թ	ტ			
9	ყ	თ	9	Ծ ծ	თ	9	Θ θ	თ
10	ღ	*ტ						
11	ჩ	ღ						
12	ც	*ქ	10	Ժ ժ	ქ			
13	ძ	ო	11	Ի ի	ო	10	Ι ι	ო
14	წ	*შ						
15	ჭ	ზ	12	Լ լ	ზ			
16	ჭ	*ო						
17	ყ	ხ	13	Խ խ	ხ			
18	ჩ	*ღ						
19	ც	*წ	14	Մ մ	წ			
20	ც	*ბ						
21	კ	კ	15	Կ կ	კ	11	Κ κ	კ
22	* მ	*მ				12	Λ λ	ზ
23	ნ	ჰ	16	Հ հ	ჰ			
24	ღ	*ღ	17	Ջ ձ	ძ			
25	* ზ	*ღ	18	Ղ ղ	ზ			
26	ღ	*ღ						
27	ჭ	ჭ	19	Ճ ճ	ჭ			

№	აღბანური	ფონემური მნიშვნელობა	№	სომხური	ფონემური მნიშვნელობა	№	ბერძნული	* ფონემური მნიშვნელობა
28	* შ	*ჩ _ა						
29	ჟ	მ	20	Մ մ	მ	13	Μ μ	მ
30	ჯ	ყ	21	Թ յ	ღ			
31	ყ	ნ	22	Ն ն	ნ	15	Ν ν	ნ
32	ყ	ჟ?						
33	ძ	*შ	23	Շ շ	შ	16	Ξ ξ	ქს
34	ყ	ჟ?						
35	ღ	ო	24	Ո ո	ო	17	Ο ο	ო
36	ღ	*ტ _ა						
37	ღ	*ჭ						
38	ღ	*ძ						
39	ღ	ჩ	25	Չ չ	ჩ			
40	ჩ	კ	26	Պ պ	კ	18	Π π	კ
41	ღ	ღ	27	Ջ ղ	ჟ			
42	ღ	რ	28	Ր ր	რ	19	Ρ ρ	რ
43	ჩ	ს	29	Ս ս	ს	20	Σ ς	ს
44	ჩ	მ	30	Վ վ	მ			
45	ღ	ტ	31	Տ տ	ტ	21	Τ τ	ტ
46	ღ	*ს _ა	32	Ր ր	რ			
47	ღ	*ო _ა						
48	ღ	*ვ _ა						
49	ღ	*ც	33	Ց ց	ც			
50	ღ	ჟ	34	Ի ի	ჟ	22	Υ υ	ჟ
51	ღ	ფ	35	Փ փ	ფ	23	Φ φ	ფ
52	ღ	ქ	36	Ք ք	ქ	24	Χ χ	ქ
						25	Ψ ψ	ფს
						26	Ω ω	ო

ტაბულა №2 –ის კომენტარი

- ვარსკვლავით (*) აღბანურ გრაფემათა გრაფაში – აღბანურ პალიმფსესტსა და ეპიგრაფიკულ ძეგლებში დაუდასტურებელ გრაფემას აღვნიშნავთ;
- ვარსკვლავით (*) ფონემური მნიშვნელობის გრაფაში – აღბანურ გრაფემათა სავარაუდო ფონემურ ღირებულებას აღვნიშნავთ;
- კითხვის ნიშნით (?) – გრაფემათა დაუდგენელ ფონემურ მნიშვნელობას აღვნიშნავთ.

შენიშვნები: აღბანური გრაფემების მოხაზულობა მოგვეყავს პალიმფსესტის მიხედვით, ხოლო ვარსკვლავით (*) აღნიშნული გრაფემების შემთხვევაში, მატენადარანის ნუსხის მიხედვით (№32 გრაფემა წარმოდგენილია ეპიგრაფიკაში დადასტურებული ფორმით);

* დიაკრიტიკულ ნიშანს ფარინგალიზებული ალოფონების აღმნიშვნელი გრაფემებისათვის ვიყენებთ;

ბერძნულ ნიშანთა ტრანსკრიფცია მოცემულია პირობითად, იმის მიხედვით, თუ როგორ გახმოვანდნენ ბერძნული ანბანის ასო-ბგერები ამიერკავკასიის ალფაბეტებში.

თავი V

კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიური სისტემის რეკონსტრუქცია

1. კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიური სისტემის რეკონსტრუქციის მეთოდის საკითხი

კავკასიის ალბანური ტექსტობრივი მასალის ამოკითხვისათვის სპეციალისტები ორ განსხვავებულ მეთოდს მიმართავენ: ზოგიერთი მკვლევრის აზრით (გ. კლიმოვი, ზ. ალექსიძე...), სომხურ ხელნაწერებში შემონახული ანბანი ვერ გამოდგებოდა წარწერათა გაშიფვრისათვის და საჭიროებდა შესწორებას ტექსტობრივი მასალის ამოკითხვის საფუძველზე.

გ. კლიმოვი აღნიშნავდა ალბანური ეპიგრაფიკული მასალის სიმცირეს და მიაჩნდა, რომ მხოლოდ მისი გაზრდის შემთხვევაში გახდებოდა შესაძლებელი მის მიმართ უცნობ დამწერლობათა გაშიფვრის არსებული მეთოდოლოგიის გამოყენება და შედეგად, ამოკითხული მასალის საფუძველზე, გადაწყდებოდა საკითხი სომხურ ხელნაწერებში მოცემული ალბანური ანბანის სანდობის შესახებ (კლიმოვი 1967, 68-80; კლიმოვი 1972, 50-54; შდრ. მისი გვიანდელი ნაშრომიდან: “В силу чрезвычайной скудости эпиграфического материала ... ведущая роль в определении фонетических значений его букв по-прежнему пока принадлежит воспроизведениям агванского алфавита в обеих армянских рукописях” – კლიმოვი 1990, 496).

მეორე მეთოდის მიმდევრები (ა. აბრამიანი, ვ. გუკასიანი, ს. მურავიოვი...) ანბანის შინაგანი სტრუქტურის გახსნით ცდილობდნენ წარწერებში დადასტურებული გრაფემების იდენტიფიკაციასა და მათ ამოკითხვას.

ს. მურავიოვს მატენადარანის ნუსხის ანალიზის საფუძველზე მასში ხუთი შესწორება შეაქვს (მურავიოვი 1981), ა. აბრამიანი კი ანბანის ფონემური მნიშვნელობებიდან ნახევარზე მეტს ცვლის (33 ასო-ბგერას 52-დან: აბრამიანი 1964).

ჩვენი აზრით, შედეგის მისაღწევად შესაძლებელია ორივე მეთოდის

ერთდროულად გამოყენება. სინური პალიმფსესტის აღმოჩენის შედეგად ალბანური ტექსტობრივი მასალის მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. იმავედროულად, სომხურ ხელნაწერებში შემონახული ალბანური ანბანი მიუხედავად შეცდომებისა, რომლებიც მისი არაეთოჯერადი გადაწერისას დაიშვა (ალბათ, IX-XV სს. განმავლობაში), მაინც ასრულებს გასაღების როლს ალბანური ეპიგრაფიკული და ხელნაწერი მასალის ამოკითხვის საქმეში.

უნდა აღინიშნოს, რომ ალბანური ანბანის ორივე ნუსხის ანალიზის საფუძველზე, მკვლევართა მიერ (აკ. შანიძე, ა. აბრამიანი, ვ. გუკასიანი, ს. მურავიოვი) გაკეთებული ფონემურ მნიშვნელობათა ზოგიერთი შესწორება გამყარებული იქნა ფაქტებით სინური პალიმფსესტის აღმოჩენის შემდეგ.

ამასთან აღსანიშნავია სპეციალისტთა მიერ დაშვებული შეცდომებიც: ს. მურავიოვი ზედმეტად ენდობა ანბანის მატენადარანის ნუსხას და მასში მხოლოდ ხუთი შესწორება შეაქვს. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევარი კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიურ სისტემაში იბერიულ-კავკასიური ენებისათვის ისეთ არადამახასიათებელ ბგერებს აღადგენს, როგორცაა: ინტენსიური **ჟ...** ასევე ნაკლებად დამაჯერებელია მჟღერი “ინტენსიურების” (**ზჷ, ჟჷ, ჯჷ**), ლაბიალიზებული **კ°** და **ყ°** ბგერების არსებობა კავკასიის ალბანურში; არ არის მოცემული (№3 “ზიმ”, №4 “გან”) ან გაუგებარია რამდენიმე ასო-ბგერის ფონემური კვალიფიკაცია, მაგ. **ა** ბგერის მსგავსი **ოჷ...** (მურავიოვი 1981).

ა. აბრამიანი კი, პირიქით, ზედმეტად კრიტიკულად უდგება წყაროს (მატენადარანის №7117 ხელნაწერის ანბანს). მკვლევარს მიაჩნია, რომ ალბანური ანბანი სომხურის ზუსტი კალკია და, შესაბამისად, ალბანურის ასო-ნიშნები სომხურ ბგერებთან ფონეტიკური სიახლოვის მიხედვით უნდა ყოფილიყვნენ დალაგებულნი, მაგ., №11 **ⴁ** “**ჟუდ**”-ის შემდეგ, რომელიც ა. აბრამიანის აზრით, სომხური **ქ**-ის ეკვივალენტია, მოდის №12 **ⴁ** “**ჟა**” (და არა “**ჟა**” როგორც ეს არის მატენადარანის ხელნაწერის ანბანში) და №13 **ⴁ** “**ირბ**”, ე.ი. მეორე და მესამე **ი**, როგორც ა. აბრამიანს წარმოუდგენია (აბრამიანი 1964, 29). ეს, თვით სომხურში

“ბერძნული” და სპეციფიკური “სომხური” ასო-ბგერების განთავსების პრინციპს ეწინააღმდეგება. სომხური ვერ ეგუება ორი მსგავსი ქლერადობის ასო-ბგერის ერთად თავმოყრას, ასე მაგალითად, სომხურში აბრუპტივები არ გვხვდება თავის ფშვინვიერ კორელატებთან; განცალკევებით დასტურდება **ღ** და **ჟ**, **ნ** და **რ** და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ა. აბრამიანის მიერ “რეკონსტრუირებული” ანბანი ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს (ა. აბრამიანის რეკონსტრუქციის ვრცელი კრიტიკისათვის იხ. გუკასიანი 1968, 392-400). ძნელი წარმოსადგენია, რომ ალბანურში **ჩ** ბგერის ოთხი სახესხვაობა (№36-39) გვექონოდა (აბრამიანი 1964, 32). ასევე საეჭვოა **ლ**, **შ**, **ხ** ბგერების სამ-სამი ვარიანტის არსებობაც. ზოგიერთი გამოწინააღმდეგების გარდა არ არის მოცემული ალბანურ “სპეციფიკურ” ასო-ბგერათა ზუსტი ფონემური კვალიფიკაცია, ანდა, ხშირად, ის სრულიად გაუგებარია, მაგ., **რ**, რომელიც ქლერადობით **ჰ** ბგერის მსგავსია (აბრამიანი 1964, 31).

გაუგებარია თუ რით არის განპირობებული 52 ნიშნიან ანბანში 33 ფონემური მნიშვნელობის შესწორება მკვლევრის მიერ. უნდა აღინიშნოს, რომ ალბანური ანბანის გრაფიკათაგან, რომლის ფონემური ღირებულება დღეს ეჭვს არ იწვევს, მატენადარანის ნუსხასთან შედარებით შესწორდა არაუმეტეს 1/4-ისა...

თავის მხრივ, ვ. გუკასიანი რეკონსტრუქციის საკმაოდ ორიგინალურ მეთოდს მიმართავს. მისი აზრით, ალბანური ანბანის ასო-ბგერათა ქლერადობის აღდგენა შესაძლებელია მათ სახელწოდებათა ანალიზის გზით. მკვლევარი აღნიშნავს: “Составители учебника (იგულისხმება მატენადარანის ხელნაწერის შემდგენები – რ. ლ.) разработали очень хитроумный способ передачи названий букв. То есть, они, учитывая специфические особенности названий букв албанского алфавита, соблюдали общее правило: заменили последние буквы названий в соответствии с корреляцией обозначаемого звука-буквы.” (გუკასიანი 1969, 63). ასე მაგალითად: ანბანში სამი **კ** ბგერით აღნიშნული გრაფიკა გვხვდება; პირველი (№21 “**კარ**”), ვ. გუკასიანის აზრით, პრერუპტივი უნდა იყოს, მეორე (№42 “**კატ**”), რომლის სახელწოდებაში **ტ** არის გამოყენებული, შესაბამისად იმავე რიგის აბრუპტივი (**კ**), ხოლო მესამე (№30 “**კარ**”) **ყ** ბგერას უნდა წარმოადგენდეს, ანუ ვ. გუკასიანის ვარაუდით, რაც უფრო მკვეთრი ბგერა ფიგურირებს სახელწოდების აბსოლუტურ აუსლაუტში,

მით უფრო მკვეთრ ფონემას აღნიშნავს იგი (გუკასიანი 1969, 62-63; “კარ” – “კარ”-ის ცალკე აღებულ შემთხვევაში, ასეთი მიდგომა გამართლებული უნდა იყოს. ასევე შესაძლებელია, რომ №6 “ზარღ” და №19 “ჭარღ” < “*წარღ” სახელწოდებების შემთხვევაშიც “კომტი” რ =ჩ ერთგვარი დიაკრიტიკული ნიშნის ფუნქციას ასრულებდეს, თუმცა, ამ შემთხვევაში, ეს ნაკლებად სავარაუდოა; იხ. III თავი: №6, №19 და №30 გრაფემების კომენტარები).

ჩვენ ვ. გუკასიანის არგუმენტაცია გაუგებრად გვეჩვენება. შეუძლებელია XV საუკუნეში №7117 ხელნაწერის შემდგენთ სცოდნოდათ ალბანური ბგერების არტიკულაციის თავისებურებათა შესახებ. ვ. გუკასიანის მოსაზრება მით უფრო გასაკვირია, თუ გავითვალისწინებთ, რომ იმავე ნაშრომში ის ეთანხმება აკ. შანიძის მოსაზრებას, რომლის თანახმად მატენადარანის ხელნაწერის ანბანური ნაწილის დედანი უნდა შედგენილიყო არაუგვიანეს X საუკუნისა (გუკასიანი 1969, 61). თუ მკვლევარი გულისხმობს, რომ ალბანური ანბანის გრაფემათა სახელწოდებები შეიცვალა უკვე დედანში (ეს არ ჩანს), მაინც ძნელი წარმოსადგენია სომეხ გადამწერებს შეეცვალათ უცხო ანბანის ასო-ბგერათა სახელწოდებები თავისი სურვილისამებრ. მით უფრო უადგილოა ასეთი დამახინჯებული (მკვლევრის აზრით) სახელწოდებების შედარება არამეულ, ბერძნულ და სხვა აღფაბეტთა სახელწოდებებთან და ამის საფუძველზე დასკვნების გაკეთება ალბანური ანბანის გენეზისის შესახებ (გუკასიანი 1969, 61-62).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ვ. გუკასიანი მის მიერვე შემოთავაზებულ პრინციპს ბოლომდე არ იცავს, მაგ., გაუგებარია თუ რატომ მიიჩნევს იგი №6 “ზარღ”-ს “მარტივ” ზ ბგერად, მაშინ როდესაც მის სახელწოდებაში “კომტი” რ არის გამოყენებული. ასევე ვ. გუკასიანისვე მეთოდიდან გამომდინარე ძნელი ასახსნელია შემდეგი ბგერების კვალიფიკაცია: ე “ჭბ” – ე “ენ”; ქ “ქილ” – ჟ “ქა”; ი “ირბ” – იხ “ინა”; ფ “პენ” – კ “ფეს” (ბოლო მაგალითი გაკვირვებას იწვევს; გაუგებარია რატომ მიიჩნია მკვლევარმა Φ (ფ) ასო-ბგერით აღნიშნული გრაფემა აბრუპტივად, ხოლო ღ (პ) ასო-ბგერით აღნიშნული – პრერუპტივად)...

ასევე საეჭვოდ გვეჩვენება, ვ. გუკასიანის მიერ პოსტულირებული კავკასიის

ალბანური ენის ფონოლოგიური სისტემა, მაგ.: ნაკლებად დასაჯერებელია დენტოლაბიალიზებულ ბგერათა არსებობა მხოლოდ შიშინა აფრიკატთა რიგში (ჯ°, ჩ°, ჩ°, ჭ°) და ინტენსივობის მიხედვით კორელაცია მხოლოდ სისინა და შიშინა აფრიკატების რიგში (ზ – ზა, ს – სა, ჟ – ჟა, შ – შა). ამასთან ერთად, საეჭვოა მუდერი ინტენსიურების (ზა, ჟა) პოსტულირება.

კავკასიის ალბანური ანბანის ასო-ბგერათა ფონემური მნიშვნელობების რეკონსტრუქციისას, უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია უდიურისა და თვისტომ ენათა ფონოლოგიური სისტემები და ალბანური ანბანის არსებულ ნუსხათა მონაცემები.

თუ დაეუშვებთ ანბანში წარმოდგენილ დანარჩენ, დაუდგენელ ფონემურ მნიშვნელობათა სისწორეს, მაშინ მივიღებთ შემდეგ სურათს: ჭ და ი ბგერას ანბანში სამ-სამი გრაფემა აღნიშნავს (ჭ №10-19-27; ი №13-16-47). ორ-ორი გრაფემა აღნიშნავს შემდეგ ბგერებს: ა (№1-25); გ (№3-4); ზ (№6-20); ჟ (№8-12); შ (№14-33); ლ (№15-22); ხ (№17-37); ჰ (№23-24); ც (№26-49); ჩ (№28-39); ჯ (№32-34); ტ (№36-45) და ს (№43-46). ამათგან, ცხრა ასო-ბგერის ფონემური მნიშვნელობა უეჭველად დადგენილია, ესენია: №1 ა (ა); №3 გ (გ); №13 ი (ი); №15 ლ (ლ); №17 ხ (ხ); №23 ჰ (ჰ); №39 ჩ (ჩ); №43 ხ (ხ) და №45 ჰ (ტ).

მატენადარანის ხელნაწერში ასევე სამი სახის კ (№21-30-42), ორგვარი დ (№11-50) და ფ (№41-51) გვქონდა. დღეს ამ ასო-ბგერების ფონემური ღირებულება უეჭველად დადგენილია: №21 კ (კ), №30 ლ (ლ), №42 კ (რ); №11 კ (დ), №50 ზ (ჟ); №41 ლ (დ), №51 ჟ (ფ). ამასთან ერთად, შესწორება “მესამე” ზ გრაფემის (ჟ) შემთხვევაშიც განხორციელდა: №3 ზ > გ.

განვიხილოთ ორგვარად და სამგვარად გადმოცემული ბგერების საკითხი და შეძლებისდაგვარად აღვადგინოთ კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიური სისტემა.

2. კავკასიის ალბანური ენის ვოკალიზმი

ალბანური ანბანის ორივე ნუსხაში ხმოვნების აღმნიშვნელი რვა გრაფემა გვაქვს, ამათგან ოთხი ხმოვნის ფონემური მნიშვნელობა დადგენილია, ესენია: №1 **ა** (ა), №5 **ე** (ე), №13 **ი** (ი) და №35 **ო** (ო). ასევე უეჭველია, რომ უ ბგერა დიგრამით გადმოიცემოდა **ო-ი** (№35+№50). №7 **უ** ნასესხებ სიტყვებში **ე** დიფთონგს აღნიშნავს. ეს გრაფემა ძირეულ ლექსიკაშიც გვხვდება და ზოგჯერ უეჭველად **ე** დიფთონგს გადმოსცემს (იხ. III თავი; №7 გრაფემის კომენტარი).

სამი ასო-ბგერის ფონემური მნიშვნელობა დაზუსტებას საჭიროებს, ესენია: “მეორე” და “მესამე” ი (№16-47) და “მეორე” ა (№25).

“მესამე” ი ანბანში უეჭველად ზედმეტია, ვინაიდან ის ვოკალიზმის სისტემურობას არღვევს. მისი ფონემური მნიშვნელობა შეიძლება განისაზღვროს როგორც გ (მურავიოვი 1981, 258-259), მაგრამ ეს ნაკლებად სარწმუნოა. უნდა აღინიშნოს, რომ სომხურს ამ ბგერის აღმნიშვნელი გრაფემა (ը) ჰქონდა და, შესაბამისად, გადამწერთათვის მისი ქ-დ გადმოცემა საჭირო აღარ იყო. ასევე საყურადღებოა, რომ ალბანური ანბანის ორსავე ნუსხაში, გრაფემათა სახელწოდებების გადმოცემისას, არსად არ გამოიყენება ე. ამასთანავე, თუ გავიზიარებთ ს. მურავიოვის მოსაზრებას, მაშინ **ო** ბგერა ანბანში კორელატის გარეშე რჩება – №2 **ნ**, რომელიც ს. მურავიოვს **ო** ჰგონია, უეჭველად **ბ** ბგერას აღნიშნავს და, მაშასადამე, ხმოვანთა მწეობრი სისტემა ირღვევა.

გასაზიარებელი ჩანს გ. კლიმოვის მოსაზრება ერთ-ერთი ი ასო-ბგერით აღნიშნული №47 **უ** “იონ“-ის შესახებ. ამ გრაფემის ფონემური მნიშვნელობა **ო** უნდა იყოს (კლიმოვი 1984, 13; კლიმოვი 1990, 497). ეს მტკიცდება **უი** დიგრამაში მისი მონაწილეობით და ასევე გამართლებულია გრაფიკული თვალსაზრისითაც (იხ. III თავი; №47 გრაფემის კომენტარი). შესაბამისად, **უი** კომბინაცია უ-ს

უნდა აღნიშნავდეს (ზ. ალექსიძე, ამ დიგრამას უმართებულოდ 53 დიფთონგად მიიჩნევს – ალექსიძე 2003, 151).

ამრიგად, ანბანში სავარაუდოდ ხმოვნების აღმნიშვნელი რვა ნიშანი გვაქვს, ორი ხმოვანი კი დიგრამით აღინიშნება. უდიური ენის ფონოლოგიური სისტემიდან გამომდინარე, ეს მდგომარეობა უნდა აიხსნას იმით, რომ კავკასიის ალბანურს, “ფარინგალიზებული ხმოვნები” უნდა ჰქონოდა.

ჩვენი აზრით, №7 **ლ** გრაფემაც, გარდა **ქ** დიფთონგის გადმოცემისა, “ფარინგალიზებულ” ბგერას (**ჟ**) აღნიშნავს.

საბოლოოდ, ხმოვანთა მწყობრ სისტემას ვიღებთ (“მარტივი”// “ფარინგალიზებული”).

“მარტივი”	ა (№1)	ე (№5)	ი (№13)	ო (№35)	უ (№35+50)
“ფარინგალიზებული”	[სჟ?] *ა (№25)	[სქ?] *ე (№7)	*ი (№16)	ო (№47)	უ (№47+50)

შენიშვნები: ვარსკვლავით (*) სავარაუდო ფონემურ მნიშვნელობას აღვნიშნავთ;

* დიაკრიტიკული ნიშნით აღვნიშნავთ ფარინგალიზაციას.

კავკასიის ალბანურში მეორე რიგის ხმოვნები გვხვდება ყველანაირ პოზიციაში – ანლაუტში, ინლაუტში და აუსლაუტში. ეს ასო-ბგერები დავადასტურეთ ძირითადად უკანა რიგის (ფარინგალურ, უკანაენისმიერ, ლარინგალურ) თანხმოვნებთან, მაგ.: **ნო-ჩ-ღღ** (ბუყუდ) “წყალობა”?; **სქ-ქ** (ოჯრ) “ყოფნა”–მყოფადი?; **ქს-ჟ-იო-ჩ-ყ** (ჭუახუნ) “სარწმუნო”; **სქ-ჩ** (უხ) “ექვსი”, შდრ. უდიური უჭ “ექვსი”; **ქღნო-ღღ** (ჰადბოკ-ჟუდ) “აყვანა”–პერფ; **წს-იო-ჩ-ყ** (გოხუნ) “დიდი”.... იშვიათად მეორე რიგის ხმოვნები ლაბიალურებთან და სო-

ნორებთანაც გვხვდება, მაგ.: **ნუ** (ბუ) – **ნო** (ბუ) ქონა-ყოლის აღმნიშვნელი ზმნის ფონეტიკური ვარიანტია, შდრ. უდიური ბუ “ქონა”, “ყოლა”, “ყოფნა”; **ნუ** (ა-ბუ) “მყოფი”; **ნუ** (ნო[?]ა) ?; **ნუ** (იპონო) ?... ეს ხმოვნები სიბილანტების პრეპოზიციაში დასტურდება, მაგ.: **ნუ** (ოხ) ? და ცალკე მარცვალსაც ჰქმნიან, მაგ.: **ნო-ნუ-ნუ-ნუ-ნუ** (უსეულამ-ენ) “უგუნური”-ერგ. ვერ დავადასტურეთ ვერც ერთი შემთხვევა, რომ მეორე რიგის ხმოვანი სიბილანტის პოსტპოზიციაში მოხვედრილიყო (ამის შესახებ იხ. V. 4.).

ჩვენი აზრით, ფარინგალიზაციას კავკასიის ალბანურში დისტინქციური ფუნქცია არ ჰქონდა. ამის შესახებ მეტყველებს პალიმფსესტში დამოწმებული პარალელური ფორმები, მაგ., **ნო** (ბუ)//**ნუ** (ბუ) “ყოლა”, “ქონა”... “მარტივ” და ფარინგალიზებულ ხმოვანთა აღმნიშვნელი ასო-ბგერების მონაცვლეობა ხშირია აფიქსებშიც, ძირითადად ფუძისეული უკანა წარმოების თანხმოვნების შემდეგ, მაგ.: **ნო** (უხ)//**ნუ** (უხ) – მრავლობითის მაწარმოებლობა; **ნო** (უნ)//**ნუ** (უნ) – ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტებია; **ნო** (ეფ)//**ნუ** (ეფ) – პერფექტის (ნამყო II) ფორმანტებია.

გარკვევას მოითხოვს თვით ფარინგალიზაციისა და “ფარინგალიზებული” ხმოვნების რაობის საკითხი. ფარინგალიზაციის მიზეზთა შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა: ევგ. ჯეირანიშვილმა რუთულურის, წახურისა და უდიურის “ფარინგალიზებული” ხმოვნების საკითხს მიუძღვნა სპეციალური წერილი, სადაც რენტგენოგრაფიულ მონაცემთა გამოყენებით დაასკვნა, რომ ამ ენებში ფარინგალიზაცია ხმოვნის თვისებაა და არა თანხმოვნისა. მკვლევარი წახურსა და რუთულურში ექვს “ფარინგალიზებულ” ხმოვანს გამოყოფს (ა, ე, ი, ი, უ, ე), ხოლო უდიურში – ხუთს (ა, ე, ი, ი, უ; ჯეირანიშვილი 1959, 339-359). “ფარინგალიზებულ” (“ველარიზირებულ მაგარ-შემართვიან” ან “ხორხისმიერ”, როგორც უწოდებს მათ მკვლევარი) ხმოვნებს უდიურში აღნიშნავს ვლ. ფანჩვიძე (ფანჩვიძე 1974). ვ. გუკასიანი ნიჯის დი-

ალექტში მეექვსე ფარინგალიზებულს – გ ბგერას იმოწმებს (გუკასიანი 1963; გუკასიანი 1965). ბ. თალიბოვი წახურში მხოლოდ ოთხ “გლოტალიზებულს” (resp. ფარინგალიზებულს) აფიქსირებს (ა, ი, ო, უ; თალიბოვი 1967, 592). დიდლოურში, ჰინუსურსა და ხვარშიული ენის ინსოფარულ დიალექტში ევგ. ბოკარევი ფარინგალიზებული ხმოვნების არსებობას აღნიშნავს (ბოკარევი 1959, 112; ბოკარევი 1967, 422). დ. იმნაიშვილი ამ მოსაზრებას არ ეთანხმება. მკვლევარი დიდლოურსა (ღ, ხ, ჳ, ყ) და ხვარშიული ენის ინსოფარულ დიალექტში (გ, ქ, კ, ჭ) ფარინგალიზებულ თანხმოვნებს იმოწმებს (იმნაიშვილი 1963). ევგ. ბოკარევის აზრს ელ. ლომთაძეც არ იზიარებს. მკვლევრის აზრით, ხვარშიული ენის ინსოფარულ დიალექტში ფარინგალური (ფ, ჳ) და “ქვემოფარინგალური” (ჭ, ყ, ღ) თანხმოვნები მოგვეპოვება (ლომთაძე 1998, 25). ნ. ტრუბეცკოი ხმოვანთა ფარინგალიზაციის მიზეზს “ემფატიკურად დარბილებულ” თანხმოვნებს მიაწერს (ტრუბეცკოი 1931). ამ მოსაზრებას ალ. მაჰომეტოვი იზიარებს და დარგული ენის კუბაჩურ დიალექტსა და თაბასარანულ ენაში ფარინგალიზებულ თანხმოვნებს აღნიშნავს (მაჰომეტოვი 1963; მაჰომეტოვი 1965)... საყურადღებოა, რომ თაბასარანულ ენაში ალ. მაჰომეტოვი ფარინგალიზებულ თანხმოვნებთან ერთად ფარინგალიზებულ ხმოვნებსაც გამოყოფს. სპეციალისტის აზრით, ფარინგალიზაცია ჩვეულებრივ მოუდის უკანა წარმოების თანხმოვნებს (ფარინგალურებს), ხოლო ხმოვანთაგან, ასევე უკანა რიგის ხმოვნებს (ა, უ). შესაბამისად, თაბასარანულში ხშირად ფარინგალიზებული მარცვალი გვხვდება (მაჰომეტოვი 1965, 49-51).

უნდა აღინიშნოს, რომ ფარინგალიზაციისათვის დამახასიათებელი არტიკულაციის თავისებურებები ერთნაირად წარმოუდგენიათ იმ მკვლევრებსაც, ვინც “ფარინგალიზებულ” ხმოვნებს ფონემებად მიიჩნევს და იმათაც, ვინც ფარინგალიზაციის მიზეზს თანხმოვნებს მიაწერს.

სრულიად განსხვავებული მოსაზრება გ. დეეტერსმა გამოთქვა. მისი აზრით, ფარინგალიზაცია არის თვისება, რომელიც ახასიათებს არა ცალკეულ ფონემას (თანხმოვანსა თუ ხმოვანს), არამედ მარცვალს, ანდა მთელ სიტყვას (დეეტერსი 1963, 33). ამ მოსაზრებას დაეთანხმა არნ. ჩიქობავა (ჩიქობავა 1979,

62). ჩვენი აზრით, გ. დეეტერსის მოსაზრება გასაზიარებელია. იმას, რომ ფარინგალიზაცია არის არა მხოლოდ ხმოვნის თვისება, მოწმობს უდიური ენის ჩვენება: **პა** “ხუთი”, შდრ. **პო** “ორი დერი ბალახი” (**ო** “ბალახი” **პა** + **ო** > **პო**) > **პო-პო** “ორ-ორი” შდრ. ანალოგიური: **სო-სო** [**სა** + **ო** > **სო**] “ერთ-ერთი”...; **ოჟ** “თოვლი” (შდრ. ნიჯის დიალექტის: **გჟ** “id”); > **ოჟ-ჟნ** “თოვლიანი”, “ზამთარი”; **ქამ** “ჭუჭყი” > **ქამ-ჟნ** “ჭუჭყიანი”...; შდრ. ანალოგიური: **უს-ენ** “წელიწადი”, **ტამ-ენ** “გემრიელი” (-ენ დერივაციული სუფიქსია, წარმოშობით ერგატივის ინსტრუმენტალისის ფორმანტია), **ბა-ღე-ნა** (ვართ.), **ბა-ღა-ნა** (ნიჯ.) “გუშინწინ” (**ღე** < **ღი** “ღღე”), **ბა-გარ-ღე-ნა//ბა-გარ-ღე-ნა** “გუშინწინისწინ”... ამ და სხვა მაგალითებში ფარინგალიზებული მარცვალი მომდევნოს იმსგავსებს და შეუძლებელია ეს მხოლოდ ასიმილაციით აიხსნას. საყურადღებოა ს. კოძასოვის მოსაზრება. მკვლევარი ფარინგალიზაციას პროსოდის თვისებად განიხილავს, რომელიც მთელ სიტყვაზე ვრცელდება. მისი აზრით, ფარინგალიზაციის პიკი მოუდის პირველ მარცვალს, ხოლო თუ სიტყვაში გვხვდება შიშინა ან ფარინგალური თანხმოვანი, მაშინ ფარინგალიზაციის პიკი მას მოუდის (კიბრიკი, კოძასოვი 1990, 347).

საყურადღებოა “ფარინგალიზებულ” ხმოვთა ხშირი მონაცვლეობა, რაც იმის დამამტკიცებელია, რომ ფარინგალიზაციის პროცესი არ წარმოადგენს მხოლოდ ხმოვნის თვისებას, მაგ., **უმა//ომა** “მარწყვი”, “სახსარი” [მენჯისა]; **ოღსუნ//უღსუნ** “დაღვეა”; **ოყედნ//უყედნ** “ძვალი”; **ოხჟოდ** “ნანადირევი”, შდრ. **ოხაღ** “ნადირობა”; **ჟაღ//ჟიღ** “ქაოსური მოძრაობა”, “არეგ-დარევა” (**ჟაღღესუნ** “ადუღება”, **ჟაღფესუნ** “დუღილი”)...

3. კავკასიის ალბანური ენის კონსონანტიზმი

შიშინა აფრიკატები და სისინა და შიშინა სპირანტები ანბანში ორ-ორი გრაფემითაა წარმოდგენილი, გამონაკლისია ჭ, რომელიც სამი ასო-ბგერით არის

გადმოცემული. სისინა აფრიკატებისგან კი, ორი სახისა მხოლოდ **ც** გვხვდება, ხოლო **ძ** და **წ** ბგერებისთვის თითო გრაფემა გვაქვს.

ჩვენი აზრით, კორელაცია არა მხოლოდ შიშინა აფრიკატებისა და სისინა და შიშინა სპირანტების რიგებში უნდა ჰქონოდა (ინტენსიური კორელატები, როგორც წარმოდგინა ს. მურავიოვს – მურავიოვი 1981), არამედ სისინა აფრიკატების რიგშიც. ინტენსიური (გემინირებული) **წ**-ს არსებობას ვ. გუკასიანი ნიჯის დიალექტში აღნიშნავს (გუკასიანი 1963, 81-84; გუკასიანი 1965, 4-11). ”ინტენსიურ” სისინა აბრუპტიულ აფრიკატს რიცხვით სახელებში იმოწმებს ევგ. ჯეირანიშვილი (ჯეირანიშვილი 1971, 33). გვაქვს ცნობები იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ XX ს.-ის დასაწყისში უდიურ ენაში **ს** ბგერის სახესხვაობას აფიქსირებდნენ. უდიური “დედაენის” შემუშავებისას (“სამჯი დწს”, სოხუმი, 1934) კომისიამ, როგორც მისი ერთ-ერთი წევრი, ვართაშენის მკვიდრი ა. აჯიაშვილი ამტკიცებდა, არ შემოიღო მეორე **ს** ბგერისათვის სპეციალური ნიშანი, მისი იშვიათი გამოყენების გამო (ვიმოწმებთ აკ. შანიძისა და გ. კლიმოვის მიხედვით – შანიძე 1938, 37; კლიმოვი 1990, 495).

ანბანში წარმოდგენილ სიბილანტთა რიგში, ჩვენი აზრით, აუცილებელია ერთი შესწორების გაკეთება. ერთ-ერთი **ჭ**, რომელიც ანბანში უეჭველად ზედმეტია, **წ** ბგერად უნდა მივიჩნიოთ (სავარაუდოდ №19 **წ** – ეს შესწორება, ჩვენი აზრით, ამოკითხული მასალითაც დგინდება, მაგ., **წყ** (*წი) “სახელი”, შდრ., უდიური წი “id”; იხ. აგრეთვე, ა. აბრამიანის, გ. კლიმოვისა და ს. მურავიოვის მოსაზრება ამ გრაფემის შესახებ – აბრამიანი 1964, 30; მურავიოვი 1981, 258; კლიმოვი 1984, 13; კლიმოვი 1990, 497). საფიქრებელია, რომ სომეხ გადამწერებს ერთმანეთში აერიათ მსგავსი მოხაზულობის **ძ** და **ღ** გრაფემები. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ვიღებთ სიბილანტების მწყობრ სისტემას, რომელშიც კორელატის გარეშე რჩება მხოლოდ **ღ** (**ძ**). ეს არ არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ უდიური ენის მონაცემებს. ამუამად უდიურში **ძ** აფრიკატი დაფიქსირებულია მხოლოდ ნასესხებ სიტყვებში. ევგ. ჯეირანიშვილი ამ ფონემას სულ ოთხ სიტყ-

ვაში იმოწმებს: **ძაბრი** “ძაბრი”, **ხაძალ** “ფოთოლი”. **მანძილ** “მანძილი” და **ღანძილ** “ღანძილი”. ამასთან, მკვლევარი შენიშნავს, რომ ოთხივე მაგალითში **ძ** აფრიკატს ფაკულტატურად **ზ** სპირანტი ენაცვლება (ჯეირანიშვილი 1971, 13). საფიქრებელია, რომ **ძ** ბგერა კავკასიის ალბანურშიც მოშლის პირას იყო მისული.

სამეცნიერო ლიტერატურაში სიბილანტების მეორე რიგს სხვადასხვა კვალიფიკაცია მიეცა. ასე, მაგალითად, ვ. გუკასიანის აზრით, კავკასიის ალბანურისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი სისინა და შიშინა აფრიკატების ოთხეულბრივი სისტემა (მჟღერი – ყრუ ფშვინვიერი – პრერუპტივი – აბრუპტივი), დენტოლაბიალიზებული შიშინა აფრიკატებისა და ინტენსიური (“მაგარი”) სისინა და შიშინა სპირანტების ლოკალური რიგები. ს. მურავიოვი გამოყოფს ინტენსიურ შიშინა აფრიკატთა და სისინა და შიშინა სპირანტთა რიგებს. ჰიპოთეტურად ინტენსიურ ანუ გემინირებულ თანხმონებად მიიჩნევენ მეორე რიგის სიბილანტებს აკ. შანიძე და გ. კლიმოვი. ყველა დასახელებული მკვლევარი ეყრდნობოდა ევგ. ჯეირანიშვილის, ვლ. ფანჩვიძისა და ვ. გუკასიანის ნაშრომებს უდიური ენის შესახებ და ისინი სწორედ ამის საფუძველზე ვარაუდობდნენ კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიური სისტემისათვის ინტენსიური თანხმონების არსებობას.

ვლ. ფანჩვიძის, ევგ. ჯეირანიშვილისა და ვ. გუკასიანის აზრით, უდიურს მოეპოვება შიშინა აფრიკატებისა და შიშინა სპირანტების “ინტენსიური” (“მეოვარი”) კორელატები: **ჯჰ, ჩჰ, ჭჰ, ჟჰ, შჰ** (ფანჩვიძე 1949...; ჯეირანიშვილი 1971...; გუკასიანი 1963...). ვ. გუკასიანი მათ რიგს უმატებს სისინა აფრიკატ **წჰ**-ს (გუკასიანი 1963; გუკასიანი 1965...). ვლ. ფანჩვიძე ამ ბგერებს შემდეგ სიტყვებში იმოწმებს: **შჰუმ** “პური”, **ჟჰე** “ქვა”, **შაღდესუნ** “ადუღება”, **ჭოჭა** “წითელი”... (ფანჩვიძე 1940, 706); ვ. გუკასიანი აფიქსირებს შემდეგ სიტყვებში: **ეშჰ** “ვაშლი”, **ოჟჰულ** “კული”, **კონჯჰუს** “პატრონი”... (გუკასიანი 1963, 85); ევგ. ჯეირანიშვილთან გვაქვს: **შჰუ** “ღამე”, **ბაჩჰ** “ასი”, **აჩჰი** “დაკარგული”, “დამალული”, **ყაჭჰ** “ტკივილი”, **ჭაპ** “გამქრალი”... (ჯეირანიშვილი 1971,14).

უდიურში “ინტენსიური” თანხმონების არსებობასთან დაკავშირებით, ბ. გიგინეიშვილმა შენიშვნა გამოთქვა. მისი აზრით, სპეციალურ ლიტერატურაში უდიურის შესახებ მქლერი ინტენსიურების (ჟ ჯ) პოსტულირება (ასეთი ბგერები არც ერთ იბერიულ-კავკასიურ ენაში არ გვხვდება) და ინტენსივობის კორელაცია მხოლოდ ერთ ლოკალურ რიგში (შიშინათა) მთლიანად ეჭვქვეშ აყენებს ინტენსიურთა მთელი რიგის კვალიფიკაციას. მათი “ინტენსივობა”, როგორც ბ. გიგინეიშვილი მიიჩნევს, ხშირ შემთხვევაში გამოწვეულია ფარინგალიზებულ ხმოვნებთან მეზობლობით (გიგინეიშვილი 1977, 61-63).

ბ. თალიბოვი იზიარებს ამ მოსაზრებას (თალიბოვი 1980, 181).

ბ. გიგინეიშვილი შენიშნავს, რომ სპეციალისტთა ჩანაწერების შედარებისას, ანდა ერთი მკვლევრის მასალებში, თვალშისაცემია ერთი და იმავე სიტყვის განსხვავებულად ჩაწერის შემთხვევები – ზოგან ინტენსიურით, ზოგან კი არაინტენსიურით, მაგ. ევგ. ჯეირანიშვილის მონოგრაფიაში “უდიური ენა” წარმოდგენილია: იჟ (გვ. 22) – იჟ (გვ. 208, 249) “თოვლი”; ჟოლ (გვ. 214) – ეოლ (გვ. 33, 78) “საცობი”; უჟ (გვ. 22) – უჟა (გვ. 217, 254) “თაფლი”; კაჟი (გვ. 28, 219) – კაჟი (გვ. 255) “ბრმა”; ჭოჟა (გვ. 220, 258) – ჭოჟა (გვ. 32) “წითელი”.

უნდა აღინიშნოს, რომ თუ დაეუშვებთ კავკასიის ალბანურში ინტენსიურების არსებობას, მაშინ, სავარაუდოდ, ოთხი მქლერი “ინტენსიური” (ჟ, ჯა, ზა, ძ) გვექნება და კორელაცია აქაც სიბილანტთა რიგს ვერ გასცდება.

ევგ. ჯეირანიშვილის აზრით, “ინტენსიურებს” დისტინქციური ფუნქცია აქვთ და ამის საილუსტრაციოდ მოჰყავს შემდეგი მინიმალური წყვილები: შჟ “ღამე” – შჟ “ვინ”; ბაჩ “ასი” – ბაჩ “ქვევრზე დასაფარებელი ბრტყელი ქვა”; აჩი “დაკარგული”, “დამალული” – აჩი “თამაში”; ყაჟ “ტკივილი” – ყაჟ “ვიწრო”; ჭაბ “გამქრალი” – ჭაბ “ვაზი” (ჯეირანიშვილი 1971, 14).

სამეცნიერო მივლინებით რამდენჯერმე (2007 წლის აგვისტო-სექტემბერი; 2008 წლის აგვისტო) ვიმყოფებოდი ყვარლის რაიონის უდიებით დასახლებულ სოფელ ოქტომბერში (ზინობიანი). მივლინებისას გადავამოწმეთ ის სიტყვები,

რომლებშიც, მკვლევართა აზრით, ინტენსიური თანხმონები უნდა გეკონოდა. ჩვენი დაკვირვებით “არაინტენსიური” და “ინტენსიური” შიშინა თანხმონები გამოითქმის ერთნაირად, ხოლო უმეტეს შემთხვევაში, “ინტენსიურ” თანხმონებს იმოწმებენ იმ სიტყვებში, სადაც გვაქვს ფარინგალიზაცია.

შევამოწმეთ, აგრეთვე, ევგ. ჯეირანიშვილის მიერ “ინტენსიურების” ფონემურობის დასამტკიცებლად მოყვანილი მაგალითები და დავიმოწმეთ აღნიშნული სიტყვები შემდეგი ფორმით: აჩიხ “დაკარგული”, “დამალული” – შდრ. აჩიხ (ჯეირანიშვილი 1971, 14); ბაჩ “ასი” – შდრ. ბაჩ (ჯეირანიშვილი 1971, 14); ბაჩ “ქვევრზე დასაფარებელი ქვა” – შდრ. ბაჩ (ჯეირანიშვილი 1971, 14); ყაჭ “ტკივილი”, “დაჭლექვა”, “დაწნეხვა” – შდრ. ყაჭ “ტკივილი” (ჯეირანიშვილი 1971, 14). შუ “ლამე” – შუ “ვინ” და ჭაპ “გამქრალი” – ჭაპ “ვაზი” მაგალითების შემთხვევაში კი ინფორმატორებისაგან შემდეგი განმარტება მივიღეთ: ეს ერთი და იგივე უღერადობის სიტყვებია, მაგრამ თითოეულს ორი მნიშვნელობა აქვსო, შდრ. ვლ. ფანჩვიძისა და ევგ. ჯეირანიშვილის ადრინდელი დებულება: “Возникновение омонимов обусловлено главным образом внешним совпадением в результате фонетических изменений слов, например: ачи (<ачъи) «потерянный», «утеренный» - ачи «игра», шу (<шъу) «ночь» - шу «кто», чIაпI (<чIъაпI) «угасший» - чIაпI «лоза»” (ფანჩვიძე, ჯეირანიშვილი 1967, 686); აღნიშნული მაგალითები შდრ. ევგ. ჯეირანიშვილის მიერ “ინტენსიურების” ფონემურობის საილუსტრაციოდ ზემოთ მოყვანილ მინიმალურ წყვილებს.

საფიქრებელია, რომ უდიურში განვითარებულ ფარინგალიზაციის პროცესსა და “ინტენსიურებს” შორის კავშირი არსებობს. სპეციალისტთა მასალებში “ინტენსიური” თანხმონები უმეტეს შემთხვევაში “დამოწმებულია” ფარინგალიზებულ მარცვალსა თუ სიტყვაში, მაგ.: ჟშ “ვაშლი”, იჟ “თოვლი”, იჟუნ “ზამთარი”, ჟაღდესუნ “ადუღება”, ჟჟ “ქვა”, ბაჭ “ასი”, უჭბაჭ “ექსასი”, ოჟილ (ვართ)/ოჟულ (ნიჯ) “კუდი”, ჭოჭა “წითელი”...

უდიურის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში მკვლევართა (ევგ. ჯეირანიშვილი, ვლ. ფანჩვიძე და ვ. გუკასიანი) ჩანაწერების შედარებისას, ანდა ერთი

სპეციალისტის მასალებში ხშირია “ფარინგალიზებული” ხმოვნებისა და “ინტენსიური” თანხმოვნების არაერთგვაროვანი ჩაწერის, კერძოდ მონაცვლეობის შემთხვევები, ანუ ერთსა და იმავე სიტყვაში ზოგჯერ დამოწმებულია გვერდიგვერდ მყოფი “ფარინგალიზებული” ხმოვანი და “მარტივი” შიშინა თანხმოვანი, ზოგჯერ კი, “ინტენსიური” შიშინა და “მარტივი” ხმოვანი, ანდა “ინტენსიური” შიშინა და “ფარინგალიზებული” ხმოვანი, მაგ.: **იჟ** (ჯეირანიშვილი 1971, 22) – **იჟ** (იქვე, 208, 212; ფანჩვიძე 1974, 19) – **იჟ** (გუკასიანი 1974, 130) “თოვლი”; **ჟე** (ჯეირანიშვილი 1971, 206; ფანჩვიძე 1974, 29) – **ჟე** (გუკასიანი 1974, 114) “ქვა”; **ოჯილ** (ფანჩვიძე 1974, 29) – **ოჟილ** (გუკასიანი 1974, 182) – **ოჯილ** (ჯეირანიშვილი 1971, 205) “კული”; **იშა** (ფანჩვიძე 1974, 30) – **იშა** (იქვე, 19) – **იშა** (ჯეირანიშვილი 1971, 205) – **იშა** (გუკასიანი 1974, 130) “ახლოს”; **ჩო** (ფანჩვიძე 1974, 30; გუკასიანი 1974, 242) – **ჩო** (ჯეირანიშვილი 1971, 203) “სახე”; **ქაჩა//ქაჩ//ქაშ** (ჯეირანიშვილი 1971) – **ქაშ** (ფანჩვიძე 1974, 30; გუკასიანი 1974, 133) “ორმო”, “თხრილი” – **ქაშკალ** (გუკასიანი 1974, 134) “ორმოს//თხრილის კიდე”...

გვაქვს შემთხვევები, როცა ერთ დიალექტში დამოწმებულია “ინტენსიური” თანხმოვანი, მეორეში კი “ფარინგალიზებული” ხმოვანი, მაგ.: **ჟუყტესუნ** (ნიჯ) – **ჩუხტესუნ** (ვართ) “შეყოფა”, “შეტენვა”, “შეჭრა” (გუკასიანი 1974, 115); **ოჟულ** (ნიჯ) – **ოჟილ** (ვართ) “კული” (გუკასიანი 1974, 182)...

როგორც ზემოთ აღინიშნა, მივლინებისას ჩვენ გადავამოწმეთ ის სიტყვები, სადაც მკვლევართა აზრით “ინტენსიური” თანხმოვნები უნდა გვექონდეს. საყურადღებოა, რომ უმეტეს შემთხვევაში, სადაც დამოწმებულია “ინტენსიური”, ჩვენ დავადასტურეთ ფარინგალიზაცია (ზინობიანის მეტყველებაში; იგივე მასალა ვართაშნულ მეტყველებაშიც შემოწმდა. ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი ინფორმატორი გახლდათ ვართაშენის მკვიდრი ქნი ოლლა ტიგიროვა-ქუმსიაშვილი), მაგ.: **აჩი** “დაკარგული”, “დამალული” – შდრ. **აჩი** (ჯეირანიშვილი 1971, 14); **აჩიბესუნ** “დაკარგვა” – შდრ. **აჩიბესუნ** (ფანჩვიძე 1974, 30); **ბაჩ** “ასი”, “ქვევრზე დასაფარებელი ქვა” – შდრ. **ბაჩ** “ასი” (ჯეირანიშვილი 1971, 14); **ჟშ** “ვაშლი” – შდრ. **ჟშ** (გუკასიანი 1963, 85); **იჟ** “თოვლი” – შდრ. **იჟ** (ჯეირანიშვილი 1971, 22) და

ოჟ (გუკასიანი 1963, 85); **იშა** “ახლოს” – შდრ. **იშა** (ფანჩვიძე 1974, 29) და **იშა** (გუკასიანი 1974, 130); **იშეკესუნ** “ვარცხნა”, “დავარცხნა” – შდრ. **იშეკესუნ** (გუკასიანი 1974, 130); **კაჭო** “ბრმა” – შდრ. **კაჭი** (ჯეირანიშვილი 1971, 28, 219); **ჟაღდესუნ** “აღუღება” – შდრ. **შაღდესუნ** (ფანჩვიძე 1974, 29) და **ჟაღდესუნ** (გუკასიანი 1974, 114); **ჟოკ** “ქნევა”, “რწევა” – შდრ. **ჟოკ** (გუკასიანი 1974, 114); **ჟოღ** “საცობი” – შდრ. **ჟოღ** (ჯეირანიშვილი 1971, 214); **ჟომოს** “პირი” – შდრ. **ჟომოს** (გუკასიანი 1974, 114); **ჟოდულ** “ზაფხული” – შდრ. **ჟოდულ** (ფანჩვიძე 1974, 30); **ოჩაღ** “მიწა”, “ზედაპირი” [დედამიწის], “ნიადაგი” – შდრ. **ოჩაღ** (ფანჩვიძე 1974, 29); **ოჭი/ოჭო** “ტალახი” – შდრ. **ოჭი** (ფანჩვიძე 1974, 29); **უჭ** “თაფლი” – შდრ. **უჭ** (ჯეირანიშვილი 1971, 217, 254; ფანჩვიძე 1974, 29); **ქაჩფესუნ** “ამოთხრა”, “ჩაფვლა” – შდრ. **ქაჩფესუნ** (ნიჯ; ფანჩვიძე, 1974, 30); **ღაჩფესუნ** “შეკვრა”, “შეყოფა” – შდრ. **ღაჩფესუნ** (ფანჩვიძე 1974, 29); **ყაჭ** “ტკივილი”, “დაჭლეტვა”, “დაწნეხვა” – შდრ. **ყაჭ** “ტკივილი” (ჯეირანიშვილი 1971, 14); **შუმაკ** “დედალი” – შდრ. **შუმაკ** (გუკასიანი 1974, 250); **ჩო/ჩო** “სახე” – შდრ. **ჩო** (ფანჩვიძე 1974, 29); **ჭოჭა** “წითელი” – შდრ. **ჭოჭა** (ჯეირანიშვილი 1971, 220, 258; ფანჩვიძე 1974, 29) **მუჭა** “ტკივილი” – შდრ. **მუჭა** (ჯეირანიშვილი 1971, 310)...
 თუ გავითვალისწინებთ, რომ უდიურში განვითარდა ფარინგალიზაციის არტიკულაციის შესუსტებისა და მოშლის პროცესი (განსაკუთრებით ეს ტენდენცია ახალგაზრდების მეტყველებაში შეინიშნება), საფიქრებელია, რომ ასეთ მაგალითთა რიცხვი უფრო დიდი უნდა ყოფილიყო. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ მკვლევართა მიერ დაფიქსირებულ “ინტენსიურ” თანხმოვნებსა და ფარინგალიზაციის პროცესს შორის პირდაპირი კავშირი არსებობს.

უდიურ ენაში “ინტენსიურ” თანხმოვანთა გამოყოფის არამართებულობას ადასტურებს ისიც, რომ “ინტენსიურ” შიშინათა და “ფარინგალიზებულ” ხმოვანთა არტიკულაციის თავისებურებები სპეციალისტებს თითქმის ერთნაირად წარმოუდგენიათ: “აღნიშნულ ხმოვანთა (“ფარინგალიზებული” ხმოვნები იგუ-

ლისხმება – რ. ლ.) წარმოსათქმელად შემართვის მომენტისათვის პირის დრუს ღიაობა და ენის მდგომარეობა თითქმის ისეთივეა, როგორც მარტივი ხმოვნებისა, ოღონდ ამ ხმოვანთა წარმოთქმის დროს ენა უფრო ჩაზნექილია და უკან გადაწეული, ენის კიდები თითქმის ებჯინებიან გვერდით კბილებს, ენის უკანა ნაწილი ოდნავ აწეულია და უახლოვდება რბილ სასასს”. (ჯეირანიშვილი 1971, 10); შდრ. ევგ. ჯეირანიშვილის მიერ შემოთავაზებულ “ინტენსიურთა” არტიკულაციის დახასიათებას: “წარმოთქმის მომზადების მომენტი თითქმის ისეთივეა, როგორც შესაბამისი “ჩვეულებრივი” ალვეოლარული თანხმოვნებისა – ჯ, ჩ, ჭ აფრიკატებისა და ქ, შ სპირანტებისა, ოღონდ ამ თავისებურ ბგერათა წარმოთქმის დროს ენა ამოზნექილ მდგომარეობაში უფრო უკან გადაიწევის, მისი შუა ნაწილი თითქმის ებჯინება კბილ-ნუნებს (ჯეირანიშვილი 1971, 13); შდრ. აგრეთვე ვლ. ფანჩვიძის მიერ წარმოდგენილ “ინტენსიურ” თანხმოვანთა არტიკულაციის დახასიათებას: “ნუნასთან ხშვას ან ნაპრალს ჰქმნის არა ენის წვერი, არამედ ენის წვერი და შუა ენის ნაწილი, თანაც არტიკულაცია ფართოვდება უკან მაგარ სასაზეც (ენა დაკეცილია, წვერი დაწეულია – ზურგი აწეული).” (ფანჩვიძე 1974, 39).

საყურადღებოდ მიგვაჩნია ს. კოძასოვის მოსაზრება: მკვლევარი ფარინგალიზაციას პროსოდის თვისებად მიიხნევს და მისი გავრცელების ერთგვარ წესებს აღგენს. ს. კოძასოვის აზრით, თუ სიტყვაში გვხვდება შიშინა ან ფარინგალური თანხმოვანი, ასეთ შემთხვევაში ფარინგალიზაციის პიკი მოდის მასზე. ველარიზაცია, რომელიც შიშინა თანხმოვანს განსხვავებულ ტემბრს ანიჭებს, ს. კოძასოვის მიერ ფარინგალიზაციის თანამდევ პროცესად განიხილება (კიბრიკი, კოძასოვი 1990, 347), რაც გასაზიარებელი ჩანს.

ჩვენი აზრით, სწორედ შიშინათა ფარინგალიზაციის//ველარიზაციის პროცესმა შეიყვანა შეცდომაში ის მკვლევრები, რომლებიც უდიური ენის ფონოლოგიურ სისტემაში “ინტენსიურ” თანხმოვნებს აღნიშნავენ. საყურადღებოა, რომ ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარი (ტ. მაისაკი, ვ. შულცე), უდიურში არა “ინტენსიურ”, არამედ ველარიზებულ შიშინა თანხმოვნებს აღნიშნავს, მაგ. იხ.: მაისაკი 2004, 452).

უნდა დავასკვნათ, რომ ფარინგალიზაცია უდიურში ძალზე გავრცელებული მოვლენაა, ხოლო ველარიზაცია – ფარინგალიზაციის თანამდევ პროცესია. ამ-

დენად, სამეცნიერო ლიტერატურაში პოსტულირებულ “ინტენსიურ”, ანდა ველარიზებულ შიშინა თანხმომანთა და ფარინგალიზაციას შორის პირდაპირი კავშირი არსებობს: – იშვიათი გამონაკლისის გარდა, “ინტენსიური” თანხმომენები დამოწმებულთა ფარინგალიზებულ სიტყვებში. თვით ინტენსიური, ანდა ველარიზებული ფონემების გამოყოფა უდიურში, ჩვენი აზრით, არამართებულია.

უდიური ენის ფონოლოგიური სისტემის საფუძველზე და სხვა მიზეზთა გათვალისწინებით (ამის შესახებ საუბარი § 4-ში გვექნება) ვვარაუდობთ, რომ კავკასიის ალბანურში სიბილანტების მეორე რიგი “ფარინგალიზებულთა” რიგს წარმოადგენდა და არა ინტენსიურთა. ჩვენი აზრით, კავკასიის ალბანურ ანბანში ხმომენებისათვის და სიბილანტებისათვის ორ-ორი გრაფემის არსებობა განპირობებული უნდა იყოს იმით, რომ მეორე რიგის გრაფემებით ფარინგალიზაცია აღინიშნებოდა. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ მეორე რიგის სიბილანტები და მეორე რიგის ხმომენები ერთ მარცვალში არ გვხვდება. მეორე რიგის ხმომენები არ გვხვდება აგრეთვე “მარტივი” სიბილანტების პოსტპოზიციაშიც (ამის შესახებ საუბარი V. 4. ქვეთავში გვექნება).

ირიბ მტკიცებულებად იმისა, რომ ფარინგალიზაცია კავკასიის ალბანურში ფართოდ იყო გავრცელებული, გამოდგება მოვსეს ხორენაციის მიერ გაკეთებული გარგართა “ენის” (საფიქრებელია, რომ გარგარული ალბანურის ერთ-ერთი დიალექტი იყო) დახასიათება: “ყელში მოუბარი, უდრეკი, უხეში, მსხვრეველი” (მოვსეს ხორენაცი 1913, 329).

როგორც ვოკალიზმის მიმოხილვისას აღინიშნა, ხმომენების აღმნიშვნელი მეორე რიგის გრაფემები ძირითადად უკანა წარმოების (რბილსასისმიერი, ფარინგალური და ლარინგალური) თანხმომენებთან ერთ მარცვალში გვხვდება, ასევე დადასტურებულია მათი მოხვედრა ბაგისმიერ თანხმომენებთან და სონორებთან.

სირთულეს აწყდება სისინა თანხმომენთა მეორე რიგის კვალიფიკაცია, როგორც ფარინგალურთა: გ. დეეტერსმა კავკასიურ ენათა მასალის გამოყენებით გამოთქვა მოსაზრება, რომ სისინა თანხმომენების ფარინგალიზაცია შეუძლებელია (დეეტერსი 1963, 32). უნდა აღინიშნოს, რომ უდიურ ენაში სისინა თანხმო-

ვანიც განიცდის ფარინგალიზაციას, ხოლო ანლაუტში სისინას მარცვალზე შეიძლება ფარინგალიზაციის პიკიც მოდიოდეს (თუმცა იშვიათად), მაგ.: ცამხურ “გადმოკარკულთვალეზიანი კაცი”; ცაყ/ჭაყ “ელვა”; ცაყნაბედალა[ყ] “მაჟურა”; წილლიტ (ვართ.)//ცვალღათ (ნიჯ.) “ბუ”; წიდაყ “სუსტი”, “ავადყოფი”; წილი “ყვირილი”, “ღრიალი”; წიყ/წიხ//ციყ “ციყვი”; წილ [ადალა] “თავსხმა [წვიმა]” (გუკასიანი 1974), საში “ტაბიკი” (ჯეირანიშვილი 1971, 213; ფანჩვიძე 1974, 29). ვართაშნულ დიალექტში (სოფ. ზინობიანის მეტყველებაში) ჩვენ დავადასტურეთ შემდეგი სიტყვები: სახტიკ “კოჭლი” (სახტესუნ “კოჭლობა”); ცამდესუნ “დასუსხვა”, “დაშუშხვა” (შდრ. ცამესუნ “ჩაწერა”); წავდესუნ “ლაჟაჟი”, “პრიალი” (წავდალბულ “წაბლი”; ზედმიწ. პრიალა თავი); წავდეუხ “წურბელები”; წავდედესუნ “ტაშის ცემა”; წილამპურ “მხალი”; წილ “გალუმპული”...

საფიქრებელია, რომ ფარინგალიზაცია გამოწვეულია ფარინგალური თანხმონების შესუსტებით (დარბილებით – იხ. ტრუბეცკოი 1931). ხშირია მათი შემდგომი დაკარგვისა ან სხვა კონსონანტებში გადასვლის შემთხვევები. საყურადღებოა, რომ კავკასიის ალბანურის მეორე რიგის სიბილანტს თვისტომ ენებში ხშირად შეესატყვისება ფარინგალური თანხმონი, მაგ.: კავკ. ალბ. ძე-მ] < *ჯჷVნ, უდ. ჟე-ნ] – ლეზგ. ჯჷან, თაბ. ღჷან, აღ. ღჷან “ქვა”; შდრ. ასევე ხუნძ. ყონო, არჩ. ჯჷან “ქვის ფილა”. ბ. გიგინეიშვილის აზრით, აქ უნდა გვექონდეს საერთო დადესტნური *ჯ-ს რეფლექსები (გიგინეიშვილი 1977, 85).

კავკ. ალბ. შჷ < *წჷV, უდ. შჷ – ლეზგ. დიჷ < *დიწჷ, თაბ. დიშჷ//დიზჷ, აღ. იჷ//იშჷ, რუთ. ჟჷშ//ჰჷშ, წახ. ეწჷ, კრიწ. დიჷ, არჩ. იშ “ღამე”. აქ ბ. თალიბოვი საერთოლეზგიურ *წ-ს აღადგენს (თალიბოვი 1980, 322). შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ბ. თალიბოვის მოსაზრება დასტურდება სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა ჩვენებით: წახ. ხამ, ლაკ. ხჷ, ქართ. ღამე. (ასევე შესაძლებელია, რომ საერთო კავკასიურში ამ სიტყვის აღმნიშვნელი ორი ფუძე გვექონდა, შდრ.: ქართ.

ღამე და ზან. სერი “id”; შდრ. აგრეთვე: ქართ. სერობა).

რთული ასახსნელია შ-ს სავარაუდო გამოჩენა ლექსემაში ბ[V?]შედ “მზე”. თანხმოდანთა კომპლექსის არსებობა ამ სიტყვის აბსოლუტურ დასაწყისში ძნელი დასაშვებია. ჩვენი ვარაუდით, ამ სიტყვის ანლაუტში ხმოვანი უნდა ყოფილიყო (ეს სიტყვა დავიმოწმეთ მასალაში მხოლოდ ერთხელ). შესაძლებელია, რომ ეს სიტყვა მზის აღმნიშვნელი ორი ძირის კონტამინაციით იყოს მიღებული დარგული ბარჰი-ს მსგავსად (ტრუბეცკოი 1922, 192). ჩვენი აზრით, ამ სიტყვაში (ბ[V?]შედ), შ საერთო დადესტნური *ფ-საგან შეიძლება იყოს მიღებული, ხოლო აუსლაუტის დ ასეთ შემთხვევაში – ანდიურ ენათა ლ-ს, ჩეჩნურ ლხ-ს და ბაცურ თხ-ს უნდა შეესატყვისებოდეს. საფიქრებელია, რომ უდიურში “მზის” აღმნიშვნელი ძირების რელიქტებს წარმოადგენენ ლექსემები ბჟშ “წინ” (< მზის მხარეს) და ღი “დღე”.

წარმოდგენილ მოსაზრებას ნაწილობრივ ადასტურებს ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში ლეზგიურ ენებში დადასტურებულ ფარინგალურ ან უკანაენისმიერ თანხმოდანს უდიურში შეესატყვისება სიბილანტი. ზოგიერთ შემთხვევაში ამას კანონზომიერი და რეგულარული ხასიათი აქვს, მაგ., საერთო ლეზგიური *ღ > უდიური ჟ; საერთო ლეზგიური *ხ > უდიური შ (თალიბოვი 1980, 320-324; უკანასკნელი შესატყვისობის შესახებ იხ. აგრეთვე: ჯეირანიშვილი 1966).

ფარინგალიზაცია, როგორც ჩანს, საერთო ლეზგიურისათვის იყო დამახასიათებელი. ამის შესახებ მეტყველებს ფარინგალიზაციის თვალსაზრისით იდენტური ბგერათშესატყვისობების არსებობა ლეზგიურ ენებს შორის, მაგ.: უდ. მაგ – თაბ. მაგჷ, რუთ. მახჷ, წახ. მჟჷ, კრიწ. მაღ, ად. მეღჷ “რკო” [მუხის].

უდ. ღოღ – ლეზგ. კ’ჷრ, თაბ. კ’ჷრ//ღჷრ, ად. ღჷრ, რუთ. ღიღ, წახ. კ’იღჷ; შდრ. აგრეთვე: დიდ. კაი, ხვარშ. კჷ “კურდღელი”...

ხშირია შემთხვევები, როცა სხვა ლეზგიურ და (//ან) დადესტნურ ენებში დადასტურებული ფარინგალური თანხმოდანი უდიურში დაკარგულია, მაგრამ მის ნაცვლად გვხვდება ფარინგალიზაცია, მაგ.: უდ. ამ < *ფVნ – არჩ. ჳჷნ, თაბ.

დუნ, რუთ. ღენ “მხარი”; შდრ. აგრეთვე: წახ. ღულზე “ნიხაბი”.

უდ. უშ < *ჰემ < *ჰენ – ხუნდ. ჰენ, ახვ. ჰენე, დიდ. ჰენემ, ჰინუ, ლაკ. ჰინტ, ად. ჰან “ვაშლი”.

უდ. იუენ < *ეVჯ-Vნ < *ეVდ-Vნ – ლეზგ. ყუდ, თაბ. ყურდ, ად. ღურდ, რუთ. ყუდ, წახ. ყოდიმ, ბუდ. ყაჯრაჯ, კრიწ. ყუდ, ხინ. კინაუ, არჩ. ყოტა-იჭ “ზამთარი”.

უდ. პა < *ყV – ლეზგ. ყუდ, თაბ. ყუდ, ად. ყუდ, რუთ. ყუად, წახ. ყოდ, ბუდ. ყად, კრიწ. ყუად, ხინ. კუ, არჩ. ყუევეუ “ორი”.

უდ. მოლ < *მVყVლ (სავარაუდოდ) ან *ყVლ – ლეზგ. ყიფ, ყუშ (ახტ), ყუხ~ (ტიფ), თაბ. ყოდ, ად. ჰუდ//ყუდ, რუთ. ყდ, წახ. ყოვ, ბუდ. ყალ, ხინ. ნუყურ, არჩ. ნოყონ...

კავკასიის ალბანური ენის სიბილანტო სისტემა რეკონსტრუქციის შედეგად ასეთი სახით წარმოგვიდგება (“მარტივი”//ფარინგალიზებული ალოფონი).

		აფრიკატი			სპირანტი	
სისინა	“მარტივი”	№38 ႁ	№49 Ⴑ *ც	№48 Ⴐ *წ	№6 Ⴑ Ⴐ	№43 Ⴑ ს
	“ფარინგ”	*d//ძ	№26 Ⴑ *ცა	№19 Ⴑ *წა	№20 Ⴑ *ზა	№46 Ⴑ *სა
შიშინა	“მარტივი”	№32 *ჯ?	№39 Ⴑ ჩ	№27 Ⴑ *ჭ	№12 Ⴑ *ყ	№33 Ⴑ *შ
	“ფარინგ”	№34 Ⴑ *ჯა?	№28 *ჩა	№10 Ⴑ *ჭა	№8 Ⴑ *ყა	№14 Ⴑ *შა

შენიშვნები: ვარსკვლავით (*) სავარაუდო ფონემურ მნიშვნელობას აღვნიშნავთ;

* დიაკრიტიკულ ნიშანს ფარინგალიზაციის აღმნიშვნელი გრაფემებისთვის ვიყენებთ.

ბუნებრივია, მოყვანილი მასალა არ გვაძლევს საბოლოო დასკვნების გაკეთების საშუალებას.

არ გამოვრიცხავთ სიბილანტო მეორე რიგის სხვაგვარი კვალიფიკაციის

შესაძლებლობას. მაგალითად, მეორე რიგის სიბილანტები ვ. გუკასიანის მსგავსად შეგვიძლია ლაბიალიზებულ თანხმონებად მივიჩნიოთ (გუკასიანი 1969, 68), მაგრამ ეს სარწმუნოდ არ გვეჩვენება. ეჭვი გვეპარება, რომ მაშინდელი ლინგვისტური აზროვნების პირობებში, ალბანური ანბანის შემქმნელი შეძლებდა მათ აღქმას დამოუკიდებელ ფონემურ ერთეულებად და თუ დავუშვებთ მათ არსებობას, ასეთ შემთხვევაში აუცილებლად უნდა გვქონოდა ტექსტებში დაწერილობის პარალელური ფორმები, ანუ ლაბიალიზებული ბგერა ზოგ შემთხვევაში ცალკე ასო-ნიშნით უნდა ყოფილიყო გადმოცემული, ზოგან კი კომპლექსებით – Sw, Sv, ან Su. (S – სიბილანტია; w = **ჴ**, v = **ჵ**, u = **ო-ჴ**). ამის შესახებვე მეტყველებს კავკასიის ალბანურში (და უდიურში) ლაბიალური კომპლექსების (Cw) შესამჩნევი სიმცირე სხვა ლეზგიურ ენებთან შედარებით. საფიქრებელია, რომ საერთო ლეზგიურის *Cw კომპლექსები კავკასიის ალბანურში ანბანის შექმნამდე გამარტივდნენ *Cw > C).

სიბილანტთა ვრცელი მიმოხილვის შემდეგ განვიხილოთ დანარჩენი დაუდგენელი კონსონანტების საკითხი. უნდა აღინიშნოს, რომ მატენადარანის ხელნაწერის №4 (**ყ?**) და №22 ასო-ბგერები იდენტიფიცირებულები არ არიან პალიმფსესტის რომელიმე გრაფემასთან. №18 **ხ**, №24 **ღ**, №36 **ჯ** და №37 **ქ** არ შეგვხვედრია ისეთ სიტყვაში, რომ მისი ფონემური ღირებულება უეჭველად დადგენილი ყოფილიყო. მათი სავარაუდო უღერადობის დადგენა მხოლოდ სავარაუდოდ შეგვიძლია უდიურისა და თვისტომი ენების მონაცემთა საფუძველზე.

ხ ასო-ბგერით გადმოცემული მეორე გრაფემა – **ქ** (№37 “ხამ”), საფიქრებელია, რომ **ჭ** ფონემას აღნიშნავდა. ეს ბგერა დადასტურებულია ლეზგიური ქვეჯგუფის, დაღესტნური ჯგუფისა და იბერიულ-კავკასიური ენათა ოჯახის ყველა ენაში. აქედან გამომდინარე, ძნელი წარმოსადგენია, რომ ის ალბანურში არ ყოფილიყო (საინტერესოა, რომ ა. აბრამიანი და ს. მურავიოვი ამ ბგერას არ აღადგენენ კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიურ სისტემაში: აბრამიანი 1964; მურავიოვი 1981).

შედარებით ძნელია №24 “ჰაჲ” გრაფემის ფონემური ღირებულების განსაზღვრა, თუმცა სარწმუნო ჩანს, რომ ის ლარინგალურ ც-ს აღნიშნავდა. ეს ბგერა უდიურის გარდა, ყველა დანარჩენ ლეზგიურ ენაშია დადასტურებული.

ანბანში გვრჩება გ ბგერით აღნიშნული ორი გრაფემა (№3 **Գ** და №4). ვფიქრობთ, რომ №4 გრაფემის ფონემური ღირებულება აუცილებელია დაზუსტდეს – **გ** > **დ**. ამ შესწორების საჭიროებას გვიჩვენებს ის, რომ №4 “გან” ბერძნულ **δ** “დელტა”-ს შეესატყვისება, ხოლო ალბანურ ანბანში არსად არ ირღვევა ბერძნული ანბანთრიგი. მაშასადამე, უნდა დავასკვნათ, რომ ალბანურში ორი **დ** ბგერა უნდა გვექონდეს (№4 და №18 **Ի**) და არა ორი **გ** ბგერა. ჩვენი აზრით, ორივე **დ** ბგერის საკითხი კომპლექსურად უნდა განვიხილოთ მეორე **ტ** ბგერისა (№37 **Լ**) და მეორე **ლ** ბგერის (№22 “ლიტ”) საკითხთან. საფიქრებელია, რომ კავკასიის ალბანურს ლატერალური თანხმოვნები უნდა ჰქონოდა. ამჟამად ლეზგიურ ენებში (თუ არ ჩავთვლით არჩიულს, რომელმაც ლატერალები ან შეინარჩუნა ხუნძურის გავლენით, ანდა ისეცხა ხუნძურისაგან) ლატერალი (**ლ'**) დაფიქსირებულია მხოლოდ სინალურ ენაში (დეშერიევი 1959, 13), თუმცა, ზოგიერთი მკვლევარი ამ მოსაზრებას არ იზიარებს (თალიბოვი 1980). მიუხედავად ამისა, სარწმუნოა, რომ საერთო ლეზგიურში ლატერალები იყო. ბ. თალიბოვი საერთო ლეზგიურისათვის **ტ*** და **ტ'** ლატერალებს აღადგენს (თალიბოვი 1980, 325). გასაზიარებელი ჩანს ბ. გიგინეიშვილის მიერ რეკონსტრუირებული ლატერალთა სისტემა: მკვლევარი საერთო ლეზგიურში **დ***, **ტ'**, **ლ'***, **ლ'** და **ლ'*** ლატერალებს აღადგენს (გიგინეიშვილი 1977, 151). ჩვენი აზრით, კავკასიის ალბანურს ლატერალურ აფრიკატთა სამეული უნდა ჰქონოდა: მუღერი **დ*** (სავარაუდოდ №18 **Ի**, ან №4 “*დან”); ფშვინვიერი **ლ'** (№22 “ლიტ”); აბრუპტივი **ტ*** (№36 **Լ**). ყრუ ლატერალებს, როგორც ჩანს, არ ახასიათებდა დაპირისპირება ინტენსივობის მიხედვით: შესაძლოა ისინი რეალიზებულები იყვნენ, როგორც ინტენსიური **ტ'** და

ლ^ა ბგერები.

ღ და ტ^ა სომხურ ხელნაწერებში *ჟ* და *თ* ასო-ბგერითაა გადმოცემული. ეს გასაკვირი არ არის: ამ ლატერალთა ჟღერადობა, სხვა რომელიმე სომხურ ბგერასთან შედარებით, *ღ* და *ტ* ბგერისას წააგავს.

	სშუელი			აფრიკატი						სპირანტი				სონორი
	მჟღერი	ფშვინვეიერი	აბრუპტივი	მჟღერი		ფშვინ- ვეიერი		აბრუპ- ტივი		მჟღერი		ყრუ		
				მარტვ.	ფარინგ.	მარტვ.	ფარინგ.	მარტვ.	ფარინგ.	მარტვ.	ფარინგ.	მარტვ.	ფარინგ.	
ლაბიალური	ბ	ფ	პ							პ				ტ, მ
დენტალური	ღ	თ	ტ	*ძ		*ც	*ც ^ა	*წ	*წ ^ა	ზ	*ზ ^ა	ს	*ს ^ა	ნ, ლ
ალვეოლარული				*ჯ	*ჯ ^ა	ჩ	*ჩ ^ა	*ჭ	*ჭ ^ა	*ყ	*ყ ^ა	*შ	*შ ^ა	რ
შუაენისმიერი														ღ
უკანაენისმიერი	გ	ქ	კ							ღ		ხ		
ფარინგალური		*ჟ	ყ											
ლარინგალური			*ღ									ჟ		
ლატერალური				*ღ ^ა		*ღ ^ა		*ტ ^ა						

შენიშვნები: ვარსკვლავით (*) სავარაუდო ფონემურ მნიშვნელობას აღვნიშნავთ;

• დიაკრიტიკული ნიშნით აღვნიშნავთ ფარინგალიზებულ ალოფონებს;

ტაბულა შედგენილია გრაფიკული თვალსაზრისით: გარდა სიბილანტებისა, ფარინგალიზებული ალოფონები მოეპოვებათ აგრეთვე უკანა წარმოების (უკანაენისმერ, ფარინგალურ, ლარინგალურ) თანხმოვნებსა და, სავარაუდოდ, ლაბიალურ და დენტალურ თანხმოვნებს.

4. ფარინგალიზაციის აღნიშვნის გრაფიკული წესი და ფარინგალიზებული მარცვლის სეგმენტური სტრუქტურა

შენიშვნა: ფარინგალიზაციას * ნიშნით აღვნიშნავთ და ვხელმძღვანელობთ კავკასიის ალბანურ ანბანში გატარებული გრაფიკული პრინციპით.

ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში (ალბანური პალიმფსესტი და ეპიგრაფიკა) დავადასტურეთ 50-ზე მეტი სიტყვა, სადაც მეორე რიგის ხმოვანი თუ სიბილანტი გვხვდება.

კავკასიის ალბანურში ე.წ. მეორე რიგის ხმოვნები გვხვდება ყველანაირ პოზიციაში (ანლაუტში, ინლაუტში და აუსლაუტში) და ძირითადად უკანა რიგის (ფარინგალურ, უკანაენისმიერ და ლარინგალურ) თანხმოვნების გვერდით, მაგ., **ნო-ჩ-ღ** (ბუყ-ფ) “წყალობა”? (მარცვლის სტრუქტურა – C-V²S; C – კონსონანტია, V² – მეორე რიგის ხმოვანია, S – სონანტია; -ფ დერ. აფიქსი უნდა იყოს); **სჯღ** (ოჯრ) “ყოფნა”?–მყოფადი (V²CS); **იო-ჩ-ღ-ს-ჩ-ყ-ყ** (ჰუახ-უნ-ენ) “სარწმუნოება”–ერგ. (C-V²S; -უნ დერ. აფიქსი უნდა იყოს); **ის-ღ-იო-ჩ-ყ** (ჰუახ-უნ) “სარწმუნო” (CV²); **ს-ჩ-ღ** (უხ) “ექვსი” (V²C), შდრ. უდიური ზღ “ექვსი”; **იღნო-ღღ** (ჰადბოკ-ფ) “აყვანა”–ნამყო II [პერფექტი] (C-V²S; -ფ აფიქსია); **წს-იო-ჩ-ყ** (გოხ-უნ) “დიდი”, “დიდებული” (CV²C); **ის-ღ-ღ** (ჰუჰე) ? (CV²); **წო-ჩ-ღ-ღ-ღ-ღ** (გოკარის-ენა) ?–ერგ.? (C-V²S; -ენ ერგატივის აფიქსი უნდა იყოს); **ის** (ჰოლ) ? (CV²C)... ხშირად მეორე რიგის ხმოვნები ლაბიალურებთან და სონორებთანაც გვხვდება, მაგ.: **წს-ჩ** (ბუ) (CV²) – ქონა-ყოლის აღმნიშვნელი ზმნის **წო-ჩ** (ბუ) ფონეტიკური ვარიანტია, შდრ. უდიური: ბუ “ქონა”,

“ყოლა”, “ყოფნა”; **ღნსუ** (აბჟ) “მყოფი” (CV²); **ყსჲ** (ნო[?]ა) ? (CV²?); **ყს** **ყს** (იპონო) ? (CV²;CV²); **ხო-ჩ-ლო-სუ** (ხოსრო-უ[6]) “ხოსრო”–ნათ. (V²C; -უნ აფიქსია)... ეს ხმოვნები შეიძლება სიბილანტების წინ შეგვხვდეს, მაგ.: **სჩ** (ოს) ? (V²S¹; S¹ – “მარტივი” სიბილანტია); **სუ-ჩყ** (უს-[V]6) ? (V²S¹) და ცალკე მარცვალშიც შექმნას, მაგ.: **ო-ჩ-კ-სუ-ღჲ-კ-ყ** (უსეჟლამ-ენ) “უგუნური”–ერგ (V²) ... (აქ არ მოგვეყავს მაგალითები ა და ი ბგერებზე, იქიდან გამომდინარე, რომ ეჭვი გვეპარება მათ გრაფიკულ იდენტიფიკაციაში).

ასევე მეორე რიგის სიბილანტები არ არიან პოზიციურად შეზღუდულნი. ეს თანხმოვნები გვხვდება ანლაუტში, ინლაუტში და აუსლაუტში, მაგ. **ნ[V?]/სკ-აო-ჩყ** (ბ[V?]შა?ელ-უნ) “მზე”–ნათ. (CS²V ან S²V), შდრ. უდ.: ბჟდ “მზე”; **ს[V?]/სღნჲყჲ** (კ[V?]შა?აბან-ა) “უდაბნო”–მიც. (CS²V ან S²V), შდრ. უდ.: ყაყაან “უდაბნო”; **სღსკ-ჩჲ-ჩ** (შაშეს-ახ) ?–მიც.? (S²V; S²VS¹); **ნო-ჩ-სკ-ყ** (ბუშ-ენ) ?–ერგ.? (S²-VS); **ჩო-ჩ-გო-ჩ** (ლუსჟ) “ყოველი” (S²V); **აჲაჲო-ჩყ** (ცაგა-უნ) ?–ნათ.? (S²V; S²V); **აყჩკ** (ცოი-ე) ?–ნამყო II [პერფექტი]? (S²VS); **კ-ჲ-ჩ-სკ** (ეთალ-ცჟ) ? (S²V); **ო-ჩ-სა** (უდც) ? (VSS²)... იშვიათად მეორე რიგის ხმოვნები და სიბილანტები გვერდიგვერდ გვხვდება: ხმოვანი დასტურდება სიბილანტის პრეპოზიციაში, მაგრამ დაუშვებელია მათი მოხვედრა ერთ მარცვალში, მაგ.: **სსკ-ჩყ** (ფშე(ჭ)ი) ? (V²; S²V).

საყურადღებოა, რომ მეორე რიგის ხმოვნები და მეორე რიგის სიბილანტები ერთ მარცვალში არ გვხვდება. ასევე, “ფარინგალიზებული” ხმოვანი არ გვხვდება ნებისმიერი სიბილანტის შემდეგ. რითი უნდა აიხსნას ამ ერთგვარი პოზიციური შეზღუდვის არსებობა კავკასიის ალბანურ ანბანში?

კონსონანტების მიმოხილვისას აღინიშნა, რომ ფარინგალიზაციასა და მკველევართა მიერ აღნიშნულ “ინტენსიურ” სიბილანტებს შორის, ჩვენი აზრით,

კავშირი არსებობს. ეს მტკიცდება იმით, რომ თითქმის ყველა სიტყვაში, სადაც დამოწმებულია “ინტენსიური”, გვაქვს ფარინგალიზაცია.

XIX ს.-დან მოყოლებული თითქმის ყველა მკვლევარი მეორე რიგის ხმოვნებსა და სიბილანტებს (იგულისხმება ე.წ. ფარინგალიზებული ხმოვნები და ინტენსიური// ველარიზებული სიბილანტები) აღნიშნავს უდიურში. მეორე რიგის ხმოვნებს (ა, ე, ი, უ) და მეორე რიგის სიბილანტებს (ჟ, შ) უდიურში იმოწმებს ამ ენის პირველი მკვლევარი ა. შიფნერი (შიფნერი 1963). თითქმის იგივე სურათი გვხვდება ა. დირის ნაშრომებში უდიურის შესახებ (ა. დირი მხოლოდ ერთ მეორე რიგის სიბილანტს იმოწმებს: შ – დირი 1904...). ორი მეორე რიგის სიბილანტი (ჟ, შ) და სამი “ფარინგალიზებული” ხმოვანი წარმოდგენილია უდიურ ზღაპარში “რუსტამ” (უდიური ზღაპარი “რუსტამ” 1888), ხოლო “უდიური ოთხთავის” ტექსტში უკვე ხუთი “ფარინგალიზებული” ხმოვანი გვაქვს (ა, ე, ი, ი, უ – უდიური ოთხთავი 1902); ასეთივე ვითარება გვხვდება უდიურ საანბანო წიგნშიც (“სამჯი დს” 1934). ვლ. ფანჩვიძისა და ევგ. ჯეირანიშვილის ნაშრომებში უდიურის შესახებ წარმოდგენილია ხუთი “ინტენსიური” შიშინა თანხმოვანი (ჟ, შ, ჯ, ჩ, ჭ) და ხუთიც “ფარინგალიზებული” ხმოვანი (ა, ე, ი, ი, უ – ჯეირანიშვილი 1971...; ფანჩვიძე 1974...). ვ. გუკასიანი ნიჯის დიალექტში მათს რიგს უმატებს სისინა წ-სა და გ-ს (გუკასიანი 1963...). “ფარინგალიზებულ” ხმოვნებსა და “ინტენსიურ” შიშინებს უდიურ მასალაში აღნიშნავს ა. ჰარისი (ჰარისი 2002...), ხოლო ვ. შულცე ველარიზებულ შიშინა თანხმოვნებს გამოყოფს (შულცე 1982...).

საფიქრებელია, რომ ამის მიზეზი “ფარინგალიზებულ” შიშინათა ველარიზაცია უნდა იყოს. ველარიზაცია ფარინგალიზაციის თანმდევი პროცესია და შიშინა თანხმოვანს განსხვავებულ ტემბრს ანიჭებს. ამ გარემოებამ, ჩვენი აზრით, უდიური ენის ზოგიერთი სპეციალისტი შეცდომაში შეიყვანა. ფარინგალიზაცია ერთ შემთხვევაში განიხილებოდა, როგორც სიბილანტის თვისება, მეორე შემთხვევაში კი – ხმოვნის თვისებად მიიჩნეოდა. ჩვენი აზრით, ზუსტად ასეთი გრაფიკული პრინციპი უნდა განხორციელებულიყო ალბანურში. კავკასიის

ალბანურ ენაში გავრცელებული ფარინგალიზაციის პროცესი ალბანური ანბანის შემდგენის ან შემდგენთა მიერ აღქმულ იქნა, ერთ შემთხვევაში როგორც ხმოვნის თვისება, მეორეში კი – როგორც სიბილანტისა. ნებისმიერ თანხმოვანთან კომპლექსში, გარდა სიბილანტისა, ფარინგალიზაციაზე მიგვითითებს მეორე რიგის ხმოვანი, ხოლო მარცვალში სიბილანტი + ხმოვნის ტიპის – სიბილანტი.

საეჭვოა, რომ ფარინგალიზაციას კავკასიის ალბანურში დისტინქციური ფუნქცია ჰქონდა. ამის შესახებ მეტყველებს პალიმფსესტში წარმოდგენილი პარალელური ფორმები, მაგ.: **ო-ჩ-ჩ** (-უხ)//**უჩ-ჩ** (-უხ) მრავლობითის სუფიქსებია (-უხ – ძირითადად უკანა წარმოების თანხმოვნების შემდეგ); **ო-ჩ-ყ** (-უნ)//**უჩ-ყ** (-უნ) ნათ. ბრუნვის ფორმანტებია (-უნ – ძირითადად უკანა წარმოების თანხმოვნების შემდეგ); **ჩ-ჩ** (-ეჟ)//**ლჩ** (-ეჟ) პერფექტის (ნამყო II) ფორმანტებია (-ეჟ – ძირითადად უკანა წარმოების თანხმოვნების შემდეგ); **ნსუჩ** (ბუ)//**ნო-ჩ** (ბუ) “ყოლა”, “ქონა.

ეჭვი გვეპარება, რომ კავკასიის ალბანურ წერილობით ძეგლებში ფარინგალიზაცია ადეკვატურად იყო ასახული: ფარინგალიზაციის აღნიშვნა ალბანურ ანბანში მეტწილად მახვილზე დამოკიდებული ჩანს, მაგ.: **ჩსუჩ-ჟო-ჩ-ყ** (ჰუახუნ) “სარწმუნო” – **იო-ჩ-ჟ-სუჩ-ყ-ყ** (ჰუახუნენ) “სარწმუნოებამ”. აქ, ერთსა და იმავე ფუძეში, ფარინგალიზაციის აღმნიშვნელი გრაფემა **სუჩ** გვხვდება ჯერ სიტყვის აბსოლუტურ ანლაუტში, ხოლო მეორე მაგალითში – მესამე მარცვალში. ფარინგალიზაციის გავრცელების ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, მოსალოდნელია, რომ ამ სიტყვის ორივე ფორმაში ფარინგალიზაციის პიკი **ჩ/ყ** (ხ) ასო-ბგერაზე მოდიოდეს.

დასკვნები

თუ გამოვალთ ისეთი კომპონენტების ანალიზიდან, როგორცაა მატენადარანის ნუსხის გრაფემათა რაოდენობა და მათი რიგი, ზოგიერთი ფონემური

მნიშვნელობის აღნიშვნა ორი ან სამი გრაფემით და მათი შესაძლო ინტერპრეტაცია უდიურისა და თვისტომი ენების მონაცემთა საფუძველზე, ჩვენ კავკასიის ალბანური ენისათვის ასეთი სახის ფონოლოგიურ სისტემას ვვარაუდობთ:

ვოკალიზმი. ხმოვანთა სისტემა მწყობრი სახით წარმოგვიდგება: 5 “მარტივი” ხმოვანი (ა, ე, ი, ო, უ)//5 ფარინგალიზებული ალოფონი (აჰ, ეჰ, იჰ, ოჰ, უჰ), შდრ. გ. კლიმოვის 1967-90 წწ. ნაშრომებში გამოთქმული მოსაზრება ამ საკითხის შესახებ. შდრ. აგრეთვე ს. მურავიოვის თვალსაზრისს (მურავიოვი 1981). მეორე რიგის “ხმოვანი” გრაფემებით (Ц, №16 “ინა”, №25 “არ”, **У, УХ**) კავკასიის ალბანურში ფარინგალიზაცია აღინიშნებოდა ისეთი სტრუქტურის მარცვლებში, როგორცა: CV², V²C, V², CV²C, V²S¹...

კონსონანტიზმი. ვვარაუდობთ გრაფიკული კორელაციის არსებობას არა მხოლოდ შიშინა აფრიკატებსა და სისინა და შიშინა სპირანტების რიგში (შდრ.: მურავიოვი 1981), არამედ სისინა აფრიკატების რიგშიც. მეორე რიგის სიბილანტები (ჲ, **У, У, Е, З**, №28 “ჩად”, **У** ან №32 “ჯად”, **Л, Т, С**) ფარინგალიზაციას აღნიშნავდნენ S²V¹, S²V¹C... სტრუქტურის მარცვლებში.

სავარაუდოდ, კავკასიის ალბანურში ლატერალები უნდა ყოფილიყო (**ლ, დ, ტ**), თუმცა, მასალის სიმცირის გამო, მათი არსებობის დადასტურება და ზუსტი ფონემური კვალიფიკაცია ძნელია.

უკანაენისმიერთა და ფარინგალურ თანხმოვანთა სისტემა ღარიბია სხვა ლეზგიურ და დაღესტნურ ენებთან შედარებით, რაც აახლოვებს კავკასიის ალბანურის ფონეტიკურ სისტემას უდიურთან.

ნაკლებად სარწმუნოა პალატალიზებული (მურავიოვი 1981) და ლაბიალიზებული (გუკასიანი 1969) ფონემების არსებობა კავკასიის ალბანურში. პალატალიზაცია და ლაბიალიზაცია თუ გვექონდა ალბანურში, იყო პოზიციური.

ვოკალიზმის სისტემა უდიურში, კავკასიის ალბანურთან შედარებით, გართულდა (წარმოიქმნა უმლაუტირებული ხმოვნები და ე.წ. ირაციონალური), ხოლო კონსონანტიზმის სისტემა გამარტივდა (მოიშალა ლატერალები, ლარინგა-

ღური ც, ბილაბიალური ჟ; ერთადერთი თანხმოვანი, რომელიც უდიურს დაემატა არის დენტოლაბიალური ჟ). ფარინგალიზაცია კავკასიის ალბანურში, როგორც ჩანს, პოზიციური იყო, ხოლო უდიურში ფარინგალიზაციამ დისტინქციური ფუნქცია შეიძინა.

მიუხედავად ამისა, არ შეიძლება არსებობდეს ეჭვი უდიურისა და კავკასიის ალბანურის საერთო წარმომავლობის შესახებ (საფიქრებელია, უდიურის წინაპარი კავკასიის ალბანურის ერთ-ერთი დიალექტი იყო; ამის შესახებ იხ. წინამდებარე ნაშრომის VII თავის დასკვნები). თუ გავითვალისწინებთ 15 საუკუნოვან შუალედს უდიურსა და კავკასიის ალბანურ წერილობით ძეგლებს შორის, დამწერლობის ტრადიციის დაკარგვასა და უდიების ძლიერი ასიმილაციის პროცესს, შეიძლება დავასკნათ, რომ ზემოჩამოთვლილი ფონეტიკური ცვლილებები უმნიშვნელოა.

თავი VI

კავკასიის ალბანური ეპიგრაფიკული და ხელნაწერი ძეგლები

* დიაკრიტიული ნიშნით ფარინგალიზაციას აღვნიშნავთ;

() ფრჩხილებით – აღვნიშნავთ გრაფემებს დაუდგენელი ფონემური მნიშვნელობით.

[] ოთხკუთხედი ფრჩხილებით – აღვნიშნავთ აღდგენილ გრაფემებს (დაქარაგმებულ სიტყვებს, წაშლილ მონაკვეთებს... ასევე, სინურ პალიმფსესტში ხშირად ხმოვნები არ აღინიშნება გრაფიკულად (ძირითადად აფიქსებში), მათ შორის, არც ქარაგმით, მაგ.: **ⲀⲚⲚⲁⲛⲁⲩⲁⲗⲓⲛⲁⲩⲁⲥⲓⲁⲥ** ეკლესი[ა]-ს[ო](ც) “ეკლესია”-ABL; **ⲀⲚⲚⲁⲛⲁⲩⲁⲗⲓⲛⲁⲩⲁⲥⲓⲁⲥ** ჰეფესუნ-[ო]დ აღსარება-GEN).

აღნიშვნები:

- მორფემათა საზღვარი	IMP ბრძანებითი კილო
+ მორფემათა შერწყმა	INS ინსტრუმენტალისი [=ერგატივი]
= კლიტიკთა საზღვარი (უდიურში)	JUSS იუსივი
: კუმულაცია	LV დამხმარე ზმნა (კომპოზიტებში)
ABL აბლატივი	MED საშუალო დემონსტრაცივი
AOR აორისტი	MSD I მასდარი (-ეს)
ART ნაწევარი	MSD II მასდარი (-ეს-უნ)
COLL რიგობითი რიცხ. სახელი	NA მასუბსტანტივებელი
COMP მაქვემდებარებელი კავშირი	O ირიბი ფუძე (ჩანართი)
COP მეშველი ზმნა	PERF ნამყო წყვეტილი
DAT მიცემითი ბრუნვა	PL მრავლობითი რიცხვი
DIST შორეული დემონსტრაცივი	PROX უახლოესი დემონსტრაცივი
ERG ერგატივი [=ინსტრუმენტალისი]	PRS აწმყო
FUT მყოფადი	PST ნამყო-უწყვეტელი
GEN ნათესაობითი ბრუნვა	PTCP მიმდებარე
HI გრამატიკული კლასი (კაცის)	

1. კავკასიის ალბანური ეპიგრაფიკა


ჯვრის პოსტამენტის წარწერა




I მხარე




II მხარე



III მხარე



IV მხარე



I ზყრჯხეცნკ - - - ყო. ჯღჯკცყკკყ				
წიდას	ზედ ბე...	...იო	არაჰუნენ	
II კსრცო. ზხკყჯყო. ხკო. სზ [-]				
ჰაღ	27 უსენა	ხოსროუ[6]		
III [-] ხკ. კნ [-]				
სერბ[ბიდე?]				
IV - - - სზ - კო. სყყყ [-] ხჯ. ჯხო. ხკ. ყნყ IV(ბ) რჯრყ				
...უ	ჰოშინ	ი[პი]სკაპოსენ	ბი	დაღ

1948 წელს ქ. სუდაგილანში (აზერბაიჯანი, მტკვრის მარცხენა სანაპირო, ქ. მინგეჩაურის მახლობლად) აღმოჩენილ იქნა ჯვრის პოსტამენტი მასზე დატანებული ლაპიდარული წარწერით, რომლის ალბანური “წარმომავლობა” თითქმის ყველა მკვლევრისათვის თავიდანვე ცხადი იყო.

პოსტამენტი წარმოადგენს ოთხკუთხა, თითქმის კვადრატის ფორმის მქონე ქვის ფილას ზედაპირზე დიდი, მრგვალი ვერტიკალური ხვრელით. წინა მხარეს (პირობითად – I მხარე) ერთმანეთის პირისპირ გამოსახულია ორი ფარშევანგი, მათ შუა კი, ტიტას მსგავსი ყვავილია ამოკვეთილი. ზომებია – 67X60 სმ., სიმაღლე – 40 სმ., ხვრელის დიამეტრია – 18 სმ. წარწერა შესრულებულია ზედა, გამოწეულ ლავარდანზე, მის ოთხივე მხარეს. პოსტამენტზე გვხვდება სულ 64 გრაფემა. ამათგან, IV მხარეს 4 ასო-ნიშანი ჩატანილია ლავარდანის ქვემოთ. ჯვრის პოსტამენტი აღდგენილია ფრაგმენტებისაგან (კაზიევი 1948, 399-401; ვაიდოვი 1958, 108-110; ტრევერი 1959, 335-336; იქვე 318; შანიძე 1960, 172-173). არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ რესტავრაციის შედეგად IV მხარეს გამოსახული წარწერის წინა ნაწილი გადმოწიეს ცენტრისკენ (იქ 2-3 გრაფემა უნდა ყოფილიყო). ასევე, საფიქრებელია, რომ პოსტამენტის III მხარეს შემორჩენილი 4

გრაფემის ლოკალიზაცია პირობითია (მურავიოვი 1981, 266).

ა. აბრამიანი ამ წარწერას კითხულობს შემდეგნაირად: “ჰერაკლეს [მეფობის] ოცდამეათე [წელს] აღმართა ტაძარი წმინდა ელიშეს (ან გისის ელიშეს) [სახელზე] ... ეპისკოპოს ობელის მოსახსენებლად” (აბრამიანი 1964, 45).

ბ. კლიმოვის თარგმანი: “... ოცდამესამე წელს ხოსროსი ...” (კლიმოვი 1967, 78).

ს. მურავიოვის თარგმანი: “ეს (?) ტახტი (?)//სამსხვერპლო (?) (ზედმიწ. სისხლიანი (?) ფილა (?) აღმართა (?) იაკოპ მღვდელმა, ტომით უდიმ, ძელი-სათვის (ე.ი. ჯვარისათვის)” (მურავიოვი 1981, 268).

გ. შულცეს თარგმანი: “კეისარ პიპეს (ფილიპეს) ... ოცდამეშვიდე წელს პოსტამენტი ... გააკეთა ... იოანე ეპისკოპოს გაუკეთა ...” (შულცე 1982, 291).

იმის გამო, რომ წარწერა ძალზე დაზიანებულია და ფრაგმენტებადაა წარმოდგენილი, მხოლოდ რამდენიმე მონაკვეთის ამოკითხვაა შესაძლებელი. ჩვენ მართებულად მივიჩნევთ წარწერის ამ მონაკვეთთა შემდეგნაირად წაკითხვას:

ႠႢ-ႠႣ ႡႣႣႣ-ႠႢႣ-ႡႣ

27 უსენ-ა ხოსრო-უ[6]

27 წელი-DAT ხოსრო-GEN

“27-ე წელს ხოსროსი” (ႠႢ გრაფემებით გადმოცემულია რიცხვი – 27, Ⴁ=20, Ⴂ=7; შდრ. გ. კლიმოვის “23-ე წელს ხოსროსი” – კლიმოვი 1967, 78; და გ. შულცეს “27-ე წელს” – შულცე 1988, 291).

- ႠႣႢႣ -

სერ-ბ[იფ-ეფ?]

აგება-LV-[PERF?]

“ააგო” (კომპოზიტი ზმნა; აქ მოსალოდნელია შემდეგი ფორმა: სერ-ბ[იფეფ]

“აგება”–პერფ., შდრ., უდიური სერ (ცალკე არ იხმარება < სერუკ “ჩამოკიდებული”, “დაკიდებული”?) + ბიფ-ეს “კეთება”=“აგება”, “აშენება”, “მოწყობა”. ვფიქრობთ, რომ წარწერა სამშენებლო ხასიათისა იყო).

ყ. ხეღუო. ხა ყნყ + 1274

ი[პი]სკაპოს-ენ ბიფ-აფნ

ეპისკოპოსი–ERG კეთება–AOR

“ეპისკოპოსმა (გა)აკეთა”.

წარწერის დანარჩენი მონაკვეთების წაკითხვა ამ ეტაპზე ვარაუდის ფარგლებს ვერ გასცდება.

ბიფ-აფნ “კეთება”–აორ. – უდ. ბ-ეს “კეთება”, აორ. -ი/-ფ.

ი[პი]სკაპოს-ენ “ეპისკოპოსი”–ერგ. – ქართ. ეპისკოპოსი, უდ. ერგ. -ენ.

სერბ[იფ-ეფ?] “აგება”–პერფ.? – უდ. სერბ-ეს “აგება”, “მოწყობა”, “აშენება”, პერფ. -ე.

უსენ-ა “წელიწადი”–მიც. – უდ. უსენ “წელიწადი”, მიც. -ა.


ხოსრო-უნ “ხოსრო”–ნათ. – ხოსრო (საკუთარი სახელი), უდ. ნათ. -უნ (შესაძლებელია, რომ **U** გრაფემა, ამ შემთხვევაში გადმოსცემს კომპლექს: *ცუ).

წარწერაზე გამოსახული ზოგიერთი გრაფემის ფორმა (მაგ., №2 **ნ** მოხაზულობა, მას ქვედა რგოლი გახსნილი აქვს) გვაფიქრებინებს მის გვიანდელ შესრულებას (ზოგიერთ ალბანურ ეპიგრაფიკულ ძეგლთან და ლექციონართან შედარებით).

ჯვრის პოსტამენტის წარწერა ერთადერთი დათარიღებული ალბანური ეპიგრაფიკული ძეგლია. გ. კლიმოვა იგი ხოსრო I-ის 23-ე წლით დაათარიღა და მიიღო 554 წელი (კლიმოვი 1967, 78). მოგვიანებით, მკვლევარმა შესაძლებლად მიიჩნია, რომ წარწერაში ხოსრო II-ს შესახებ იყოს საუბარი, ხოლო წელი განისაზღვროს, როგორც 27-ე.

წარწერა №2 შანდალზე.

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	გ	დ	ე	ვ	გ	დ
				წ	ი			[ჩ]	[ვ]	ს	დ



შანდალი წარმოადგენს ძალზე დაზიანებულ თიხის პირამიდას ვერტიკალური ხერხელით (ვაიდოვი 1958, 112-113). შანდალის ზომებია – 7X7 სმ., ხოლო სიმაღლე 11 სმ-ს შეადგენს. შანდალზე დატანებული წარწერა გაყოფილია ოთხ ნაწილად: ათი ასო-ნიშანი მოთავსებულია კორიზონტალურ წრეზე (№4 გრაფემა წაშლილია და არ იკითხება); სამ-სამი გრაფემა განთავსებულია ვერტიკალურად II და IV მხარის მარჯვენა ფეხებზე; მეოთხე მხარის მარცხენა ფეხზე კი გვხვდება ცალკეული ნიშანი. სულ გამოსახულია 15 ან 16 გრაფემა.

ა. აბრამიანი წარწერას შემდეგნაირად თარგმნის: “მიეტევოს ცოდვები ვიუტს” (აბრამიანი 1964, 56-58).

ბ. კლიმოვმა პირველმა შენიშნა, რომ შანდალზე მოცემულია კავკასიის ალბანური ანბანის ნაწილი, კერძოდ, №1-10 მონაკვეთი, ანბანთრიგის მიხედვით (კლიმოვი 1970, 109-110).

ეს შეხედულება გაიზიარა ს. მურავიოვმა (მურავიოვი 1981, 278) და გამოთქვა აზრი, რომ ვერტიკალურად განთავსებული გრაფემები წარმოადგენს კავკასიის ალბანური ანბანის №13-15 (**ყ ზ**) და №40-42 მონაკვეთებს, მაგრამ მეორე მონაკვეთის შემთხვევაში მკვლევარი შენიშნავს, რომ გრაფიტის ავტორს ერთმანეთში აერია №40 და №41 გრაფემები, ანუ ეს მონაკვეთი მოცემულია ასეთი სახით: **ა ზ ლ** (№41-40-42; მურავიოვი 1981, 278-279).

ჩვენ ვიზიარებთ გ. კლიმოვის მოსაზრებას. ჰორიზონტალური წარწერა უეჭველად წარმოადგენს კავკასიის ალბანური ანბანის №1-10 მონაკვეთს. საყურადღებოა, რომ წარწერის ასო-ბგერათა თანმიმდევრობა ზუსტად იმეორებს მატენადარანის №7117 ხელნაწერის ნუსხის შესაბამის მონაკვეთს.

სინური პალიმფსესტის შესაბამის ასო-ბგერათა გრაფიკული ფორმათითქმის მთლიანად ემთხვევა გრაფიტის ნიშნების მოხაზულობას. წარწერაზე გამოსახული №2 **ნ ბ** და №8 **ქ** (ე) ასო-ბგერების თავშეკრული ფორმები გვაფიქრებინებს, რომ ეს გრაფიტი და ალბანური ლექციონარი (უფრო ზუსტად – N/Sin 13) ერთ პერიოდში უნდა შესრულებულიყო.

ს. მურავიოვის მოსაზრების შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ ვერტიკალურად განლაგებული ნიშნები არ წარმოადგენენ ალბანური ანბანის რომელიმე ნაწილს. თუ IV მხარის მარჯვენა ფეხზე გვაქვს №40-42 მონაკვეთი (როგორც ს. მურავიოვს მიაჩნდა), მაშინ შანდალზე უნდა გამოსახულიყო ან მთელი კავკასიის ალბანური ანბანი, ანდა მისი №1-42 მონაკვეთი, რაც შეუძლებლად გვეჩვენება თუ გავითვალისწინებთ შანდლის ზომას და მასზე გამოსახული გრაფემების ზომებს. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გრაფიტის ნიშნების მაქსიმალური რიცხვი 34 უნდა ყოფილიყო, თუმცა დაუზიანებელ ადგილებში (მაგ. I მხარის მარცხენა ფეხი, III მხარის მარჯვენა ფეხი და ა.შ.) წარწერების არავითარი კვალი არ ჩანს.

შანდლის II მხარეს განთავსებული ასოებიდან, პირველი და მესამე **ყ ი** ასო-ბგერას წარმოადგენს (ანბანის №13), ხოლო შუა (მეორე) **ნ ბ**-ს (№2). შესა-

ბამისად, ეს მონაკვეთი უნდა წავიკითხოთ, როგორც **ყნყ** (იბი) “მკეთებელი”, შდრ. უდიური: **ბი** “მკეთებელი”, “ნაკეთები”.

ს. მურავიოვის მოსაზრების (იხ. ქვემოთ) გასაბათილებლად უნდა აღინიშნოს, რომ წარწერის ამ მონაკვეთის I და III გრაფემა იდენტურია. საფიქრებელია, რომ III ნიშნის შემთხვევაში ს. მურავიოვი შეცდომაში შეიყვანა მატენადარანის ნუსხის №15 ნიშნის მოსაზრებამ – **ღ**. სინურ პალიმფსესტში ეს გრაფემა არ არის თავშეკრული (**ღ**) და შესაბამისად, შეუძლებელია წარწერის II მხარეს გამოსახულ მე-3 ნიშანს წარმოადგენდეს. მონაკვეთის II გრაფემა ვერანაირად ვერ ჩაითვლება ანბანის №14 **ს**-დ. მას ქვედა რგოლი შეკრული აქვს და აგრეთვე მოეპოვება ზედმეტი მარჯვნივ მიმართული ხაზი, შდრ. პალიმფსესტის **ნ**.

სინურ პალიმფსესტში ხშირად გვხვდება “კეთება” ზმნის აღმნიშვნელი ესათუ ის ფორმები. ამ ფორმების ერთმანეთთან შეპირისპირებით დგინდება, რომ ამ ზმნის ფუძე უნდა იყოს **ბიძ**. ამასვე მოწმობს მარტივ მაწარმოებლიანი მასდარის, ანუ მასდარი I-ის ფორმა, რომელიც დაგადასტურეთ ზმნურ კომპოზიტში **ბი-ბი-ბი-ბი-ბი-ბი-ბი** (ბუყანა-ბიძ-ეს-ა) “შეყვარება”-მიც.; ზედმიწ. “სურვილის (ბუყანა; -ან დერივაციული სუფიქსია, საფიქრებელია, რომ წარმოშობით ეს ფორმა გენტივის ან აბსოლუტივის ფორმანტი უნდა იყოს) კეთება”, შდრ. უდიური: **ბუყ**-ეს “ყვარება”, “სურვილი” და **ბ-ეს-ა[ხ]** “კეთებას” (მიც. ფორმა).

ამ ფუძის დაშლაც, როგორც ჩანს, შესაძლებელია. ევგ. ჯეირანიშვილმა უდიურში გამოავლინა თავკიდური უფუნქციო, ზმნის ძირთან შეზრდილ ელემენტთა მთელი წყება, კერძოდ: **ა-, ე-, უ-, უჲ-, ბა-, ბი-, ბო-, ბოჲ-, ბუ-** და სხვა (ჯეირანიშვილი 1971, 112-113). ეს ელემენტები, ევგ. ჯეირანიშვილის აზრით, გრამატიკული კლას-კატეგორიის გაქვევებული ფორმანტები უნდა იყოს (თუმცა **ა-** და **ე-** პრეფიქსთა შემთხვევაში ევგ. ჯეირანიშვილის მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ).

აქედან გამომდინარე, განხილული ზმნის ფუძე უნდა დაიშალოს შემდეგნაირად: **ბი-ღ**, სადაც **ბი-** კლასის პრეფიქსია; შდრ. ლეზგიურის განუსაზღვრელი კილოს ფორმა იღი-ზ “კეთება”. ლეზგიურში ამ ფუძისაგან იწარმოება “კეთების” აღმნიშვნელი ზმნის დრო-კილოთა უმრავლესობა, მაგრამ მასდარის ფორმაში სულ სხვა ფუძე გვაქვს: **აფ-უნ** “კეთება”.

წარმოდგენილი ფორმა – **იბი**, ჩვენი აზრით, მიმდებარა. **ბი-ღ**-ეს “კეთება” – **ი-ბი** < ***ღი-ბი** “მკეთებელი”, “ნაკეთები” (ამ ტიპის მიმდებარის წარმოების თავისებურებების შესახებ იხ. VII. 2. “სახელზმნური ფორმები”, “მიმდებარა”).

შანდალის IV მხარეს გამოსახული ასო-ბგერებიდან I (ქვედა) ანბანის №41 **𐌆** გრაფემას წარმოადგენს, II **𐌃** ა (№1), ხოლო III **𐌆** რ (№ 42). პირველი ასონიშანი **ღ** ფონემას აღნიშნავდა და ეს უეჭველად მტკიცდება პალიმფსესტის მასალით. ჩვენ **ზ**. ალექსიძისაგან განსხვავებული მოსაზრება გვაქვს ამ ნიშნის გრაფიკული იდენტიფიკაციის შესახებ. **ზ**. ალექსიძე მას მატენადარანის ხელნაწერის ნუსხის №37 ასო-ბგერასთან აიგივებდა (ალექსიძე 2003, 101), ხოლო ჩვენ №41-თან.

შესაბამისად, ეს მონაკვეთი უნდა წავიკითხოთ, როგორც **𐌆𐌃𐌆** (ღარ); შდრ. უდიური: ღარ “ვაჟი”, “ბიჭი”. ამ შემთხვევაში, საფიქრებელია, რომ საქმე გვაქვს მამაკაცის საკუთარ სახელთან. ასეთი ტიპის ანთროპონიმები იშვიათობას არ წარმოადგენენ, მაგ.: ქართული საკუთარი სახელები “ბიჭიკო”, “ჭაბუკი”... არგუმენტად შეგვიძლია ისიც მოვიყვანოთ, რომ ამდაგვარი სახის ნაკეთობებზე ავტორის მიერ თავისი სახელის გამოსახვის შემთხვევები იშვიათი არ არის.

გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ეს სახელი აბსოლუტივის ფორმით გვხვდება. ცნობილია, რომ უდიურში მიმდებარა ისევე მართავს სახელს, როგორც ზმნის დრო-კილოიანი ფორმა და შესაბამისად, აქ ერგატივში დასმული სახელი უნდა გვქონდეს, მაგ., უდიური: **უნ ბი აშ** “შენ (ერგ.) ნაკეთები საქმე” (შენ მიერ გაკეთებული საქმე).

ამის ასახსნელად შეგვიძლია ორი ვარაუდის გამოთქმა: 1. საქმე გვაქვს ისეთი ტიპის სინტაქსურ კონსტრუქციასთან, სადაც მიმდებარა გამოყენებულია

მსაზღვრელად; შდრ. უდიური: *ქატუხ ბი ღარ შუა* “ამის (მიც.) მკეთებელი ბიჭი (სახ.) ვინ არის?”; *ქატუხ ბი ადამარ პურიან* “ამის მკეთებელი ადამიანი (სახ.) მოკვდეს!”. ეს ამ შემთხვევაში, წარწერის საერთო აღწერიდან გამომდინარე, ნაკლებად მასალოდნელია, რადგან ჰორიზონტალურად გამოსახული კავკასიის ალბანური ანბანის მონაკვეთის (№1-10) გრაფემათა თანმიმდევრობის მიხედვით ჩვენ ადვილად შეგვიძლია დავალაგოთ ვერტიკალურად შესრულებული მინაწერებიც. სიტყვა **ღარ** განთავსებულია შანდლის ბოლო IV მხარის მარჯვენა, ასევე ბოლო ფეხზე. ამავე დროს მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ასეთი ტიპის წინადადებაში აუცილებელია შემასმენელი, რომელიც ქვემდებარეს (**ღარ**) უნდა მოსდევდეს.

2. წინადადებაში უნდა ყოფილიყო შემასმენელი მეშველი ზმნის სახით (პალიმფსესტში ვა (I კლ.)//ბა (III კლ.) “ყოფნა”—აწმყო), შდრ., უდიური: *ქატუხ ბი ღარ-[ი]ნე* “ამის მკეთებელი ბიჭია” (-ნე უდიურში III პირის ფორმანტია, მაგრამ ამ შემთხვევაში მეშველი ზმნის ფუნქციით არის აღჭურვილი).

ჩვენი აზრით, მეშველი ზმნა უნდა ყოფილიყო IV მხარის მარცხენა ფეხზე, რომელიც ძალზე დაზიანებულია. იქ გვხვდება ნიშანი, რომლის იდენტიფიკაცია შეუძლებელია. საფირებელია, რომ წარწერა ასეთი სახისა იყო: **ყნყ [ბ-ღ]**

აღძ (იბი [ვა] ღარ) “[შანდალის] მკეთებელი ვარ ღარი”.

წარწერა №2 კრამიტის ნატეხზე

[-----?] **ღ მ ჯ ყ ნ** (ჯ) (შ)? ? [-----]



ნატეხი რომელიდაცა კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტს წარმოადგენს. ზომებია 16X4 სმ. წარწერა შედგება 4 მკაფიო და 1 ან 2 გაურკვეველი, ნაწი-

ლობრივ წაშლილი გრაფემისგან (ვაიდოვი 1958, 113).

ა. აბრამიანი წარწერას შემდეგნაირად თარგმნის: “უბადრუკი”, ტრანსკრიფციით **მაღარ** (აბრამიანი 1964, 58-59).

ბ. კლიმოვის წაკითხვაა: **მანას[ე]** (საკუთარი სახელია; კლიმოვი 1967, 78).

ს. მურავიოვის აზრით, წარწერა წარმოადგენს ანბანის ფრაგმენტს (№29-33), მაგრამ შენიშნავს, რომ გრაფიტის ავტორმა №32 ასო-ბგერის მაგიერ შეცდომით გამოსახა მასზე №34 **ჟ** (მურავიოვი 1981, 280-281).

ჩვენ ვიზიარებთ ს. მურავიოვის მოსაზრებას ერთი შენიშვნით. ვფიქრობთ, რომ წარწერის ავტორს არ დაუშვია შეცდომა. ჩვენი აზრით, მატენადარანის ხელნაწერის ანბანში ეს გრაფემა (№32) დამახინჯებული სახით გვხვდება – **პ**: საკმარისია ავწიოთ მისი მარცხენა კაუჭი, რომ მივიღოთ წარწერის №4 გრაფემა, ანუ ჩვენ მივიჩნევთ, რომ წარწერის გრაფემა, რომელიც ს. მურავიოვს ანბანის №34 **ჟ** ჰგონია (მურავიოვი 1981, 280-281), იდენტიფიცირებული უნდა იყოს მატენადარანის ხელნაწერის ანბანის №32-თან. გრაფიტის №4 გრაფემა არ შეიძლება ჩაითვალოს №34 **ჟ**-დ (ჯ). იგი არ არის თავშეკრული და დამატებითი მარჯვნივ მიმართული ხაზი აქვს.

მოხაზულობით წარწერის გრაფემები პალიმფსესტის შესაბამისი ასო-ბგერებისაგან განსხვავდებიან. გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ეს გრაფიტი ალბანურ ლექციონარზე ადრე შესრულდა. ამას შესახებ მეტყველებს №30 **ლ** (წარწერის №2) გრაფემის ფორმა. მას, პალიმფსესტის ანალოგიური ასო-ბგერისაგან განსხვავებით, მეორე დამატებითი ქვედა ხაზი აქვს. უნდა აღინიშნოს, რომ სინურ პალიმფსესტში სამ გრაფემას **ლ, ლ, ლ** (№1, №19, №30) თითქმის იდენტური მოხაზულობა აქვს, რაც შეუძლებელია ალბანური ანბანის შემქმნელს ასეთი სახით ჰქონოდა წარმოდგენილი. ჩვენი აზრით, ანბანის შედგენის დროს ამ ასო-ნიშნებს მკაფიოდ განმასხვავებელი ელემენტები უნდა ჰქონოდა, შდრ.; სომხური **ღ (ზ)** და **ღ (ჯ)**; **ღ (ძ)** და **ღ (ჩ)**, რომელთაც V ს. სომხურ ეპი-

გრაფიკაში განსხვავებული მოხაზულობა აქვთ, მაგრამ შემდგომ პერიოდში ემსგავსებიან ერთმანეთს.

ჩვენი ვარაუდით, №30 გრაფემის გამარტივება სწრაფად წერის ინტერესითაა ნაკარნახევი, რითაც დაირღვა მისი ოპოზიცია №1 **ა** და №19 **ჟ** ნიშნებთან.

წარწერის მეხუთე, ნაწილობრივ დაზიანებული გრაფემა შესაძლებელია იყოს ანბანის №33 **ა** (**შ**) (შდრ. ანალოგიური გრაფემის მოხაზულობა წარწერაზე კრამიტის ნატეხზე №1, გრაფემა №8; იხ. ფოტოსურათი, მურავიოვი 1981, 273). ჩვენი აზრით, ამ გრაფემის იდენტიფიკაცია შეუძლებელია როგორც №42 **ა**-თან (აბრამიანი 1964, 58-59), ისე №43 **ა**-თან (კლიმოვი 1967, 78).

საფიქრებელია, რომ აქაც გვაქვს მატენადარანის ნუსხის ანბანთრიგის №29-32 მონაკვეთის ზუსტი შესატყვისი.

წარწერა №2 კრამიტის ნატეხზე საყურადღებოა სხვა მხრივაც. უნდა ვივარაუდოთ, რომ იმ ჭურჭელზე, რომლის ნატეხიც შემოგვრჩა, გამოსახული იყო ალბანური ანბანი მთლიანად. იქიდან გამომდინარე, რომ ნატეხზე პირველი გრაფემის წინ ცარიელი ადგილია, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მასზე გამოსახული ანბანი გაყოფილი იყო მონაკვეთებად. მაინც რამდენ გრაფემიანი მონაკვეთები უნდა გვქონოდა? თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პირველი გრაფემა ანბანის №29-ს წარმოადგენს, წინ უნდა გვქონოდა 28 ასო-ბგერა ან შეიძლება მეტი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ნაკლები. ეს ვარაუდი ემყარება იმ ფაქტს, რომ მატენადარანის ხელნაწერის ანბანურ ნაწილში არ გვაქვს არც ერთი ფაქტი ზედმეტი გრაფემის ჩამატებისა (გარდა არაბულისა, სადაც ორჯერ მეორდება ერთი და იგივე ასო-ბგერა), დაკლების შემთხვევები კი ხშირია. 28 იყოფა 2-ზე, 4-ზე, 7-ზე და 14-ზე. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ თითოეული მონაკვეთი 5-6 გრაფემაზე ნაკლები არ შეიძლება ყოფილიყო (ნატეხზე გამოსახული გრაფემების რაოდენობა). აქედან გამომდინარე, დალაგების პრინციპი უნდა ყოფილიყო 28X2, 14X4 ან კიდევ 7X8 და ჯამი იქნება 56 – შდრ., ზ. ალექსიძის თვალსაზრისს “ალბანურ ტექსტში გრაფემათა საერთო რაოდენობა უნდა ყოფილიყო 54-

56” (ალექსიძე 2003, 151); ა. აბრამიანიც მიიჩნევდა, რომ სომხური, ქართული და ბერძნული ალფაბეტების ანალოგიით, სადაც ასო-ბგერათა რაოდენობა იყოფოდა 9-ზე, ალბანურშიც უნდა ყოფილიყო 54 გრაფემა (აბრამიანი 1964, 34). შესაძლებელია, ბოლო მონაკვეთი ყოფილიყო ნაკლები, მაგრამ ყველა შემთხვევაში ჩვენ ვიღებთ 52-ზე (კავკასიის ალბანური ანბანის გრაფემათა რაოდენობა სომხურ ხელნაწერთა მიხედვით) დიდ ციფრს (საგარაუდოდ 55-56).

საპირისპირო არგუმენტად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ კავკასიის ალბანური ანბანის პარადიგმატიკის ერკათაგირთან შედარებისას ვლინდება საინტერესო მათემატიკური კანონზომიერება. თუ დავეყოთ ალბანურ და სომხურ ალფაბეტებს ორ ან ოთხ ნაწილად, მივიღებთ სომხურ და კავკასიის ალბანურ ასო-ბგერათა თანაფარდობას. თუ დავეყოთ ორ ნაწილად, I ნაწილში ალბანურის 26 ასო-ბგერას უდრის 18 სომხური; II ნაწილში 26=18.

თუ დავეყოთ ოთხ ნაწილად, I ნაწილში 13=11; II ნაწილში 13=7; III ნაწილში 13=7; IV ნაწილში 13=11.

თუ დავეუშვებთ, რომ ალბანურ ანბანს 52-ზე მეტი ასო-ნიშანი ჰქონდა, ბუნებრივია, ეს პროპორციები ირღვევა.

უნდა აღინიშნოს, რომ აქ შესაძლებელია შემთხვევითობასთან გვექონდეს საქმე. ასეთი სახის კანონზომიერება არ ვლინდება სომხურისა (რომელიც უეჭველად ემყარება ბერძნულ პარადიგმატიკას) და ბერძნული ალფაბეტების შეპირისპირებისას.

2. კავკასიის ალბანური ლექციონარი

ა. ალბანური ლექციონარის საკითხავების სათაურთა ნიმუშები

ამოკითხულია ზ. ალექსიძეს მიერ (ალექსიძე 2003, 132-133). ახალი წაკითხვა და მორფოლოგიური ანალიზი კომენტარებითურთ ჩვენია.

ქანჯრო-ყულაო-ნაო-ნაქანჯო-ნაყურაო-ნაო-ნაქანჯო-ნაქანჯო

ქო-ნქ ო-ნაქანჯო-ნაყ

თესალონიკე-ულ-ოდ სერბა-უნ (დ)იპნ-უხო(ც) პაულოს-ი

თესალონიკელი-PL-GEN ერთი-COLL ეპისტოლე-ABL პავლე-GEN

ჰები-დ. ადოდა უფ-ესუნ

მოციქული-GEN ალილუია თქმა-MSD II

თესალონიკელთა პირველი ეპისტოლედან პავლე მოციქულისა. ალილუიას თქმა (შესრულება).

ქანჯრო-ყულაო-ნაო-ნაქანჯო-ნაქანჯო-ნაქანჯო-ნაქანჯო-ნაქანჯო-ნაქანჯო

ქო-ნქ ო-ნაქანჯო-ნაყ

თესალონიკე-ულ-ოდ პურან-ინ (დ)იპნ-უხო(ც) პაულოს-ი

თესალონიკელი-PL-GEN ორი-COLL ეპისტოლე-ABL პავლე-GEN

ჰები-დ. ადოდა უფ-ესუნ

მოციქული-GEN ალილუია თქმა-MSD II

თესალონიკელთა მეორე ეპისტოლედან პავლე მოციქულისა. ალილუიას თქმა (შესრულება).

სყუო-ქაო-ნაქანჯო-ნაქანჯო-ნაქანჯო-ნაქანჯო-ნაქანჯო-ნაქანჯო-ნაქანჯო

ო-ნაქანჯო-ნაყ

ტიმოთეოს-ი სერბა-უნ (დ)იპნ-უხო(ც) პაულოს-ი ჰები-დ.

ტიმოთე-GEN ერთი-COLL ეპისტოლე-ABL პავლე-GEN მოციქული-GEN

ადოდა უფ-ესუნ

ალილუია თქმა-MSD II

ტიმოთეს პირველი ეპისტოლედან პავლე მოციქულისა. ალილუიას თქმა (შესრულება).

ქანჯრო-ნაო-ნაქანჯო-ნაქანჯო-ნაქანჯო-ნაქანჯო-ნაქანჯო-ნაქანჯო-ნაქანჯო

ბ-ღ-ოდ “ორი”-მრ.-ნათ. – გრაფემა **ნ (ბ)** რიცხვს აღნიშნავს – ორს. – უდ.

მრ. -ღ, ნათ. -ოდ.

(დ)იპნ-უხო(ც) “ეპისტოლე”-აბლ. – დადგენილია კონტექსტის მიხედვით, – უდ. აბლ. **უხ-ო** (-**უხ** წარმოშობით მიცემითი ბრუნვის ნიშანია).

ებრა-უღ-ოდ “ებრაელი”-მრ.-ნათ. (როგორც ჩანს კავკასიის ალბანურს წარმოშობა-სადაურობის აღმნიშვნელი აფიქსი არ ჰქონდა) – ქართ. **ებრა-ელი**, უდ. მრ. -**უღ**, ნათ. -**ოდ**.

ეფესა-უღ-ოდ “ეფესელი”-მრ.-ნათ. – ქართ. ეფესა (ქალაქი), უდ. მრ. -**უღ**, ნათ. -**ოდ**.

თესალონიკე-უღ-ოდ “თესალონიკელი”-მრ.-ნათ. – ქართ. თესალონიკე (ქალაქი), უდ. მრ. -**უღ**, ნათ. -**ოდ**.

კათოლიკე-უღ-ოდ “კათოლიკე”-მრ.-ნათ. – ბერძ. καθολικη, ქართ. კათოლიკე, სომხ. կաթողիկէ/կաթողիկէ, უდ. მრ. -**უღ**, ნათ. -**ოდ**.

კორინთა-უღ-ოდ “კორინთა”-მრ.-ნათ. – ქართ. კორინთო (ქალაქი), უდ. მრ. -**უღ**, ნათ. -**ოდ**.

დაკობ-ი “იაკობი”-ნათ. – ბერძ. Ιακωβος, ქართ. დაკობ//იაკობ, სომხ. Յակոբ, უდ. ნათ. -**ი**.

პაულოს-ი “პავლე”-ნათ. – ბერძ. Παυλος, სომხ. Պաւլոս, ქართ. პავლე, უდ. ნათ. -**ი**.

პეტროს-ი “პეტრე”-ნათ. – ბერძ. Πητρος, სომხ. Պէտրոս, ქართ. პეტრე, უდ. ნათ. -**ი**.

პურან-ინ “მეორე” – პალიმფსესტის **ჟსჟ** კ(?)ა, უდ. **პა** “ორი”, **პა-უნ** “მეორე”, **პურან//პურუნ//პურამ** “კიდევ”, “შემდეგი” (-**ინ** რიგობითი რიცხვითი სახელის მაწარმოებელი აფიქსია, წარმოშობით ნათ. ბრუნვის ფორმანტი უნდა იყოს).

სერბა-უნ “პირველი” – პალიმფსესტის **ხჟ** სა, უდ. **სა** “ერთი”, **სა-უნ** “პირველი”, რიგ. -**უნ**.

ტიმოთეოს-ი “ტიმოთე”–ნათ. – ბერძ. Τιμοθεος, სომხ. Տիմոթէոս, ქართ. ტი-
მოთე, უდ. ნათ. -ი.

უფ-ესუნ “თქმა”–მასდ. II – უდ. ფ-ესუნ “თქმა”, მასდ. II -ესუნ (უ- I კლასის
პრეფიქსია და, როგორც ჩანს, მოქმედია. ამაზე მიგვანიშნებს პალიმფსესტში და-
მოწმებული ამ ზმნის ფორმები, შდრ., ო-ფეა “ეწოდა”; ფედი თქვა...).


ჰები-ღ “მოციქული”–ნათ. – დადგენილია კონტექსტის მიხედვით, უდ. ნათ.
(მხოლოდ ხმოვანფუძიანი სახელებისათვის) -ღ.

ბ. ებრაელთა 3, 1-5 (N/Sin 55, 23r – 16v)

იდენტიფიცირებულია ზ. ალექსიძის მიერ (ალექსიძე 2003, 149; სურათი 16,
იქვე, 150). ამოკითხვა, მორფოლოგიური ანალიზი და კომენტარი ჩვენია.

შენიშვნები: ალბანური ტექსტი წარმოდგენილია ხელნაწერის მიხედვით
(ტექსტი თითქმის უწყვეტია, აღნიშნულია ქარაგმები და ა.შ.). ბოლო სტრი-
ქონში წარმოდგენილია შესაბამისი საკითხავის მონაკვეთი ქართულ ენაზე

N/Sin 55, 23r – 16v



1270.0.7... 4/-.....

0.750.76.....

დადო უ [-] ნქ [-] უდ-ოდ ბ [-]

? ? ? ?-PL-GEN ?

-ზიარნო, განიცადეთ მოციქული იგი და მღვდელთ მოძღუარი

11.41.70.74762347ხ247ხ24157-210.7475.1

პეფესუნ-[ო] ბემ-ი ქ[რისტო]ს-ან ე[ესუ]ს-ან ჰუას-უნ პ[ანად:ო]:კე

აღსარება-GEN ჩვენი-GEN ქრისტე-GEN (?) იესო-GEN (?) სარწმუნო COMP:NA

აღსარებისა ჩვენისა იესო (ნათ.?) ქრისტესი, რომელიც სარწმუნო

აღსარებისა ჩვენისა, იესო ქრისტე, რომელი სარწმუნო

622 - 0.7475.0.7576.23475.1

ბა-ა [ბიხაჯუდ]-ოფ იხ-ედ მუსედს პა(ჰ)ინ-კე

ყოფნა-PRS ღმერთი-GEN თავისი-GEN მოსე COMP

არის თავისი ღმერთისა, როგორც მოსე

არს შემოქმედისა თვისისა, ვითარცა იგი მოსეცა

70.780.750.72: 440.5510.74257

ლუ(სა)უ კოს-ა ოდა იხო გოხუნ ა+ბუა

ყველა სახლი-DAT მისი უფრო დიდი ქონა+PTCP

ყველა მის სახლსა. უფრო მეტი დიდების მქონე

ყოველსა მას სახლსა მისსა. რამეთუ უმრავლესსა დიდებასა

41. 242.11-210.7576.1.1

იპ[ე] ანა-კე ვა მუსედს-ახ[ო(ც)]

COMP COMP H:ყოფნა:PRS მოსე-ABL

რამეთუ? რომელიც არის მოსეზე (აბლ).

ესე ღირს იყო უფროდს მოსესა,

440.70.24764.0.7475

ნიუ ოტან ბიტ [-] უნე(ვ)

? ? ? ?

ვითარცა იგი უფროდს

121260-745კკლო-ხ210-7410-70.ლო-762274კ-4:

ჰამა-ტუნ კე ეკოს-ახო(ც) იხო-დ-ო კუ-ბა-ალ ნე-ნ

MED-CEN COMP სახლი-ABL შენება-PTCP-NA პატივი?-LV[ყოფნა]-FUT
DIST-INS

მაგის სახლზევე (აბლ.) კი მშენებელს (სახ.) პატივი ექნება (ზედმიწ. იყოს მით).
პატივი აქუნ სახლისა მის მაშენებელსა მას მისსა.

7კ-120-760-40-42242კ

(ც)ეს კოს ბოხო-ხა ანა-კე

ყოველი სახლი შენება-JUSS COMP

ყოველი სახლი უეჭველად შენდება, რომელიც
რამეთუ ყოველი სახლი აღეშენის

60-40-421210-76242კ: 70-1კკ7კ-7647212427

ბოხო-ხა ჰამოს-ტან-კე: პო(ც)ე ე-(ც)ეს ბიე-ად ჰან-ა(ც)

შენება-JUSS ვინ-GEN-COMP COMP ყოველივე კეთება-PST რომელი-ABL
უეჭველად შენდება ვინმესგან, ხოლო რომლისგან ყოველივე გაკეთდა,
ვისგანმე. ხოლო რომელმან ყოველივე აღაშენა,

0-კ 42კ76421-2: 10-767კ764210-744კ

ოენ-კე ბ[იხაჯუ]ლ-[ენ] ა-ვა: მუსედს ჰუახ-უნ ნე

DIST-COMP ღმერთი-INS ყოფნა-H:PTCP მოსე სარწმუნო DIST [ART]
ისიც ღმერთით არსებულია. მოსეც სარწმუნოა
ღმერთი არს. და მოსეცა სარწმუნო იყო

70-780-720-7242760-7123-42კ

ლუ(სა)უ კოს-ა ოდა ნალბუ ჰა(ჭ)[ი]ნ-კე

ყველა სახლი-DAT მისი მსახური COMP

ყველა მის სახლსა, როგორც მსახური
ყოველსავე სახლსა მისსა, ვითარცა მსახური

40-7727... 242-10-სს

ფუძ-ად [-] ან-ა-ს ოსტ [-]

თქმა-PST? ? MED:PL:DAT ?

თქმული? ? მათ? ?

მოწამედ თქმულთა მათ.

ა-ბუ “ქონა”, “ყოლა”-მიმდ. – პალიმფსესტის **ბუ** “ქონა”, “ყოლა”, უდ. **ბუ** “ყოფნა”, “ქონა”, “ყოლა” (კავკასიის ალბანურში აგრეთვე დადასტურებულია ამ ზმნის არაფარინგალიზებული ვარიანტიც – **ბუ**).

ა-ვა “ყოფა”, “არსებობა”-მიმდ. – უდ. **ბაქეს** “ყოფა”, “არსებობა”, “გახდომა” (**ვა**- I გრამატიკული კლას-კატეგორიის ფორმანტია. საფიქრებელია, რომ კავკასიის ალბანურში ყოფისა და ქონა-ყოლის აღმნიშვნელი ზმნები მხოლოდ კლას-კატეგორიის ფორმანტებით განირჩევიან, ხოლო ძირი დაკარგული აქვთ – **ვა**, **ბა//ბუ**, **ბუ**; იხ. წინა – **ა-ბუ**).

ანა-კე “რომელიც” (“რომელი” + “რომ”; მაქვემდებარებელი კავშირია) – უდ. **მანო** (ვართ.)//**მანუ** (ნიჯ.) “რომელი”, პალიმფსესტის **კე** “რომ”, შდრ. უდ.: **კე** **ნა//გე**-ნა “კი”?.

ანა-ხ “მათ” < ***ანე+უხ+ა** (მრ.-მიც.) [ელიზია-კონტამინაცია] – პალიმფსესტის **ანე** “ეგ”, უდ. მრ. **-უხ**.

ბა-ა “ყოფნა”-აწმყო – უდ. **ბაქეს** “ყოფა”..., აწმყო **-ა** (საფიქრებელია, რომ **ბა-** – III კლას-კატეგორიის პრეფიქსია, იხ. **ა-ვა**).

ბა-აღ “ქონა”-მყოფ. – უდ. **ბაქეს** “ყოფნა...” (უდიურში ქონა-ყოლის აღმნიშვნელი ზმნა **ბუ** დეფექტურია, იგი მხოლოდ აწმყოსა და ნამყო დროებს აწარმოებს, დანარჩენ პარადიგმას კი **ბაქეს** ზმნის დრო-კილოები ავსებენ. ვფიქრობთ, რომ ამდაგვარი ვითარება კავკასიის ალბანურისათვისაც იყო დამახასიათებელი), მყოფადი **-აღ**.

ბეში “ჩვენ”-ნათ. – უდ. **ბეშ** “ჩვენ”, ნათ. **-ი**.

ბიფ-ად “კეთება”-პერფ. – უდ. **ბ-ეს** “კეთება”, პერფექტი **-ა=ფ** (**ბი-** – III გრა-

მატიკული კლას-კატეგორიის ფორმანტია; ძირია **ფ**, შდრ. ლეზგ. იფი-ზ “კეთება”).

[ბისაჯუღ]-ოფ ან **[ბისოღ]-ოფ** “ღმერთი” (> “შემოქმედი”)–ნათ. – უდ. **ბისაჯუღ//ბისოღ** “ღმერთი” (Pl.tantum), ნათ. -ოფ.

ბ[ისაჯუღ]-[ენ] ან **ბ[ისოღ]-[ენ]** “ღმერთი”–ერგ-ინსტრ. – უდ. **ბისაჯუღ//ბისოღ** “ღმერთი”, ერგ. -ენ (ინსტრუმენტალისის ფუნქციითაც იხმარება).

ბოხო-ხა “შენება”–იუსივი (ნაწილაკოვან-კავშირებითი I – ევგ. ჯეირანიშვილი) [ზედმიწ. აშენდება უთუოდ, აუცილებლად, უეჭველად] – უდ. **ბიყ-ეს** “შენება”, იუს. -ყა (**ბო-** – III გრამატიკული კლას-კატეგორიის ფორმანტია).

გოხუნ “დიდი” – დადგენილია კონტექსტის მიხედვით (-უნ დერივაციული აფიქსია, ხშირად გამოყენებულია ზედსართავი სახელის მაწარმოებლად, შდრ. იგივე ფუნქციით უდ.: -უნ; წარმოშობით, ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტია).

ე-კოს-ახო(ც) “სახლი”–აბლ. – უდ. **კოჯ** (ვართ.)//**კოჟ** (ნიჯ.) “სახლი”, აბლ. -ოხო (**ე-** პრეფიქსი, საფიქრებელია, რომ ქართული -ვე ნაწილაკის მსგავს სემანტიკას გამოხატავს; აბლატივი, ამ შემთხვევაში, შედარებით ხარისხს აწარმოებს, შდრ. უდ.: მე ხოდ ტე **ხოდ-ახო** ქალა-ნე “ეს ხე იმ **ხეზე** (ზედმიწ. **ხისგან**) დიდია; სამეცნიერო ლიტერატურაში უდიურის შესახებ მიიჩნეოდა, რომ ნიჯის დიალექტის ფორმა **კოჟ** დეზაფრიკატიზაციის შედეგად უნდა იყოს მიღებული – ფანჩვიძე 1974: 44; თალიბოვი 1980: 183... კავკასიის ალბანური ფორმა **კოს** საპირისპიროს შესახებ მიგვანიშნებს – სავარაუდოდ, ნიჯური ფორმა **კოჟ** პირველადი უნდა იყოს, ხოლო ვართაშნული **კოჯ**, მისგან აფრიკატიზაციის შედეგად უნდა იყოს მიღებული).

ე-(ც)ეს “ყოველივე” (განსაზღვრებითი ნაცვალსახელი) – დადგენილია კონტექსტის მიხედვით (**ე-** სავარაუდოდ, ქართული -ვე ნაწილაკის ანალოგია).

ვა “ყოფნა”:აწმყო – უდ. **ბაქ-ეს** “ყოფა...”, აწმყო -ა (საფიქრებელია **ვა** < ***ვა-ა**; ამ ზმნას, როგორც ჩანს, დაკარგული აქვს ძირი, ხოლო **ვა-** I გრამატიკული კლას-კატეგორიის ფორმანტი უნდა იყოს. იხ. **ა-ვა**).

იჩ-ედ “თავისი”–ნათ. – უდ. **იჩი** “თავისი”, **იჩ** “თვითონ”, ნათ. -ედ.

ი-ხო-ფო “შენება”–მიმდ. (გასუბსტანტ.) – უდ. **ბიყ-ეს** “შენება”, მიმდ. -ი//**-ფ**, (მასუბსტანტივებელი სუფიქსია -ო, შდრ. უდ. -ო).

ისო “უფრო” ? – დადგენილია კონტექსტის მიხედვით.

იჰ[ე] “რამეთუ” ? (მაქვემდებარებელი კავშირი) – დადგენილია კონტექსტის მიხედვით, უდ. ე (ვართ.)//ჰე (ნიჯ.) “რა?” ?.

კე “რომ” (მაქვემდებარებელი კავშირია; ჩვეულებრივ ქართული ნაწილაკების -ც, -კი ფუნქციითაც იხმარება, შდრ. უდ.: **-თე** მაქვემდებარებელი კავშირის ფუნქციებს) – უდ. **კენა//გენა** “კი” ? (მაქვემდებარებელი კავშირია).

კოს “სახლი” – უდ. **კოჯ** (ვართ.)//**კოჟ** (ნიჯ.) “სახლი”, იხ. **ე-კოს-ახო(ც)**

კოს-ა “სახლი”–მიც. – უდ. **კოჯ** (ვართ.)//**კოჟ** (ნიჯ.) “სახლი”, მიც. -ა.

კუ “პატივი” ? – დადგენილია კონტექსტის მიხედვით.

ლუ(ს)უ “ყველა” (განსაზღვრებითი ნაცვალსახელი) – დადგენილია კონტექსტის მიხედვით.

მუსეფს “მოსე” – ბერძ. Μωσής, ებრ.–სირ. მუშე, ქართ. მოსე, სომხ. Մուսես.

მუსეფს-ახ[ო(ც)] “მოსე”–აბლ. – ბერძ. Μωσής, ებრ.–სირ. მუშე, ქართ. მოსე, სომხ. Մուսես, უდ. აბლ. **-ოხო** (აბლატივი ამ შემთხვევაში შედარებით ხარისხს აწარმოებს, იხ. **ე-კოს-ახო(ც)**).

ნალბუ “მსახური” – დადგენილია კონტექსტის მიხედვით (ამ სიტყვაში, ჩვენი აზრით, უნდა გამოიყოს **-ბუ**, შდრ. უდ. **ბუ** “ყოფნა”, “ყოლა”, “ქონა”).

ნე “ის”, “იგი” (შორეული დემონსტრატივი; ჩვეულებრივ ნაწევარის ფუნქციითაც გამოიყენება. საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში მეშველი ზმნის ფუნქციას ითავსებს, შდრ. უდ. III მხ. პირის ფორმანტის =ნე-ს ფუნქციებს, მაგ., **ღარ=ნე** “ბიჭია”).

ნე-ნ “ის”–ერგ.-ინსტრ. ***ნე-ენ** > **ნე-ნ**. (შორეული დემონსტრატივი) – პალიმფსესტის **ნე** “ის”, “იგი”, უდ. ერგ. **-ენ**,

ღ[ესუ]ს-ან “იესო”–ნათ. – ბერძ. Ιησους, ქართ. იესუ//ღესუ, სომხ. Ջիսուս.

ოენ “ის” (III მხ. პირის ნაცვალსახელი ან შორეული დემონსტრატივი) – უდ. III მხ. პირის ფორმანტია =**ნე**.

ოენ-კე “ისიც” (“ის” + ”რომ”; მაქვემდებარებელი კავშირის ფუნქციით იხ-

მარება, როგორც უდიური მანო-თე “ისიც”).

ოდა “მისი” (კუთვნილებითი ნაცვალსახელი; შესაძლებელია III პირის ნაცვალსახელის [ან შორეული დემონსტრაციის] ოენ-ის ნათესაობითი ბრუნვაში დასმული ფორმა იყოს, შდრ. აგრეთვე: -ო მასუბსტანტივებელ სუფიქსს).

პო(ც)ე “ხოლო” ? – დადგენილია კონტექსტის მიხედვით.

უნ “და” (მაერთებელი კავშირი) – დადგენილია კონტექსტის მიხედვით.

ფუჟ-აჟ “თქმა”-იმპერფ. – უდ. ფ-ეს “თქმა”, იმპერფ. ა=ჟ//ა=ი.

ქრისტოს-ან “ქრისტე”-ნათ. – ბერძ. Χριστος, ქართ. ქრისტე, სომხ.

Բրիստոս.

(ც)ეს “ყოველი” (განსაზღვრებითი ნაცვალსახელი) – დადგენილია კონტექსტის მიხედვით (იხ. ე-(ც)ეს).

ჰამა-ტუნ “ეგ” (საშუალო დემონსტრაცი)–ნათ. – უდ. ნათ. -ტ-უნ (-ტ გასუბსტანტივებული სახელების ბრუნებისას გვხვდება, ჩანართოვანი ელემენტია).

ჰამოს-ტან-კე “ვინ” (კითხ. ნაცვალსახელი)–ნათ. + მაქ. კავშ. კე “ვისიც” – უდ. ნათ. -ტ-უნ, კენა//გენა “კი” (მაქვემდებარებელი კავშირია).

ჰანა-ჟ-ო-კე “რომელიც” (“რომელი” + ”რომ”) შდრ.: ანა-კე > ჰანა-კე [ხმოვნის შემართვა] – დადგენილია კონტექსტის მიხედვით (-ო მასუბსტანტივებული სუფიქსი, შდრ. უდ. -ო); ჰანა-ჟ-ო < *ჰანა-ო [დიფტონგიზაცია].

ჰან-ა(ც) “რომელი”-აბლ. – უდ. აბლ. -ოხო, პალიმფს. აბლ. -ო(ც)//-ა(ც).

ჰან(კ)ინ-კე “როგორც”, “ვითარც” (“როგორი” + “რომ”; მაქვემდებარებელი კავშირია) – დადგენილია კონტექსტის მიხედვით.

ჰეფესუნ-ოჟ “აღსარება” (ზედმიწ. ? + “თქმა”)–ნათ. – უდ. ფ-ეს “თქმა”, ნათ. -ოჟ.

ჰუახუნ “სარწმუნო” – დადგენილია კონტექსტის მიხედვით (-უნ დერივაციული აფიქსია, ხშირად გამოყენებულია ზედსართავი სახელის მაწარმოებლად, შდრ. იგივე ფუნქციით უდ.: -უნ; წარმოშობით ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტია), შდრ. პალიმფსესტის: ჰუახუნ-ენ “სარწმუნოებით” (ინსტრ.).

დასკვნები

დღეს ალბანურ წარწერათა კორპუსი ერთი ლაპიდარული წარწერითა (ჯვრის პოსტამენტის წარწერა) და ექვსი გრაფიტით უნდა განისაზღვროს: 1. ჯვრის პოსტამენტის წარწერა – 70 გრაფემა; 2. გრაფიტი თიხის შანდალზე №1 – 50 გრაფემა; 3. გრაფიტი თიხის შანდალზე №2 – 16/17 გრაფემა; 4. გრაფიტი თიხის შანდალზე №3 – 8 გრაფემა; 5. გრაფიტი თიხის შანდალზე №4 – 24 გრაფემა; 6. გრაფიტი კრამიტის ნატეხზე №1 – 21 გრაფემა; 7. გრაფიტი კრამიტის ნატეხზე №2 – 5/6 გრაფემა. ყველა მათგანი დეფექტურია.

მთლიანად კორპუსი შედგება 194-196 გრაფემისგან და მასში კავკასიის ალბანური ანბანის 52 გრაფემიდან დადასტურებულია 34 გრაფემა.

ჯვრის პოსტამენტის წარწერა სამშენებლო ხასიათისაა.

წარწერები №2 შანდალზე და №2 კრამიტის ნატეხზე ანბანის ნაწილებს შეიცავს (წარწერა №2 შანდალზე, ამასთან ერთად, ავტორის ფაქსიმილესაც).

წარწერები №1 შანდალზე, №3 შანდალზე, №4 შანდალზე და №1 კრამიტის ნატეხზე, როგორც ჩანს, უფრო “ვოტიურია” ან “ნომინალური”.

ალბანურ-ქართული პალიმფსესტის აღმოჩენამდე კავკასიის ალბანური მასალის მოცულობა (დაახლ. 50 სიტყვას შეიცავდა) არ იძლეოდა რაიმე ღირებულ შედეგის მიღწევის საშუალებას. სინური პალიმფსესტის აღმოჩენის შემდეგ მოგვეპოვება პირველი გაბმული ტექსტი (წინასწარი დათვლით – დაახლ. 10000 სიტყვაფორმა – შულცე 2005, 19) კავკასიის ალბანურ ენაზე.

სინური პალიმფსესტის ქვედა ფენის ტექსტი ნამდვილად კავკასიის ალბანურ ენაზე შედგენილ ლექციონარსა და იოანეს სახარებას შეიცავს.

ალბანურ-ქართული პალიმფსესტის აღმოჩენა 1995 წლის ნოემბერ-დეკემბრით თარიღდება. ამ პერიოდიდან მოყოლებული დღემდე გრძელდება მუშაობა მის ამოკითხვაზე. 2003 წელს გამოქვეყნდა ზ. ალექსიძის მონოგრაფია “კავკასიის ალბანეთის დამწერლობა, ენა და მწერლობა”, რომელიც სინური პალიმფსესტის შესახებ წინასწარ შენიშვნებს შეიცავს. ავტორი აღნიშნავს: “დღეისათვის მეტ-ნაკლები სისრულით ამოკითხულია ალბანური “ლექციონარის” 40-მდე საკითხავის სათაური და იდენტიფიცირებულია 14 საკითხავი. თითოეული

საკითხავიდან ჯერჯერობით ზუსტად დადგენილია მხოლოდ რამდენიმე მუხლის შესატყვისი ქართულ, სომხურ, ბერძნულ და სხვა ენებზე” (ალექსიძე 2003, 126).

ამ მონოგრაფიის გამოქვეყნების შემდეგ ალბანური პალიმფსესტის ამოკითხვის საქმეში ჩაერთვნენ ე.-პ. მაე, ი. გიპერტი და ვ. შულცე, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე ამ საკითხის შესახებ რაიმე ხელშესახები შედეგი არ გამოქვეყნებულა. დღეისათვის ხელთ გვაქვს მხოლოდ ათამდე საკითხავის სათაურთა თარგმანი (ალექსიძე 2003, 132-133) და ერთი ამოკითხული ტექსტი (2 კორინთელთა 11, § 24-27; N/Sin 13, 76r- 77v – შულცე 2005).

ჩვენ მიერ მეტ-ნაკლები სისრულით ამოკითხულია ალბანური ლექციონარის საკითხავთა შემდეგი მუხლები: ეფესელთა 5, § 25-28 (N/Sin 13, 28v- 27r); I კორინთელთა 12, § 28-29 (N/Sin 13, 26r- 31v); საქმე მოციქულთა 12, § 1-2 (N/Sin 13, 56v- 57r); ებრაელთა 11, § 17-18 (N/Sin 13, 5r- 2v); მათე 17, § 1-5 (N/Sin 13, 13v- 10r); ებრაელთა 3, § 1-5 (N/Sin 55, 23r- 16v), პრომაელთა 8, 17-19 (N/Sin 55, 25v).

აღსანიშნავია ალბანური ლექციონარის საკითხავთა იდენტიფიცირებისა და ამოკითხვის სირთულე. საფიქრებელია, რომ ლექციონარი არ არის თარგმნილი რომელიმე ენაზე არსებული ლექციონარიდან, არამედ შედგენილია ალბანურ ენაზე უკვე შექმნილი ბიბლიის წიგნების საფუძველზე. სირთულეს ქმნის ისიც, რომ ალბანური ტექსტი დაფარულია ქართულით, ამასთან ერთად ალბანურ-ქართული პალიმფსესტის თითქმის ყველა ფურცელი დეფექტურია.

თავი VII

შენიშვნები კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიური სისტემისა და გრამატიკული სტრუქტურის შესახებ

ამოკითხულ მასალაში (წინა [VI] თავში წარმოდგენილით არ შემოიფარგლება) შემდეგი მოვლენები შევნიშნეთ:

1. ფონეტიკა

დადგენილად შეგვიძლია ჩავთვალოთ ალბანური ანბანის 26 გრაფემის ფონემური მნიშვნელობა, ესენია: №1 **ა** (ა); №2 **ბ** (ბ); №3 **გ** (გ); №5 **დ** (დ); №6 **ე** (ე); №9 **ვ** (ვ); №11 **ზ** (ზ); №13 **თ** (თ); №15 **ი** (ი); №17 **კ** (კ); №21 **ლ** (ლ); №23 **მ** (მ); №29 **ნ** (ნ); №30 **ქ** (ქ); №31 **ო** (ო); №35 **პ** (პ); №39 **რ** (რ); №40 **ს** (ს); №41 **ტ** (ტ); №42 **ც** (ც); №43 **ძ** (ძ); №44 **წ** (წ); №45 **ჭ** (ჭ); №50 **ყ** (ყ); №51 **ფ** (ფ); №52 **ქ** (ქ).

ამ ჩამონათვალს შეიძლება დაუმატოთ №7 **ც** (ეს გრაფემა **ქ** დიფთონგს გადმოსცემს. ჩვენი აზრით, **ე** ბგერის ფარინგალიზებულ ალოფონსაც (**ქ**) უნდა აღმნიშნავდეს).

სარწმუნოა, რომ №47 **ს** **ო** ბგერას აღნიშნავდა (შდრ.: კლიმოვი 1984, 13; კლიმოვი 1990, 497), №14 **ს** **ზ** ბგერას, ხოლო №33 **ჟ** – **შ** ბგერას.

კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიური სისტემა რეკონსტრუქციის შედეგად ასეთი სახით წარმოგვიდგება:

ვოკალიზმი:

	წინა რიგის	შუა რიგის	უკანა რიგის
ღია		ა	
საშუალო	ე		ო
ვიწრო	ი		უ

შენიშვნა: თითოეულს ფარინგალიზებული ვარიანტი აქვს: *ა, *ე, *ო, *უ,

უ (ვარსკვლავით [] სავარაუდო ფონემურ მნიშვნელობას ავლნიშნავთ).

კონსონანტიზმი:

	სშუელი			აფრიკატი			სპირანტი		სონორი
	მუღერი	ფშენე	აბრუპტ.	მუღერი	ფშენე	აბრუპტ.	მუღერი	ყრუ	
ლაბიალური	ბ	ფ	პ				მ		ჭ, მ
დენტალური	ღ	თ	ტ	*ძ	*ც	*წ	ზ	ს	ნ, ლ
ალვეოლარული				*ჯ	ჩ	*ჭ	*ყ	შ	რ
შუაენისმიერი									ღ
უკანაენისმიერი	გ	ქ	კ				ღ	ხ	
ფარინგალური		*გ	ყ						
ლარინგალური			*ღ					ჰ	
ლატერალური				*ღ	*ლ	*ტ			

შენიშვნა: უკანა წარმოების (უკანაენისმერ, ფარინგალურ, ლარინგალურ) თანხმოვნებს, სიბილანტებს და სავარაუდოდ, ლაბიალურ და დენტალურ თანხმოვნებს აქვთ ფარინგალიზებული ვარიანტები.

ფონეტიკური პროცესები

ფონეტიკური პროცესებიდან დასტურდება – ხმოვანთა შემართვა: ანა-კე “რომელიც” > ჰანა-კე (როგორც ჩანს, ხმოვანთა შემართვა გავრცელებული მოვლენა იყო); დიფთონგიზაცია: ვიჩი-ეხ “ძმას” > ვიჩი-ე-ეხ *ფ-ე-ი > ფ-ე-ი “თქვა” (პერფექტი); ჰანა-ე-ო-კე “რომელიც” (სუბსტ.) < *ჰანა-ო-კე; ასიმილაცია: იჩ-აე “თავისი” > იჩ-ეე (ნაწილობრივი) > იჩ-ი (სრული), ბ[იხაჯუ]ლ-ოე “ღმერთი-

სა” > ბ[იხაჯუ]დ-ედ, ს-ომ “ერთხელ” < *სა-ომ; რედუქცია: ტურ-ღ-ოხო(ც) “მდინარეთაგან < *ტურ-ულ-ოხო(ც); სპირანტიზაცია: ბუ-ყ-ესუნ “სურვილი”, “სიყვარული” > ხი-ბუ “მოყვარე”; უხ “ექვსი” < *უყ, ბოხ-ეს “შენება” < *ბოყ-ეს, -ხა (იუსივის ფორმანტია) < *-ყა; თანხმოვანთა მონაცვლეობა: ანე/ჰანე “ეგ” – ჰამა-ტუნ-კე “მაგიც”; ელიზია-კონტამინაცია: ან:ახ “მაგათ” < *ანე-უხ-ა.

2. მორფოლოგია

სახელთა ბრუნება

სახელობითი ბრუნვა. ∅ (არამარკირებული=აბსოლუტივი) – გვევლინება სუბიექტად გარდაუვალ ზმნასთან, მაგ., მუსედს ჰუახუნ ნე “მოსე სარწმუნოა” – N/Sin 55, 23r-16v; ებრაელთა 3, 5)...

პირდაპირ ობიექტად გვხვდება გარდამავალ ზმნასთან, მაგ., ბიჰან [ც?] აჟან ხიბ ტალავარ “გაგაკეთოთ აქ? ჩვენ (ერგ.) სამი კარავი (N/Sin 13, 13v-10r; მათე 17, 4)...

აბსოლუტივი ვოკატივის ფუნქციას ითავსებს, მაგ. უბსონ ბუყანაბიჰან ანე ჩიბუს “ქმარო (სახ. [აბს.]), შეიყვარე ეგ ცოლი (Pl. tantum)” (N/Sin 13, 28r-27v; ეფესელთა 5, 25)...

აბსოლუტივი ზოგჯერ გენტივის ფუნქციითაც გვხვდება, მაგ., პურინუნ დაკობას ვიჩიეს დოჰანან (ებრ.-სირ. ფორმა) “რათა მოეკლა იაკობი (მიც.), ძმა (მიც.) იოანესი (აბს.)” (N/Sin 13, 56v-57r; საქმე მოციქულთა 12, 2).

ერგატივი. ძირითადი ფორმანტია -ენ. ერგატივში დასმული ფორმა რეალურ სუბიექტად გვევლინება გარდამავალ ზმნასთან, მაგ., ქ[რისტო]ს-ენ ბუყანაბიჰან ჰა(ჰ)ინკ ეკლესიას “როგორც ქრისტემ შეიყვარა ეკლესია (მიც.)” (N/Sin 13, 28r-27v; ეფესელთა 5, 25)...

აღბანური ერგატივი ინსტრუმენტალისის ფუნქციით არის აღჭურვილი, მაგ., ბ[იხაჯუ]დ-[ენ ავა “ღმერთით არსებული” N/Sin 55, 23r-16v, ებრაელთა 3, 5)...

ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტებია: -ამ, -ომ, -ემ, -ან, -უნ... და მას უდიდური გენტივის მსგავსი ფუნქციები აქვს, მაგ., ონე ღარ ბეზ-ი ბუყანაჰო “ეს

შვილია ჩემი საყვარელი” (N/Sin 13, 13v-10r; მათე 17, 4).

ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტი **-უნ**, ისევე როგორც უდიურში, დერიგაციულ აფიქსადაა გამოყენებული, მაგ.: გოახ-**უნ** “დიდი”, ჰუახ-**უნ** “სარწმუნო”.

მიცემითი ბრუნვის ფორმანტებია: **-ა, -ო, -ე; -ახ, -ოხ, -ეხ**. დატივის ფორმა, მიცემით-სუბიექტიან ზმნებთან (*verba sentiendi*) სუბიექტად გვევლინება, მაგ., კე ბუყაეც(?)ე ვა “თუ გსურს (გნებაგს) **შენ** (მიც.)” (N/Sin 13, 13v-10r; მათე 17, 3)...

მიცემითი ბრუნვით, სახელობითის პარალელურად, პირდაპირი ობიექტი აღინიშნება, მაგ., ე(ჭ)აჰყეაინ ე[ესუსენ **პეტროს-ახ** უნ **იაკობ-ახ** უნ **დოჰანან-ახ ვიჩი-ეხ** ოდა “წაიყვანა (ან “გადაიყვანა”) იესომ **პეტრე** (მიც.) და **იაკობი** (მიც.) და **იოანე** (მიც.) **ძმა** (მიც.) მისი” (N/Sin 13, 13v-10r; მათე 17, 1)...

ასევე, მიცემითი ბრუნვის ფორმა ირიბ ობიექტად გვევლინება, მაგ. ბიდაე [ც?]ა უან ხიბ ტალავარ. სა ვა, სა **მუსედს-ა**, სა **ელიდა** (< *ელიდა-ა; ა+ა=ა) “გაგაკეთოთ აქ? ჩვენ (ერგ.) სამი კარავი. ერთი **შენ** (მიც.), ერთი **მოსეს** (მიც.), ერთი **ელიას** (მიც.)” (N/Sin 13, 13v-10r; მათე 17, 4)...

მიცემითის ფორმა ხშირად გამოყენებულია გარემოების ფუნქციით თანდებულის დაურთველად, მაგ.: მარაკესუნუს **ქალაქა** “ჭირის (ხიფათის) ნახვანი **ქალაქში**”, მარაკესუნუს **კ(?)აბან-ა** “ჭირის (ხიფათის) ნახვანი **უდაბნოში**” (N/Sin 13, 76r-77v; 2 კორინთელთა 11, 26).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა მოსაზრება, რომ კავკასიის ალბანურში ორი (ალექსიძე 2003, 152) ან სამი მიცემითი (შულცე 2005) უნდა გვექონდეს. მკვლევართა აზრით, “მეორე” დატივის (ზ. ალექსიძის მიხედვით – მიცემითი I) ფორმანტია **-ახ** და ის პირდაპირ დამატებას უნდა გადმოსცემდეს. ეს მოსაზრება შემოწმებას საჭიროებს. ზ. ალექსიძე “-ა ფორმანტიან” მიცემითს ადგილობით ბრუნვად მიიჩნევს, ხოლო “ძირითადი” მიცემითის ფორმანტად მას **-უნ** სუფიქსი აქვს აღნიშნული (ალექსიძე 2003, 152). შეუძლებელია გავიზიაროთ ზ. ალექსიძის მიერ გამოთქმული ეს მოსაზრებები. “-ა ფორმანტიან” მიცემითში დასმული სახელი ირიბ დამატებასა და გრძნობა-აქმის ზმნებთან სუბიექტს გამოხატავს და შესაბამისად, ნამდვილად დატივს წარმოადგენს, ხოლო **-უნ** უეჭველად ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტია. ვ. შულცე კი მეორე დატივს უდიურ

მასალაშიც გამოყოფს, რასაც ასევე ვერ გავიზიარებთ. უდიურში -ა ფორმანტიან და -ახ ფორმანტიან მიცემითს იდენტური ფუნქციები აქვს. ორივე ერთნაირად იხმარება სუბიექტის, პირდაპირი და ირიბი ობიექტებისა და ლოკატიური მნიშვნელობების აღსანიშნავად. საყურადღებოა მიცემით-სუბიექტიანი ზმნების – **-ზახ, -დახ, -ვახ, -ვაახ, -ტუხ, -ყოხ** პირის ფორმანტთა ჩვენება, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ ისტორიულადაც უდიურში ერთი მიცემითი გვექონდა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ხელთ არსებულ ალბანურ მასალაში (არ აღემატება 1000 სიტყვას), **-ახ, -ეხ, -ოხ** ფორმანტიანი მიცემითი ყოველთვის პირდაპირ ობიექტად გვევლინება. **-ა, -ე, -ო** ფორმანტიანი მიცემითის ფორმა კი ირიბ ობიექტად, სუბიექტად “*verba sentiendi*” ზმნებთან და ლოკატივის მნიშვნელობითაც გვხვდება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, უდიურ და კავკასიის ალბანურ ენებში, პირდაპირი ობიექტი სახელობითსა და მიცემით ბრუნვაში დასმული სახელით გადმოიცემა. უდიურში პირდაპირი დამატება აბსოლუტივითა და დატივის ფორმებით ფაკულტატურადაა გადმოცემული და ეს არ არის დაკავშირებული რაიმე კანონზომიერებასთან (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პირდაპირი დამატება წინ უძღვის შემასმენელს). კავკასიის ალბანურში კი პირდაპირი ობიექტისათვის ამ ბრუნვათა ფაკულტატურად გამოყენების შემთხვევები ვერ დავიმოწმეთ. შეინიშნება ერთგვარი ტენდენცია: იმ მცირე ამოკითხული მასალის ფარგლებში, პირდაპირი ობიექტის ფუნქციით ყველა მიცემითში (ან II მიცემითში) დასმული სახელი პირია (აღამიანი), ხოლო სახელობითში დასმული – ნივთი.

თანდებულებიან ბრუნვათაგან უეჭველად დადგენილია **აბლატივი**. ის, როგორც წესი, უდიური აბლატივის მსგავსად დატივზე დაყრდნობით იწარმოება და მისი ფორმანტებია **-ახ-ო(ც)//-ოხ-ო(ც)//-უხ-ო(ც); -ო(ც)//-ა(ც)**. აბლატივს დაშორებითი ფუნქცია აქვს და სემანტიკით ქართულ **-გან** თანდებულს უდრის, მაგ., მარაკესუნუხ **აბაზაკუდ-ოხო(ც)** “ხიფათის (ჭირის) ნახვანი ავაზაკთაგან”. მარაკესუნუხ **ჰეთანოსუდ-ოხო(ც)** “ხიფათის ნახვანი წარმართთაგან” (N/Sin 13, 76r-77v; 2 კორინთელთა 11, 26).

კავკასიის ალბანური აბლატივე შედარებით ხარისხსაც აწარმოებს, მაგ., **ეკოს-ახო(ც)** იხოლო კუ ბაალ ნენ “**სახლზე** (აბლ.) მშენებელს (სახ.) [მეტი] პატივი ექნება (ზედმიწ. პატივი იყოს მით – N/Sin 55, 23r-16v; ებრაელთა 3, 4).

ხშირად, კავკასიის ალბანურში, უდიურის მსგავსად, ატრიბუტულ სახელთა

ბრუნებისას ბრუნვის ფორმანტს წინ ერთვის ტ- ელემენტი, მაგ., ჰამა-ტუნ “იმის” (ნათ.), ჰამოს-ტან-კე “ვისგანმე” (ნათ.). ეს ელემენტი შესაძლოა ტე “ის”, “იგი” ნაცვალსახელისაგან მომდინარეობდეს (ჯეირანიშვილი 1971, 69), თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამდაგვარი ნაცვალსახელი კავკასიის ალბანურში ვერ შევნიშნეთ.

ბრუნებისას შეინიშნება სხვა ჩანართოვანი ელემენტები: -რ, -მ, -ნ..., მაგ., მუზ-რ-ოდ “ენა”-ნათ., ძე-მ-ო “ქვა”-მიც...

მასუბსტანტივებელი სუფიქსია -ო, მაგ., იხო-ო “მშენებელი”, ბუყანა-ო “სასურველი”, “საყვარელი”. -ო სუფიქსი ამდაგვარი ფუნქციით უდიურშიც დასტურდება, მაგ., ბიყალ-ო “მშენებელი”, ბუყალ-ო “საყვარელი”...

მრავლობითის ფორმანტია -უს//-ულ (საფიქრებელია, რომ -ულ მეორეულია, იგი გამჟღერების შედეგადაა მიღებული და აბსოლუტივს იშვიათად ერთვის).

ამრიგად, განხილული მასალის მიხედვით, კავკასიის ალბანურის სახელთა ბრუნების სისტემას დიდი სიახლოვე ახასიათებს უდიურთან, როგორც ფორმანტთა მხრივ, ასევე ბრუნვათა ფუნქციების მხრივაც.

რიცხვითი სახელი.

რაოდენობითი რიცხვითი სახელები ლექციონარში ნაკლებად გვხვდება. ეს უნდა იყოს განპირობებული იმით, რომ, როგორც წესი, რიცხვი ასო-ბგერების საშუალებით აღინიშნება.

რაოდენობითი რიცხვითი სახელებიდან დავადასტურეთ: სა “ერთი”, პ[ც]ა “ორი”, ხიბ “სამი”, შდრ. უდიური: სა “ერთი”, პა “ორი”, ხიბ “სამი”.

რიგობითი რიცხვითი სახელი იწარმოება -არ სუფიქსით გართულებულ ან მისსავე სუპლექტურ ფუძეზე -უნ//-ინ ფორმანტის დართვით (საფიქრებელია, რომ წარმოშობით გენტივის ფორმანტი უნდა იყოს), მაგ., სერბა-უნ “პირველი”, ხიბ-არ-უნ “მეორე”, პურან-ინ “მესამე”, შდრ. პალიმფსესტში დამოწმებულს: სა “ერთი”, პ[ც]ა “ორი”, ხიბ “სამი”. უდიურში რიგობით რიცხვით სახელს სუფიქსი -უმ-ჯი//-უნ-ჯი აწარმოებს, თუმცა დასტურდება -უნ სუფიქსიანი წარმოებაც, მაგ., სა-უნ “პირველი”, პა-უნ “მეორე”, ხიბ-უნ “მესამე”...

ჯერობის რიცხვითი სახელი – იწარმოება -**ომ** სუფიქსის დართვით, მაგ.: **ს-ომ** < ***სა-ომ** “ერთხელ”, “ერთგზის”; **ხიბ-ომ** “სამჯერ”, “სამგზის”; **ხუ-ომ** “ხუთჯერ”, “ხუთგზის”.

თვლის სისტემა კავკასიის ალბანურში, როგორც ჩანს, ოცობითი იყო. ამის შესახებ მეტყველებს ფორმა **ჩ(ს?)ჟჟ[?]** პ[ც?]ა-ყ[?] “ორმოცი”, შდრ. უდიურს: **პა-ყო** (ვართ.)//**პა-ყა** (ნიჯ.) “ორმოცი” (ზედმიწ. “ორი” + “ოცი”). ეს რიცხვითი სახელი ისეთ წინადადებაში შეგვხვდა, რომ მისი ლექსიკური მნიშვნელობა შეგვიძლია დადგენილად ჩავთვალოთ – გაჩარ[ულ]ოხო(ც) ხუომ პ[ც?]ა-ყ[?] სა ჰიმიყა-ნა ჰეყ[-] “ებრაელთაგან ხუთჯერ **ორმოცსა** ერთს (სახ.) მოკლებული” (N/Sin 13, 76r-77v; 2 კორინთელთა 11, 24), შდრ. ქართულს: “ჰურიათაგან ხუთ გზის **ორმოცსა** ერთ მოკლებული ცემაჲ მივიდე”.

ნაცვალსახელი

პირის ნაცვალსახელები.

მხ.	მრ.
I	I
სახ. ზუ	სახ. ჟან
ნათ. ბეზი	ნათ. ბეში
მიც. ზა//ზახ	მიც. ჟა//ჟახ
II	II
სახ. ნუნ?	სახ. ნან ?
ნათ. ვი	ნათ. ?
მიც. ვა//*ვახ	მიც. ?

მესამე პირის ნაცვალსახელთა საკითხი ბოლომდე ნათელი არ არის. სავარაუდოდ, პალიმფსესტში III პირის ნაცვალსახელი მხოლოდობითში არის – **ოენ**, ხოლო მრავლობითში – **ოენ-უხ** (შესაძლებელია, ეს ფორმები შორეულ დემონსტრაცივადაც მივიჩნიოთ), მაგ., **ოენ** ილუკაჰა მატუნ კეჰედ “ვიდრე **ის** იმას იტყოდა” (N/Sin 13, 13v-10r; მათე 17, 2);

ჰაბოკუდ **ოენ-უხ** “აიყვანა **ისინი**” (N/Sin 13, 13v-10r; მათე 17, 4).

ჩვენებითი ნაცვალსახელები შემდეგი სახით წარმოგვიდგება: უახლოესი დემონსტრაცივი – **ო-ნე** (I პირთან), მაგ., **ონე** ღარ ბეზი ბუყანადო “**ეს** შვილია ჩემი საყვარელი” (N/Sin 13, 13v-10r; მათე 17, 5);

საშუალო დემონსტრაცივი – **ა-ნე** (II პირთან), მაგ., უბსონ ბუყანაბიდან **ანე** ჩიბუხ “ქმარო, შეიყვარე **ეგ** ცოლი” (N/Sin 13, 28v-27r; ეფესელთა 5, 25);

შორეული დემონსტრაცივი – **ნე** (III პირთან; ნაწევარის ფუნქციასაც ასრულებს და ზოგჯერ, როგორც ჩანს, მეშველი ზმნის ფუნქციითაც გამოიყენება), მაგ., მუსედს ჰუახუნ **ნე** “მოსე სარწმუნოა [ზედმიწ. “სარწმუნო **იგი**”]” (N/Sin 55, 23r-16v; ებრაელთა 3, 4).

კუთვნილებითი ნაცვალსახელი. პირველი პირის კუთვნილებით ნაცვალსახელთა ფორმა იმავე პირის ნათესაობითში დასმული პირის ნაცვალსახელების ფორმას ემთხვევა, მაგ., **ონე** ღარ **ბეზი** ბუყანადო “**ეს** შვილია **ჩემი** საყვარელი” (N/Sin 13, 13v-10r; მათე 17, 5);

ჰეფესუნ[ო]დ **ბეში** “აღსარებისა **ჩვენისა**” (N/Sin 55, 23r-16v; ებრაელთა 3, 1), შდრ. უდიური **ბეზი** “ჩემი” და **ბეში** “ჩვენი.

III პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი მხოლოდობითში არის – **ოდა**. როგორც ჩანს, ეს ფორმა სამივე პირთან მიმართებით უნიფიცირებულია, რაც გვაფიქრებინებს იმას, რომ ის ნათესაობით ბრუნვაში დასმული III პირის ნაცვალსახელი (**ოენ**) უნდა იყოს, მაგ., დოჰანანახ ვიჩიეს **ოდა** “იოანე (მიც.) ძმა (მიც.) **მისი**” (N/Sin 13, 13v-10r; მათე 17, 2); მუსედს ჰა(ჭ)ინკე ლუ(ს)უ კოსა **ოდა** “როგორც (ვითარც) მოსე, ყველა **მის** სახლში (მიც.)” (N/Sin 55, 23r-16v; ებრაელთა 3, 2).

II პირის კუთვნილებით ნაცვალსახელთა საკითხი არ არის გარკვეული.

კუთვნილებით ნაცვალსახელად უნდა მივიჩნიოთ **იჩაჲ** “თავისი”. აქ სამი ფონეტიკური ვარიანტი გვაქვს: **იჩაჲ** > **იჩეჲ** (ნაწილობრივი ასიმილაცია) > **იჩი** (სრული ასიმილაცია), მაგ.: უბსონ ბუყანაბიდეჲსა **იჩაჲ** ჩიბუხ **იჩაჲ** მარმინ ჰა(ჭ)ინკე “ქმარო, შეყვარებას **თავისი** ცოლისა, როგორც (ვითარც) **თავისი** ხორ-

ცისა” (N/Sin 13, 28v-27r; ეფესელთა 5, 28);

იხედ ბუღ თ[ა]ფაღუ “თავისი თავი მისცა” (N/Sin 13, 28v-27r; ეფესელთა 5, 25).

განსაზღვრებითი ნაცვალსახელი. ამდაგვარი ფუნქციით გვესახება ლუ(ს)უ “ყველა” და (ც)ეს “ყოველი”, მაგ., მუსედს ჰუახუნ ნე ლუ(ს)უ კოსა ოდა “მოსე სარწმუნოა (ზედმიწ. სარწმუნო იგი) ყველა მის სახლში (მიც.)” (N/Sin 55, 23r-16v; ებრაელთა 3, 5).

(ც)ეს კოს ბოხოხა “ყოველი სახლი უეჭველად შენდება (იუს.)” (N/Sin 55, 23r-16v; ებრაელთა 3, 3).

მიმართებითი ნაცვალსახელი. ამდაგვარი ფუნქცია აქვს ფუძეებს ანა//ჰანა “რომელი” (აბს.), მაგ., პო[ც?]ე ე(ც)ეს ბიდაჲ ჰანა-(ც) “ხოლო რომლისგან (აბლ.) ყოველივე გაკეთდა” (N/Sin 55, 23r-16v; ებრაელთა 3, 4).

ბუყანაბა ჰანა-ე ოენ “რომელს (ნათ.) უყვარს ის...” (N/Sin 13, 28v-27r; ეფესელთა 5, 28).

ზმნა

ზმნის დრო-კილოებიდან დადგენილია აწმყო – მისი მაწარმოებელია -ა სუფიქსი, მაგ., ჰუახუნ ჰანადო[კე] ბა-ა “რომელიც სარწმუნო არის” (N/Sin 55, 23r-16v; ებრაელთა 3, 1).

აწმყოს მაწარმოებელი ხშირად იკვეცება, როცა ზმნის ფუძე ა ხმოვანზე არის დაბოლოებული, მაგ., ისო გოახუნ აბუ იჰ[ე]ანაკე ვა მუსედსახ[ო(ც)] “რამეთუ მეტი დიდების მქონე არის მოსეზე (აბლ.)” (N/Sin 55, 23r-16v; ებრაელთა 3, 4). აქ საფიქრებელია *გა-ა > ვა, შდრ. წინა: ბა-ა. შდრ. აგრეთვე: უდიურის აწმყოს მაწარმოებელი -ა, მაგ., ბაქ-ს-ა=ნე “არის”....

აღბანურ ლექციონარში დასტურდება ფორმა, რომელიც, სავარაუდოდ, აწმყო-კონკრეტული უნდა იყოს, მაგ., კე ბუყაე(ც)ე ვა “თუ გსურს (გნებავს) შენ (მიც.)” (N/Sin 13, 13v-10r; მათე 17, 3), შდრ. ანალოგიურ ქართულ მონაკვეთს: “და თუ გნებავს” (კავკასიის აღბანურში ეს ზმნა კომპოზიტშიც გვხვდება, შდრ. ბუყანა-ბიდეს “სურვილის კეთება” > “შეყვარება”; ბუყანა-ბა “სურვილის ქონა” >

“ყვარება”; შდრ. აგრეთვე, უდიური ბუყ-ეს “ყვარება”, “ნდომა”, “წადილი”, “სურვილი”, “მოსურვება”). აწმყო-კონკრეტულის მაწარმოებელია (ც)ე/ჰე, რომელიც მეშველ ზმნას უნდა წარმოადგენდეს.

ალბანურ ლექციონარში დადასტურებულია ნამყო დროის სამი ფორმა. პირობითად მათ ვუწოდებთ **ნამყო I-ს**, **ნამყო II-სა** და **ნამყო III-ს**.

ნამყო I იწარმოება აწმყოს ფორმაზე -მ/*-ი მაწარმოებლის დართვით, მაგ., ქრისტოს]სენ ბუყანაბი-ა-მ ჰან(ჰ)ინკ ეკლესიას “როგორც (ვითარც) ქრისტეს (ერგ.) შეუყვარდა ეკლესია (მიც.)” (N/Sin 13, 28v-27r; ეფესელთა 5, 25);

პო(ც)ე ე(ც)ეს ბი-ა-მ ჰანა(ც) “ხოლო რომლისგან ყოველივე გააკეთდა” (N/Sin 55, 23r-16v; ებრაელთა 3, 4).

ნამყო II იწარმოება ზმნის ფუძეზე -ე/-ემ სუფიქსის დართვით, მაგ., იხედ ბულ თ[ა]ფად-ემ “თავისი თავი მისცა” (N/Sin 13, 28v-27r; ეფესელთა 5, 25);

ჰადბოკ-ემ ოენუს “აიყვანა ისინი” (N/Sin 13, 13v-10r; მათე 17, 1).

ამ ფორმებს თავისი წარმოებითა და ფორმანტებით პარალელულები ეძებნება უდიურ ნამყო-უწყვეტელთან (იმპერფექტი) და ნამყოსთან (პერფექტი). უდიური ენის ნამყო-უწყვეტელი აგრეთვე აწმყოს ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება -მ/*-ი სუფიქსის დართვით. განსხვავება ის არის, რომ უდიურში აწმყო და ნამყო-უწყვეტელი -ეს ფორმანტიან მასდარის ფორმაზე (მასდარი I) დაყრდნობით იწარმოებიან, მაგ., ბ-ეს-ა=(ნე) “აკეთებს”, ბ-ეს-ა=(ნე)=მ “აკეთებდა”, მაშინ როდესაც ალბანურში აწმყოსა და ნამყო I-ის ფორმანტები უშუალოდ ზმნის ფუძეს დაერთვის.

კავკასიის ალბანური ნამყო II კი უდიური პერფექტის და პლუსკვამპერფექტის ანალოგიურად იწარმოება, შდრ. უდიური: ქარხ-ეს “ცხოვრება” (მასდ I) > ქარ=(ზუ)=ხ-ე (პერფ.) > ქარ=(ზუ)=ხ-ე-მ (პლუსკვამპერფ.) “ვიცხოვრე”, “მიცხოვრია”.

ვფიქრობთ, რომ ნამყო I იმპერფექტი უნდა იყოს, ხოლო ნამყო II პერფექტი. ნამყო I-ზე მოყვანილი მაგალითები თითქოსდა სრული ასპექტის გაგებას გვაძლევს, მაგრამ შესაძლებელია აქ უწყვეტი მოქმედება გვექონდეს (ქრისტეს

შეუყვარდა და უყვარს დღესაც; ღმერთისგან შეიქმნა და არსებობს დღესაც).

ნამყო III იწარმოება ნამყო I-ის ფორმაზე -**ნ** სუფიქსის დართვით. ზოგჯერ ეს ფორმა ნამყო II-ს მსგავს კონტექსტში იხმარება, მაგ., **ე(ჭ)აჰყე-ა-ნ** [ესუსენ პეტროსას უნ დაკობას უნ დოჰანანას ვიჩიეს ოდა. **ჰაბოკ-უფ** ოენუს **“წაიყვანა** (ან **გადაიყვანა**; ნამყო III !) იესომ პეტრე (მიც.) და იაკობ (მიც.) და იოანე (მიც.) ძმა (მიც.) მისი. **აიყვანა** (ნამყო II !) ისინი” (N/Sin 13, 13v-10r; მათე 17, 1).

სავარაუდოდ, აქ აორისტი უნდა გვქონდეს. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ ამ ფორმით ზოგჯერ დროში გაურკვეველი მოქმედება აღინიშნება, მაგ., ქულ **ბი-ა-ნ** “ხელი მიჰყო [ზედმიწ. “ხელი აკეთა”]” (N/Sin 13, 56v-57r; საქმე მოციქულთა 12, 1), ანდა შესაძლებელია სულაც მყოფადს გადმოსცემდეს, მაგ., **ბი-ა-ნ** [ქ?] ა ქან ხიბ ტალავარ **“გავაკეთოთ აქ? ჩვენ (ერგ.) სამი კარავი** (N/Sin 13, 13v-10r; მათე 17, 4)...

აღსანიშნავია, რომ უდიურში აორისტის ფორმა უშუალოდ ზმნის ფუძისაგან და არა იმპერფექტის ფორმისაგან იწარმოება, მაგ., **ბ-ი-ნე** “აკეთა”.

მყოფადი იწარმოება ზმნის ფუძეზე -**აღ** სუფიქსის დართვით, მაგ., ეფუს მუ(წა)ურ **ბა-აღ** ანკე ოენ “რათა წმინდა **ჰყოს** (ზედმიწ. **ჰყოს** რომელიც) ის” (N/Sin 13, 28v-27r; ეფესელთა 5, 26);

ეკოსახო(ც) იხოდო კუ **ბა-აღ** ნენ “სახლზე (აბლ.) მშენებელს (სახ.) [მეტი] პატივი **ექნება** (ზედმიწ. პატივი **იყოს** მით; შორეული დემონსტრ.-ერგ.-ინსტრ.” – N/Sin 55, 23r-16v; ებრაელთა 3, 4).

საფიქრებელია, რომ მყოფადი სუბლექტური ფორმებითაც იწარმოება, მაგ., ზუ ვა **ბაღა** “მე (ერგ.) შენ (მიც.) **გაგიკეთებ**”? (წარწერა №4 შანდალზე), **ო(ჭ)რ** “**იქნება**”?

იუსივი, ანუ **კატეგორიული კილო** (ნაწილაკოვან-კავშირებითი I – ეგვ. ჯეირანიშვილი; ამ კილოს მაწარმოებელი -**ხა** კავკასიის ალბანურში არც ნაწილაკისა და არც კავშირის ფუნქციით ჯერჯერობით არ დასტურდება) იწარმოება -**ხა** ფორმანტის დართვით, მაგ., (ც)ეს კოს **ბოხო-ხა** ანაკე **ბოხო-ხა** ჰამოსტანკე “ყველა სახლი **უეჭველად შენდება**, რომელიც **უეჭველად შენდება** ვისგანმე”

(N/Sin 55, 23r-16v; ებრაელთა 3, 4), შდრ. უდიური იუსივის მაწარმოებელს: =ყა, მაგ., ბი=ყა=(6) “უეჭველად გააკეთოს”.

იმპერატივი (ბრძანებითი კილო) იწარმოება აწმყოს ფორმაზე -ნ სუფიქსის დართვით, მაგ., უბსონ **ბუყანაბიძ-ა-ნ** ანე ჩიბუხ “ქმარო, შეიყვარე ეგ ცოლი” (N/Sin 13, 28r-27v; ეფესელთა 5, 25).

სახელზმნური ფორმები

მასდარი. უდიურის მსგავსად, კავკასიის ალბანურსაც მასდარის ორი ფორმა აქვს. **მასდარი I** იწარმოება ზმნის ფუძეზე -**ეს** სუფიქსის დართვით, მაგ., უსბონ **ბუყანაბიძ-ეს-ა** იხად ჩიბუხ იხად მარმინ ჰა(ჰ)ინკე “ქმარო, შეყვარებას (მიც.) თავისი ცოლისა, როგორც თავისი ხორცისა”, შდრ. ანალოგიურ ქართულ მონაკვეთს: “ქმართა ცოლთა თვსთა *სიყუარული*, ვითარცა ხორცთა თვსთად” (N/Sin 13, 28r-27v; ეფესელთა 5, 28).

მასდარი II იწარმოება -**ეს** ფორმანტიან მასდარზე -**უნ** სუფიქსის დართვით, მაგ., **მარაკ-ეს-უნ-უხ** ქალაქა “ჭირის (ხიფათის) ნახვანი ქალაქში”, **მარაკ-ეს-უნ-უხ** კ(?)აბანა “ჭირის ნახვანი უდაბნოში” (**მარაკ-ეს-უნ** – კომპოზიტია; **მარ** “ჭირი”, შდრ. უდ.: **მარ** “ჩირქი” + **აკ-ეს-უნ** “ნახვა”, შდრ. უდ.: **აკ-ს-უნ//აკ-ეს-უნ** “ნახვა”, “ხედვა”– Sin 13, 76r-77v; 2 კორინთელთა 11, 26).

იდენტურად იწარმოება და იგივე ფუნქციები აქვს მასდარს უდიურში, შდრ. მასდარი I-ს მაწარმოებელი -**ეს**, ხოლო მასდარი II-ს -**ეს-უნ**, მაგ., **ბ-ეს//ბ-ეს-უნ** “კეთება”.

მიმღეობა. დადგენილია ორი ტიპის *მიმღეობა*, რომლებიც, საფიქრებელია, რომ მხოლოდ გრამატიკული კლას-კატეგორიის ფორმანტთა დისტრიბუციით განირჩევიან. პირველის მაწარმოებელი -**ი** სუფიქსი უნდა იყოს. ეს მიმღეობა ყოველთვის სუბსტანტივია (მასუბსტანტივებელი -**ო** სუფიქსის დაურთველად) და იწარმოება ზმნის ფუძეზე გრამატიკული კლასის სუფიქსის დართვით, მაგ., ისოგოხუნ **ა-ბუ** იჰ[ე]ანაკე ვა მუსედსახ[ო(ც)] “რამეთუ მეტი დიდების **მქონე** არის მოსეზე (აბლ.)” (N/Sin 55, 23r-16v; ებრაელთა 3, 2);

ოენკე ბ[იხაჯუ]ლ[ენ] ა-ვა “ისიც დმერთით **მყოფია (არსებულისა)**” (N/Sin 55,

23r-16v; ებრაელთა 3, 4);

კე **ხი-ბუ** [-?] იხედ ბუელ ბუყანაბა ოენ “თუ **მოყვარეა** [ცოლისა], იმას თავისი თავიც უყვარს” (N/Sin 13, 28v-27r; ეფესელთა 5, 28).

როდესაც ზმნა მარკირებულია კლასოვანი პრეფიქსით, ამ მიმღეობის წარმოებისას აღნიშნული პრეფიქსი მას არ გადაყვება, მაგ., **ბი-დ-ეს** “კეთება” > ***დი-ბი** > **ი-ბი** “მკეთებელი” (წარწერა შანდალზე №2); **ბუ-ყანა** “სურვილი”, “ყვარება” > **ხი-ბუ** “მოყვარე”.

მიმღეობის მეორე ტიპისათვის დამახასიათებელია ის, რომ კლასის ფორმანტი მასში პრეფიქსის სახით გვხვდება და მას **-დ** სუფიქსი აწარმოებს, მაგ., ეკოსახო(ც) **ი-ხო-დ-ო** კუ ბაალ ნენ “სახლზე (აბლ.) მშენებელს (სახ.; შდრ., ბო-ხო-ხა “შენება”-იუს.) [მეტი] პატივი ექნება (ზედმიწ. პატივი იყოს მით; შორეული დემონსტრ.-ერგ.-ინსტრ.” – N/Sin 55, 23r-16v; ებრაელთა 3, 4);

ონე ღარ ბეზი **ბუ-ყანა-დ-ო** “ეს შვილია ჩემი **საყვარელი**” (N/Sin 13, 13v-10r; მათე 17, 5).

აბსოლუტივი. უდიურში არსებული ოთხი აბსოლუტივიდან კავკასიის აღბანურში დასტურდება ორი:

პირველი უდიური აბსოლუტივი I-ს მსგავსი მნიშვნელობით იხმარება და მას აწარმოებს **-ნ-უნ//*-უნ** რთული სუფიქსი, მაგ., **პური-ნ-უნ** დაკობახ ვიჩიეხ დოჰანან “**რათა მოეკლა (მოსაკლავად) იაკობი (მიც.), ძმა (მიც.) იოანესი (სახ.)**” (N/Sin 13, 56v-57r; საქმე მოციქულთა 12, 2), შდრ. უდიური: **პური** “მკვდარი” და აბსოლუტივი I-ს მაწარმოებელი **-ან**.

მეორე აბსოლუტივი უდიური აბსოლუტივი IV-ს მსგავსი მნიშვნელობისაა და მისი მაწარმოებელია **-ნ-დ-უნ//*-დ-უნ**, მაგ., უხ **არე-ნ-დ-უნ** ე(ჰ)აჰყეადნ დ[ესუ]სენ პეტროსახ... “ექვსი [დღის] **გასვლისას** წაიყვანა (ან გადაიყვანა) იესომ პეტრე (მიც.)... (N/Sin 13, 13v-10r; მათე 17, 1), შდრ. უდიური: **არე**=ნე “მოვიდა”, **არი**-ი “მოსული” და აბსოლუტივი IV-ს მაწარმოებელი **-ტან//-ატან**.

ამ აბსოლუტივთა ფორმანტების ფონეტიკური სიახლოვე გვაფიქრებინებს, რომ საერთო წარმომავლობის ფორმასთან უნდა გვქონდეს საქმე.

ფორმაუცვლელი სიტყვები

კავკასიის ალბანურში ფორმაუცვლელ მეტყველების ნაწილთა საკითხი ნაკლებადაა გარკვეული. აღსანიშნავია მაქვემდებარებელი კავშირების ხშირი გამოყენება და სიმრავლეც.

მაქვემდებარებელ კავშირთა უმეტესობა ნაცვალსახელური ან ადვერბი-ლური წარმოშობისაა. ასეთ შემთხვევაში მაწარმოებლად გამოიყენება ასევე მაქვემდებარებელი კავშირი კე “რომ”, “თუ” და სავარაუდოდ, ნაწილაკი ალ. კავშირი კე “რომ” ერთვის ნაცვალსახელსა თუ ზმნიზედას და კომპოზიტში ქართული -ც, -კი, -თუ ნაწილაკების მსგავს მნიშვნელობას იძენს, მაგ., მუსედს ჰა(ჭ)ინ-კელუ(ს)უ კოსა ოდა “როგორც (ვითარც) მოსე, ყველა მის სახლში (მიც.)” (N/Sin 55, 23r-16v; ებრაელთა 3, 2);

ქრისტოსენ ბუყანაბიდაჲ ჰა(ჭ)ინ-კ[ე] (ე + ე =ე) ეკლესიას “როგორც (ვითარც) ქრისტეს (ერგ.) შეუყვარდა ეკლესია (მიც.)” (N/Sin 13, 28v-27r; ეფესელთა 5, 25);

(ც)ეს კოს ბოხოხა ანა-კე ბოხოხა ჰამოსტანკე “ყოველი სახლი უეჭველად შენდება, რომელიც უეჭველად შენდება ვისგანმე” (N/Sin 55, 23r-16v; ებრაელთა 3, 4);

იხო გოხუნ აბუ იჰ[ე]ანა-კე ვა მუსედსახ[ო(ც)] “რამეთუ მეტი დიდების მქონე არის მოსეზე (აბლ.)” (N/Sin 55, 23r-16v; ებრაელთა 3, 4).

მაერთებელი კავშირის ფუნქციით გვხვდება უნ “და”, მაგ., ე(ჭ)აჰყყადნ დ[ეს]უსენ პეტროსას უნ დაკობას უნ დოჰანანას. “წაიყვანა (ან გადაიყვანა) იესომ პეტრე (მიც.) და იაკობ (მიც.) და იოანე (მიც.)” (N/Sin 13, 13v-10r; მათე 17, 1).

3. ზმნის უღვლილება და გრამატიკული კლას-კატეგორიის საკითხი

ვ. შულცემ წამოაყენა დებულება კავკასიის ალბანური ზმნის პიროვანი უღვლილების შესახებ და წარმოგვიდგინა პირის ნიშანთა სისტემა. მისი აზრით, უდიურის მსგავსად, კავკასიის ალბანური ზმნა მონოპერსონალურია (მხოლოდ სუბიექტის პირს აღნიშნავს) და მას შემდეგი პირის ნიშნები უნდა ჰქონოდა: I მხ.

-ზუ; II მს. -ნუნ; III მს. -ნ(ე); I მრ. -ჟან; II მრ. -ნან; III მრ. -ნაღურ [გარდაუვალ ზმნებთან] //-ნაღრონ [გარდამავალ ზმნებთან] (შულცე 2004, 437).

მკვლევრის აზრით, კავკასიის ალბანურისათვის უდიურის მსგავსი პიროვანი უღვლილების სისტემა უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი, იმ განსხვავებით, რომ უდიურში ფორმანტი ენდოკლიტიკას წარმოადგენს (ჰარისი 2002), ხოლო კავკასიის ალბანურში – ენკლიტიკას (შულცე 2005).

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში პირის მიხედვით ზმნის ცვლილების ერთი ფაქტიც ვერ დავადასტურეთ და, შესაბამისად, ვ. შულცეს მიერ წარმოდგენილი პირის ფორმანტებიც ვერ დავიმოწმეთ. I და II “პირის ნიშნები” ჩვეულებრივ პირის ნაცვალსახელებს წარმოადგენენ, ფორმა ნე ჩვენებითი ნაცვალსახელია, ხოლო ფორმები -ნაღურ//-ნაღრონ საერთოდ ვერ შევნიშნეთ.

საყურადღებოა, რომ ვ. შულცე, მის მიერ წარმოდგენილ მასალაში (“მინგეჩაურის” წარწერები და ალბანური ლექციონარის Sin 13, 76r-77v; 2 კორინთელთა 11, 24-27; დაახლ. 100 სიტყვის შემცველი, მათ შორის 15 ზმნის დრო-კილოიანი ფორმაა) “პირის ფორმანტს” ზმნაში მხოლოდ ორჯერ იმოწმებს (sic!). პირველი მაგალითის – ისკაპოსენ ბიადან-ნ “ეპისკოპოსმა გააკეთა” (“კეთება”–ნამყო–III-მს. ვ. შულცეს მიხედვით – შულცე 2005, 16) შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ აქ, ჩვენი აზრით, აორისტის ფორმა უნდა გვქონდეს და -ნ მის მაწარმოებლად გვესახება. უჭკველია, რომ ეს აფიქსი არ წარმოადგენს პირის ნიშანს. ამას შესახებ მეტყველებს ის, რომ ზოგჯერ ამ ფორმას სუბიექტი I ან II პირში აქვს, მაგ., ბიადან-ნ [?]ა ჟან ხიბ ტალავარ “გააკეთოთ აქ? ჩვენ (ერგ.) სამი კარავი” (N/Sin 13, 13v-10r; მათე 17, 4), შდრ. ანალოგიურ ქართულ მონაკვეთს: “**ვქმნეთ** აქ სამ ტალავარ”... ზმნაში პირის უღვლილება რომ გვქონოდა, როგორც ეს ვ. შულცეს წარმოუდგენია, მაშინ მოცემული წინადადება ასეთი სახისა იქნებოდა: **ბიადან-ჟან** (!) [?]ა (ჟან) ხიბ ტალავარ.

სუფიქსი -ნ, აორისტის გარდა, ბრძანებითი კილოს მაწარმოებლადაც გვესახება, მაგ., უბსონ ბუყანაბიადან-ნ ანე ჩიბუხ “ქმარო, შეიყვარე ეგ ცოლი” (N/Sin 13, 28r-27v; ეფესელთა 5, 25). თუ დავუშვებთ კავკასიის ალბანურში ზმნის პირო-

ვან უღვლილებას, მაშინ ასეთი წინადადება უნდა მიგვეღო: უბსონ **ბუყანაბიდან-ნუნ (!)** ანე ჩიბუს.

აგრეთვე არ არის დამაჯერებელი ვ. შულცეს მიერ წარმოდგენილი მეორე მაგალითიც – ზუ დი უნ შუ ბგლალილოს **მარდი-ზუჰჰ** “მე დღე და ღამე სიკვდილს ვითმენდი” (“**მოთმენა**”–I მს.–ნამყო II ვ. შულცეს მიხედვით – შულცე 2005, 9; იქვე, 20). აქ საეჭვოა, როგორც წინადადების თარგმანი (შდრ. ანალოგიურ ქართულ მონაკვეთს: “ღამე და დღე უფსკრულთა შინა დაეყავ” – 2 კორინთელთა 11, 25), ასევე წარმოდგენილი ზმნის ფორმა – **მარდი-ზუჰჰ** (მას უდიურში პარალელი არ მოეძებნება, შდრ. უდიური: **ფორთბ-ეს** “მოთმენა” > ზუ **ფორთ=ზუ=ბ-ე** “ვითმენდი”). აქედან გამომდინარე, **ზ//ზუ**, რომელიც ვ. შულცეს აზრით, I პირის ფორმანტია მხოლოდობითში, შესაძლებელია სულაც ძირისეულად მივიჩნიოთ, მაგრამ უფრო მართებულად სულ სხვა ახსნა გვეჩვენება: წინადადების პირველი წევრი **ზუ** “მე” წინამავალ წინადადებას უნდა მივაკუთვნოთ – **ხიბომ ნყაჟიჟაცეჰ ჰე** (წინამავალი წინადადება, ვ. შულცეს მიხედვით, ჯერობის რიცხვითი სახელისაგან [**ხიბომ**], ზმნისა [**ნყაჟიჟაცეჰ**] და მეშველი ზმნისაგან [**ჰე**] შედგება, ანუ წინადადებაში არც ქვემდებარე, არც დამატება და არც ზმნის პიროვანი ფორმა არ გვაქვს (sic!), შდრ. ანალოგიურ ქართულ მონაკვეთს: “სამ გზის ნავი დამექცა”), ხოლო მეორე **ზუ** ასეთ შემთხვევაში “ჩვეულებრივ” I პირის ნაცვალსახელად უნდა მივიჩნიოთ, მით უფრო, რომ ფორმა **ჰე** (ჩვენი ტრანსკრიპციით – **ჰე**), ვ. შულცეს აზრითაც, დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულს წარმოადგენს.

თუ დაუშვებთ, რომ III პირი კავკასიის ალბანურში ჩამოყალიბების პროცესში იყო და ხშირად არ აღინიშნებოდა ზმნაში, მაინც ვერანაირ ახსნას ვერ მოვუძებნით იმას, თუ რატომ არ ირთავს ზმნა I და II პირის ფორმანტებს (იხ. წარმოდგენილი მაგალითები). აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ კავკასიის ალბანური ზმნა პირის კატეგორიას არ განარჩევს.

გრამატიკული კლას-კატეგორიის საკითხი

ევგ. ჯეირანიშვილმა უდიურში გამოავლინა თავკიდური უფუნქციო, ზმნის ძირთან შეზრდილ ელემენტთა მთელი წყება, ესენია: ა-, ე-, უ-, უჰ-, ბა-, ბი-, ბო-, ბოჰ-, ბუ-, ბუჰ- და სხვა. ეს ელემენტები, ევგ. ჯეირანიშვილის აზრით, გრამატი-

კული კლას-კატეგორიის გაქვავებული ფორმანტები უნდა იყოს (ჯეირანიშვილი 1971, 112-113).

ვფიქრობთ, რომ კავკასიის ალბანურში ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო კლასოვანი უღვლილება და ჩვენს ხელთ არსებულ კავკასიის ალბანური მასალის საფუძველზე ევგ. ჯეირანიშვილის მიერ წარმოდგენილ კლასის ფორმანტთა სიას (თუმცა საეჭვოა, რომ ა-, ე- პრეფიქსები კლასის ნიშნები იყო) შეგვიძლია დავუმატოთ **გ, ვა > ო, ე, და** აფიქსები.

დღეს ლეზგიური ქვეჯგუფის ათი ენიდან შვიდი გრამატიკულ კლას-კატეგორიას განარჩევს. ლეზგიური ენებისათვის დამახასიათებელია კლასის ფორმანტთა სიმრავლე:

არჩიბული: (მხ.) I – **გ, უ;** II – **დ, რ;** III – **ბ, ვ, ფ;** IV – **თ, ტ;** (მრ.) – **ბ;**

რუთულური: (მხ.) I – **რ, ე, ბ, ვ;** II – **რ, ე;** III **ბ, ვ;** IV **დ, რ, ე, ბ;** (მრ.) – **დ;**

წახური: (მხ.) I – **რ, ე;** II – **რ, ე;** III – **ბ, მ, ვ;** IV – **დ, თ, ტ, ლ, რ, ე, ღ;**
(მრ.) I-II – **ბ, მ, ვ;** III-IV – **დ, თ, ტ, ლ, რ, ე, ღ;**

ბუღუხური: I – **რ, ლ;** II – **რ, ე;** III – **ბ, ვ;** IV – **ბ, ფ, ლ, ღ;** (მრ.) **ბ, ფ;**

კრიწული: I (მხ.) – **ი, ეი;** (მრ.) – **იბ, ეიბ;** II (მხ.) – **უგ, ეუგ;** (მრ.) – **იბ, ეიბ;**
III (მხ.) – **უგ, ეუგ;** (მრ.) – **ი, ეი;** IV (მხ.) – **ი, ეი;** (მრ.) – **ი, ეი;**

ხინალულური: I (მხ.) – **აჲ, ეჲ, ეი, დჲ, რ;** (მრ.) – **ვა, ბ, ფ, დურ, ეი, რ;**

II (მხ.) – **აჲ, რ, ს, ზ, ზა, ზჲ, ქ, ც;** (მრ.) – **გ, ვა, ვი, ბ/ფ, ფ, რ, დურ;**

III (მხ.) – **გ, ვა, ვჲ, ბ, ბი, ე, აჲ, დ, დჲ, ჟ, რ, რი;** (მრ.) – **ვა, ბ, ბი, ბ/ფ, ე, აა, აჲ, ეჲ, ეი, ჟ, რ, რი;** IV (მხ.) – **ეჲ, ეი, ბ, ბი, დ, დჲ, ჟ;** (მრ.) – **ეჲ, ეი, ბ, ბი, ფ, ჟ, დ, დჲ** (დეშერიევი 1967, 667).

თაბასარანული: (მხ.) I – **დ, რ, ე;** II – **ბ, უ, ფ;** (მრ.) **დ, რ, ე.**

საფიქრებელია, რომ კლასის ფორმანტთა სიმრავლე კავკასიის ალბანურ-საც ახასიათებდა.

მიუხედავად მასალის სიმცირისა და სხვა შემაფერხებელი ფაქტორებისა (ალბანურ ლექციონარში გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტი, როგორც წესი, ნივთია ან მოვლენა, ხოლო გარდაუვალი ზმნის სუბიექტი – ადამიანი [მამაკაცი], რაც კლასების რიცხვსა და მათ ნიშანთა განსაზღვრას ართულებს), მაინც თვალში საცემია ზოგიერთი ზმნის კლასების მიხედვით ცვლა, მაგ.: ჰუახუნ ჰ[ანადო]კე ბა-ა [ბისაჯულ]ოდ იჩედ “რომელიც [იესო] სარწმუნო არის (III

კლ.) თაგისი ღმერთისა” (N/Sin 55, 23r-16v; ებრაელთა 3, 2); შდრ. ანალოგიურ ქართულ მონაკვეთს: “**იესო ქრისტე**, რომელიც სარწმუნო არს შემოქმედისა თვისისა”;

ეფუხ მუ(წა)ურ ბა-ალ ანკე ოენ “რათა წმინდა **ჰყოს** (ზედმიწ. “**ჰყოს** რომელიც”) **ის [ეკლესია]**” (N/Sin 13, 28v-27r; ეფესელთა 5, 26);

მაგრამ: ისო გოხუნ აბუ იჰ[ე] ანაკე **ვა** მუსედსახ[ო(ც)] “რამეთუ მეტი დიდების მქონე **არის** (I კლასი) **[იესო]** მოსეზე (აბლ.)” (N/Sin 55, 23r-16v; ებრაელთა 3, 4);

შდრ. აგრეთვე: ბ[იხაჯუ]დ[ენ] ა-ვა “**ღმერთით მყოფი (არსებული)**” (N/Sin 55, 23r-16v; ებრაელთა 3, 4).

ამასვე გვაფიქრებინებს **ფ-ესუნ** “თქმა” ზმნის ჩვენებაც: **ო-ფედ** ანადო [-?] ისაკახო(ც) “**გეწოდოს** (ზედმიწ. “**გეთქვას** რომლის”) **[ნათესავი]** ისაკისაგან” (N/Sin 13, 5r-2v; ებრაელთა 11, 18), შდრ. ანალოგიურ ქართულ მონაკვეთს: “ისაკისაგან გეწოდოს შენ ნათესავად”. აქ საფიქრებელია კლასის ფორმანტის ფონეტიკური ცვლილება – *ვა > ო.

მაგრამ: **ფედი** [-?] ჰიმი ზუ “**ვიტყვი** [?] ? მე” (N/Sin 13, 76r-77v; 2 კორინთელთა 11, 23), შდრ. ანალოგიურ ქართულ მონაკვეთს: “უგუნურესადრე ვიტყვ უფროდსლა მე”.

როგორც ჩანს, კლასის მიხედვით იცვლება ამ ზმნის პარალელური ფორმაც, მაგ.: ოენ ილუკაჰა მატუნ **კაჰედ** “ვიდრე ის მაგას **იტყოდა** (ზედმიწ. მაგი **თქვა**)” (N/Sin 13, 13v-10r; მათე 17, 4);

[-?] ა(ფ)ეგახო(ც) **უ-კაჰედ** “[?] ღრუბელიდან **თქვა**” (N/Sin 13, 13v-10r; მათე 17, 4), შდრ. ანალოგიურ ქართულ მონაკვეთს: “და ჴმად იყო ღრუბლით გამო და თქუა”.

[-?] ანადო **და-კაჰედ** “ [?] რომელზე (ნათ.) **ითქვა**” (N/Sin 13, 5r-2v; ებრაელთა 11, 18), შდრ. ანალოგიურ ქართულ მონაკვეთს: “რომლისა მიმართ ითქუა”.

აღბანურ ლექციონარში კლასოვანი უღვლილება რომ გვქონდა, ამას ადასტურებს მიმდებობის წარმოებაც, მაგ., **ბო-ხო-ხა** “შენება”–იუსივი > **ი-ხო-დო**

“მშენებელი”; ბუ-ყა-ნა “სურვილი”, “ყვარება” > ხი-ბუ “მოყვარე”; ბი-ფეს “კეთუბა” > *ფი-ბი > ი-ბი “მკეთებელი”... წარმოდგენილი მაგალითები გვიჩვენებს, რომ ამ ზმნების თავკიდური ელემენტები არ არის გაქვავებული, წინააღმდეგ შემთხვევაში იქნებოდა ბო-ხო-ფო, ბუ-ხი-ბუ, ბი-ფი-ბი და ა.შ.

ირიბ მტკიცებულებად იმისა, რომ კავკასიის ალბანურ ლექციონარში კლასების მიხედვით ცვლა გვქონდა, გამოდგება უდიური ენის ჩვენება. უდიურში პირის ნიშანი ხშირად ენდოკლიტიკად გვევლინება და ასეთ შემთხვევაში ის სწორედ გაქვავებული კლასის ფორმანტის შემდეგ გვხვდება, მაგ., ბუ-ყეს “ყვარება”... – ბუ=ტუ=ყესა “ყვარს”..., შდრ. კავკ. ალბანური: ბუ-ყანა “ყვარება”...; ბა-ქეს “ყოფნა”... – ბა=ნე=ქესა “არის”, შდრ. კავკ. ალბანური: ბა “ყოფნა”; ბი-ყეს “აშენება” – ბი=ნე=ყესა “აშენებს”, შდრ. კავკ. ალბანური: ბო-ხეს “შენება”...

დღეს ამდაგვარი ფორმანტები ზმნის ძირთან ერთ მორფემას წარმოადგენენ და მხოლოდ თვისტომი ენების მონაცემთა საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნამდვილად კლასის გაქვავებულ ნიშნებთან გვაქვს საქმე. ვფიქრობთ, ეს ვითარება მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ალბანურს//უდიურს კლასოვანი უღვლილებიდან პიროვან უღვლილებამდე გარდამავალი ეტაპი უნდა გაეგლო კლასოვან-პიროვანი უღვლილების სახით. როგორც იყო ნაჩვენები, პალიმფსესტში პიროვანი უღვლილება არ დასტურდება, მაშასადამე კლასოვანი უნდა გვქონოდა.

კავკასიის ალბანურში კლასის ფორმანტთა განაწილების სქემა ასეთი სახით წარმოგვიდგება (ოთხკლასოვან სისტემას სხვა ლეზგიურ ენათა ჩვენების საფუძველზე ვვარაუდობთ):

I კლასისა (მამაკაცის) *ვ > ვა ფონეტიკური ვარიანტებით: ო < ვა, უ < *ვუ, უ < *ვუ ...

II კლასისა (ქალის) ?

III კლასისა (ნივთის) *ბ გახმოვანებით: ბა, ბი, ბო, ბო, ბუ, ბუ ...

IV კლასი (ნივთის) ?

მრავლობითში ?

ბუნებრივია, გრამატიკული კლასების რაოდენობისა და ფორმანტთა საკითხი საკვლევი, მათ შორის, I და III კლასების შემთხვევაშიც.

დასკვნები

კავკასიის ალბანური ხელნაწერებისა და ეპიგრაფიკული ძეგლების აღმოჩენამდე სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა საფუძვლიანი მოსაზრება უდიურისა და ალბანურის უახლოესი გენეტიკური ნათესაობის შესახებ. მაშინ ის მკვლევრები, რომლებიც მხარს უჭერდნენ ამ მოსაზრებას, ძირითადად ისტორიულ წყაროებსა და ეთნოგრაფიულ მასალას იშველიებდნენ.

დღეს უკვე ლინგვისტური მასალის გამოყენებითაც შეგვიძლია ვამტკიცოთ იგივე. ამის შესახებ მეტყველებს ამ ორი ენის ფონოლოგიური სისტემების შედარება. უმთავრესი რელევანტური ნიშანი, რომლის საშუალებითაც კავკასიის ალბანურისა და უდიურის ფონოლოგიური სისტემები სხვა ლეზგიური ენების სისტემებს უპირისპირდება – არის ხშულთა და აფრიკატთა სამეულებრივი სისტემა და სპირანტთა წყვილმეულებრივი სისტემა. აგრეთვე მნიშვნელოვანია უკანა წარმოების თანხმოვანთა შედარებითი სიღარიბეც;

უდიური ენის მორფოლოგიის სტრუქტურა, ლეზგიური ქვეჯგუფის სხვა ენებისაგან განსხვავებით, ძალიან ახლოსაა კავკასიის ალბანურთან, როგორც ინვენტარის, ისე ფუნქციების მხრივ და გამოიყვანება ამ უკანასკნელისაგან (განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ კავკასიის ალბანურსა და უდიურში პირდაპირი ობიექტი სახელობითის გარდა მიცემითი ბრუნვითაც აღინიშნება, რაც არც ერთი სხვა მთის იბერიულ-კავკასიური ენისათვის არ არის დამახასიათებელი). შდრ. კავკასიის ალბანურისა და უდიურის ძირითადი მორფოლოგიური ინვენტარი:

კავკასიის ალბანური

ერგატივ-ინსტრ. -ენ
გენიტივი -ად, -ედ, -ოდ, -უნ...
დატივი -ა, -ო, -ე, -ახ, -ოხ, -ეხ...
აბლატივი -ახ-ო(ვ), -ოხ-ო(ვ)...
მრ. რიცხვი -უხ, -უდ...
მასდარი I -ეს
მასდარი II -ეს-უნ
აწმყო -ა
იმპერფექტი -ა=დ, -ა=ი
პერფექტი -ე, -ედ, -ეი
მყოფადი (I) -ალ

უდიური

-ენ... (ძირითადი ფორმანტი)
-ად, -ედ, -ოდ, -უნ...
-ა, -ო, -ე, -ახ, -ოხ, -ეხ...
-ახ-ო, -ოხ-ო...
-უხ, -უდ...
-ეს
-ეს-უნ
-ა
-ა=დ, -ა=ი
პლუსკვამპერფექტი -ე=დ, -ე=ი
-ალ

გარდა ამისა, უდიური ენისა და კავკასიის ალბანურის უახლოეს გენეტიკურ ნათესაობას ადასტურებს ალბანურ ხელნაწერსა თუ ეპიგრაფიკულ ძეგლებში წარმოდგენილი უდიურის იდენტური სიტყვაფორმები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უდიურისა და კავკასიის ალბანურის ლექსიკა საკმაო განსხვავებასაც იჩენს, ეს უდიურზე უცხო ენების გავლენას უნდა მივაწეროთ, შდრ. ალბანურ-უდიური ლექსიკური მასალა:

კავკასიის ალბანური

ბიხაჯულ “ღმერთი”
 ადამარ “ადამიანი”
 ჩიბუხ “ცოლი”
 ვიჩი “ძმა”
 ხუნჩი “და”
 ღარ “ძე”, “ბიჭი”
 ქულ “ხელი”
 ბულ “თავი”
 მუხ “ენა”
 შუ “ღამე”
 ღი “ღღე”
 ხაშ “ნათელი”
 ბ(ც)ელ “მზე”
 კოს “სახლი”
 ზუ “მე” (სახ.-ერგ.), ბეზი (ნათ.)
 ზა//ზახ (მიც.)
 უნ “შენ” (სახ.-ერგ.), ვი (ნათ.),
 ვა//ვახ (მიც.)
 უან “ჩვენ” (სახ.-ერგ.), ბეში (ნათ.),
 ეა//უახ (მიც.)
 ჩგ. ნაცვალსახელები: ნე, ო-ნე, ა-ნე
 იჩი “თავისი”
 სა “ერთი”
 პ(ც)ა “ორი”
 ხიბ “სამი”
 აკეს “ხედვა”
 (უ)-ფეს “თქმა”
 ბუყეს “სურვილი”
 ბუ “ყოლა”, “ქონა”

უდიური

ბიხაჯუხ “ღმერთი”
 ადამარ “ადამიანი”
 ჩუბუხ “ცოლი” (ვართ.)
 ვიჩი “ძმა”
 ხუნჩი “და”
 ღარ “ძე”, “ბიჭი”
 ქულ “ხელი”
 ბულ “თავი”
 მუხ “ენა”
 შუ “ღამე”
 ღი “ღღე”
 ხაშ “მთვარე”, ხაშ-ღესუნ “მონათ-
 ვლა”
 ბულ “მზე”
 კოჟ (ნიჯ.)//კოჯ (ვართ.) “სახლი”
 ზუ “მე” (სახ.-ერგ.), ბეზი (ნათ.),
 ზა//ზახ (მიც.)
 უნ “შენ” (სახ.-ერგ.), ვი (ნათ.), ვა//ვახ
 (მიც.)
 დან “ჩვენ” (სახ.-ერგ.), ბეში (ნათ.),
 და//დახ (მიც.)
 III მხ. პირის ფორმანტი: =ნე//=ნ
 იჩი “თავისი”
 სა “ერთი”
 პა “ორი”
 ხიბ “სამი”
 აკეს “ხედვა”
 [უ]-ფეს “თქმა”
 ბუყეს “სურვილი”, “ყვარება”
 ბუ “ყოლა”, “ქონა”, “ყოფნა”

მიუხედავად ამისა, გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ უდიური არ მომ-
 დინარეობს უშუალოდ კავკასიის ალბანურის იმ დიალექტისაგან, რომელზედაც

ითარგმნა წმინდა წერილი (resp. ალბანური ლიტერატურული დიალექტი). ამის თქმის საფუძველს გვაძლევს შემდეგი გარემოებები: კავკასიის ალბანურში შეინიშნება ფარინგალური თანხმოვნების სპირანტიზაცია ანლაუტსა და აუსლაუტში – სინურ პალიმფსესტში ფარინგალური თანხმოვნები (ჭ, ყ) არ შეგვხვედრია სიტყვის აბსოლუტურ ანლაუტსა და აუსლაუტში. მათი პოზიცია შესუსტებული ჩანს ინლაუტშიც, მაგ., უხ $<$ *უჭ “ექვსი”; ხა $<$ *ყა (იუსივის ფორმანტი); ხო $<$ *ყო (“შენება” ზმნის ძირია, შდრ.: ბო-ხო-ხა [იუს.] და ი-ხო-დო [მიმდ.]); ხი-ბუ $<$ *ყი-ბუ “მოყვარე” (შდრ.: ბუ-ყესუნ “სურვილი”, “ყვარება”)... უდიურში ეს პროცესი არ განვითარდა, შდრ. უჭ “ექვსი”, ყა იუსივის ფორმანტი, მოდალური კლიტიკა, კავშირი “და”, ბი-ყეს “შენება”, ბუ-ყეს “ყვარება”, “სურვილი”... ძნელი წარმოსადგენია, რომ ფარინგალურების სპირანტიზაციის შემდეგ უდიურში განვითარდა უკუპროცესი – *ხ $>$ ჭ და *ხ $>$ ყ.

საყურადღებოა “ყოფნა” ზმნის ჩვენებაც. მას ალბანურში დაკარგული აქვს ძირისეული თანხმოვანი (და საერთოდ ძირიც): *ყ $>$ *ც $>$ ∅ – ბა [III კლ.] და ვა [I კლ.] “ყოფნა”. უდიურს კი ძირისეული თანხმოვანი შენარჩუნებული აქვს, შდრ.: ბა-ქეს “ყოფა”, “არსებობა”, “გახდომა”. თუ დავუშვებთ, რომ უდიური პირდაპირი შთამომავალია კავკასიის ალბანური “ლიტერატურული” დიალექტისა, მაშინ უდიური ფორმა ბა-ქეს მხოლოდ მისი თვისტომი ენებიდან სესხებით აიხსნება (შდრ. რუთულური: დი-ქის//რი-ქის//ვი-ქის//დი-ქის “ყოფნა” [გრამატიკული კლასების მიხედვით]; არჩიბული: ვი-ქირ//დი-ქირ//ბი-ქირ//ი-ქირ “ყოფნა”; წახური: გხ[~]-აჲ//დი-ხ[~]-აჲ//ვე-ხ[~]-აჲ “ყოფნა”), რაც დაუფერებლად გვეჩვენება.

დასკვნითი დებულებები

ნაშრომი მიზნად ისახავს წერილობითი ძეგლების ამოკითხვის საფუძველზე კავკასიის ალბანური ენისათვის დამახასიათებელი მოვლენების აღწერას და მისი ადგილის განსაზღვრას თვისტომ ენათა შორის. საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, მიმოხილულია უძველესი საისტორიო წყაროების ცნობები კავკასიის ალბანური დამწერლობის შესახებ, განიხილება ალბანური დამწერლობის გენეზისის საკითხი, მოცემულია მისი პარადიგმატიკისა და გრაფიკული საფუძვლების ანალიზი, განსაზღვრულია ალბანური ფაქტობრივი მასალის რაობა და სხვა.

წინამდებარე ნაშრომის ძირითადი დასკვნები მოკლედ ასეთია:

ერთადერთი ფასეული, რაც სომხური წყაროების ცნობებიდან ირკვევა, არის ის, რომ ალბანური დამწერლობა ნამდვილად არსებობდა (ამან გადამწყვეტი როლი ითამაშა დაკარგული ალბანური დამწერლობის ნიმუშების ძიების დასაწყებად), ხოლო ცნობა მაშტოცის მიერ ალბანური ანბანის შექმნის შესახებ ნაყალბეია.

არ არსებობს არანაირი საფუძველი, რომ ეჭვი შევიტანოთ მატენადარანის №7117 და ა. ქურდიანის ხელნაწერებში წარმოდგენილი ალბანური ანბანის ავთენტურობაში. ორივე ალბანური ანბანის ნუსხა ნამდვილია და ძირითადად სწორი უნდა იყოს, რაც დადასტურდა კიდევ მინგეჩაურის წარწერებისა და ალბანური პალიმფსესტის აღმოჩენის შემდეგ. ა. ქურდიანის ნუსხის დედანი მატენადარანის №7117 ხელნაწერის ალბანური ანბანის ნუსხა უნდა იყოს.

ალბანურ წარწერათა კორპუსი ამჟამად ერთი ლაპიდარული წარწერისაგან (ჯვრის პოსტამენტის წარწერა) და ექვსი გრაფიტისაგან შედგება. ამათგან, ოთხი გრაფიტი შესრულებულია შანდლებზე, ხოლო ორიც – კრამიტის ნატეხებზე. ყველა მათგანი დეფექტურია. მთლიანად კორპუსი შედგება 194-196 გრაფემისგან და მასში ალბანური ანბანის 52 გრაფემიდან დადასტურებულია 34 გრაფემა.

ჯვრის პოსტამენტის წარწერა სამშენებლო ხასიათისაა.

წარწერები №2 შანდალზე და №2 კრამიტის ნატეხზე ანბანის ნაწილებს შეიცავს (წარწერა №2 შანდალზე, ამასთან ერთად, ავტორის ფაქსიმილესაც).

წარწერები №1 შანდალზე, №3 შანდალზე, №4 შანდალზე და №1 კრამიტის ნატეხზე, როგორც ჩანს, უფრო “ვოტიურია” ან “ნომინალური”.

საეჭვოა, როგორც დერბენტის წარწერის არსებობის ფაქტი, ასევე მისი კავკასიის ალბანური წარმომავლობა.

სოფ. ზემო ლაბკოსთან აღმოჩენილი ქვის ფილა უეჭველად ნაყალბეგია.

ასევე არ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ ალბანურ-ქართული პალიმფსესტის ავთენტურობაში. პალიმფსესტის ქვედა ფენის ტექსტი კავკასიის ალბანურ ენაზე შესრულებულ ლექციონარს და იოანეს სახარებას შეიცავს.

კავკასიის ალბანური ანბანის პარადიგმატიკისა და გრაფიკული საფუძველების კვლევამ გვიჩვენა, რომ მაშტოცის (იგივე მესროპის) მონაწილეობა ალბანური ანბანის შექმნაში სრულიად გამორიცხებულია.

კავკასიის ალბანური ანბანი ემყარება ბერძნულის პარადიგმატიკას. შეინიშნება გარკვეული ტიპოლოგიური მსგავსება სომხურისა და ალბანური ალფაბეტების შინაგან ფორმებს შორის, თუმცა ალბანური სომხურ ანბანთრიგს არ იცავს. გრაფიკული თვალსაზრისით კი ალბანური ქართულ ასომთავრულს უახლოვდება.

დადგენილად შეგვიძლია ჩავთვალოთ ალბანური ანბანის 26 გრაფემის ფონემური მნიშვნელობა, ესენია: №1 **ა** (ა); №2 **ბ** (ბ); №3 **გ** (გ); №5 **დ** (ე); №6 **ე** (ზ); №9 **ვ** (თ); №11 **ზ** (დ); №13 **ყ** (ი); №15 **რ** (ლ); №17 **ს** (ხ); №21 **ტ** (კ); №23 **თ** (პ); №29 **ც** (მ); №30 **ძ** (ყ); №31 **ჩ** (ნ); №35 **ც** (ო); №39 **რ** (ჩ); №40 **ხ** (ვ); №41 **ც** (დ); №42 **ძ** (რ); №43 **ხ** (ს); №44 **ჩ** (ვ); №45 **ძ** (ტ); №50 **ჩ** (ჟ); №51 **ყ** (ფ); №52 **ქ** (ქ). ამ ჩამონათვალს შესაძლოა დაეუმატოთ №7 **ლ**. ეს გრაფემა უეჭველად **ქ** დიფთონგს აღნიშნავს. ჩვენი აზრით, ის ასევე **ე** ბგერის ფარინგალიზებულ ალოფონს (**ქ**) უნდა გადმოსცემდეს.

დამაჯერებელია, რომ №47 **ს** **ო** ბგერას აღნიშნავს, №14 **ს** **შ**-ს; ხოლო №33 **ჟ** – **შ** ბგერას.

უ ბგერა და მისი ფარინგალიზებული ალოფონი (ჟ) დიგრამებით გადმოიცემოდა: **ო-ჩ** (№35+№50); **უჩ** (№47+№50).

კავკასიის ალბანური ანბანის მატენადარანის №7117 ხელნაწერის ნუსხა 11 შესწორებას საჭიროებს (სომხური გრაფიკის შესაძლებლობათა გათვალისწინებით): №2 **ნ** (ო > ბ); №3 **წ** (ზ > გ); №5 **ქ** (ფ > ე); №7 **ლ** (ე > ზ); №35 **ო** (ო > უ); №41 **წ** (ფ > ღ); №42 **ქ** (კ > რ); №50 **ჩ** (ღ > ჯ); №4 “გან” (გ > *დ), №19 **ჟ** (ჭ > *წ) და №47 **უ** (ი > *ო).

ამ ეტაპზე ხერხდება, პალიმფსესტის 46 გრაფემის იდენტიფიკაცია მატენადარანის ნუსხის ნიშნებთან. ამ ხელნაწერის ექვსი გრაფემა არ არის დადასტურებული პალიმფსესტში, ესენია: №4, №22, №24, №25, №28, №32. მათგან ერთი ნიშანი (№32) დადასტურებულია კავკასიის ალბანურ ეპიგრაფიკაში.

ვოკალიზმის სისტემა ასეთი სახით წარმოგვიდგება – ჩვენი აზრით, გვაქვს მხოლოდ 5 “მარტივი” ხმოვანი (ა, ე, ი, ო, უ).

ვვარაუდობთ ხშულთა და აფრიკატთა სამეულეებრივ სისტემასა (ბ, ფ, პ; დ, თ, ტ; გ, ქ, კ; *ჭ, ყ; *ც; *ძ, *ც, *წ; *ჯ, ჩ, *ჭ; *ღ, *ღ', *ტ') და სპირანტთა წყვილეულეებრივ სისტემას (ზ, ს; *ჟ, შ; ღ, ხ; ვ; ჰ). სონორები შემდეგი სახით წარმოგვიდგება – ჭ, მ, ნ, ლ, რ, ე. წარმოდგენილ ხმოვნებისა და თანხმოვნების გარდა, კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიური სისტემა დამატებითი არტიკულაციით – ფარინგალიზაციით – იყო გართულებული.

ხშულთა და აფრიკატთა სამეულეებრივი სისტემა და უკანა წარმოების თანხმოვანთა სიმცირე სხვა ლეზგიურ ენებთან შედარებით აახლოვებს კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიურ სისტემას უდიურთან.

კავკასიის ალბანურთან შედარებით, ვოკალიზმის სისტემა უდიურში გართულდა: წარმოიქმნა უმლაუტირებული ხმოვნები და ე.წ. ირაციონალურმა შეიძინა დისტინქციური ფუნქცია [ნიჯის დიალექტში], ხოლო კონსონანტიზმის სისტემა გამარტივდა: დაიკარგა ლატერალები, ლარინგალური ც, ბილაბიალური ჭ; ერთადერთი თანხმოვანი, რომელიც უდიურს დაემატა, არის დენტოლაბიალური

ფ. ფარინგალიზაცია კავკასიის ალბანურში, როგორც ჩანს, პოზიციური იყო, უდიურში კი მას დისტინქციური ფუნქცია მოეპოვება.

ხმოვნებისა და სიბილანტთა აღნიშვნა ორ-ორი გრაფემით განპირობებული უნდა იყოს იმით, რომ ფარინგალიზაცია (ჩვენი აზრით, პროსოდის თვისება) ალბანური ანბანის შემდგენის ან შემდგენთა მიერ აღქმულ იქნა, ერთ შემთხვევაში, როგორც ხმოვნის თვისება, მეორე შემთხვევაში კი, როგორც სიბილანტისა. წარმოდგენილ მოსაზრებას ისიც ადასტურებს, რომ ალბანურ ხელნაწერსა თუ ეპიგრაფიკულ მასალაში მეორე რიგის ხმოვნები (resp. ფარინგალიზებული ალოფონები) სიბილანტების გვერდით არ გვხვდება.

მეორე რიგის ხმოვნები (**ღ, უ, უჩ**) ალბანურში ისეთი სტრუქტურის მარცვლებში გვხვდება, როგორიცაა: CV², V²C, V², CV²C, V²S¹ (იხ. V. 4)...

მეორე რიგის სიბილანტები (**ჲ, Ⴑ, Ⴐ, ლ, ჴ, Ⴑ** ან №32 “ჯად”, **ლ, ტ, ს**) S²V¹, S²V¹C... სტრუქტურის ფარინგალიზებულ მარცვლებში გვხვდება.

უეჭველად დგინდება ხუთი ბრუნვის რაობა, ესენია:

სახელობითი ბრუნვა (აბსოლუტივი). იგი აღნიშნავს სუბიექტს გარდაუვალ ზმნასთან, პირდაპირ ობიექტს გარდამავალ ზმნასთან. ზოგჯერ აბსოლუტივის ფორმა ვოკატივისა ან გენიტივის ფუნქციითაც გვხვდება.

ერგატივ-ინსტრუმენტალისის ძირითადი ფორმანტია **-ენ**. ასრულებს რეალური სუბიექტის როლს გარდამავალ ზმნასთან და ინსტრუმენტალისის ფუნქციითაც არის აღჭურვილი.

ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტებია **-ამ, -ომ, -ემ, -ან, -უნ...** და მას უდიური გენიტივის იდენტური ფუნქციები აქვს.

მიცემითი ბრუნვის ძირითადი ფორმანტებია **-ა, -ო, -ე; -ახ, -ოხ, -ეხ**. მიცემითი ბრუნვა *verba sentiendi* ზმნებთან აღნიშნავს სუბიექტს, პირდაპირ ობიექტს (სახელობითთან პარალელურად), ირიბ ობიექტს და ლოკატივის მნიშვნელობითაც იხმარება.

მიცემითი II-ს შესახებ ვარაუდი შემოწმებას საჭიროებს.

აბლატივის ფორმანტია -ახ-ო(ც)//-ოხ-ო(ც)//-უხ-ო(ც); -ო(ც)//-ა(ც). მას დაშორებითი ფუნქცია აქვს და შედარებით ხარისხსაც აწარმოებს.

მრავლობითის ფორმანტია -უხ//**-უდ**.

კავკასიის ალბანურის სახელთა ბრუნებას დიდი სიახლოვე ახასიათებს უდიურთან, როგორც ფორმანტთა მხრივ, ასევე ბრუნვათა ფუნქციების მხრივაც.

რაოდენობითი რიცხვითი სახელები ლექციონარში ნაკლებად გვხვდება. როგორც წესი, რიცხვი ასო-ბგერათა მეშვეობით აღინიშნება.

რიგობითი რიცხვითი სახელი იწარმოება -არ სუფიქსით გართულებულ ან მისსავე სუბლექტურ ფუძეზე -უნ//**-ინ** ფორმანტის დართვით.

ჯერობის რიცხვითი სახელის მაწარმოებელია -ომ სუფიქსი.

თვლის სისტემა კავკასიის ალბანურში ოცობითი იყო.

I და II პირის ნაცვალსახელთა ფორმა და მათი ბრუნება ისეთივეა, როგორც უდიურში, მცირე ფონეტიკურ განსხვავებებს თუ არ ჩავთვლით.

III პირის ნაცვალსახელებია, ჩვენი ვარაუდით: **ოენ** “ის” და **ოენ-უხ** “ისინი”.

ჩვენებითი ნაცვალსახელებია: **ო-ნე** (I პირთან); **ა-ნე** (II პირთან) და **ნე** (III პირთან); ეს უკანასკნელი ნაწევარსაც წარმოადგენს და, როგორც ჩანს, ზოგჯერ მეშველი ზმნის ფუნქციასაც ითავსებს.

I და II პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელების ფორმა ნათესაობითში დასმულ პირის ნაცვალსახელთა ფორმას ემთხვევა.

III პირის კუთვნილებით ნაცვალსახელად დასტურდება **ოდა** “მისი”.

განსაზღვრებითი ნაცვალსახელებად გვესახება **ლუ(ს)უ** “ყველა” და **(ც)ეხ** “ყოველი”.

მიმართებითი ნაცვალსახელია – **ანა//ჰანა** “რომელი”.

ზმნის დრო-კილოებიდან დადგენილია რომ:

აწმყო იწარმოება ზმნის ფუძეზე -ა სუფიქსის დართვით;

აწმყო-კონკრეტული იწარმოება ზმნის ფუძეზე **-ჰე//-(ც)ე** მეშველი ზმნის დართვით;

იმპერფექტი იწარმოება აწმყოს ფორმაზე **-ფ** მაწარმოებლის დართვით;

პერფექტი იწარმოება ზმნის ფუძეზე **-ე // -ეფ** ფორმანტის დართვით;

აორისტი იწარმოება იმპერფექტის ფორმაზე **-ნ** მაწარმოებლის დართვით;

მყოფადი იწარმოება ზმნის ფუძეზე **-აღ** სუფიქსის დართვით;

იუსივი იწარმოება ზმნის ფუძეზე **-ხა** ფორმანტის დართვით;

იმპერატივი იწარმოება აწმყოს ფორმაზე -ნ სუფიქსის დართვით.

ნაზმნარი სახელებიდან დადგენილია რომ:

მასდარი I იწარმოება ზმნის ფუძეზე -ეს სუფიქსის დართვით;

მასდარი II იწარმოება მასდარი I-ს ფორმაზე -უნ სუფიქსის დართვით;

გვხვდება ორი ტიპის *მიმღეობა* და *აბსოლუტივის* ორი ფორმა.

კავკასიის ალბანურში ზმნის პიროვანი უღვლილება არ დასტურდება.

საფიქრებელია, რომ კავკასიის ალბანურში შემონახულია კლასოვანი უღვლილება. I კლასის ფორმანტებად წარმოგვიდგება *ვ; ვა > ო; უ < *ვუ; უ < *ეუ, ხოლო III კლასისა – *ბ გახმოვანებით – ბა, ბი, ბო, ბოა, ბუ, ბუა ...

თვალში საცემია მაქვემდებარებელ კავშირთა ხშირი გამოყენება და მათი სიმრავლე: კე “რომ”, “თუ”; ჰა(ჰ)ინ-კე “როგორც”, “ვითარც”; ანა-კე/ჰანა-კე “რომელიც”; ოენ-კე “ისიც”...

მაერთებელი კავშირია უნ “და”.

უდიური ენის მორფოლოგიის სტრუქტურა (ლექსიკური ქვეჯგუფის სხვა ენათაგან განსხვავებით) ძალიან ახლოსაა კავკასიის ალბანურთან და გამოიყვანება ამ უკანასკნელისაგან. განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ კავკასიის ალბანურშიც და უდიურშიც პირდაპირი ობიექტი სახელობითის გარდა მიცემითი ბრუნვითაც აღინიშნება. ეს არც ერთ სხვა მთის იბერიულ-კავკასიურ ენას არ ახასიათებს. გარდა ამისა, უდიური და კავკასიის ალბანური ენების უახლოეს გენეტიკურ ნათესაობას ადასტურებს ამ ენათა ფონოლოგიური სისტემებისა და ლექსიკის სიახლოვე (თუმცა ალბანურ სიტყვაფორმათა არც თუ მცირე ნაწილს უდიურში პარალელი არ მოეძებნება).

გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ უდიური არ მომდინარეობს უშუალოდ კავკასიის ალბანურის იმ დიალექტისაგან, რომელზედაც ითარგმნა წმინდა წერილი (resp. კავკასიის ალბანურის “ლიტერატურული” დიალექტი). ამ ვარაუდის საფუძველს გვაძლევს შემდეგი გარემოებები: ანლაუტში და აუსლაუტში უდიური ენის ფარინგალურ თანხმოვანს (ჰ, ყ) კავკასიის ალბანურში შეესატყვისება სპირანტი ხ. ეს მოსაზრება კავკასიის ალბანურისა და უდიურის ზოგიერთი ლექსემის შედარება-შეპირისპირებითაც მყარდება.

ლიტერატურა

აბრამიანი 1964 – Абрамян А. Г., Дешифровка надписей кавказских агван, Ереван, 1964.

აბულაძე 1938 – Абуладзе И. В., К открытию алфавита кавказских албанцев, Известия института языка, истории и материальной культуры им. Акад. Н. Я. Марра, №4, р. 1, Тбилиси, 1938.

აბულაძე 1940 – Абуладзе И. В., Новое сведение о существовании письменности у кавказских албанцев, Известия грузинского филиала Академии Наук СССР, т. I, №4, Тбилиси, 1940.

აბულაძე 1949 – აბულაძე ილ., ქართული წერის ნიმუშები, პალეოგრაფიული ალბომი, თბილისი, 1949.

ადონცი 1915 – Адонц Н. Г., Армянская литература, Новый энциклопедический словарь Ф. А. Брокгауза и И. А. Ефрона, т. III, Петроград, 1915.

აკინიანი 1949 – Ակինյան Գ., Ս. Մեսրոպ Մաշտոց, Վիեննա, 1949.

აკოფიანი 1987 – Акопян А., Албания-Алуанк в греко-латинских и древнеармянских источниках, Ереван, 1987.

ალექსეევი 1985 – Алексеев М. Е., Вопросы сравнительно-исторической грамматики лезгинских языков, Морфология, Синтаксис, Москва, 1985.

ალექსიძე 1973 – ალექსიძე ზ., მასალები დვინის 506 წლის საეკლესიო კრებისათვის, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიისა და ხელოვნებატამცოდნეობის სერია, 3, თბილისი, 1973.

ალექსიძე 1999 – Алексидзе З. Н., Новые памятники письменности Кавказской Албании, Христианский Восток. (Новая Серия), I, Москва, 1999.

ალექსიძე 2001 – ალექსიძე ზ., ალბანური ენის გრამატიკული და ლექსიკური აღწერა (წინასწარი შენიშვნები), ენათმეცნიერული ძიებანი, IV, თბილისი, 2001.

ალექსიძე 2003 – ალექსიძე ზ., კავკასიის ალბანეთის დამწერლობა, ენა და მწერლობა, თბილისი, 2003.

ალიევი 1962 – Алиев К., К вопросу о источниках и литературе по истории древней Кавказской Албании, Вопросы истории Кавказской Албании, Баку, 1962.

ალიევი 1992 – Алиев К., Античная Кавказская Албания, Баку, 1992

ალიპულატოვი 1974 – Алипулатов М. Б., Категория грамматического класса в

языках лезгинской группы, Ежегодник иберийско-кавказского языкознания, т. I, Тбилиси, 1974.

ანასიანი 1969 – Anassian H., Mise au point relative á l'Aluanie Caucasienne (Aluank), Revue des études arméniennes, t. VI, Paris, 1969.

ანდღულაძე 1968 – ანდღულაძე ნ., კლასოვანი და პიროვანი უღვლილების ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბილისი, 1968.

ახვლედიანი 1948 – ახვლედიანი გ., ზოგადი და ქართული ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1959.

არსლანბეკოვი 1970 – Арсланбеков Х., Самая древняя надпись Дагестана Дагестанская Правда, №285, Махачкала, 1970.

არსლანბეკოვი 1971 – Арсланбеков Х., Находка в высшей степени ценная, Советский Дагестан, №3, Махачкала, 1971.

ასლანოვი 1955 – Асланов Г. К., изучению раннесредневековых памятников Мингечаура, Краткие сообщения о докладах и полевых исследованиях института Материальной культуры АН СССР, вып. 60, Москва, 1955.

აჭარიანი 1941 – Աճառյան Հր., Աղկանից Գիրը, Մեղեկագիրը ՍՍՀՄ ԳԱ իայկական ֆիլիալի, № 3-4, Երեվան, 1941.

აჭარიანი 1984 – Աճառյան Հր., Հայոց Գրերը, Երեվան, 1984.

ახმედოვი 1954 – Ахмедов К., Об археологических раскопках на одном участке в Мингечауре, Доклады Академии Наук Азербайджанской ССР, №7, Баку, 1954.

ბარხუდარიანცი 1893 – Բարխուդարյանց Մ., Աղուանից երկիր և Դրացիք, Տփղիս, 1893.

ბოკარევი 1959 – Бокарев Е. А., Цезские (дидойские) языки Дагестана, Москва, 1959.

ბოკარევი 1961 – Бокарев Е. А., Введение в сравнительно-историческое изучение дагестанских языков (Материал к курсу.), Махачкала, 1961.

ბოკარევი 1967 – Бокарев Е. А., Хваршинский язык, Языки народов СССР, т. IV, Иберийско-Кавказские языки, Москва, 1967.

ბოკარევი 1981 – Бокарёв Е. А., Сравнительно-историческая фонетика восточно-кавказских языков, Москва, 1981.

ბროსე 1851 – Brosset M., Extraits de l'histoire des aghovans, Additions et éclaircissements à l'histoire de Géorgi, St. Peterburg, 1851.

ვაიდოვი 1951 – Ваидов Р. М., Фрагменты глиняного подсвечника с албанской надписью, Доклады Академии наук Азербайджанской ССР, № 2, Баку, 1951.

ვაიდოვი 1958 – Ваидов Р. М., Минкәчевыр эпиграфик абидәләранин археоложи характеристикасы, Известия Академии наук Азербайджанской ССР, серия общественных наук, № 4, Баку, 1958.

გამყრელიძე 1989 – გამყრელიძე თ., წერის ანბანური სისტემა და ქართული დამწერლობა, თბილისი, 1989.

გაფრინდაშვილი 1966 – გაფრინდაშვილი შ., ხმოვნების ფარინგალიზაციის ბუნებისათვის წახურულ და უდიურ ენებში, თბილისი, 1966.

გაჯიევი 1998 – Гаджиев С., Письменность Кавказской Албании: факты и фальсификации, Состояние и перспективы развития исторической науки Дагестана и Северного Кавказа, Махачкала, 1998.

გიგინეიშვილი 1973 – Гигинейшвили Б.К., Общедагестанский консонантизм, Тбилиси, 1973.

გიგინეიშვილი 1977 – Гигинейшвили Б.К., Сравнительная фонетика дагестанских языков, Тбилиси, 1977.

გიპერტი 1998 – Gippert J., Old Armenian and Caucasian Calendar Systems: The Albanian Manth names, Annuals of Armenian Linguistics, IX, 1998.

გოლუბკინა 1959 – Голубкина Т., Еще одна албанская надпись в Мингечауре, Доклады Академии наук Азербайджанской ССР, т. 5, Баку, 1959.

გუკასიანი 1963 – Гукасян В. Л., Ниджский диалект удинского языка (звуковой состав и некоторые фонетические процессы), Известия Академии наук Азербайджанской ССР, серия общественных наук, №3, Баку, 1963.

გუკასიანი 1965 – Гукасян В. Л., Фонетические и морфологические особенности ниджского диалекта удинского языка, Баку, 1965.

გუკასიანი 1968 – Гукасян В. Л., К дешифровке Албанских надписей Азербайджана, Этимология 1966, Москва, 1968.

გუკასიანი 1969 – Гукасян В. Л., Опыт дешифровки албанских надписей Азербайджана, Известия Академии наук Азербайджанской ССР, № 2, Баку, 1969.

გუკასიანი 1971 – Гукасян В. Л., О новонайденном списке албанского алфавита, Советская тюркология, № 2, Баку, 1971.

გუკასიანი 1974 – Гукасян В. Л., Удинско-азербайджанско-русский словарь, Баку, 1974.

- დეშერიევი 1959** – Дешериев Ю. Д., Грамматика Хиналугского языка, Москва, 1959.
- დეეტერსი 1963** – Deeters G., Die kaukasischen Sprachen, Leiden-Köln, 1963.
- დეშერიევი 1967** – Дешериев Ю. Д., Хиналугский язык, Языки народов СССР, т. IV, Иберийско-Кавказские языки, Москва, 1967.
- ღვინის კრება 1901** – ჳჰჰჰ Ⴑჰჰჰ, Ⴑჰჰჰ, 1901.
- დიაკონოვი 1961** – Дьяконов И., Письменность Кавказской Албании, Москва, 1961.
- დირი 1904** – Дирр А. М., Грамматика удинского языка, Тифлис, 1904.
- დოუსეტი 1961** – Movses Dasxuranci, The History of Caucasian Albanians, Translated by C.J.F. Dowsett, London, 1961.
- დუმეზილი 1940-1941** – Dumézil G., Une chîétienté perdue: Les Albanais du Caucase, Mélanges Asiatiques, vol. 232, Paris, 1940-1941.
- ეპისტოლეთა წიგნი 1968** – ეპისტოლეთა წიგნი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბილისი, 1968.
- ვარდან დიდი 1861** – Всеобщая история Вардана Великого, пер. М. Эмина, 1861, voslit.narod.ru/rus11/Vardan/frame-text4. htm., ელექტრონული ვერსია.
- თალიბოვი 1967** – Талибов Б. Б., Цахурский язык, Языки народов СССР, т. IV, Иберийско-Кавказские языки, Москва, 1967.
- თალიბოვი 1980** – Талибов Б. Б., Сравнительная фонетика лезгинских языков, Москва, 1980.
- თალიბოვი 2005** – Талибов Б. Б., (при участии Г.А. Майсака), Удинский язык, Языки Российской Федерации и соседних государств, т. 3, Москва, 2005.
- თოფურია 1959** – თოფურია გ., ლეზგიური ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები, თბილისი, 1959.
- თოფურია 1962** – თოფურია გ., კლასიკური უღვლილებიდან პიროვან უღვლილებამდე გადასვლის ერთ-ერთი გზის შესახებ იბერიულ-კავკასიურ ენებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XIII, თბილისი, 1962.
- იამპოლსკი 1955** – Ямпольский З., Древние авторы о языке населения Азербайджана, Известия Академии наук Азербайджанской ССР, № 8, Баку, 1955.
- იამპოლსკი 1957** – Ямпольский З., К изучению летописи Кавказской Албании,

языка и литературы Дагестанского филиала Академии наук СССР, т. XIII, Махачкала, 1964.

კორიუნი 1854 – Чорјуონ, Վարք Մաշտոցի, Սոփերք պայկականք, Վենետիկ, 1854.

კორიუნი 1964 – Чорјуონ, Վարք Մաշտոցի, Երեւան, 1964.

ლოლუა 2008 – ლოლუა რ., კავკასიის ანბანური სამყაროს ისტორიიდან. I. ერკათავირის გენეზისათვის, ლინგვისტოა II საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბილისი, 2008.

ლომთაძე 1998 – ლომთაძე ე., ხვარშიული ენა, I. ფონეტიკა, თბილისი, 1998.

მაგომეტოვი 1963 – Магоматов А. А., Кубачинский язык, Тбилиси, 1963.

მაგომეტოვი 1965 – Магоматов А. А., Табасаранский язык, Тбилиси, 1965.

მამედოვა 1986 – Мамедова Ф., Политическая история и историческая география Кавказской Албании (III в. до н.э. – VIII в. н.э. и XII- XIII вв.), Баку, 1986.

მამედოვი 1974 – Мамедов Т., О письменности Кавказской Албании (по древне-армянским источникам), Доклады Академии Наук Азербайджанской ССР, т. XXIII, № 7, Баку, 1974.

მანანდიანი 1897 – Manandian A., Beiträge zur Albanischen Geschichte, Untersuchungen über Moses den Utier (Kalankatuaci), Leipzig, 1897.

მარი 1947 – Марр Н. Я., Албанская надпись, Краткие сообщения института истории и материальной культуры, вып. XV, Москва, 1947.

მელიქსეთ-ბეგი 1942 – Меликсет-Беков Л. К., К истории удин, Труды ТГУ, вып. 23, Тбилиси, 1942.

მელიქსეთ-ბეგი 1957 – Меликсет-Беков Л. К., К вопросу о генезисе армянского, грузинского и албанского алфавитов, Материалы по истории Азербайджана; Труды музея истории Азербайджана, т. II, Баку, 1957.

მნაცაკანიანი 1960 – Մնացականյան Ա., Աղվանից աշխարհի գրականության լարցի շուրջը, Երեւան, 1960.

მნაცაკანიანი 1969 – Мнацаканян А., О литературе Кавказской Албании, Ереван, 1969.

მოვსეს ხორენაცი 1913 – Մովսէս Խորենացոյ, Պատմութիւն հայոց, Տիբրիս, 1913.

მოგსეს კალაკანტუაცი 1983 – Մոգსես Կաղասկատուացի, Պափմուրիս Աղուանից աշխարի, Երեւան, 1983.

მოგსეს კალაკანტუაცი 1985 – მოგსეს კალაკანტუაცი, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ლიანა დავლიანიძე-ტატიშვილმა, თბილისი, 1985.

მურავიოვი 1981 – Муравьев С. Н., Три этюда по кавказско-албанской (алуанской) письменности, Ежегодник иберийско-кавказского языкознания, т. VIII, Тбилиси, 1981.

მურავიოვი 1982 – Муравьев С. Н., Три древних алфавитов Кавказа. Их различие, их сходство, проблема их родства, Международный симпозиум по Армянскому языкознанию, Ереван, 1982.

მურავიოვი 1986 – Муравьев С. Н., Осторожно: фальшивка, Բանբեր Մատենադարանի, №5, Ереван, 1986.

მუშეგიანი 1989 – Мушегян А., Псевдоалбанская литература и ее апологеты, Вестник общественных наук Академии наук Армянской ССР, № 8, Ереван, 1989.

მხითარ აირივანეცი 1990 – მხითარ აირივანეცი, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ლიანა დავლიანიძე-ტატიშვილმა, თბილისი, 1990.

პატარიძე 1980 – პატარიძე რ., ქართული ასომთავრული, თბილისი, 1980.

სამჯი დვს 1934 – უდიური საანბანო-საკითხავი წიგნი, სოხუმი, 1934.

სევაკი 1962 – Մեկակ Գ., Մեսրոպ Մաշտոց Հայկական գրերի ու մատենագրության սկզբնավորում, Երեւան, 1962.

სიხარულიძე 1987 – სიხარულიძე ტ., არსებით სახელთა ბრუნება უდიურში, თბილისი, 1987.

სმბათიანი 1896 – Смбатян М., Описание древностей Шемахинской епархии, Тифлис, 1896.

ტრევერი 1959 – Тревер К. В., Очерки по истории и культуре Кавказской Албании, Москва-Ленинград, 1959.

ტრუბეცკოი 1922 – Troubetzkoy N., Les consonnes latérales des langues caucasiqnes septentrionales, Bull. de la Société de Linguist de Paris, t. XXIII, fasc. 3, №70, Paris, 1922.

ტრუბეცკოი 1931 – Trubetzkoy N., Die Konsonantensysteme der ost-kaukasischen Sprachen, Caucasicca, 8, Leipzig, 1931.

- ტრუბეცკოი 1960** – Трубейской Н., Основы фонологии, Москва, 1960
- უდიური ზღაპარი “რუსტამ” 1888** – Бежанов М., Рустам (Удинская сказка), Сборник Материалов для Описания Племен и Местностей Кавказа, XII, Тифлис, 1988.
- უდიური ოთხთავი 1902** – Бежанов С., Господа Нашего Иисуса Христа Святое Евангелие от Матвея, Марка, Луки и Иоанна, Сборник Материалов для Описания Племен и Местностей Кавказа, XXX, Тифлис, 1902.
- უხტანესი 1975** – უხტანესი, ისტორია განყოფისა სომეხთა ქართველთაგან, სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზაზა ალექსიძემ, თბილისი, 1975.
- ფანჩვიძე 1937** – ფანჩვიძე ვლ., უდიური ენა და მისი კილოები, ენიმკის მოამბე, ტ. II, თბილისი, 1937.
- ფანჩვიძე 1940** – ფანჩვიძე ვლ., აკუზატივის გენეზისის საკითხისათვის უდიურ ენაში, ენიმკის მოამბე, ტ. V-VI, თბილისი, 1940.
- ფანჩვიძე 1943** – ფანჩვიძე ვლ., დრო-კილოთა წარმოების პრინციპისათვის უდიურ ენაში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V, №8, თბილისი, 1943.
- ფანჩვიძე 1947** – ფანჩვიძე ვლ., აბსოლუტივის ფორმები, მათი წარმოება და ფუნქციები უდიურ ენაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. XXX-XXXI, B, თბილისი, 1947.
- ფანჩვიძე 1948** – ფანჩვიძე ვლ., მიმღეობის წარმოება და ფუნქციები უდიურ ენაში, იბერიულ-კავკასიურ ენებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. II, თბილისი, 1948.
- ფანჩვიძე 1960** – ფანჩვიძე ვლ., ნაზმნარი სახელის მიერ სახელის მართვა უდიურ ენაში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XII, თბილისი, 1960.
- ფანჩვიძე, ჯეირანიშვილი 1967** – Панчвидзе В. Н., Джейранишвили Е. Ф., Удинский язык, Языки народов СССР, т. IV: Иберийско-кавказские языки, Москва, 1967.
- ფანჩვიძე 1974** – ფანჩვიძე ვლ., უდიურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1974.
- ვერიხანიანი 1966** – Периханян А. Г., К вопросу о происхождении армянской письменности, Переднеазиатский Сборник, II. Дешифровка и Интерпретация Письменностей Древнего Востока, Москва, 1966.
- ქართული ოთხთავი 1979** – ქართული ოთხთავის ბოლო ორი რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ი. იმნაიშვილმა, თბილისი, 1979.

ქურდიანი 1956 – Kurdian H., The newly discovered alphabet of Caucasian Albanians, Journal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland, part 1-2, London, 1956.

ქურდიანი 1993 – ქურდიანი მ., ალბანური ასომთავრული (გრაფიკული სტრუქტურა და გენეზისის პრობლემა), არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 52-ე სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 1993.

ქურდიანი 1995 – ქურდიანი მ., მესროპ-მამტოცი და კავკასიური ანბანური სამყარო, ლიტერატურული საქართველო, 24/II- 3/III, თბილისი, 1995.

ქურდიანი 1996 – ქურდიანი მ., კავკასიის ანბანური სამყაროს ანბანური რიგის ტიპოლოგია და ივანე ჯავახიშვილის გრამატოლოგიური მოძღვრება, ქუთაისის აკ. წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტოაშორისო სამეცნიერო სესიის მასალები, ქუთაისი, 1996.

ღაზარ ფარპეცი 1904 – Ղազար Փարպեցի, Պափմուրիսն հայոց, Տիբրիս, 1904.

ღევონდი 1887 – Ղևոնդ, Վարդապետի Պափմուրիսն, Ս.-ՊԲ., 1887.

ყაუხჩიშვილი 1951 – ყაუხჩიშვილი თ., ბერძნულენოვანი წარწერები საქართველოში, თბილისი, 1951.

შანიძე 1938 – Шанидзе А. Г., Новооткрытый алфавит кавказских албанцев и его значение для науки, Известия института языка, истории и материальной культуры им. Акад. Н. Я. Марра, №4, р. 1, Тбилиси, 1938.

შანიძე 1957 – Шанидзе А. Г., Порядок букв грузинского, армянского и албанского алфавитов, Труды музея истории Азербайджана Академии наук Азербайджанской ССР, т. II, Баку, 1957.

შანიძე 1959 – Шанидзе А. Г., Новые данные о алфавите кавказских албанцев (второй список албанского алфавита), Труды первой конференции закавказских университетов, Баку, 1959.

შანიძე 1960 – Шанидзе А. Г., Язык и письмо кавказских албанцев, Тбилиси, 1960.

შიფნერი 1863 – Schiefner A., Versuch über die Sprache der Uden, St. Petersburg, 1863.

შულცე 1982 – Schulze W., Die Sprache der Udi in Nord-Azerbaidzan, Wiesbaden, 1982.

შულცე 2001 – Schulze W., The Udi Gospels, Annotated Text, Etymological Index, Temmatized Concordance, Munich, 2001.

შულცე 2004 – Schulze W., Review of Endoclitics and the Origins of Udi Morphosyn-

tax, 2004, udilang.narod.ru/papers/Schulze_review.pdf., ელექტრონული ვერსია.

შულცე 2005 – Schulze W., “Toward a History of Udi”, 2005, udilang.narod.ru/papers/Schulze_History-of-Udi.pdf., ელექტრონული ვერსია.

ჩიქობავა 1979 – ჩიქობავა არნ., იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1979.

ჯავახიშვილი 1926 – ჯავახიშვილი ივ., ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბილისი, 1926.

ჯავახიშვილი 1935 – ჯავახიშვილი ივ., ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, თბილისი, 1935.

ჯავახიშვილი 1937 – ჯავახიშვილი ივ., ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბილისი, 1937.

ჯეირანიშვილი 1943 – ჯეირანიშვილი ევგ., უდიური ერგატივის სტრუქტურა და ფუნქცია, თბილისი, 1943.

ჯეირანიშვილი 1948 – ჯეირანიშვილი ევგ., “Pluralia tantum”-ის შემთხვევები უდიურ ენაში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. II, თბილისი, 1948.

ჯეირანიშვილი 1956 – ჯეირანიშვილი ევგ., გრამატიკული კლასის გაქვავებული ნიშნები ზმნებსა და “ნაზმნარ სახელებში”, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VIII, თბილისი, 1956.

ჯეირანიშვილი 1959 – ჯეირანიშვილი ევგ., ფარინგალიზებული ხმოვნები წახურ-რუთულურსა და უდიურ ენებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XI, თბილისი, 1959.

ჯეირანიშვილი 1966 – Джейранишвили Е. Ф., ЛабIALIZED согласные и их изменение в цахско-мухадском (рутульском) и других языках лезгинской группы, Иберийско-Кавказское Языкознание, т. XIV, Тбилиси, 1966.

ჯეირანიშვილი 1971 – ჯეირანიშვილი ევგ., უდიური ენა (გრამატიკა, ქრესტომატია, ლექსიკონი), თბილისი, 1971.

ჰენსენი 1964 – Hewsen R., On the alfabet of Caucasian Albanians, Revue des études arméniennes, vol. I, Paris, 1964.

ჰარისი 2002 – Alice C. Harris., Endoclitics and the Origins of Udi Morphosyntax, Oxford, 2002.

სარჩევი

შესავალი	2
თავი I უძველესი ცნობები კავკასიის ალბანური დამწერლობის შესახებ.....	4
დასკვნები	17
თავი II კავკასიის ალბანური ხელნაწერებსა და ეპიგრაფიკულ ძეგლებში	
1. კავკასიის ალბანური ანბანი სომხურ ხელნაწერებში.....	18
2. კავკასიის ალბანურ წარწერათა კორპუსი.....	22
3. სინური ალბანურ-ქართული პალიმფსესტი.....	28
დასკვნები.....	32
თავი III კავკასიის ალბანური ანბანის ფონეტიკურ მნიშვნელობათა სისტემა.....	33
დასკვნები.....	68
თავი IV კავკასიის ალბანური ანბანის წარმოშობის საკითხი.....	73
დასკვნები.....	81
თავი V კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიური სისტემის რეკონსტრუქცია	
1. კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიური სისტემის რეკონსტრუქციის მეთოდის საკითხი.....	86
2. კავკასიის ალბანური ენის ვოკალიზმი.....	91
3. კავკასიის ალბანური ენის კონსონანტიზმი.....	95
4. ფარინგალიზაციის აღნიშვნის გრაფიკული წესი და ფარინგალიზებული მარცვლის სემანტიკური სტრუქტურა.....	110
დასკვნები.....	113
თავი VI კავკასიის ალბანური ხელნაწერი და ეპიგრაფიკული ძეგლები	
1. კავკასიის ალბანური ეპიგრაფიკა.....	116
2. კავკასიის ალბანური ლექციონარი.....	128
დასკვნები.....	140

თავი VII შენიშვნები კავკასიის ალბანური ენის ფონოლოგიური სისტემისა და გრამატიკული სტრუქტურის შესახებ

1. ფონეტიკა.....	142
2. მორფოლოგია.....	144
3. ზმნის უღვლილება და გრამატიკული კლას-კატეგორიის საკითხი.....	155
დასკვნები.....	161
დასკვნითი დებულებები.....	164
ლიტერატურა.....	170